ჯემალ სილაგაძე

ქართული სალიტერატურო ენის დექსიკური სინონიმიკის საკითხები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1981

4 Г (03)
81.2Гр—4
499.962.1—3
ს 50

შრომაში განხილულია ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. წიგნი დახმარებას გაუწევს ქართული ენის ლექსიკით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი
რეცენზენტები: პროფ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე
დოც. ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981

70103
С
М 609 (06) — 81

შესავალი

თავი I. ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის შესწავლის ისტორიისათვის

ენის სინონიმური კვლევა ლექსიკური სინონიმების შესწავლით იწყება, რადგანაც, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, სალიტერატურო ენის ბუნებას, ენისა და მეტყველების სტილს პირველ რიგში ლექსიკა ახასიათებს[1].

მსოფლიო ენათმეცნიერებაში სინონიმიის კვლევას უძველესი ტრადიცია აქვს. სინონიმიის საკითხების გადაწყვეტა დაიწყო საფრანგეთში 1718 წელს აბატ ჟირარდის შრომით „ფრანგული ენის მართლწერა სხვადასხვა სიტყვებით, რომლებიც მიიჩნევიან სინონიმებად"[2].

სინონიმების შესახებ მსჯელობა და სინონიმური ლექსიკონების შედგენა რუსმა ენათმეცნიერებმა დაიწყეს XVIII საუკუნის ბოლოს. 1783 წელს გამოქვეყნდა დ. ფონვიზინის პატარა შრომა[3], უფრო ვრცელი სინონიმური მასალა მოგვაწოდეს პ. კალაიდოვიჩმა[4], ა. ლუბკინმა[5], აგ. გალიჩმა[6].

რუსულ სინონიმთა სალექსიკონო მასალის მომზადება-დამუშავების თვალსაზრისით უდავოდ დიდია ა. ბერედნიკოვის, ი. დავიდოვის[7] დამსახურება, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინონიმთა შესახებ ს. სალარევის, ნ. იბრაგიმოვის, დ. კნიაჟევიჩის, პ. და ი. კალაიდოვიჩების,

---

[1] Евгеньева А. П., Основные вопросы лексической синонимии, Очерки по синонимике современного русского литературного языка, М.-Л., 1966, с. 9.

[2] R. Veidemane, Latviesu valodas leksiska sinonimija, Riga, 1970, გვ. 6.

[3] Фонвизин Д. И., Опыт российского сословника, Собеседник любителей российского слова, ч. 1, 4, 10, М., 1783.

[4] Калайдович П. Ф., Опыт словаря русских синонимов, ч. 1, М., 1818, также, Калайдович П. Ф., Продолжение синонимов, Труды общ. любителей российск. словесн., ч. 1, М., 1820, ч. 3, М., 1823.

[5] Лубкин А. С., Опыт разбора российских сословов, Труды Казанск. общ. любит. отечеств. словесн., кн. 1, 1815—1817.

[6] Галич А. И., Словарь русских синоним, или сословов, составленный редакцией нравственных сочинений, ч. 1, М., 1840.

[7] Изв. Акад. наук по отделен. русск. яз. и словесн. т. 5, вып. 7, СПБ., 1856; т. 6, вып. 3, 1857; т. 7, вып. 1, 1858; т. 8, вып. 1, 1859—1860.

ა. შიშკოვის, ვ. ანასტასევიჩის, პ. კონდირევას სტატიებს, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდებოდა მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ჟურნალებში. გასული საუკუნის დასასრული გარკვეული წარმატებით აღინიშნა რუსულ სინონიმურ ლექსიკოლოგიაში, 1900 წელს გამოიცა ნ. აბრამოვის რუსულ სინონიმთა მცირე ლექსიკონი[1], მაგრამ მაინც XVIII—XIX საუკუნეებში რუსული ენის ლექსიკური სინონიმების შესახებ გამოქვეყნებული შრომები და თვით ლექსიკონებიც უნდა ჩაითვალოს სინონიმური თეორიის გადაწყვეტისა და რუსული ენის სინონიმთა მეცნიერულად დამუშავებული ლექსიკონის შექმნის მოსამზადებელ სამუშაოდ.

საბჭოთა პერიოდში გამოიცა ვ. პავლოვ-შიშკინის და პ. სტეფანოვსკის რუსულ სინონიმთა სასწავლო ლექსიკონი[2], ვ. კლიუევას „რუსულ სინონიმთა მოკლე ლექსიკონი"[3], ზ. ალექსანდროვას „რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონი"[4].

1970—1971 წლებში დასრულდა რუსული ენის სინონიმთა ლექსიკონის გამოცემა ორ ტომად[5], რაც წარმოადგენს რუსულ სინონიმთა სრული ლექსიკონის შექმნის პირველ ცდას[6]. 1975 წელს კი ზემომოყვანილი შრომის საფუძველზე გამოიცა რუსულ სინონიმთა ლექსიკონის ერთტომეული[7].

ბევრი რამ გაკეთდა ლექსიკური სინონიმიის თეორიული საკითხების გადასაწყვეტად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია: ი. აპრესიანის, ს. ბერეჟანის, რ. ბუდაგოვის, გ. ვინოკურის, ვ. გრეჩკოს, ა. გრიგორიევას, ა. ევგენიევას, ვ. ზვიაგინცევას, გ. პალევსკას, ვ. ფავორინის, დ. შმელევის და სხვათა შრომები.

ლექსიკური სინონიმიკის თეორიული საკითხების დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს გერმანელმა ენათმეცნიერებმა: ი. ებერჰარდმა, ა. პაულმა, კ. ერდმანმა, ფ. დორნზეიფმა, ი. ტრირმა, დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე ჩეხი ლექსიკოლოგების — ო. დუხაჩეკის, ი. ფილიპეცის და სხვათა შრომები.

ქართული ლექსიკური სინონიმიის შესწავლის ისტორია სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებიდან იწყება. მისი „ლექსიკონი ქართული" გვაძლევს ძვირფას მასალას ქართული ლექსიკური სინონიმიკის შესახებ.

---

[1] Абрамов Н. Словарь русских синонимов и сходных по смыслу выражений, 4-е издание. СПБ, 1915.

[2] Павлов-Шишкин В. Д., Стефановский П. А., Учебный словарь синонимов русского литературного языка, 2-е изд., М., 1931.

[3] Клюева В. Н., Краткий словарь синонимов русского языка, М., 1961.

[4] Александрова З. Е., Словарь синонимов русского языка, М., 1968.

[5] Словарь синонимов русского языка, т. I, Л., 1970; т. II, Л., 1971.

[6] Русский язык (энциклопедия), М., 1979. с. 286.

[7] Словарь синонимов (справочное пособие), Л., 1975.

დიდ ლექსიკოგრაფს შეუნიშნავს, რომ არიან სიტყვები, რომლებიც მსგავსი შინაარსის მქონე კონტექსტებში ერთმანეთს ენაცვლებიან. მათ მნიშვნელობათა ასახსნელად საბას ეს სიტყვები ერთმანეთის განსამარტავად გამოუყენებია: გნებავს — გინდა, დაყმედა — მომშევა[1].

ცხადია, საბას ლექსიკონში ასეთი წყვილები სინონიმებად უნდა მიეჩნიოთ, მაგრამ სანამ უშუალოდ მათ შესახებ მსჯელობას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ზოგადად ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორ ესმის პირველ ქართველ ლექსიკოგრაფს სიტყვის მნიშვნელობა.

საბას სალექსიკონო ერთეულებად მეტყველების ყველა ნაწილი აუღია. თუ განსამარტავი სიტყვა არსებითი სახელია, საბა რამდენიმე სიტყვით მოკლედ აღწერს, ასურათებს იმ საგანს, რომელსაც ასახსნელი სიტყვა აღნიშნავს: ბაზარი — სავაჭრო ადგილი, ბაჭია — ყურდგლის მცირე შვილი, ბელტი — კორდის მონაკვეთი.

როცა სალექსიკონო ერთეულად ზედსართავი სახელია, საბა სიტყვით ან სიტყვათა შენაერთით ზედმიწევნით ახასიათებს იმ ნიშანს ან თვისებას, რომელსაც ასახსნელი ერთეული მიემართება და აღნიშნავს: ბიწიანი — შერყვნილი, ბნედიანი — ბნედის სენის მქონებელი.

რიცხვითი სახელის განმარტებისას ავტორი სიტყვათა შენაერთით ზუსტად გადმოგვცემს განსამარტავ რაოდენობას, რიცხვს: ოთხი — ორჯერ ორი, ათი — ორჯერ ხუთი.

საბას სალექსიკონო ერთეულებად გამოუყენებია როგორც ზმნის პირიანი ფორმები, ასევე საწყისები. ორივე შემთხვევაში ავტორი რამდენიმე სიტყვით აღწერს იმ მოქმედებას, მოვლენას ან მდგომარეობას, რომელთაც განსამარტავი ერთეულები აღნიშნავენ.

მაშასადამე, საბასთვის სიტყვის მნიშვნელობა არის ის შინაარსი, რომელიც ჩაქსოვილია გარკვეულ ბგერათკომპლექსში სინამდვილის რომელიმე ფაქტის აღსანიშნავად.

დიდ ლექსიკოგრაფს შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართული სიტყვის პოლისემიურობა. მისთვის ცნობილი ფაქტი ყოფილა, რომ სიტყვას ხშირად რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობა აქვს:

კრვა ესე არს, რაჲც(ა) რასაც მოახვედრო: ისარი, თოფი თუ ქვა და რაჲცა; კ რ ვ ა არს საკრავთა ძალთა ცემა; კ რ ვ ა დ ითქმის ბარგთა და მისთანათა შეკოჭვა, გინა წიგნთა შეკინძვა, ანუ ღილთა და ხრიკათა და ზოსტერთა და მისთანანი.

სძალი ძის ცოლი. ს ძ ლ ა დ ვ ე ითქმის მაზლისაგან ძმის ცოლი; ს ძ ა ლ ი არს ქორწილოსანი ქალი; ს ძ ლ ა დ ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი. ს ძ ლ ა დ იწოდების ეკლესია ქება-

---

[1] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV$_1$, თბ., 1965; ტ. IV$_2$, თბ., 1966.

ქებათა შინა; ხოლო ბიძის ცოლსა არა ეწოდების ს ძ ა ლ ი, არამედ ნუსადია.

წაყრა ცხენის ლაგმის პირიდამ შეხსნა, გინა ცხოველნი წინ წაირეკოს და მისდევდეს, გინა ჯელით კამათელი და მისთანა გააბნიოს, გინა მოქლონთა და ურდულთა წარზიდოს, გინა ჯ ე ლ ი ს წ ა ყ რ ა — საქმის ქნით გაადვილება.

საბას მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოებაც, რომ ქართულში ერთი და იმავე ან მსგავსი მნიშვნელობით ზოგჯერ სამი, ოთხი და მეტი სიტყვა მოიპოვება:

გზა არს ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო შ ა რ ა — ვრცელი, და ბ ი ლ ი კ ი — ვიწრო, ხოლო ქ ა შ ა ნ ი — შამბნართა ანუ თოლთა ზედა გატკეცილი სავალი და წ ა ვ ა რ ნ ა — კლდეთა ზედ(ა) ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი.

სიტყვათა შორის უმცირეს მნიშვნელობრივ-ნიუანსობრივ სხვაობასაც კი ავტორი ოსტატურად იყენებს სალექსიკონო ერთეულის სემანტიკური ბუნების ყოველმხრივი გახსნა-ანალიზისათვის:

თოვლი რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შე(ჰ)ხვდების, შეათოებს და დამოცვივა. არამედ თოვლიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ პირველ ზამთრისა რა ღამის სიცივემა ცვარი შეათოოს, უკმობენ თ რ თ ვ ი ლ ს ა; ხოლო პირველ დათოვასა ვიდრე მიწათა გათეთრებამდე უწოდენ ყ ა პ ს ა; და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მისი, იგი არს ფ ი ფ ქ ი; და მისი უმეტესი თ ო ვ ლ ა დ სახელიდების; უკეთუ თოვლი წვიმანარევი იყოს, ჰ ყ ა პ ს უწოდენ, და თოვლიანსა ნისლსა — ბ უ რ ს ა; თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყანენ, იგი არს ჰ ი რ ხ ლ ი; უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა, ეწოდება ხ უ რ ხ ლ ი; ქარიანსა თოვლსა ეწოდების ბ უ ქ ი; ქარისაგან ახვეტილსა ადგილსა ჰქვიან ხ ი ა წ ი; და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა, მას — ნ ა ნ ქ ე რ ი. თუცა შემბალი თოვლი შეყინა, ეწოდება ბ ზ ა რ ი; და რა ბზარი მზემა შეალბო, ეწოდება ლ ე ღ მ ა; მცირესა ფიფქსა ბზარ-ქმნილსა — ა რ ხ ი ლ ი; რა თოვლი აჭრელდეს, იგი არს ლ ი ლ ო; თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტვირთა და ჩამოიზვლა, იგი არს შ ვ ა ვ ი.

ესე იგი სულხან-საბა ორბელიანისთვის სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობა არის ძირითადი, ამოსავალი. განმარტებაში შემავალ სხვა დამხმარე სიტყვათა სემანტიკური მოცულობანი სალექსიკონო ერთეულის ახსნა-განსაზღვრას და ყოველმხრივ დახასიათებას ემსახურებიან.

სემანტიკური თვალსაზრისით, სალექსიკონო ერთეული განმარტებაში შემავალ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებთან ქმნის სინონიმურ რიგს, სადაც მას წამყვანი, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს:

ლამაზი ესეცა ესრეთ განიყოფებიან, რამეთუ: კ ე კ ლ უ ც ი არს სახე

უკლებელად გაწყობილი; კ ე კ ე ლ ა — სილამაზისა და მოჯდომის მცდელი; მ წ ყ ა ზ ა რ ი — სიკეთეზედ მეტი; შ ვ ე ნ ი ე რ ი — ყოვლის კეთილითა შეფერებული; ს ა ნ დ ო მ ი — კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი, მაშინც კაცს სანახავად იამოს; ს ა ხ ნ ი ე რ ი — რომელსა ყოველი საზე გაწყობილი ჰქონდეს და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს; ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ი — რომელი ხატკეთილობით მოჯდომილი იყოს.

ესე იგი საბა სინონიმებად მიიჩნევს სიტყვებს: ლ ა მ ა ზ ი, კ ე კ ლ უ ც ი, კ ე კ ე ლ ა, მ წ ყ ა ზ ა რ ი, ს ა ნ დ ო მ ი, შ ვ ე ნ ი ე რ ი, ს ა ხ ნ ი ე რ ი, ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ი. ამ სინონიმური რიგის დომინანტად კი ასახელებს სიტყვას ლ ა მ ა ზ ი.

მრავალწევრიანია გ ი ჟ ი ს აღმნიშვნელი სინონიმური რიგიც:

გიჟი სიგიჟეცა განიყოფება ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნაღაველიანად, რეგვნად, ტეტ(ე)რად, შლეგად, შტერად, ფეთიანად და შეთიანად. შ მ ა გ ი არს სიგიჟით თავსაცა თვისთა ავნებდეს და სხვათაცა მავნებელ ექმნებოდეს; ხ ე ლ ი არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არც(ა) თვით იგვემდეს და არცა სხვათა ავნებდეს; ს უ ლ ე ლ ი არს, რომელი არცა სრულიად ცნობა-მიღებულ იყოს და არცარა სასარგებლო რამე ქ(მ)ნას; ც ო ფ ი არს გონება და ცნობა მოძარცული; ნ ა ღ ა ვ ე ლ ი ა ნ ი არს ოდესმე ცნობას(ა) იყოს და ოდესმე უცნობო; რ ე გ ვ ე ნ ი არს, რომელსა სიბრძნე აკლდეს და მცირედ ხელურსა იქმოდეს: ტ ე ტ ე რ ი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს; შ ლ ე გ ი არს არა ხელი, არცა ცნობა-მიღებული, არამედ დაუცადებ(ე)ლად თავ-განწირვით გა(ნ)უსვენებელი; შ ტ ე რ ი არს ფრიადისა აორთქლებათა შინაგან ნივთთა მიერ საგრძნობელთა ორღანომიღებული და საქმის(ა) ვერა კეთილად მქ(მ)ნელი; ფ ე თ ი ა ნ ი არს ღამით საოცართა დაფეთებათა მიერ მცირე ხანს ცნობამიღებული; შ ე თ ი ა ნ ი არს სნეული, რომელი ხელურად იქცეოდეს და ჩქარა დაწვეს და წამოდგეს და უგვანად უბნობდეს.

ზემომოყვანილი სინონიმური რიგის — გ ი ჟ ი, შ მ ა გ ი, ხ ე ლ ი, ს უ ლ ე ლ ი, ც ო ფ ი, ნ ა ღ ა ვ ე ლ ი ა ნ ი, რ ე გ ვ ე ნ ი, ტ ე ტ ე რ ი, შ ლ ე გ ი, შ ტ ე რ ი, ფ ე თ ი ა ნ ი, შ ე თ ი ა ნ ი — წამყვანი დომინანტი სიტყვაა გ ი ჟ ი.

მაშასადამე, საბასთვის დომინანტი ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

1. ის არის სინონიმი ზოგადაბსტრაქტული მნიშვნელობით. იგი მთელი სინონიმური რიგის საერთო მნიშვნელობაა.

2. დომინანტი შედარებით თავისუფალია ამავე რიგის სხვა სინო-

ნიმთათვის დამახასიათებელი ემოციური და სტილისტიკური გაფორმებისაგან.

3. თავისივე რიგის სხვა სინონიმებთან შედარებით მას ახასიათებს გამოყენების მეტი სიხშირე.

როცა საბასეულ განმარტებებს ვეცნობით, თვალში გვეცემა ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. ზოგიერთი სიტყვის ახსნისას ის ვრცელ სენტენციებს იძლევა, ანდა მნიშვნელობის მხრივ სალექსიკონო ერთეულის შემცვლელ რამდენიმე სიტყვას გვთავაზობს, ზოგჯერ კი ავტორისეული განმარტება სულ მარტივია, ერთი სიტყვით ამოიწურება: გამცემელი — მოღალატე, მოღორება — მოტყუება.

ჩვენი აზრით, მსგავს შემთხვევებში ავტორი ფიქრობს, რომ განსამარტავი და განმმარტველი სიტყვები მნიშვნელობის თვალსაზრისით თითქმის იდენტურნი არიან. თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში ასეთ სინონიმებს აბსოლუტურ სინონიმებს უწოდებენ[1].

„ლექსიკონი ქართული“ განცვიფრებას იწვევს სალექსიკონო მასალის მოცულობითა და მასშტაბურობით. ბუნებრივად იბადება კითხვები: საიდან ისარგებლა ავტორმა სალექსიკონო სიტყვარის შექმნისათვის? რა ასაზრდოებს „სიტყვის კონის“ ლექსიკურ მარაგს?

საბას შრომის ძირითადი მკვებავი წყარო ძველი ქართული მწერლობაა.

„სულხან-საბას ლექსიკონი ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია არსებითად. ამ ლექსიკონში განმარტებულია, ერთი მხრით, ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულსაც ჰქონდა და საბასდროინდელ ქართულსაც, ხოლო მეორე მხრით, არაერთი ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში ნახმარი სიტყვა და ტერმინი. უკანასკნელი რიგის სიტყვათა განმარტებისას საბა რიგ შემთხვევაში ციტაციას მიმართავს ძველი წყაროებიდან, რიგ შემთხვევაში კი თავისივე სიტყვებით განმარტავს“[2].

„სიტყვის კონის“ ლექსიკური მარაგის ერთ-ერთ ძირითად წყაროს ცოცხალი ქართული მეტყველება წარმოადგენს. ლექსიკონში საკმაო ადგილი უჭირავს ქართული ხალხური სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს.

არაერთ სპეციალისტს მიუქცევია ყურადღება „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი ნასესხები ლექსიკის სიუხვისა და მრავალფეროვნებისათვის. „როგორც ირკვევა, საბას ხელთ ჰქონია არა მარტოოდენ უცხოური ლექსიკონები უცხო ენებზე, არამედ ლექსიკონები უცხო

---

[1] ალ. ნეიმანი, სინონიმთა საკითხისათვის, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. XXX.

[2] ივ. გაგნიძე, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, (საიუბილეო კრებული), თბ., 1959, გვ. 34.

ავტორებისა, თარგმნილი ქართულ ენაზედაც ჯერ კიდევ ავტორამდის რამდენიმე საუკუნით ადრე"[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" წარმოდგენილ სინონიმურ წყვილებს ქმნის:

1. სალიტერატურო ენის სიტყვები, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა აქვთ: ვედრება — ხვეწნა, აივანი — დერეფანი, ვძრწი — ვკანკალებ.

2. სალიტერატურო სიტყვა და მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე დიალექტური ფორმა: ბია — კომში, ჟოლა — ტუტა — თუთა(ხე), თხმელა — მურყანი.

3. ნასესხები და საკუთარი წარმოშობის სიტყვები: აზატი — თავისუფალი, ბატი — ღერღეტი, ბოსტანი — მტილი, ვარჯიში — სეფური, ზანდუკი — კიდობანი.

ნასესხები ერთეულის განსაზღვრისას საბა მიუთითებს მის უცხოურ წარმოშობაზე, განმარტავს, ქართულად ასე ეწოდებაო. დიდი ლექსიკოგრაფის მსჯელობა მიმართულია იქითკენ, რომ დაარწმუნოს მკითხველი, ნასესხები სიტყვის გამოყენებას საკუთარის ხმარება სჯობსო. ესე იგი, ავტორი ყოველმხრივ ცდილობს, გზა გაუხსნას სინონიმური რიგის ქართულ ერთეულს.

მაშასადამე, ქართული ლექსიკური სინონიმიკის შესწავლის ისტორია სულხან-საბა ორბელიანის მემკვიდრეობიდან იღებს სათავეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ ქართველ ლექსიკოგრაფს ქართული ენის ლექსიკურ სინონიმთა შესახებ სპეციალური თეორიული დებულებანი არ წამოუყენებია. „სიტყვის კონაში" წარმოდგენილი სინონიმური წყვილები მხოლოდ პრაქტიკული მიზნით გამოიყენებიან, სალექსიკონო ერთეულის განმარტება-დაზუსტებას ემსახურებიან.

სულხან-საბასეულ სინონიმურ წყვილებზე პირველი დაკვირვება ნაკო ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მას მიზანშეწონილად მიაჩნია მნიშვნელობით მონათესავე სიტყვათა ერთ ბუდეში მოთავსება, რადგან ამით მკითხველს უადვილდება საჭირო სიტყვის „მალე მოპოვება" და „მსწრაფლ მოგონება"[2]. „ესე ფრიად სარგებელ არს, ვინათგან სახენი ურთიერთისა შესწორებითა და ჩვენებითა სხვაობისა მათისათა, უმჯობეს შეიმეცნებიან. გარდა ამისსა მრავალჯერ შეხუდების ვისმე, რომელ ვერ მოიგონოს მსწრაფლად ერთი რომელიმე სახე მის რომელისამე ნათესავისა, რომელსა თანაცა მალე ჰპოვებს სრულიად სახეთა მისთა. მაგალ., მსწრაფლად ვერ მოვიგონე ჯვარედინის გზის სახელი, მაშინ გზა-

[1] ალ. ღლონტი, მოკლე შენიშვნები, II, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 170—177.

[2] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 16.

სა თანა ვჰპოვებ მ ე ბ ო ძ ი რ ს ა ანუ სახელი ფეხსაცმელთა ძირისა, მაშინ ძ ი რ ს ა ანუ ფ ს კ ე რ ს ა თანა ვჰპოვებ ლ ა ნ ჩ ს ა. გინა სახელი აქლემთა ჯოგისა, მაშინ ჯ ო გ ს ა თანა ვიპოვი კ ო ლ ტ ს ა და სხ. და სხ.“[1].

ნ. ჩუბინაშვილი თანმიმდევრულად იცავს და ავითარებს სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას მისი სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვის მოშველიების საბასეულ მეთოდს:

კრთომა (ვჰკრთი, ვჰკრთები) მცირედ ხლტომა, ნძრევა, განკჯრვება, შეკრთომა, შეძრწუნება, ელვარება ნათლისა[2].

სარწყული სარქვანი, წყლის სასმისი.

ტომარა საცალო.

ტუტა (ხე) ხართუთა.

ზოგჯერ ნ. ჩუბინაშვილისათვის მიუღებელია საბასეული ლექსიკური ერთეულებით გაწყობილი სინონიმური რიგი. ასეთ შემთხვევებში იგი სხვა სიტყვებით განმარტავს სალექსიკონო ერთეულს და საკუთარ სინონიმურ წყვილებს გვთავაზობს:

ს.-ს. ორბელიანი — ბ ლ ა გ ვ ი უმახვილო.

ნ. ჩუბინაშვილი — ბ ლ ა გ ვ ი ბოკო, ჩლუნგი, გაულესავი, დალაბრა.

ს.-საბა ორბ. — ჰ ი რ ი ბოროტი და ავი ედვას.

ნ. ჩუბინ. ჰ ი რ ი განსაცდელი, უბედურება, მწუხარება, სენი, სნეულება, სატკივარი, მომსრველი სენი, სნება, ჟამი.

„სიტყვის კონასგან“ განსხვავებით, ნ. ჩუბინაშვილის შრომა ზოგიერთ ახალ სალექსიკონო ერთეულს შეიცავს. მსგავსი სემანტიკური ერთეულებით მათი განმარტებისას შესაბამისი სინონიმური რიგები წარმოიქმნება:

ენამჭევრი ენამარჯვე, მშვენიერმოუბარი.

ნ. ჩუბინაშვილს უცდია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა გარეშე წარმოდგენილი საბასეული სალექსიკონო ერთეულები შესაბამის სინონიმურ რიგებში მოექცია:

ბორკილი ფერხთ შესაკრავი ჯაჭვი რკინისა, ხელბორკილი არს შესაკრავი ხელთა, ხოლო ქედისა დადიანური და სახივი.

ზოგიერთ შემთხვევაში ნ. ჩუბინაშვილი უცვლელად იმეორებს ს.-ს. ორბელიანისეულ სინონიმურ რიგებს:

ს.-ს. ორბელ. — ძ ა ღ ლ ი ს ე ნ ა უკადრისა.

ნ. ჩუბინ. — ძ ა ღ ლ ი ს ე ნ ა უკადრისა.

ს.-ს. ორბელ. — ჰ ი პ ნ ა უ რ ი აბრეშუმი.

---

[1] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 99.

[2] რამდენადაც ჩვენ მხოლოდ სინონიმური სიტყვები გვაინტერესებდა, ნ. ჩუბინაშვილისეული სალექსიკონო აბზაცებიდან გამოვტოვეთ რუსული შესატყვისობანი და ზოგიერთი შენიშვნები.

ნ. ჩუბინ. — ჰ ი ჰ ნ ა უ რ ი აბრეშუმი.

მსგავსი მაგალითები ცოტაა. უმრავლეს შემთხვევაში ნ. ჩუბინაშვილი საბას მიერ დაძებნილ სინონიმურ სიტყვებს შერჩევით იყენებს, სინჯავს მათ წერითსა თუ ზეპირმეტყველებაში აქტიური მოხმარების თვალსაზრისით. საბასეული სინონიმური წყვილებიდან მოძველებულ ლექსიკურ ერთეულებს ცვლის ახლით:

ს.-ს. ორბელ. — ე ნ ა მ ზ ე ო ბ ა ენაგანათლებულობა.

ნ. ჩუბინ. — ე ნ ა მ ზ ე ო ბ ა, ენამჟევრობა, მშვენიერმოუბნარობა.

ს.-ს. ორბელ. — ტ ი რ ი ლ ი ც ა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ ც რ ე ძ ლი (ცრემლოა) არს უჯმო ოდენ ცრემლის დენა; ვ ა ე ბ ა არს ავაჯითა და კეთილის სიტყვითა სატირალს რასმე იტყოდეს და ცრემლოოდეს; გ ო დ ე ბ ა არს ჴმაკეთილობით ზრუნ-შეწყობით სატკივართა სიტყვითა მგოსნობა, ხოლო ზ რ უ ნ ი — შებანება მი'ი; ქ ვ ი თ ი ნ ი არს მწარეს ტირილზე(დ) გულ-შეწუხებულისაგან უკაფიო(დ) მაღალი დაძახილი, რომელ არს კ ო კ ო ც ე ბ ა; ს ლ უ კ-ს ლ უ კ ი არს გულ-ამოსკვნილისაგან სულდაუღებ(ე)ლად ტირილი; წ უ წ უ ნ ი არს გულ-აუტკივარი, უცრემლო, უგვანი, უნდომი რეცა ტირილი; ბ ღ ვ რ ი ა ლ ი არს ყრმათა მიერ მაღალი, ცუდი ტირილი; ჩ უ ხ ჩ უ ხ ი არს ჩუმი და უჯმო მწუხარების ტირილი, ვითარცა ქვაბი ა(ღ)დუღებული გულითა; წ უ წ კ უ ნ ი არს მცირეს ლეკვისა ტირილი, ხოლო წ კ მ უ ი ლ ი ძაღლის ტირილად ითქმის.

ნ. ჩუბინ. — ტ ი რ ი ლ ი მწუხარება, გამოჩენილი ცრემლის დენითა. სახენი ამისნი არიან: ქ ვ ი თ ი ნ ი, ქ ვ ი თ ქ ვ ი თ ი და კ ო კ ო ც ე ბ ა, არს მოუთქმელად ტირილი; ვ ა ე ბ ა და გ ო დ ე ბ ა — მოთქმით და შებანებით ტირილი; ზ რ უ ნ ი — შებანება მოტირალთაგან; გ ლ ო ვ ა — მიცუალებულთათჳს შავის შემოსა და ტირილი ხანდაზმით; ს ლ უ კ ს ლ უ კ ი — გულისამოსკუნა, ამოსვინჩვა ძლიერის ტირილისგან, ჟამად ხმის ამოუღებლობა და ვერ მობრუნება გულისა; წ უ წ უ ნ ი — უცრემლო და უგვანი ტირილი; ბ ღ უ რ ი ა ლ ი — ღ რ ი ა ლ ი და ბ ღ ა ვ ი ლ ი — ყრმათა მაღალი და ცუდი ტირილი; წ კ მ უ ვ ი ლ ი და წ კ მ უ ტ უ ნ ი — მხეცთ, ლეკუთა და ღ მ უ ვ ი ლ ი — დიდთა მხეცთა ტირილი.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი განმარტებანი რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან:

1. ნ. ჩუბინაშვილისეული ახსნა არ შეიცავს ცრემლოვას, რომელიც საბას ძველი ქართული სამწერლო ძეგლებიდან აქვს აღებული და რომელიც იმ პერიოდის ქართულისთვის უცილობლად არქაიზმს წარმოადგენდა.

2. ჩ უ ხ ჩ უ ხ ი ნ. ჩუბინაშვილს არ მიუჩნევია „ტირილის" სინონი-

მად, სამაგიეროდ ამავე ცნების გამომხატველი სინონიმური რიგი სხვა ერთეულებით შეუვსია — ღ რ ი ა ლ ი (ყრმათა მაღალი და ცუდი ტირილი), ღ მ უ ვ ი ლ ი (დიდთა მხეცთა ტირილი).

პროფ. ა. ღლონტმა სპეციალურად გამოიკვლია ნ. ჩუბინაშვილის შრომის წყაროები: „ნ. ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონს ასახრდოებს ორი წყარო: ა) ქართული — საბას ლექსიკონის (1676—1725) სახით და ბ) რუსული — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკონის (პირველი გამოცემა: 1789—1794, მეორე გამოცემა, 1806—1822) სახით“[1]. ალბათ, ამ უკანასკნელი წყაროდან აიღო ნ. ჩუბინაშვილმა თვით ტერმინი „სინონიმი“ და მის ქართულ შესატყვისად „ერთსახელი“ მიიჩნია: „კუალად ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა სინონიმნი ანუ ერთსახელნი ლექსნი არა დაიდებოდნენ რეცა სახეებად ნათესავისა. მაგალ., ტ ი ტ ვ ე ლ ი და შ ი შ ვ ე ლ ი არიან სინონიმნი, ანუ ერთისა და მისვე მნიშვნელნი და არა თუ სახენი ნათესავისა რომლისამე და სხვაობა მათი არს მხოლოდ ესე, რომელ ტ ი ტ ვ ე ლ ი იხმარების საუბრის ენასა შინა, ხოლო შ ი შ ვ ე ლ ი — წერილთა შინა. ეგრეთვე ც ე რ ე ც ო და ა ნ ი ს უ ლ ი, ა რ ი ფ ა ნ ა და ფ ს ო ნ ი და სხ. ესრეთთა სინონიმთათჳს საკმაო არს, რათა განიმარტოს ერთი მათგანი და სხუანი გასწავლებულ იქმნენ ურთიერთისადმი ჩვენებითა სხვაობისა მათისათა“[2].

ზემომოყვანილი განმარტება წარმოადგენს ქართული ენის ლექსიკურ სინონიმთა ტიპებზე პირველ დაკვირვებას. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, ტ ი ტ ვ ე ლ ი და შ ი შ ვ ე ლ ი, ც ე რ ე ც ო და ა ნ ი ს უ ლ ი, ა რ ი ფ ა ნ ა და ფ ს ო ნ ი მნიშვნელობით სავსებით იდენტური სიტყვებია (თანამედროვე ტერმინოლოგიით აბსოლუტური სინონიმებია), მათ შორის სხვაობა მხოლოდ გამოყენების თვალსაზრისით იგრძნობა: ზემომოყვანილ წყვილთა პირველი ცალები (შიშველი, ცერეცო, არიფანა) სალიტერატურო ენის სიტყვებია, მეორენი კი (ტიტველი, ანისული, ფსონი) დიალექტური მეტყველების კუთვნილებაა.

როგორც ა. ღლონტი აღნიშნავს, ლექსიკოლოგიის სფეროში ნ. ჩუბინაშვილი საბას უბრალო მემკვიდრე კი არ არის, არამედ მეცნიერ-რედაქტორი და გამგრძელებელია.

ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხების დამუშავების თვალსაზრისით საბას შრომისადმი ეს კრიტიკული, შემოქმედებითი მიდგომა შემდეგში გამოიხატა:

1. „სიტყვის კონიდან“ განსხვავებით, ნ. ჩუბინაშვილი თავის შრომაში ზოგიერთ ახალ სალექსიკონო ერთეულს გვაწვდის, მსგავსი სემან-

---

[1] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 123.

ტიკური ერთეულებით მათი განმარტებისას, შესაბამისი სინონიმური წყვილები მიიღება;

2. ნ. ჩუბინაშვილს საბას ლექსიკონში შეუმჩნევია განმარტების გარეშე წარმოდგენილი სალექსიკონო ერთეულები, განუმარტავს და მათთვის შესაბამისი ლექსიკური სინონიმებიც დაუძებნია;

3. ავტორი ზოგჯერ არ ეთანხმება საბასეულ განმარტებას, გვაძლევს ამა თუ იმ სალექსიკონო ერთეულის საკუთარ განსაზღვრას, შესაბამისად, ნ. ჩუბინაშვილისეულ ლექსიკონში განსხვავებულად წარმოგვიდგება საბას მიერ დადგენილი ზოგიერთი სინონიმური რიგი;

4. ამა თუ იმ სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას ნ. ჩუბინაშვილი ითვალისწინებს დროის ფაქტორს, სინონიმურ წყვილთა განსასაზღვრისას იგი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, თუ რამდენად შეეფერება ესა თუ ის სიტყვა მის თანამედროვე სამწერლო თუ სასაუბრო ენის ლექსიკურ მარაგს, ცდილობს მოძველებული ლექსიკური ერთეულები ახლით შეცვალოს და ამით განაახლოს, დახვეწოს ესა თუ ის სინონიმური რიგი (რა თქმა უნდა, ავტორის ცდა ყოველთვის შედეგიანი არ არის, ნ. ჩუბინაშვილისეულ სინონიმურ წყვილთაგან ზოგი მათგანი საეჭვოა);

5. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველად ნ. ჩუბინაშვილმა შემოიღო ტერმინი „სინონიმი“, მისი მემკვიდრეობიდანვე იწყება ქართული ლექსიკური სინონიმიკის თეორიული საკითხების დამუშავება.

გარკვეულ მიზეზთა გამო ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიური მემკვიდრეობა ქართველი მკითხველისათვის კარგა ხანს უცნობი იყო. მხოლოდ პროფ. ა. ღლონტის დაუღალავი კვლევით მოეფინა ნათელი ამ დიდი სწავლულის შრომებს და ნ. ჩუბინაშვილმაც კუთვნილი ადგილი მოიპოვა ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიაში.

განსხვავებული ბედი ხვდა წილად ნ. ჩუბინაშვილის ძმისშვილის დ. ჩუბინაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობას, რომელმაც უმალ ჰპოვა აღიარება იმპერიის მასშტაბით და გარკვეული გავლენა მოახდინა ქართულ ლექსიკოლოგიურ აზროვნებაზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი[1].

თავისი დანიშნულებითა და სტრუქტურით ეს შრომა ტიპიური თარგმნითი ლექსიკონია: ქართული სიტყვები, ჩვეულებრივ, განმარტებულია რუსულსა და ფრანგულ ენებზე. მხოლოდ სალექსიკონო ერთეულად აღებულ ზმნებს ახლავთ მცირეოდენი გრამატიკული ანალიზი (ნაჩვენებია პირის ფორმათა და მიმღეობათა წარმოების რამდენიმე

[1] Давид Чубинов, Грузинско-русско-французский словарь, Санктпетербургъ, 1840.

მაგალითი), გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე შემთხვევა, სადაც სალექსიკონო ერთეულის სემანტიკური შინაარსის გახსნა-დაზუსტების ცდაა მოცემული და ამ მიზნით გამოყენებულია ასახსნელ ერთეულთან მნიშვნელობით მონათესავე სიტყვები:

უცხო-თესლი, უცხო-ტომი[1].

სულ-მოკლე, სულ-მცირე, სულ-მცირე, სულ-სწრაფი, სულ-წასული.

სულ-მოკლეობა, სულ-სწრაფობა.

ფერ-მიხდილი, ფერ-მკრთალი, ფერ-ნაკლები.

ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის თეორიული საკითხების დამუშავების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ქართულ სინონიმთა მცირე ლექსიკონი, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ზემომოყვანილ სამენოვან ლექსიკონს ახლავს. იგი 85 სინონიმურ რიგს შეიცავს. თუმცა ზოგიერთ სიტყვათა სინონიმურობაში დ. ჩუბინაშვილს ვერ დავეთანხმებით (მამალი, დედალი, კრუხი, წიწილა, ვარია, ჩიორა, წრიაპი), მაგრამ ქართული ენისთვის ასეთი ნაშრომის შექმნის ცდა იმ დროისათვის დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

„ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონის“ წინასიტყვაობა მ. ბროსეს ეკუთვნის. დ. ჩუბინაშვილისეული სინონიმების შესახებ ცნობილი ქართველოლოგი წერს: „Синонимы приведены по лексикону Сулхана, и с его объяснениями если они у него находились, своих же автор не делал“[2]. მაშასადამე, მ. ბროსე ხაზგასმით აცხადებს, რომ დ. ჩუბინაშვილმა მხოლოდ შეკრიბა და ლექსიკონის სახით წარმოადგინა ს.-ს. ორბელიანის მიერ დაძებნილი სინონიმური წყვილები. დ. ჩუბინაშვილის სინონიმურ წყვილთა „სიტყვის კონისა“ და ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ სალექსიკონო ერთეულებთან შედარება კი მდგომარეობას სხვაგვარად წარმოგვიდგენს.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჩუბინაშვილს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები დაუძებნია „სიტყვის კონაში“ სინონიმთა გარეშე წარმოდგენილი ბევრი სალექსიკონო ერთეულისათვის. დ. ჩუბინაშვილიც უცვლელად იმეორებს ამ სინონიმურ რიგებს:

ს.-ს. ორბ. — თ ო ფ ი ცეცხლის სასროლი (ხელმეხა ქართულად ჰქვიან).

ნ. ჩუბინ. — თ ო ფ ი ხელად საჭერი იარაღი ცეცხლის სასროლი, თ. თუფენგ, თოფი ჯ ა ზ ა ი რ ი არს გრძელი, უ ყ ა რ ა ბ ი ნ ა — მოკლე და ზრქელი, ხოლო მ ა ქ ა რ ი ან შ ა შ ხ ა ნ ა არს მსუბუქი და შიგნიდამ ლულა აქვს დაკუთხვილი. ს ი ა თ ა და თ უ რ-

---

[1] რამდენადაც ჩვენ მხოლოდ სინონიმიის საკითხები გვაინტერესებდა, დ. ჩუბინაშვილის შრომის სალექსიკონო ბაზაცებიდან ავიღეთ მხოლოდ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები.

[2] Давид Чубинов. Грузинско-русско-французский словарь, Санктпетербург, 1840, предисловие.

გ ა ნ ი ა რ ს უდიდესი და ზ ა მ ბ უ ლ ა კ ი სრულიად დიდი, დ ა მ ბ ა ჩ ა ანუ ფ ი შ ტ ო — სრულიად პატარა თოფი.

დ. ჩუბინ. — თ ო ფ ი, ჯაზაირი, ყარაბინა, მაჟარი, შაშხანა, სიათა, თურგანი, ზამბულაკი, დამბაჩა, ფიშტო.

ს.-ს. ორბ. — ს ხ ა ლ ი (ხე).

ნ. ჩუბინ. — მ ს ხ ა ლ ი (ხე) სხალი. ამისნი გვარნი არიან: ბ ო რ ბ ა ლ ა ან გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ა, გ უ ლ ა ბ ი, მ ა ლ ა ჩ ი ნ ი, მ ო ლ ა ხ უ რ ი, პ ა ნ ტ ა, ჰ კ უ ტ ა, ხ ე ჰ ე ჰ უ რ ი[1].

დ. ჩუბინ. — მ ს ხ ა ლ ი, ბორბალა, გვერდწითელა, გულაბი, მალაჩინი, მილახური, პანტა, ჰკუტა, ხეჰეჰური.

ს.-ს. ორბ. — ყ უ რ ძ ე ნ ი (ხე) ნ. კატის-ყურძენა, მოჰყურძნე, ძაღლი'ს-ყურძენა, ჯმელი ყურძენი (ჩამიჩთან).

ნ. ჩუბინ. — ყ უ რ ძ ე ნ ი ხილი ვაზისა მარცულეულად მსხმო მტევანსა ზედა. სახენი ამისნი: ბ უ დ ე შ უ რ ი და თ ი თ ა გრძელ მარცულედი; კ ი ჩ ე რ ი ან ქ ი შ უ რ ი მომრგუალო; ხ ა რ ი ს თ უ ა ლ ა დიდროვანმარცუალი და მრგუალი; ჩ ი ტ ი ს თ უ ა ლ ა წურილმარცუალი; ს ა ა ბ ი შავი და ტკბილი: ს ა ფ ე რ ა ვ ი ც შავი ღვინის შესაღები წითლად; ს კ ი ჯ ი, ქ ი შ მ ი შ ი და ჩ ა მ ი ჩ ი გამხმარი ყურძენი, მაგრამ ქ ი შ მ ი შ ი საკუთრად ჰქვიან უკურკოსა; კ რ ი კ ი ნ ა და რ ძ ღ უ ა მ ლ ი გარეული ანუ ველური უმუშავარია, (ქ ი შ უ რ ი, კ ი ჩ ე რ ი, მრგუალმარცვლოვანი)[2].

დ. ჩუბინ. — ყ უ რ ძ ე ნ ი, ბუდეშური, თითა, კიშერი, ქიშური, ხარისთუალა, ჩიტის-თუალა, საბი, საფერავი, სკიჯი, ჩამიჩი, ქიშმიში, კრიკინა, რძღუამლი.

ზოგჯერ სალექსიკონო ერთეულის საბასეულ და ნ. ჩუბინაშვილისეულ განმარტებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ასეთ შემთხვევებში დავითი მთლიანად ნ. ჩუბინაშვილის განსაზღვრას ემყარება და თავის შრომაში უცვლელად გადმოაქვს „ქართულ ლექსიკონში" მოცემული სინონიმური წყვილები:

ს.-ს. ორბ. — დ ა რ ა ჯ ა ესე დ ა რ ა ჯ ა განიყოფების ხუთად: გ უ შ ა გ ა დ, ე ბ გ უ რ ა დ, ტ ა ლ ა დ, ჯ უ მ ი ლ ა დ, და დ ე ტ ა დ. გ უ შ ა გ ი არს დარაჯა ციხეთა; ხოლო ე ბ გ უ რ ი მაღლით ადგილით მოდარაჯე; ტ ა ლ ა არს მგზავრთა ღამით მოდარაჯე; ჯ უ მ ი ლ ი არს მეპატრონისა კართა ღამესა რა ათევდეს, ანუ

---

[1], [2] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ თ ა ნ მსხლისა და ყურძნის განსამარტავ აბზაცებში დადასტურებული ლექსიკური ერთეულები უფრო მეტად სახეობრივ ცნებებს აღნიშნავენ, ჩვენ მაინც ვახდენთ ციტირებას, რადგანაც დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვები სინონიმებად შეუტანია თავის შრომაში და ჩვენ კი გვაინტერესებს მსთი მიმართება ს.-ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის შესაბამის სალექსიკონო ერთეულებთან.

ხვასტაგთა უდარაჯებდეს; დეტი არს, რომელი დღისით შორიდამ უმზერდეს და დარაჯობდეს.

ნ. ჩუბინ. — დარაჯა მცველი მიჩენილი დასაცველად. ამისნი სახენი: გუშაგი ციხეთ დარაჯა, ანუ მეციხოვნენი, ებგური მაღალის ადგილიდამ მოდარაჯე, მსტოვარი, აეშაგი, დაჰზვერავი მტერთა ადგილისა და ლაშქრისა (თურქთა ენით ჯაშუში), ტალა მოგზაურთა ღამის მოდარაჯე, დეტი დღისით შორიდამ მომზირალი ხუმილი ანუ მხმილავი მცველი პატრონის კართა, ანუ ხვასტაგთა თანა ღამის მთეველი, კერკეტონი ღამით მოარულნი ბოროტთა კაცთა შესაპყრობად.

დ. ჩუბინ. — დარაჯა, გუშაგი, მეციხოვნენი, ებგური, მსტოვარი, აეშაგი, ჯაშუში, დეტი, ხუმილი, მხმილავი, კერკეტონი.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ნ. ჩუბინაშვილის სინონიმური რიგი ხუთი ერთეულით განსხვავდება საბასეულისაგან (აეშაგი, კერკეტონი, მეციხოვნე, მსტოვარი, ჯაშუში). ამ განსხვავებას სიტყვა-სიტყვით იმეორებს ნ. ჩუბინაშვილი. ანალოგიურია სხვა შემთხვევებიც:

ს.-ს. ორბელ. — ზუმილი, ტევთიდი, სელქანი, მალაკნი, და მისთანანი კეტტყაოანნი არიან უსისხლო და სულიერნი, ვითარცა სადაფნი, ხამანწკა და მისთანანი მრავალრიგნი.

ნ. ჩუბინ. — ზუმილი უსისხლო ცხოველნი ზღჳსანი ნიჟარიანნი, ვითარ ზამბაკი, მალვანი, ნიჟარა, ოსტრია, პინასი, პონგინი, სადაფი, სელქანი, სიპიანი, ტევთიდი, ხამანწკა და მისთანანი.

დ. ჩუბინ. — ზუმილი, ზამბაკი, მალვანი, ნიჟარა, ოსტრია, პინასი, პონგინი, სადაფი, სელქანი, სიპიანი, ტევდითი, ხამანწკაი.

ს.-ს. ორბელ. — ლანკანი ესე არს ჴურჭელი ტაბლათა: თეფშია, ფეშხუმი, ბარქაში, ლაკანი, ლანკანაკი, ფიალი, ტაშტი და მისთანანი.

ნ. ჩუბინ. — ლანქანი, ლაკანი, ლანგარი, დიდი თეფშია. ხოლო ზოგად ლანკანი ეწოდების ჴურჭელთა, ტაბლასა ზედა საბმართა სანოვაგისათვის, ვითარ თეფში, ნალბაქი, ფეშვენი, ტმოშტი, სინი, ჯამი, ბარქაში, ფიალი, ფიალჯამი, პაროფსიდი, თასი, ჯამთასი და სხ.

დ. ჩუბინ. — ლანქანი, ლაკანი, ლანგარი, თეფში, ნალბაქი, ფეშვენი, ტმოშტი, სინი, ჯამი, ბარქაში, ფიალი, ფიალჯამი, პაროფსიდი, თასი, ჯამთასი.

ზემომოყვანილ შრომათა (დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“, ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“, ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“) შედარებისას არ გამოვ-

ლინდა არცერთი შემთხვევა დ. ჩუბინაშვილის მიერ ნ. ჩუბინაშვილისეულ წყვილთა უარყოფისა და ს.-ს. ორბელიანისეულ რიგებზე დამყარებისა. დ. ჩუბინაშვილის ოთხმოცდახუთივე სინონიმური რიგი ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ სალექსიკონო აბზაცებზეა დაფუძნებული.

ბუნებრივად იბადება კითხვა, შეაქვს თუ არა რაიმე სიახლე ან შესწორება დ. ჩუბინაშვილს თავისი წინამორბედის მიერ დაძებნილ სინონიმურ რიგებში? დავით და ნიკო ჩუბინაშვილების შრომათა შედარება ამ თვალსაზრისით მეტად მცირე განსხვავებას გვიჩვენებს:

ნ. ჩუბინ. — დ ი ლ ა ჟამი გარიჟრაჟითგან ვიდრემე მზის ამოსვლადმდე და ვიდრემე შუადღემდეცა, რამეთუ სადილი ეწოდების შუადღის სერსა (იხილენ ლექსნი ესე), ხოლო ჟამნი დილისანი შეუდგებიან ესრეთ: მცირედ დილის ნათლის გამოჩენას ეწოდება რ ი ჟ რ ა ჟ ი, გ ა რ ი ჟ რ ა ჟ ი და გ ა ც ი ს კ რ ე ბ ა, შემდგომად მისსა უმეტესსა განათლებასა — გ ა ნ თ ი ა დ ი, დ ი ლ ა ბ ი ნ დ ი და ტ რ ე დ ი ს ფ რ ა დ გ ა თ ე ნ ე ბ ა და რა დღე-ღამე გაირჩიოს, ვიდრემე მზის ამოსვლადმდე ნათელსა — ა ლ ი ო ნ ი, ხოლო დილით მზის ამოსლვს წინ ელვარებასა ღრუბელთა შორის ფერად-ფერადად — დ ა ფ ი ო ნ ა.

დ. ჩუბინ. — დ ი ლ ა, რიჟრაჟი, გარიჟრაჟი, გაცისკრება, გათენება, განთიადი, დილა-ბინდი, ტრედის ფერად გათენება, დაფიონი, ცისკარი, ალიონი, ბინდ-ბანდი.

როგორც ვხედავთ, დავითს ნ. ჩუბინაშვილისეული სინონიმური რიგი გაუვრცია სამი ლექსიკური ერთეულით (ბინდ-ბანდი, გათენება, ცისკარი). ეს შესწორება უდავოდ დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის და წინამორბედთა გავლენით ვერ აიხსნება. „სიტყვის კონაში“ ეს სალექსიკონო ერთეული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა სულ სხვა რიგით წარმოგვიდგება[1].

ასევე ორიოდე ერთეული (ბადაგი, ძმარი) გამოუკლია დავითს ნ. ჩუბინაშვილისეული შემდეგი სინონიმური რიგისთვის:

ღვინო, ტკბილი, ამბოხი, მაჭარი, ბადაგი, დგჯფი, შუბი, არმუნჯი, ჟოქო, შაბანი, კუნდიტი, ძმარი.

მაშასადამე, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ ლექსიკონის ბროსესეული წინასიტყვაობა რამდენიმე შესწორებას საჭიროებს:

1. არ არის სწორი დებულება, რომ დ. ჩუბინაშვილმა თავის სინონიმთა ლექსიკონში სულხან-საბასეული სინონიმური წყვილები წარმოადგინა.

---

[1] იხილე გაცისკრება, ს.-ს. ორბელიანის თხზულებანი, ტ. IV$_1$, თბ., 1965, გვ. 156.

2. დ. ჩუბინაშვილს თავის „სინონიმთა ლექსიკონისთვის“ ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ სალექსიკონო აბზაცებში მოცემული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები გამოუყენებია.

3. რამდენიმე შემთხვევაში დ. ჩუბინაშვილს მცირე შესწორება შეუტანია ნ. ჩუბინაშვილისეულ სინონიმურ რიგებში.

დ. ჩუბინაშვილის „სინონიმთა ლექსიკონმა“ გარკვეული გავლენა მოახდინა მომდევნო თაობების ლექსიკოლოგიურ შრომებზე.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლა ბუნებრივად ითვალისწინებდა როგორც ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხების დამუშავებას, ისე მისი ლექსიკის ცალკეული ნაწილების და მათ შორის, სინონიმური სისტემის განხილვა-გაანალიზებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკა სპეციალური კვლევის საგანს იმდროისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა, ნ. მარის[1], ა. შანიძის[2], არნ. ჩიქობავას[3] შრომებში უკვე ეხვდებით სინონიმიის ცალკეული საკითხების თანმიმდევრულ გამოვლინებას და გაშუქებას.

სინონიმთა სპეციფიკური ბუნების გახსნის, დახასიათების და სინონიმური წყაროების განსაზღვრის თვალსაზრისით, ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში მთელ პერიოდს ქმნის შ. ძიძიგურის შრომები[4].

ზემოაღნიშნული გამოკვლევები ქართული ლექსიკის სხვადასხვა საკითხებს მოიცავს და ლექსიკოლოგთათვის მრავალმხრივ არის საყურადღებო, სინონიმთა შესახებ კი მათში გამოთქმული მოსაზრებანი შეიძლება შემდეგ დებულებათა სახით ჩამოვაყალიბოთ:

1. სინონიმი ბერძნული სიტყვაა და ეწოდება ისეთ ორ ან მეტ[1] სიტყვას, რომელნიც სხვადასხვანი არიან, მაგრამ ერთგვარი ან მსგავსი მნიშვნელობა გააჩნიათ.

2. დიალექტური სიტყვა იმავე სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ ერთეულთან ან რომელიმე სხვა კილოდან მომდინარე სიტყვასთან ქმნის სინონიმურ წყვილს: „სინონიმთა წარმოქმნის ერთერთი შემთხვევაა სხვადასხვა დიალექტური წრის მასალის თავმოყრა ერთ ენობრივ მოედანზე. ეს ენობრივი მოედანი შეიძლება იყოს ერთი რომელიმე დიალექტური რაიონი ანდა სალიტერატურო ენა“.

---

[1] ნ. მარი. ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს შ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ, თბ., 1965.

[2] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით, თბ., 1946.

[3] არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბ., 1935.

[4] შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, ტ. II, № 7, თბ., 1941; მისივე, სიტყვის სესხება. „მნათობი“, № 3, თბ., 1947.

3. ენათა განვითარებით გამოწვეული კანონზომიერი თანამშრომლობა და ლექსიკური ურთიერთზემოქმედება ბუნებრივად იწვევს სინონიმურ რიგთა შევსება-გაუხვებას ნასესხები ერთეულებით: „ყოველი ენის ხვედრია ლექსიკური უკმარისობა, ყოველი ენა საჭიროებს უცხოური ლექსიკური მასალის გამოყენებას... ზოგჯერ კი სიტყვის სესხება არ განისაზღვრება მარტოოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად. შესაძლოა საგანი ან ცნება ნაცნობი იყოს, სათანადო სიტყვიერი გამოსახულება არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სახელწოდებას".

4. სესხების პირველ საფეხურზე ნასესხებ ერთეულს ხშირად განმმარტველად ახლავს ადეკვატური მნიშვნელობის დამხვდური სიტყვა: „როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ადგილობრივ ხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, ეკვივალენტი, ერთხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად. ენაში ამ ბუნებრივად გამომუშავებული ფორმულის მიზანია გაავრცელოს ეს უცხო ტერმინი, ერთგვარად განმმარტებლის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, „შემოიყვანოს იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში".

„სინონიმური წყვილები ნორმაა ენისა და არა მწერლის ინდივიდუალური კაპრიზის შედეგი, ისინი ფორმულებია, რომლებიც ბუნებრივად მუშავდებიან ენაში და სრულიად გარკვეულ საფუძველზე არიან აღმოცენებული".

5. სინონიმურ წყვილთა წარმოქმნის განსაკუთრებულ შემთხვევებს მშობლიურ ენაზე ტერმინოლოგიის დამუშავების აუცილებლობაც განაპირობებს: საკუთარ ლექსიკურ ნიადაგზე აღმოცენებული პარალელური რიგების კერძოობითი შემთხვევაა ისეთი სინონიმური რიგები, რომელნიც მოტივირებულია სალიტერატურო ტერმინოლოგიის (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) აუცილებლობით: ენაში არსებული რომელიმე სიტყვის ტერმინად დადგენისათვის საჭირო ხდება მისი განმარტება სინონიმური მასალით: ვღებულობთ ერთი ცნების აღმნიშვნელ ორ სიტყვას, რომელთაგანაც ერთ-ერთი ერთგვარი ლიტერატურული სანქციონირებითაა უფლებამოსილი „...ბერძნულ დედანში შესატყვის ადგილებში ერთი სიტყვაა, რომელსაც პეტრიწი ორი ქართული სიტყვით გადმოსცემს ჯელოვნებაჲ და ზედმიწევნაჲ... ქმნადი და აღგებადი".

6. სიტყვათა სესხების გარკვეულ პერიოდში ნასესხები სიტყვა და დამხვდური ერთეული შესაძლოა სავსებით იდენტურ ცნებებს გადმოსცემდნენ, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში სინონიმთა შორის მყარდება სემანტიკურ-ნიუანსობრივი განსხვავებანი.

ამ დებულებებით, რომელნიც დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნე-

ლობისაა, შეჯამდა კვლევის ამ სფეროში მოპოვებული შედეგები და დღის წესრიგში დაისვა, დამუშავებულიყო ქართული ლექსიკური სინონიმიკის პრაქტიკული საკითხები. ამ ამოცანის განხორციელებას წარმოადგენდა 1951 წელს გამოცემული „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“[1].

სინონიმია არის გარკვეული სემანტიკური დამოკიდებულება ენის რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს შორის, სინონიმური ლექსიკონი კი ამ დამოკიდებულების მონაწილე ერთეულთა ფიქსაციას ახდენს. მაშასადამე, ლექსიკონის მიზანდასახულობას, მისი აგების პრინციპებს განსაზღვრავს ის გარემოება, თუ როგორ ესმის ავტორს სინონიმიის ცნება. „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სინონიმთა მთავარ მომენტად მიჩნეულია ან მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერი, ან ემოციური ელფერი... სინონიმები შეიძლება შევადაროთ ფერადებს, რომლებითაც სარგებლობს ფერწერაში ხელოვანი თავისი ნაწარმოებისათვის სრულქმნილების მისაცემად“[2].

„სინონიმებს, ჩვენი აზრით, აქვთ ერთგვარი პარალელი და ანალოგია ობერტონებთან (მათი რუსული შესატყვისია — призвуки — მანაბგერები), მოგვაგონებენ დამატებით ტონებს, რომლებიც თან ახლავს ძირითად ტონს და აძლევენ მას განსაკუთრებულ ელფერს, ანუ ე. წ. ტემბრს“[3].

ზემომოყვანილი განსაზღვრებანი არასრულ წარმოდგენას იძლევა სიტყვათა სინონიმური დამოკიდებულების შესახებ, მათში ზუსტად არ არის გათვალისწინებული ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ-სტრუქტურული შედგენილობა, აქ მხოლოდ მინიშნებაა სინონიმთა შორის მნიშვნელობრივ-ნიუანსობრივ სხვაობაზე, სემანტიკური თვალსაზრისით ბუნდოვანია „სიტყვათა ემოციური ელფერის“ ცნება და გაურკვეველია მისი მიმართება ლექსიკური ერთეულის ძირითად მნიშვნელობასთან.

სინონიმიის ამგვარმა გაგებამ თავისთავად განსაზღვრა სალექსიკონო მასალის თავისებური სტრუქტურული შედგენილობა. სინონიმურ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ სულ სხვადასხვა ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები:

არჩვი, ფსიტი, ჯეირანი, ჯიხვი, (მამალი ჯიხვი) ხარჯიხვი, (დედალი ჯიხვი) შუნი, ნიამორი, ჭურციკი, გარეული თხა, შვილი.

ზღარბი, ძღარბი, ბუძგი, ანკარა, გველხოკერა, (ზღვისა) ექინი.

ხშირ შემთხვევაში სინონიმადაა მიჩნეული ლექსიკურ ერთეულთა შორის არსებული გვარეობრივი და სახეობრივი დამოკიდებულებანი:

---

[1] ალ. ნ ე ი მ ა ნ ი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951.
[2] იქვე, გვ. XX.
[3] იქვე, გვ. XXII.

საქონელი, პირუტყვი, ოთხფეხი, ცხოველი, შინაური საქონელი, მსხვილფეხა საქონელი (ძროხა, ხარი, კამეჩი), წვრილფეხა საქონელი (ცხვარი, თხა), ხვასტაგი (არასამუშაო საქონელი), მოცადი (შესაბმელი საქონელი), მუშა-საქონელი (რქებდახრილი მსხვილფეხა საქონელი), ლაბა, ბელეშა, (ზიარად გაცემული საქონელი), ძროხა, ღურკამეჩი, (რომელმაც იმატა. აგრეთვე ზრდადამთავრებული საქონელი), თავნი (შუბლზე პატარა თეთრი ნიშნის მქონე მსხვილფეხა საქონელი) ნიკორა (შუბლზე დიდი თეთრი ნიშნის მქონე მსხვილფეხა საქონელი), ნიშა.

ხორბალი, ზანდური, გვაცაზანდური, ჩანთაზანდური, მახა, ჩალთმახა, ხულუგი, ხოზო, ხოტორა, დოლი, თეთრი დოლი, პროშოლა, შაუფხა, დოლის პური, იფქლი (შემოდგომაზე ნათესი), ახალთესლი, დიკა (დიკა — ფქვილი), წითელი დიკა (მაგარი ხორბალი) თავთუხი, პური.

შრომაში თავმოყრილი მასალის ანალიზით არ ხერხდება ლექსიკონის შედგენის ერთიანი პრინციპის გამოყოფა. ბევრი „ბუდე", როგორც მათ ავტორი უწოდებს ან განმარტებითი სახისაა, ან სინონიმური რიგის, განმარტებითი სალექსიკონო აბზაცის და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს:

დარაზმვა, ძალთა გაერთიანება, შემჭიდროება, მჭიდროდ გაერთიანება, მოწყობა, ჩამოყალიბება, ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალვა.

ხელის შეწყობა, დახმარება, მოხმარება, სამსახურის გაწევა (სამსახური გაუწია), შველა, მიშველება, შეშველება, შეწევნა, შემწეობა, ხელს ახმარებს, ცალი ხელი მისკენ აქვს. მოწყალების კალთის გადაფარება, ხელის დადება, ხელის ამართვა, ხელის აღპყრობა, ხელის გამართვა, მხარში ამოდგომა, მხარის მიცემა, გატანა (როგორმე გამიტანე), ზურგის მიცემა, მეოხება, ზურგის გამაგრება, შესაწირავი (ფულადი დახმარება ჭირისუფლებს აღმოსავლეთ საქართველოში), გადასახურავი (იგივე დახმარება დასავლეთ საქართველოში), ოჩხარი, გაჭირვებიდან გამოყვანა, გაჭირვებიდან დახსნა, გზად და ხიდად დადება (გზად და ხიდად დაეედებით), მხარი მხარს მივცეთ, გვერდში ამოდგომა. გადატ. მანანა.

შრომაში ქართულ სინონიმთა დაჯგუფების თავისებური სქემაა მოცემული:

„სინონიმები კატეგორიების მიხედვით დიფერენცირებულია შემდეგნაირად:

1) აბსოლუტური სინონიმები და 2) რელატიური სინონიმები.

აბსოლუტური სინონიმები თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად, ესაა: ა) საკუთრივ აბსოლუტური, ბ) კალკირებული, ანუ კალკა-სიტყვები და გ) დიალექტური.

რელატიური სინონიმებიც სამ ჯგუფად იყოფა: ა) აზრობრივი სხვაობის, ბ) სტილისტიკური სხვაობისა და გ) ფრაზეოლოგიის სხვაობის მქონე სინონიმებად. თავის მხრივ, აზრობრივი სხვაობის მქონე ჯგუფი იყოფა ორ ჯგუფად: ა) თანაბარღირებულებიან რელატურ სინონიმებად და ბ) არათანაბარღირებულებიანად"[1].

სინონიმთა მთავარ ჯგუფებად (აბსოლუტურ და რელატურ სინონიმებად) დაყოფის პრინციპი ნათელია. აქ ავტორს კრიტერიუმად სინონიმების სემანტიკურ მოცულობათა შედარება აქვს აღებული.

სიტყვათა მნიშვნელობრივი შედარება უდევს საფუძვლად რელატურ სინონიმთა ქვეჯგუფებად დაყოფასაც, თუმცა გაურკვეველი რჩება შემდეგი საკითხები:

1. სემანტიკურ მოცულობათა როგორი ტოლობა ან ნიუანსობრივი სხვაობაა საკმარისი იმისათვის, რომ სიტყვები ვცნოთ აბსოლუტურ ან რელატურ სინონიმებად.

2. რა განსხვავებაა თანაბარღირებულიან და არათანაბარღირებულიან სინონიმებს შორის. თანაბარღირებულიანის მაგალითად დასახელებულია ხუნდები და სახივი. ორივე ბორკილია, იმ განსხვავებით, რომ ხუნდები ფეხბორკილია, სახივს კი კისერზე ადებდნენო. მეორის მაგალითად მოყვანილია სიმღერა-გალობა და მითითებულია, რომ გალობა-სიმღერა+დამატებითი მომენტი.

აბსოლუტურ სინონიმთა კლასიფიცირება უკვე სულ სხვა პრინციპით ხდება. გაურკვევლობას ქმნის ცნება „საკუთრივ აბსოლუტური სინონიმებისა", „კალკირებული სინონიმები" და „დიალექტური სინონიმები" კი თვითონ მიგვანიშნებენ, რომ ამ კლასიფიკაციას საფუძვლად სინონიმთა წარმოშობა უდევს. სინონიმთა წარმოშობის ძირითად წყაროებად მიჩნეულია: ევფემიზმი, სიტყვის ტაბუ და სესხება[2].

ალ. ნეიმანის შრომა ქართულ სინონიმთა პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ლექსიკონს წარმოადგენს. ზემოაღნიშნული ნაკლის მიუხედავად, იგი უმდიდრეს სინონიმურ მასალას შეიცავს, რომელიც თვით ავტორის მიერაა მოპოვებული, ყოველი სინონიმური რიგი მის მიერაა დადგენილი.

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონი" უკვე სამი ათეული წელია ერთადერთი სახელმძღვანელოა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ქართულ სინონიმთა ბუნების გასაცნობად, ერთადერთი წყაროა შემოქმედთათვის, ენათმეცნიერთათვის ყოველ საჭირო შემთხვევაში სინონიმური მასალის მოსაპოვებლად. მაშასადამე, როგორც ავტორი შრომის წინასიტყვაობაში მოკრძალებულად შენიშნავს, მან ყველაფერი

---

[1] ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. XXXV.
[2] დასახ. ნაშრომი, გვ. L, XLIII, XLV.

გააკეთა იმისათვის, რომ „შემდგომად მისა, მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაადვილებოდა"[1].

თავი II. სინონიმთა განსაზღვრის მეთოდები

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურ სინონიმთა შესწავლის ისტორია უკვე ორ საუკუნეზე მეტს მოიცავს, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიის თეორიასა და პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი სინონიმიის პრობლემა და არ არის შემუშავებული ლექსიკურ სინონიმთა განსაზღვრის ერთიანი მეთოდი. სინონიმური თეორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ძირითადად იმით, თუ ლექსიკური ერთეულების რა ნიშანთა შედარებაა აღებული კრიტერიუმად სინონიმიის დადგენისას.

სინონიმთა განსაზღვრის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია სიტყვათა მნიშვნელობების შედარება: სინონიმები სიტყვებია, რომელთაც მსგავსი მნიშვნელობანი გააჩნიათ, — ვკითხულობთ გასული საუკუნის მეცნიერთა პ. კალაიდოვიჩის, ი. დავიდოვის, ა. გალიჩის, ა. გორნფელდის და სხვათა შრომებში. ასეთსავე განმარტებას ვხვდებით გ. ვინოკურის[2], ა. გრიგორიევას[3] და სხვათა საენათმეცნიერო სტატიებში. მნიშვნელობათა შედარება უდევს საფუძვლად სინონიმთა ტრადიციულ განსაზღვრას ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც (არნ. ჩიქობავა, ალ. ნეიმანი, ალ. ღლონტი).

თუ სიტყვის მნიშვნელობის დადგენის ისტორიასა და მნიშვნელობის გაგების სხვადასხვა ვარიანტების არსებობას გავითვალისწინებთ, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ ამგვარი განსაზღვრებანი შინაარსიან ორეულნობიან განტოლებებს წარმოადგენენ. ამ გარემოებაზე სამართლიანად მიუთითებდა ბ. ეოჩხუა: „მნიშვნელობა", როგორც ცნობილია, სულ სხვადასხვაგვარად ესმით: მნიშვნელობა ზოგისათვის საგნობრივი მიმართებაა, ზოგისათვის — ცნება, ზოგისათვის კიდევ სიტყვის მნიშვნელობაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცნებითს შინაარსთან, არამედ აგრეთვე „თანაარსებთან"[4].

შედარებით უფრო კონკრეტულია ის სინონიმური განსაზღვრანი, რომელთაც საფუძვლად სიტყვათა სხვა ასპექტით და თვალსაზრისით შედარება უდევთ.

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. VII.

[2] Г. О. Винокур, Проблема культуры речи, Русский язык в советской школе, № 5, М., 1929, с. 35.

[3] А. Д. Григорьева, Заметки о лексической синонимии, Вопросы культуры речи, II, М., 1959, с. 7.

[4] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, გვ. 31, თბ.

სინონიმები სიტყვებია, რომლებიც სინამდვილის ერთსა და იმავე ფაქტს აღნიშნავენ (ა. გვოზდევი, ი. არნოლდი, ა. რეფორმატსკი, ნ. შანსკი და ა. შ.).

დენოტატური მეთოდის მომხრენი სინონიმიის დადგენის ძირითად კრიტერიუმად საგნობრივ მიმართებათა შედარებას მიიჩნევენ. ა. რეფორმატსკი ხაზგასმით აცხადებს, რომ სიტყვებს შორის სინონიმურ ურთიერთობათა გარკვევისას სემანტიკური მომენტი არ არის გადამწყვეტი და რომ ეს დამოკიდებულებანი აუცილებლად ლექსიკურ ერთეულთა ნომინატიურ ფუნქციებზე დაყრდნობით უნდა აიხსნას. ამ აზრს იგი ვ. ჰუმბოლდტის სიტყვებით ასაბუთებს: „სიტყვა თვით საგნის წარმომადგენელი კი არ არის, ...არამედ ეს არის ჩვენი საკუთარი შეხედულების გამოხატვა მის შესახებ... და სწორედ ეს არის მთავარი წყარო ერთი და იმავე საგნის გამოხატულების სხვადასხვაობისა. თუ მაგალითად სანსკრიტში სპილო იწოდება ან ორჯერ მსმელად, ან ორეშვიანად, ან ხელიანად, ეს ნიშნავს, რომ თითოეული ამ სახელწოდებათაგან თავისთავში შეიცავს ცნებას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი აღნიშნავს ერთსა და იმავე საგანს“[1].

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოვეჩვენოს, ამ ამონაწერში განვითარებული თვალსაზრისი აშკარად ეწინააღმდეგება ა. რეფორმატსკის შეხედულებებს. ვ. ჰუმბოლდტი გარკვევით აცხადებს, რომ სიტყვები საგანთა შესახებ ადამიანის ცნობიერებაში შემუშავებულ ცნებებს გადმოსცემენ და ამ მოსაზრებას სანსკრიტის მონაცემებით ასაბუთებს. ვ. ჰუმბოლდტის დებულების დემონსტრაცია ქართულ სინონიმურ რიგზეც შეგვიძლია მოვახდინოთ: ევფემიზმები — მცურავი, ურწმუნო, უსახელო, წყეული, სინამდვილეში არსებულ ერთსა და იმავე საგანს მიემართება, მაგრამ თითოეული მათგანი ქართველი კაცის ცნობიერებაში ამ ქვეწარმავლის გარკვეული ნიშან-თვისების საფუძველზე წარმოქმნილ ცნებას გადმოსცემს.

საგნობრივ მიმართებათა საფუძველზე შეუძლებელი ხდება სინონიმთა შორის არსებულ სემანტიკურ-ნიუანსობრივ სხვაობათა ახსნა. თუ სინონიმები ერთი და იმავე საგნის აღმნიშვნელი სიტყვებია, სემანტიკურად ისინი აბსოლუტურად იდენტურნი უნდა იყვნენ. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭირო გახდა სინონიმური განსაზღვრისათვის გარკვეული პუნქტის დამატება:

„მართალია, სინონიმები ერთსა და იმავეს გამოხატავენ, მაგრამ ჩვეულებრივ, სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ ამ ერთსა და იმავეს, — ან გამოყოფენ დასახელებული საგნის სხვადასხვა მხარეს, ან ახასიათებენ

[1] А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1955, с. 62.

ამ საგანს სხვადასხვა თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, სინონიმები, აღნიშნაენ რა ერთსა და იმავეს, სემანტიკურ თუ ემოციონალურ-სტილისტიკურ თავისებურებათა შეფარდების თვალსაზრისით, როგორც წესი, არ გვეელინებიან ერთმანეთის მიმართ აბსოლუტურად იდენტურ სიტყვებად"[1].

ამ დამატება-კორექტივით თითქოს აიხსნა სინონიმთა შორის არსებული მნიშვნელობრივ-ნიუანსობრივი სხვაობის საფუძველი, მაგრამ შინაარსობლივად ეს პუნქტი მკვეთრად დაუპირისპირდა ზემოგანხილული ინტერპრეტაციის ძირითად ნაწილს:

„თუ სხვადასხვა სიტყვით გამოყოფილია ობიექტის სხვადასხვა მხარე, ეს ნიშნავს რომ ისინი მიემართებიან და აღნიშნავენ სხვადასხვა საგნებს, სხვადასხვა საგნებისადმი მიმართება კი ნიშნავს, რომ ეს სიტყვები მნიშვნელობით განსხვავდებიან და, ბუნებრივია, სინონიმებადაც ვერ მიიჩნევიან"[2].

მაშასადამე, ზემოგანხილული მეთოდით სინონიმურ ურთიერთობათა გარკვევისას აუხსნელი და მეცნიერულად დაუსაბუთებელი რჩება ლექსიკურ ერთეულთა როგორც მნიშვნელობრივი მსგავსება, ასევე მათ შორის არსებული სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობა. ეს გარემოება კი მიუთითებს, რომ სინონიმური საკითხების კვლევისას ამოსავალს არ შეიძლება ლექსიკური ერთეულების მხოლოდ საგნობრივი მიმართებანი წარმოადგენდეს.

§ 2. სუბსტიტუციის მეთოდი

სინონიმიის ცნება გაფართოვდება, თუ სიტყვათა შედარებისას ლექსიკურ ერთეულთა ყველა სხვა ნიშანს უგულებელვყოფთ და მხოლოდ მათი ურთერთშენაცვლების უნარს დავემყარებით. სინონიმები სიტყვებია, რომელნიც კონტექსტებში ერთმანეთს ენაცვლებიან (ა. რეფორმატსკი, ვ. ვალეინისი, ვ. კლიუევა და სხვ.). ასეთი ფართო გაგებით სინონიმიის ცნება სცილდება ლექსიკოლოგიის ფარგლებს და ენათმეცნიერების სხვა დარგებს მოიცავს.

წერისა თუ საუბრის პროცესში საგანი მრავალგვარი ასპექტით შეიძლება დახასიათდეს. კონტექსტის შინაარსი თვით განაპირობებს მის სხვადასხვა მეტყველების ნაწილით ან შესიტყვებით აღნიშვნის საჭიროებას; მაგრამ შენაცვლების ყველა ეს შემთხვევა ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტად ვერ იქცევა, მაგალითად: მე-12 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი უმღერის კეთილშობილურ ადამიანურ გრძნობებს.

[1] Н. М. Шанский, Лексикология современного русского языка, М., 1972, стр. 53.

[2] Арн. С. Чикобава, Реальность синонимов и возможность синонимических словарей, Лексическая синонимия, М., 1967, стр. 79.

შემოქმედი (სინონ. შენაცვლება) გვაძლევს ჰეშმარიტი, ამაღლებული მიჯნურობის წარმტაც სურათებს. მწერალი (სინონ. შენაცვლება) ავითარებს მოსაზრებას ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ. იგი (ნაცვალსახელი სახელის მაგივრად) გვიხატავს პატრიოტ ქალთა სახეებს, უკვდავი პოემის ავტორმა (შენაცვლება სიტყვათშეერთებით) დაამეგობრა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. გენიალურმა მოაზროვნემ ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეებით წინ გაუსწრო თავის ეპოქას.

ზემომოყვანილ კონტექსტში მნიშვნელობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვებია პოეტი, მწერალი, შემოქმედი. ამ თვალსაზრისით მათ ურთიერთშენაცვლებას სემანტიკური საფუძველი აქვს. სუბსტიტუციის დანარჩენ შემთხვევებს კი კონტექსტი განსაზღვრავს. შენაცვლებაში მონაწილე სხვა ერთეულები გადმოსაცემი შინაარსით არიან დაახლოებულნი და მათი სინონიმურობაც კონკრეტულ-სიტუაციური ხასიათისაა. ა. რეფორმატსკი ასეთ ერთეულებს „თემატურ სინონიმებს“ უწოდებს და განასხვავებს „ნამდვილი სინონიმებისაგან“[1].

ვ. კლიუევა მსგავსი შემთხვევების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „კონტექსტუალური სინონიმები“[2], ა. ბუდაგოვი მიიჩნევს, რომ ლიტერატურულ კონტექსტში სიტყვათა სემანტიკურ დაახლოებასა და ურთიერთმონაცვლეობას ძირითადად მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი და შემოქმედებითი სტილი განსაზღვრავს. მისი დაკვირვებით, მაგალითად, ლექსიკური მასალისადმი მხატვრულ-შემოქმედებითი მიდგომით სემანტიკური მსგავსება და სუბსტიტუციის უნარი აღმოაჩნდებათ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს და სიტყვათშეერთებებს: бездна-мгла-глубина-темный грот-влажная пропасть და ა. შ.[3]. ასეთ ერთეულებს ავტორი სტილისტიკურ სინონიმებს უწოდებს.

ა. ევგენიევას მოსაზრებით, ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს აღნიშვნის ვარიაციასთან და ზემომოყვანილ ტერმინთა ქვეშ (თემატური სინონიმები, კონტექსტუალური სინონიმები, სტილისტიკური სინონიმები) უნდა ვიგულისხმოთ არა სინონიმია, არამედ ვარიაციის შესაძლებლობანი[4].

ი. სტეპანოვის განმარტებითაც ვარიაცია ფართო ცნებაა და იგი სინონიმური შენაცვლების შემთხვევებსაც მოიცავს. ამ აზრის ნათელსაყოფად მას მოჰყავს სათანადო მაგალითი ხალხური შემოქმედებიდან:

---

[1] А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1955, стр. 65.
[2] Клюева В. Н., Краткий словарь синонимов русского языка, М., 1961, стр. 5.
[3] Будагов Р. А., Введение в науку о языке, М., 1965, стр. 53.
[4] Евгеньева А. П., Основные вопросы лексической синонимии, Очерки по синонимике современного русского литературного языка, М.-Л., 1966, стр. 12.

Ерему в шею, а Фому в толчки!
Ерема ушел, а Фома убежал,
Ерема в овин, а Фома под овин,
Ерему сыскали, а Фому нашли,
Ерему били, а Фоме не спустили,
Ерема ушел в березняк, а Фома в дубняк.

Различие названий может переходить в называние явно различных вещей, но сопоставленные различные слова оказываются синонимами — Березняк и Дубняк в предыдущей песне. Или Ленты — кружева и Сарафан в следующей:

Ах ленты — кружева, да ленты — кружева,
Сарафан из миткаля»[1].

ერთი შეხედვით ზემომოყვანილ ნიმუშებში სინონიმები თითქოს არ დასტურდება, მაგრამ ი. სტეპანოვი გვარწმუნებს, რომ თუ კარგად დავაკვირდებით, შეიძლება არუნარი და მუხნარი, მაქმანი და სარაფანი სინონიმებად მივიჩნიოთ. ავტორის მიზანი გასაგებია, მას სურს დაგვაჯეროს, რომ თუმცა არუნარი-მუხნარი, მაქმანი-სარაფანი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, მაგრამ ზემომოყვანილ შემთხვევებში ისინი ერთი საგნობრივი მიმართებისანი არიან და, მაშასადამე, ვარიაციას უკვე სინონიმური ნიშან-თვისებანი გააჩნია. აქ ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ის გარემოება, რომ სინონიმია ერთი კონკრეტული შემთხვევით და ერთი კონტექსტით არ დგინდება. „— დედაშენი არის ღმერთი... პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, — მსჯელობს ნ. დუმბაძის ერთ-ერთი პერსონაჟი, მაგრამ დედას და ღმერთს ამის გამო სინონიმურ წყვილად ვერ მივიჩნევთ. ვერც ნაცემი ერემასა და ფომას მოჩვენებები შეიტანენ რუსული ენის ლექსიკურ სინონიმიკაში ცვლილებებს. ფ. დე სოსიური ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ინდივიდუალური და ენობრივი სისტემით შეუპირობებელი მოვლენები არ წარმოადგენენ ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტს: „რამდენადაც ჩვენ ვიკვლევთ ენას, ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ მეტყველების ინდივიდუალურ გამოვლენებს, ისინი ჩვენი დაკვირვების ობიექტად იქცევიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ ენობრივი კოლექტივი მიიღებს, ე. ი. როცა მოხდება მათი ინტეგრაცია ენობრივ სისტემაში"[2].

ჩვენ ვიზიარებთ ა. ევგენიევას მოსაზრებას, რომ ვარიაცია არის კატეგორია, რომელსაც განაპირობებს კონკრეტული პირობები, სინონიმია კი მყარი ენობრივი ერთიანობა[3]. ვარიაცია შესაძლებლობაა, სინონიმია კი ენობრივი სისტემიდან გამომდინარე კანონზომიერება. ამი-

[1] Степанов Ю. С., Основы общего языкознания, М., 1975, стр. 33.
[2] Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М.. 1933, стр. 102.
[3] Евгеньева А. П., Проект словаря синонимов, М., 1964, стр. 8.

ტომაც კონტექსტურ სინონიმიაში უნდა ვიგულისხმოთ არა სტაბილური ლექსიკური ერთიანობანი, არამედ სტილისტიკური ოდენობანი, რომლებიც ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტს არ წარმოადგენენ.

ლექსიკურ ერთეულთა სუბსტიტუციის უნარი სინონიმიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. მით უფრო იზრდება ამ ნიშნით სინონიმურ ურთიერთობათა კვლევის ეფექტიანობა, რაც უფრო ვშორდებით თანამედროვეობას და ენის განვითარების შორეულ პერიოდებში გადავდივართ. წინამდებარე შრომაშიც ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხების გარკვევისას მსგავსი შინაარსის კონტექსტებში სიტყვათა ურთიერთშენაცვლების უნარი ლექსიკურ ერთეულთა შორის სინონიმურ დამოკიდებულებათა არსებობის ერთ-ერთ ძირითად ნივთმტკიცებადაა გამოყენებული.

§ 8. დისტრიბუციის მეთოდი

სიტყვის მნიშვნელობის დადგენის ისტორიის გათვალისწინება გვაფარაუდებინებს, რომ სემასიოლოგიაში მოპოვებული წარმატებები გარკვეულ სიცხადეს შეიტანდნენ ლექსიკური სინონიმიის კვლევის სფეროში, მაგრამ საკითხის შესწავლა მდგომარეობას სხვაგვარად წარმოგვიდგენს: მნიშვნელობის არსის სხვადასხვაგვარმა გაგებამ საფუძველი შეუქმნა სინონიმთა განსაზღვრის ნაირგვარი მეთოდების წარმოშობას. მაგალითად, ენათმეცნიერები, რომლებიც მნიშვნელობაში სემანტიკურ ოდენობათა სტრუქტურას გულისხმობენ, სინონიმიის დადგენის ერთადერთ კრიტერიუმად ლექსიკურ ერთეულთა დისტრიბუციული მოდელების შედარებას აღიარებენ:

„სინონიმია იმ ტრადიციული გაგებით, როგორც აქამდე იყო მიჩნეული, არ არსებობს. იგი ენათმეცნიერებაში რუდიმენტალურად არსებული ფიქციაა. არსებობენ მხოლოდ სინქრონიულ სიბრტყეზე განლაგებული და საგნობრივად შეუპირობებელი სიტყვათა შეერთებანი, რომლებიც მნიშვნელობრივად უტოლდებიან გარკვეულ სიტყვებს და ეს უკანასკნელნი გვევლინებიან ამ სიტყვათშეერთებათა მინიმალურ-დისტრიბუციული მოდელების შემადგენელ ნაწილებად"[1].

ენობრივი თვალსაზრისით დისტრიბუცია წარმოადგენს მოცემული ელემენტის პოზიციების ჯამის მიმართებას სხვა ელემენტებთან. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ სიტყვათა დისტრიბუციული მოდელების შედარება გულისხმობს მათი ყველა პოზიციის გათვალისწინებას. ფაქტიურად ეს ნიშნავს ყველა იმ სიტყვათშეერთების ანალიზს, სადაც ეს ლექსიკური ერთეულები მონაწილეობენ. მაგალითად,

[1] Звегинцев В. А., Замечания о лексической синонимии, Вопросы теории и истории языка, Л., 1963, стр. 137.

ლამაზისა და მშვენიერის სინონიმურობის დასადგენად საჭიროა ყველა იმ შესიტყვების წარმოდგენა, რომლებშიც ეს ერთეულები შედიან:

ლამაზი — ასული, ბავშვი, გოგონა, კაცი, ქალი..., ავეჯი, ბაღი, ოთახი..., ბარი, ზღვა, მდინარე, მთა..., დაწყება, დამთავრება, შეჩერება..., თამაში, მოგება, პარტია, სვლა, წაგება..., არის, იქნება, მეგონა...

მშვენიერი — ასული, ბავშვი, გოგონა, კაცი, ქალი..., ავეჯი, ბაღი, ოთახი..., ბარი, ზღვა, მდინარე, მთა..., დაწყება, დამთავრება, შეჩერება..., თამაში, მოგება, პარტია, სვლა, წაგება..., არის, იქნება, მეგონა...

ზემომოყვანილი მეთოდის სრულყოფილი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც ლექსიკურ ერთეულთა დიდი ნაწილის დისტრიბუცია თითქმის ამოუწურავია. ამიტომ საჭირო გახდა მასში გარკვეული კორექტივის შეტანა. მისი ფორმულირება ი. აპრესიანმა ასე ჩამოაყალიბა: „სინონიმებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ერთი საერთო დისტრიბუცია მაინც“[1]. ამ კორექტივმა ცხადია გააადვილა სინონიმურ დამოკიდებულებათა კვლევა, მაგრამ ვერ მოხსნა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ მეთოდით სარგებლობისას იჩენენ თავს, კერძოდ:

1. დისტრიბუცია გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სიტყვის მნიშვნელობა ან სინონიმია. ა. ევგენიევა სამართლიანად მიუთითებს, რომ დისტრიბუცია მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებას გვარეობრივსა და სახეობრივ ცნებებს შორის[2]. მართლაც სინონიმებად ვერ მივიჩნევთ მერცხალს და ქორს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საერთო დისტრიბუცია (მერცხალი ფრინველია, ქორი ფრინველია, მერცხალი მიფრინავს, ქორი მიფრინავს).

2. დისტრიბუციული მეთოდით სინონიმიის კვლევა სცილდება სემასიოლოგიის ფარგლებს და სიტყვათა შორის მორფოლოგიურ და სინტაქსურ დამოკიდებულებათა სფეროში გადადის.

ჩვენ ვიზიარებთ რ. ვეიდემანეს შეხედულებას, რომ ჯერჯერობით, სტრუქტურალისტური ენათმეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე, ყველა ლინგვისტური შრომა, რომელიც სინონიმებად მიიჩნევს საერთო დისტრიბუციის მქონე სიტყვებს, ექსპერიმენტული ხასიათისაა და ეყრდნობა ენაში ბუნებრივად შემუშავებულ სინონი-

---

[1] Апресян Ю. Д., Проблема синонима, Вопросы языкознания, № 6. М., 1957, стр. 84.

[2] Евгеньева А. П., Основные вопросы лексической синонимии, Очерки по синонимике современного русского литературного языка, М.-Л., 1966, стр. 18.

მურ რიგებს[1]. დისტრიბუციაზე, როგორც სრულყოფილ მეთოდზე ბჭობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იგი სინონიმიის ტრადიციული გაგებისაგან დამოუკიდებლად შეძლებს ლექსიკურ ერთეულთა შორის არსებულ დამოკიდებულებათა გარკვევას.

§ 4. ტრადიციული მეთოდი

სინონიმები იდენტურ ან მსგავს ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებია. სინონიმთა ეს განსაზღვრა ტრადიციულია, მას არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს და დღესაც ფართოდაა გავრცელებული ენათმეცნიერთა შორის (ო. ახმანოვა, ვ. ვინოგრადოვი, ა. გრიგორიევა, ა. ეგენიევა, ვ. კლიუევა, ა. ლაუ, ლ. ნემანეჟინა, მ. პალევსკაია და ა. შ.).

ასეთი პოპულარობის მიუხედავად, სინონიმიის არსის გაგების თვალსაზრისით თანხმობა არ არის თვით ამ მეთოდის მიმდევართა შორის. მას საფუძვლად აღსანიშნ ცნებათა შედარება უდევს. „ცნების“ ცნება (გაგება, განმარტება) კი ენათმეცნიერთა შორის ისეთსავე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც თვით სიტყვის მნიშვნელობა. ზემოთ უკვე გავეცანით, რომ იგი ზოგისთვის ლოგიკური ცნებაა, ზოგისთვის წარმოდგენა, ზოგიერთისთვის კი რაღაც საშუალო საფეხური წარმოდგენასა და ცნებას შორის. შესაბამისად ამ მეთოდს და მისგან გამომდინარე სინონიმურ განსაზღვრასაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ: ტრადიციული (ვ. ვინოგრადოვი), ლოგიკური იდენტიფიცირების (რ. ვეიდემანე), სიგნიფიკატორული (ი. სტეპანოვი).

ტრადიციული მეთოდის არსის გარკვევისა და, საერთოდ, სინონიმური საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა რუსულ სინონიმთა ორტომეულის წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრებანი:

„სიტყვის მნიშვნელობა აღიწერება განმარტებით ლექსიკონებში. თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონები შეიცავენ მსგავს, ანდა სავსებით იდენტურ მნიშვნელობათა მქონე სიტყვების საკმაო რაოდენობას. მნიშვნელობათა მსგავსება და იდენტურობა აღინიშნება თანამედროვე ლექსიკონებში და იხსნება სიტყვათა განმარტების დროს. ეს ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

ა) ფორმულით „იგივეა, რაც“...

ბ) ორივე სიტყვის სავსებით ერთნაირი, იდენტური განმარტებით...

გ) სალექსიკონო ერთეულის სინონიმის საშუალებით განმარტებით, რაც მიუთითებს ორივე სიტყვის მნიშვნელობრივ იგივეობაზე“[1].

---

[1] R. Veidemane, Latviesu valodas leksiska sinonimija, 1970, Riga, გვ. 18.

[2] Словарь синонимов русского языка, т. I, Введение, М., 1970, стр. 10.

ამ განმარტებაში ხაზგასმულია:

1. სიტყვის მნიშვნელობა (ენობრივი მნიშვნელობა და არა მეცნიერული ცნება) აღიწერება განმარტებით ლექსიკონებში. აქ იგულისხმება ძირითადი მნიშვნელობა (ლექსიკურ ერთეულს ხშირად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს), რომელიც ცალკე აღებულ სიტყვას ახლავს, ე. ი. კონტექსტით შეუპირობებელი ანუ, ეგრეთწოდებული, თავისუფალი მნიშვნელობა.

2. განმარტებით ლექსიკონებში უნდა აღინუსხოს სალექსიკონო ერთეულებს შორის არსებული მნიშვნელობრივი მსგავსებანი,

3. სინონიმური ლექსიკონები იქმნება განმარტებითი ლექსიკონების ბაზაზე. ამ დებულებებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისითაც.

ჩვენთვის მაინც განსაკუთრებულ ინტერესს ამ შრომიდან სიტყვათა მნიშვნელობრივი მსგავსების გაგება იწვევს: «Тождественными и близкими по значению следует считать только те слова, которые употребляются для обозначения одного и того же понятия и различаются между собой или оттенками значения в пределах данного понятия, или экспрессивной, эмоциональной окраской, или употреблением в определенных стилистических условиях, в определенных сочетаниях с теми или иными словами»[1].

ეს განმარტება სინონიმთა სემანტიკურ ნიშან-თვისებათა ახსნის თვალსაზრისით წინააღმდეგობას შეიცავს: სინონიმთა შორის არსებული მნიშვნელობრივი მსგავსება განმარტებულია „ცნების“ საფუძველზე, „მნიშვნელობის მიხედვით მსგავსად ანდა იდენტურად უნდა მივიჩნიოთ ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას“, მათ შორის არსებული სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობანი კი იხსნება „მნიშვნელობის ნიუანსების“ საშუალებით, ან ლექსიკურ ერთეულთა ექსპრესიულ-ემოციონალურ თუ სტილისტიკურ გაფორმებაგამოყენებაზე დაყრდნობით: „ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ან მნიშვნელობის ნიუანსებით ერთი ცნების ფარგლებში, ან ექსპრესიული თუ ემოციონალური გაფორმებით, ან განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენებით, ანდა გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებთან სიტყვათ შეერთების წარმოქმნის უნარით“.

ამ წინააღმდეგობის მიუხედავად, განმარტების არსი ნათელია: სინონიმები ერთი ცნების აღმნიშვნელი სიტყვებია. მაშასადამე, ზემომოყვანილი ლექსიკონის რიგებიც ერთი ცნების აღმნიშვნელ ერთეულთაგან უნდა შედგებოდეს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი და ვნა-

---

[1] Словарь синонимов русского языка, т. I, Введение, 1970, стр. 10.

ხოთ, თუ როგორ არის გატარებული მათში ეს სახელმძღვანელო პრინციპი:

Губы, уста, рот.

Книга, книжка (разг.), том, фолиант.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ტუჩები, ბაგეები, პირი ან წიგნი, წიგნაკი, ტომი, ფოლიანტი რომელიმე თვალსაზრისით (ენობრივი, ლოგიკური, მეცნიერული) ერთი ცნების აღმნიშვნელ სიტყვებს წარმოადგენდეს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მათ ერთი ცნების გამომხატველ ერთეულებად არ მიიჩნევს თვით სალექსიკონო ბაზაცებში მოცემული განმარტებანი:

Губы — подвижные мышечные складки, образующие края рта: Рот часто употр. как синоним слова губы, но обозначает при этом также очертания и губ и самого отверстия: слово уста употр. преимущ. в приподнятой или поэтической речи как в более узком значении — собственно губы и их очертания, так и обозначая очертания губ и самого отверстия.

Слово книжка употр. как название книги вообще, иногда с оттенком пренебрежения, или как название небольшой книги: том — отдельная книга в каком-л. собрании книг, в библиотеке в разговорной речи слово том употр. как название книги вообще, но преимущ. большой, толстой; слово фолиант употр. в литературно-разговорной речи, иногда с шутливо-ироническим оттенком, как название большой, толстой книги[1].

ანალოგიურ შემთხვევებში (ასეთი შემთხვევები კი ზემოდასახელებული ორტომეულის სიტყვარის ძირითად ნაწილს ქმნის) სინონიმებად მსგავს ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებია მიჩნეული, რაც სრულიად ბუნებრივსა და მიზანშეწონილ პრინციპს წარმოადგენს სინონიმური ლექსიკონისთვის.

მაშასადამე, სინონიმური მეთოდებისა და მათგან გამომდინარე ინტერპრეტაციათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითოეული მათგანი სინონიმური დამოკიდებულების რომელიმე ერთ, თუმცა არსებით ნაშანს ეყრდნობა. მათი გაერთიანებითა და სიტყვის მნიშვნელობის ცნების გათვალისწინებით სინონიმური განსაზღვრა შემდეგ სახეს მიიღებს:

სინონიმები მსგავს (ენობრივ) ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებია. მათ აქვთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ კონტექსტებში ურთიერთშენაცვლების უნარი.

---

[1] Словарь синонимов русского языка, т. 1, М., 1970.

თავი III. სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრის ისტორიისათვის

ლექსიკური სინონიმია გულისხმობს გარკვეულ სემანტიკურ დამოკიდებულებას სიტყვათა შორის. მისი განხილვა შეუძლებელია ამ ურთიერთობის მონაწილე ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა გარკვევის გარეშე. სიტყვის მნიშვნელობის შესახებ კი ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. საჭიროდ მიგვაჩნია მათი შეჯერება და ამ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისის შემუშავება.

სიტყვის მნიშვნელობის შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში კამათობდნენ საგანთათვის სახელდების პრობლემებზე. ამ საკითხს იკვლევდნენ ცნობილი ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, გ. ლაიბნიცი, ი. კანტი, ჰეგელი და ა. შ. მიუხედავად ამისა, დღემდე ენობრივ სამყაროში არც ერთი ცნება არ არის ისეთი საიდუმლოებით მოცული, როგორც სიტყვის სემანტიკა, შესაბამისად, ენათმეცნიერების არც ერთი დარგის შესწავლის ობიექტი არ არის ისე ბუნდოვანი და გაურკვეველი როგორც სემასიოლოგიის.

საგანთა და სახელთა ურთიერთმიმართების ფილოსოფიური ასპექტით კვლევის მდიდარმა და მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნეს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ნაირგვარი საენათმეცნიერო კონცეფციების არსებობას. მაგალითად, ვ. ჰუმბოლდტი, რომელიც ენობრივი საკითხების კვლევისას ი. კანტის ფილოსოფიას ეყრდნობოდა, სიტყვად მხოლოდ მნიშვნელობის მქონე ბგერათშეერთებას მიიჩნევდა: „მარცვლები ქმნიან ბგერათშეერთებებს, მაგრამ სიტყვებად იქცევიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა მნიშვნელობებს მოიპოვებენ, ამისთვის კი ზოგჯერ რამდენიმე მარცვლის გაერთიანებაა საჭირო“[1].

მნიშვნელობა ვ. ჰუმბოლდტისათვის საგნის უბრალო აღქმას არ წარმოადგენს, ეს არის ენობრივი მასალით გაფორმებული ცნება, მაგრამ რამდენადაც იგი პიროვნების ცნობიერებაშია გამომუშავებული, ამდენად მას სუბიექტური ხასიათი აქვს: „ენობრივი ელემენტების განხილვისას არ მტკიცდება მოსაზრება, რომ ენა მხოლოდ აღნიშნავს ჩვენი აღქმისათვის მისაწვდომ საგნებს. ეს მოსაზრება ვერ ამოსწურავს ენის ღრმა შინაარსს... ენობრივ შემოქმედებაში პოულობს თავის გამოხატულებას საგანთა სუბიექტური აღქმა, ამ საფუძველზე კი სიტყვა არ შეიძლება წარმოადგენდეს საგნის უბრალო ანაბეჭდს... სიტყვებად უნდა გავიგოთ ცალკეულ ცნებათა ნიშნები[2].

მაშასადამე, ვ. ჰუმბოლდტის აზრით, მნიშვნელობა საგნის ცნებაა,

---

[1] Звегинцев В. А., История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях, ч. I, М., 1956, стр. 82.

[2] Там же, стр. 81—82.

რომელიც ენობრივ პროცესებში სულის (გონის) შემოქმედებითი მონაწილეობით წარმოიქმნება.

აღნიშვნის პრობლემას თავისებურად იხილავდნენ ნატურალისტები. მაგალითად, ა. შლაიხერმა მნიშვნელობის ცნებაში შეიტანა წარმოდგენა: „მნიშვნელობა ეწოდება ბგერითი სახით გამოხატულ წარმოდგენას და ცნებას... ბგერებსა და ბგერათკომპლექსებს, რომელთა ფუნქციასაც მნიშვნელობის გამოხატვა წარმოადგენს, ვუწოდებთ ძირებს“[1].

საგულისხმოა, რომ ცნებებსა და წარმოდგენებზე დაყრდნობით სიტყვის მნიშვნელობის განმარტების ცდას ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში უკვე მე-18 ს. ეხვდებით. ანტონ პირველის „მოგონება“ სემანტიკურად ფართო მოცულობის სიტყვაა, გულისხმობს წარმოდგენასაც[2], ცნებასაც[3], ხოლო განსაზღვრა „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩუენისა“, ალ. ფოცხიშვილის მართებული განმარტებით, ცნებაზე მითითებასთან ერთად შეიცავს ენობრივი ნიშნის ნებისმიერობაზე პირველ დაკვირვებასაც[4].

სემასიოლოგიის ცალკეული საკითხების დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვით რუს ენათმეცნიერებს: ფ. ბუსლაევს, ნ. კრუშევსკის, ვ. ბოგოროდიცკის, ა. შახმატოვს, ლ. შჩერბას, ვ. ვინოგრადოვს, ა. პეშკოვსკის და სხვებს.

XIX საუკუნის ფილოსოფიური და საენათმეცნიერო ლიტერატურა სიტყვის მნიშვნელობას ძირითადად აბსოლუტურ კატეგორიად წარმოგვიდგენდა. ამავე პერიოდში ჩაისახა აზრი მისი ფსიქიკური წარმოშობის შესახებ[5].

XX საუკუნის დასაწყისიდანვე სემასიოლოგია მძაფრი კრიტიკის ობიექტად იქცა. გამოითქვა მოსაზრება, რომ მას არა აქვს შემუშავებული კვლევის საკუთარი მეთოდოლოგია, (აქამდე იგი ფილოსოფიურ-ლოგიკური და ონომასიოლოგიური მეთოდებით და პრინციპებით ხელმძღვანელობდა). აქედან გამომდინარე, დაისვა საკითხი, გარკვეულიყო სემასიოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში.

ძლიერ გაუჭირდა არსებობის შენარჩუნება თვით მისი კვლევის ობიექტს. ენათმეცნიერულ აზროვნებაში ენობრივი ნიშნის ცნების ვაჩენამ მკვეთრად შეარყია მისი პოზიციები. სიტყვის მნიშვნელობიდან

---

[1] ვ. ზვეგინცევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

[2] არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 94.

[3] ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 78.

[4] ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 81.

[5] Гегель, Сочинения, т. III, М., 1956, стр. 265—267.
Также, Потебня А. А., Мысль и язык. Харьков, 1926, стр. 21—35.

გამოიყო და დამოუკიდებელ ოდენობად ჩამოყალიბდა გრამატიკული მნიშვნელობა[1], დაბოლოს, ნიშანთა სისტემასთან გათანაბრებულ ენაში სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობას საერთოდ აღარ დარჩა ადგილი.

განსაკუთრებული გააფთრებით გაილაშქრეს მის წინააღმდეგ ამერიკელმა ლინგვისტებმა. მაგალითად, ლ. ბლუმფილდი სიტყვის სემანტიკურ კატეგორიას, როგორც არაენობრივს, არ მიიჩნევს ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტად[2], ხოლო უ. ვეინრეიხი გადაჭრით მოითხოვს სემანტიკური და ლინგვისტური კატეგორიების გამიჯვნას: „მნიშვნელობის ცნება, ა. შლაიხერიდან დაწყებული, უკვე ას წელზე მეტია ტანჯავს ლინგვისტებს და მისგან გათავისუფლება მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება — სრული ავტონომია უნდა მიენიჭოს სემანტიკურ და გრამატიკულ კატეგორიებს“[3].

სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის ტრადიციული გაგების უარყოფას ვხვდებით საბჭოთა ენათმეცნიერების ა. რეფორმატსკის, ა. ვოლკოვის, ა. ვეტროვის, დ. შმელევის და სხვათა შრომებში.

მოხდა სიტყვის როგორც ენობრივი მნიშვნელობის მქონე ერთეულის დესემანტიზაცია (ანტიმენტალისტურ შრომებში), შესაბამისად, სემასიოლოგიამაც დაკარგა კვლევის ტრადიციული მიზანი და ობიექტი. ეს გარემოება ერთგვარ გაუგებრობას ქმნიდა ენათმეცნიერულ აზროვნებაში: დესემანტიზებული სიტყვები წინადადებას ქმნიან, მას რომ მნიშვნელობა გააჩნია, აქ ეშვის შეტანა შეუძლებელი იყო. მაშასადამე, უნდა მომხდარიყო მნიშვნელობის ცნების სხვაგვარი გაშუქება, სხვაგვარი ინტერპრეტაცია უნდა მისცემოდა მას. ეს კი მისი არსის ყოველმხრივსა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა. ასეთმა აუცილებლობამ ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა სემანტიკური კვლევის ნაირგვარი მეთოდებისა და პრინციპების წარმოშობას. ასე მაგალითად, ფსიქოლინგვისტური მეთოდებით იკვლევენ დენოტატიურ მნიშვნელობას (სიტყვის რეალურ საგანთან მიმართება).

ლოგიკურმა სემანტიკამ დაამუშავა მნიშვნელობის კვლევის ფორმალური პრინციპები.

სტრუქტურალისტური ლინგვისტიკა მნიშვნელობას იკვლევს კომპონენტური ანალიზის გზით. მნიშვნელობის კვლევის თეზაურუსული პრინციპი მდგომარეობს სემანტიკური ველების, სიტყვათა სემანტიკურ-პარადიგმატული კავშირების გამოვლენაში და ა. შ.

სემანტიკური კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი შედეგები მოიპო-

---

[1] მის არსებობაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებში მიუთითებდა გ. პავსკი. იხ. Павский Г. П. Филологические наблюдения над составом русского языка, С.-П., 1841—42.

[2] Л. Блумфилд. Язык, М., 1968.

[3] У. Вейнрейх. О семантической структуре языка, Новое в лингвистике, V, М., 1970, стр. 197.

ვეს სტრუქტურალისტებმა[1]. მნიშვნელობის დისტრიბუციულმა და კომპონენტურმა ანალიზმა იგი ახალი გაგებით წარმოაჩინა ენათმეცნიერთა წინაშე. მიკვლეულ იქნა მისი მიმართებითი ბუნება, დადგინდა მნიშვნელობის რელატურობა. ამ აღმოჩენას სამართლიანად მიიჩნევენ XX საუკუნის ლინგვისტიკის ერთ-ერთ დიდ მიღწევად[2].

სემასიოლოგიის სფეროში მოპოვებულმა ამ წარმატებებმა ოდნავაც ვერ გააუმჯობესა სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის მოქალაქეობრივი უფლებები ენაში. პირიქით, სწორედ ამ კვლევის საფუძველზე მოხდა მისი დისკრედიტიზაცია, სწორედ ეს მიღწევები იქნა გამოყენებული სემანტიკური მნიშვნელობის, როგორც ენობრივი კატეგორიის უარყოფის ნივთმტკიცებად. მაგალითად, ვ. ზვეგინცევის, ნ. ხომსკის[3] აზრით, ენაში არსებობენ მხოლოდ მნიშვნელობრივი მიმართებანი და არა თვით მნიშვნელობა როგორც დამოუკიდებელი მთლიანობა. „წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, სიტყვის მნიშვნელობა ვლინდება სიტყვათა პოტენციალურ შესაძლებლობებში, დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რაც ქმნის ე. წ. სიტყვათა ლექსიკურ ვალენტობას"[4].

სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი კატეგორიის უარყოფის თვალსაზრისით უფრო შორს მიდიან ფორმალური ლინგვისტიკის მიმდევრები. აი ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის სემანტიკური მოსაზრებანი: „ჩვენთვის ცხადია, რომ მნიშვნელობა სიტყვისა მხარე არსებობს იმიტომ, რომ არსებობენ ისეთი შესიტყვებანი, როგორიცაა: 1. მარცხენა (მარჯვენა, უკანა და ა. შ.) მხრიდან ყურება სხვადასხვა მხარეს. 2. შორეული (უცხო) მხარე. 3. ქუჩის მზიანი (ჩრდილიანი) მხარე... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლექსიცენტრისტისთვის სემასიოლოგიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც მართალია, თავისი მნიშვნელობის რეალიზაციას ახდენს კონტექსტური გამოყენებით, მაგრამ მაინც მიიჩნევა ენის არავარიანტულ ერთეულად. ტექსტოცენტრისტული შესწავლა არ ცნობს სიტყვის ავტონომიას. ტექსტოცენტრისტული სემასიოლოგია წარმოადგენს ნაწილს თანამედროვე ფორმალური ლინგვისტიკისა, რომელიც შემცვლელად მოევლინა სტრუქტურალისტურ ენათმეცნიერებას"[5]. აქვე მოცემულია მაგალითი იმისა, რომ „ცოცხალის" მნიშვნელობა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობენ შესიტყვე-

---

[1] Ельмслев Л., Пролегомены к теории языка, Новое в лингвистике, I, М., 1960.

[2] Будагов Р. А., Человек и его язык, М., 1976, стр. 105.

[3] Хомский Н., Язык и мышление, М., 1972, стр. 17.

[4] Звегинцев В. А., Семасиология, М., 1957, стр. 123.

[5] Медникова Э. М., Значение слова и методы его описания, М., 1974, стр. 35.

ბანი: ცოცხალი ადამიანი, ცოცხალი არსება, ცოცხალი ბუნება, ცოცხალი თევზი, ცოცხალი ყვავილები და ა. შ.[1].

ზემომოყვანილი განცხადებიდან ნათელია:

1. ტექსტოცენტრისტული სემასიოლოგია თანამედროვე ფორმალური ლინგვისტიკის ნაწილია. იგი არ ცნობს ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობას;

2. სიტყვის მნიშვნელობა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სათანადო კონტექსტი;

3. სემასიოლოგიის ამოცანა მდგომარეობს ტექსტოცენტრისტულ მნიშვნელობათა შესწავლაში.

მნიშვნელობას მოკლებულ ლექსიკურ ერთეულთა შესიტყვებებში დაკავშირება სემანტიკურად ნებისმიერად უნდა ხდებოდეს. რატომ ვერ ვხედავთ ენაში ამ ნებისმიერების გამოვლინებას? სიტყვა სემანტიკურად მხოლოდ გარკვეულ სიტყვებს უკავშირდება. ზემომოყვანილი მხარე და ცოცხალიც მხოლოდ განსაზღვრულ ლექსიკურ ერთეულებთან ქმნიან შესიტყვებებს. რატომ არის სემანტიკურად და სტილისტიკურად გაუმართლებელი ფეხმძიმე მხარე? ცოცხალი განსვენებული? ცოცხალი პანაშვიდი?

მნიშვნელობის ტექსტოცენტრისტული გაგება, ბუნებრივია, სხვაგვარად განსაზღვრავს ლექსიკოგრაფიის ობიექტსა და მიზანდასახულობას.

უნდა დამუშავდეს ლექსიკონთა შედგენის ახალი პრინციპები[2]. ეს დებულება ეხება როგორც განმარტებით, ისე პარალელურ ლექსიკონებს. ლექსიკოგრაფიის შესწავლის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს წმინდა ლინგვისტური მნიშვნელობანი. რადგანაც ცალკე აღებული სიტყვები მათ მოკლებულნი არიან, ამიტომ სალექსიკონო ობიექტად ცხადდება მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ენობრივი ერთეული — შესიტყვება[3]. პარალელურ ლექსიკონთა შედგენის ძირითადი პრინციპია მნიშვნელობის ლინგვისტურ ეკვივალენტთა დაძებნა. სიტყვის სიტყვით განმარტების პრინციპი მოხსნილია, შესიტყვება შესიტყვებით უნდა გადმოიცეს[4]. თუ რა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აყენებს ეს პრინციპი ლექსიკოგრაფებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითიდან. ქართულ-რუსული ლექსიკონის შემდგენელმა ტექსტოცენტრისტმა ავტორებმა ყურის ან ფეხის რუსულად განმარტებისას ორივე ენაზე უნდა წარმოადგინონ ყველა ის ქართული შესიტყვება, სადაც ეს ერთეულები მონაწილეობენ: მაგა-

---

[1] Медникова Э. М., Значение слова и методы его описания, М., 1974, стр. 45.

[2] იქვე, გვ. 128.

[3] იქვე, გვ. 128—152.

[4] იქვე, გვ. 155—175.

ლითად, გრძელი ყური, ყური აუწია, ყური გაუწითლდა, ყური ეტკინა და ა. შ., ან — დიდი ფეხი, მოკლე ფეხი, ფეხი წამოჰკრა, 40 ნომერი ფეხი აქვს და ა. შ. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ეს სიტყვები ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და იდიომატურ გამოთქმებშიც მონაწილეობენ, აუცილებელია ყველა მათგანის ჩვენება[1]. ავტორებმა რუს მკითხველს უნდა განუმარტონ რას ნიშნავს ყური ათხოვა, ყური დაუგდო, ფეხს ითრევს, ფეხებზე ჰკიდია და ა. შ. წინადადებაში შემთხვევაში მას ქართული ყურისა და ფეხის მნიშვნელობა არ ეცოდინება.

როგორც ვხედავთ, სემასიოლოგიის ობიექტის შეცვლა იწვევს ცვლილებებს ლექსიკოლოგიის მთელ სფეროში. ბუნებრივად იბადება კითხვა, რა განაპირობებს ამ რეფორმების აუცილებლობას?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს შემდეგი დებულებები:

სემასიოლოგიის ძირითადი ამოცანაა სწორედ იმის შესწავლა, თუ როგორ აისახება ენობრივ ერთეულებში (სიტყვებში) არაენობრივი სინამდვილე[2].

2. ენა ნიშანთა სისტემაა, ნიშანთა ყოველი სისტემა სწორედ იმას აღნიშნავს ემსახურება, რაც ამ (ნიშანთა) სისტემის ფარგლებს გარეთ ძევს[3].

მაშასადამე, სემასიოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის არსებობას ეშვის ქვეშ აყენებს ის გარემოება, რომ ენობრივ ერთეულებში არაენობრივი სინამდვილეა ასახული.

საინტერესოა, სინამდვილისა და მისი ასახვის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა მეცნიერების დარგებში, ან ხელოვნებაში.

მათემატიკა მათემატიკური ერთეულებით (მათემატიკურ ცნებათა აღმნიშვნელი ციფრებით, ფორმულებით) ასახავს სინამდვილეს. არის თუ არა სინამდვილე ამის გამო მათემატიკური?

მხატვრობა მხატვრული საშუალებებით (ფერებით) ასახავს მას. მივიჩნიოთ თუ არა ამის გამო სინამდვილე მხატვრულად?

სინამდვილე არ შეიძლება იყოს არც ენობრივი, არც მხატვრული და არც მათემატიკური, იგი ობიექტური რეალობაა და არსებობს დამოუკიდებლად.

მაშასადამე, სემასიოლოგიის ნაკლად ვერ მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ ენობრივ ერთეულებში არაენობრივი სინამდვილეა ასახული.

ზემომოყვანილ დებულებებში ხაზგასმულია, რომ სემასიოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის არსებობაზე უარყოფითად მოქმედებს

---

[1] Медникова Э. М., Значение слова и методы его описания, М., 1974, стр. 161.

[2] Шмелев Д. Н., Очерки по семасиологии русского языка, М., 1964, стр. 8.

[3] იქვე.

ის გარემოებაც, რომ ენა ნიშანთა სისტემაა, მისი შესწავლის ობიექტი კი ამ ნიშანთა სისტემის გარეთაა.

ენის რაობის გარკვევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მხოლოდ მივუთითებთ, რომ სპეციალურ გამოკვლევებში საფუძვლიანადაა დამტკიცებული, რომ ენის ნიშანთა სისტემასთან გათანაბრება სერიოზულ შეცდომებს და გაუგებრობას იწვევს[1].

ახლა გავარკვიოთ, თუ რა იმყოფება ამ ნიშანთა სისტემის გარეთ.

დ. შმელევი სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას განიხილავს როგორც სემანტიკურ ელემენტთა დიფუზიას. მისი მტკიცებით, შეუძლებელია პოლისემიური სიტყვის „земля"-ს სემანტიკურ იერარქიაში რაიმე პირველადი ან ძირითადი მნიშვნელობის გამოყოფა[2]. ამ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა შესწავლილ იქნა ასოციატიურ-ექსპერიმენტული მეთოდით:

„ექსპერიმენტის მსვლელობაში მონაწილეობდა 20 კაცი. გამოირკვა, რომ სიტყვის „земля"-ს ძირითად მნიშვნელობად გეეელინება „почва"[3].

ფსიქოლინგვისტური კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სემანტიკის საკითხების დამუშავების თვალსაზრისით. კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურის ექსპერიმენტული მეთოდებით შესწავლამ გვიჩვენა:

1. მნიშვნელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სემანტიკური კომპონენტების ჯამად[4].

2. ფსიქოლოგიური ასპექტით სიტყვის მნიშვნელობა წარმოადგენს სალექსიკონო მნიშვნელობის ფსიქოლოგიურ ექვივალენტს[5].

3. ენაში მცირეა იმ სიტყვათა რაოდენობა, რომელთაც ძირითადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ[6].

4. სიტყვის ძირითად მნიშვნელობას წარმოადგენს კონტექსტით შეუპირობებელი მნიშვნელობა. იზოლირებულად აღებული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურიდან იგი სხვა კომპონენტებთან შედარებით ადვილად გამოიყოფა[7].

---

[1] ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 21—45.

[2] Шмелев Д. Н., Очерки по семасиологии русского языка, М., 1964, стр. 86.

[3] Левицкий В. В., Экспериментальные данные к проблеме смысловой структуры слова, Семантическая структура слова (психолингвистические исследования), М., 1971, стр. 157.

[4] Леонтьев А. А., Психологическая структура значения, в той же кн. стр. 7.

[5] Там же, стр. 18.

[6] Там же, стр. 157.

[7] Там же, стр. 168.

მაშასადამე. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა იმყოფება „ნიშანთა სისტემის გარეთ". მაგრამ სად უნდა მოინახოს იგი?

„ენობრივი ფორმის შინაარსი რომ მოინახოს, საჭიროა ენის ფარგლებიდან გასვლა"[1]. ენის ფარგლებიდან გავალთ, მაგრამ ვისთან უნდა მივიდეთ? ალბათ, ისევ ლინგვისტებთან.

„სიტყვას მნიშვნელობა კი აქვს, მას არავინ უარყოფს და ძირითადად მას მეცნიერი უნდა იკვლევდეს, მაგრამ როგორი მეცნიერი? რა სპეციალობის? ძნელად თუ ლინგვისტი, თუ იგი იკვლევს ენას, როგორც სისტემას და სტრუქტურას"[2].

სიტყვის მნიშვნელობა არამეცნიერული კატეგორიაა, იგი ცნებას წარმოადგენს და მეცნიერების იმ დარგმა უნდა განსაზღვროს, რომლის შესწავლის ობიექტსაც ამ სიტყვით აღნიშნული საგანი წარმოადგენს[3].

ცნობილია, რომ ცნების გამოსამუშავებლად აუცილებელია საგნის არსში ღრმად ჩახედვა და მისი არსებითი ნიშნების გამოყოფა[4], მაგრამ განა ადამიანთა ყოველდღიური საუბარი და აზრთა ურთიერთგაზიარება ამ ცნებებით მიმდინარეობს? განა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ადამიანის აზროვნებაში მიმდინარეობს იმ საგნის არსებითი ნიშნების აბსტრაგირება, რომელსაც ეს სიტყვა მიემართება? სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ფსიქოლოგიურად ეს არ ხდება. დ. უზნაძეს ამ აზრის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ მოწაფეს წინადადებას ვაძლევთ, დაფაზე წრე დახაზოს და ისიც სწორად წყვეტს ამ ამოცანას. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მას წრის ცნება აქვს, ამიტომ ვეკითხებით მას, რა არის წრე. თუ მან გვიპასუხა, რომ წრე წარმოადგენს დახშულ ხაზს, რომლის ყველა წერტილიც თანაბრად არის ერთსა და იმავე წერტილს, როგორც თავის ცენტრს დაშორებული (გეომეტრიული განსაზღვრა), ნიშნავს, რომ მას წრის ცნება ჰქონია. მაგრამ თუ მან გვიპასუხა, წრე მრგვალი ფიგურა არისო, ნიშნავს, რომ იგი წრის ერთ-ერთ თვისებას ასახელებს, ე. ი. მან სიტყვის მნიშვნელობა იცის და არა წრის ცნება. მაშასადამე, ამ მოწაფის მიერ წარმოთქმული „წრე" ცნებას არ წარმოადგენს[5].

„სიტყვა მხოლოდ ლოგიკურად წარმოადგენს ცნებას. ფსიქოლოგიურად, ე. ი. თითოეული ცალკე ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისით, მას შესაძლოა ბევრი არაფერი ჰქონდეს საერთო ცნებასთან"[6].

---

[1] Шпет Г., Внутренняя форма слова, М., 1927, стр. 14.

[2] Реформатский А. А., Термин как член лексической системы языка, «Проблемы структурной лингвистики, 1967». М., 1968, стр. 114.

[3] Волков А. Г., Язык как система знаков, М., 1966, стр. 68—78.

[4] კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., 1954, გვ. 92.

[5] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 389.

[6] იქვე, გვ. 388.

ყოველგვარი აზრის გამოთქმა რომ მეცნიერულ მნიშვნელობებს მოითხოვდეს, ადამიანს ყოველი სიტყვის წარმოთქმისას დასჭირდებოდა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში შეჭრა. მაგალითად, სამსიტყვიანი წინადადება — „წყალგაყვანილობის მილი დაჟანგდა“, მეცნიერების სამ დარგს მოიცავს. წარმოუდგენელია ენციკლოპედიური განათლების მქონე ისეთი ფენომენის არსებობა, რომელმაც მშობლიური ენის ლექსიკურ მარაგში არსებული ყველა სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობა იცოდეს. საერთოდ, შეუძლებელიცაა ყველა სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობის დადგენა. „ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ამა თუ იმ ენობრივი ფორმის მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მნიშვნელობა განეკუთვნება ისეთ რამეს, რომლის შესახებაც ჩვენ ვფლობთ საკმაო მეცნიერულ ცოდნას. ჩვენ შევძლებთ ქიმიური და მინერალოგიური ტერმინებით ზუსტად განვსაზღვროთ მინერალები, მაგ. ვიცით, რომ ინგლისური სიტყვის salt მნიშვნელობა არის „სამზარეულო მარილი“ (wacl), შეგვიძლია ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინებით განვსაზღვროთ მცენარეთა და ცხოველთა მნიშვნელობანი, მაგრამ არ გვაქვს სიყვარულის ან სიძულვილის იმ სიტუაციურ მნიშვნელობათა განმსაზღვრელი საშუალება, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან კლასიფიცირებულნი“[1].

დავუშვათ, რომ შესაძლებელი გახდა რომელიმე ენის ყველა სიტყვის მეცნიერულ მნიშვნელობათა განსაზღვრა, ვთქვათ ზემომოყვანილი მარილის მსგავსად მოხერხდა სიყვარულის, სიძულვილის და სხვა გრძნობების სპეციალური ტერმინებით აღნიშვნა, მაშინ ეს ენა მართლაც იქნებოდა ნიშანთა სისტემა, კერძოდ, მეცნიერულ ცნებათა აღმნიშვნელ ნიშანთა სისტემა.

სპეციალისტი ყოველდღიურ საუბარში მეცნიერული ცნების სახით არ ხმარობს იმ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას, რომლის არსიც მან ზედმიწევნით იცის[2]. ქიმიკოსის მიერ წარმოთქმულ წინადადებაში, „წყალი მწყურია“ — წყალი ჟანგბად-წყალბადის შენაერთის მნიშვნელობით არ იქნება გააზრებული. სიტყვის ენობრივ-სემანტიკური მნიშვნელობა ყოველთვის არ გამოხატავს იმ ცოდნას, რომელსაც წარმომთქმელი ფლობს ამა თუ იმ საგნის შესახებ: — ხლებ, ხლებ, — თქვა გერმანელმა.

— ააა, შავი პური გინდა თუ თეთრი?....

— ხლებ, ბუტერ!

— ა, ბუტერბროტი?

---

[1] Блумфилд Л., Язык, М., 1968, стр. 142.

[2] ენაში რეალიზაციის თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობებს შორის განსხვავება შენიშნული ჰქონდა ა. პოტებნიას, იხ. Потебня А. А., Из записок по русской грамматике; т. I—II, М., 1958, стр. 19.

— ბუტერბროტ, ბუტერბროტ, — გაუხარდა გერმანელს...

— ხლებ, ფრაუ, ხლებ... — თქვა გერმანელმა და ტუჩები აუცახცახდა, მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ტყვე არც მე, არც მამიდას აღარ გვიყურებდა, იგი თვალს არ აცილებდა გაწყობილ სუფრაზე ოხშივარავარდნილ მჭადს...

— ხლებ, ფრაუ! — გაიმეორა გერმანელმა ისე, რომ მჭადისთვის თვალი არ მოუცილებია, მამიდა უცებ შეტრიალდა, მაგიდასთან მივიდა, თავისი მჭადი აიღო და გერმანელს გამოუტანა. (ნ. დუმბ.).

ამ პატარა ნაწყვეტში ოთხი სიტყვაა გამოყენებული მაგიდაზე მდებარე საგნის აღსანიშნავად. მის შესახებ პერსონაჟებს სხვადასხვა ცოდნა აქვთ. გერმანელმა შეიძლება მართლაც არ იცოდეს მისი მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ ბუტერბროტების საქმეში გამოცდილება აქვს და მათ მჭადისგან განარჩევს. ზურიკელამ და განსაკუთრებით მამიდამისმა ზედმიწევნით იციან მჭადის მნიშვნელობა (იქვე აღწერილია მისი დამზადების პროცესი), მაგრამ დიალოგის ყოველი სტრიქონიდან მონადენი შიმშილის მძაფრი გრძნობა მიგვანიშნებს, რომ იმ წუთებში არც ზურიკელა, არც მამიდამისი და არც ტყვე გერმანელი მაგიდაზე მდებარე და ოხშივარავარდნილი საგნის მეცნიერულ მნიშვნელობაზე არ ფიქრობდნენ. არც მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები წარმოადგენენ მეცნიერულ ცნებებს, მათში ამ საგნის ერთადერთ, თუმცა არსებით ნიშანზეა ყურადღება გამახვილებული, — იგი საჭმელია.

არც დავით გურამიშვილს დაუწყია ფიქრი პურის მოყვანისა და მისი დამზადების ტექნოლოგიაზე, როცა რუსული „ხ ლ ე ბ ა“ მოესმა. მას სცოდნია ამ ბგერათშეერთების რუსული ენობრივი მნიშვნელობა[1] და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ტყვეობიდან გამოქცეული თორმეტი დღის მშიერი ადამიანისთვის:

„ხლება“ რა მესმა, დამეცა
მე სიხარულით თავზარი:
მუხლებმა რყევა დამიწყეს,
ზე ტანმა შექნა ზანზარი“. (დ. გურ.).

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დავითს ასეთი ძლიერი სულიერი მღელვარება მოჰგვარა მხოლოდ ერთმა სიტყვამ — „ხლება“ და არ დასჭირვებია მასპინძელთა ტექსტოცენტრისტული შესიტყვებანი, როგორიცაა ржаной хлеб, хлеб-соль водил, с хлеба на квас перебиваешься და ასე შემდეგ.

ანალოგიურ შემთხვევათა განხილვა გვარწმუნებს, რომ ცოცხალ

[1] ერთსა და იმავე ბგერათშეერთებას სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგ. „ეარდ“ ფუძე ქართულში ყვავილს აღნიშნავს და ლატვიურში — ბაყაყს.

ენობრივ ურთიერთობაში ყოველწამიერად რეალიზებულ სიტყვათა მნიშვნელობანი არ ასახავს მეცნიერული განსჯითა და საგნის არსებით ნიშანთა განზოგადებით მიღებულ მეცნიერულ ცნებებს. სიტყვის ენობრივ-სემანტიკური მნიშვნელობა ენობრივ ცნებას გამოხატავს. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი?

ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ სიტყვის წარმოთქმისას, ან მოსმენისას ადამიანს უჩნდება ზოგადი საგნობრივი წარმოდგენა. აი ერთ-ერთი ექსპერიმენტის ჩვენება: „ცდის პირს ეძლევა ორი სიტყვა: გამართლება — ქვითარი. ცდის პირის დაკვირვება: ერთხანს დაბნეულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მალე ხატოვანი წარმოდგენა გამიჩნდა... იგი მხოლოდ ხატი იყო, ისე არაფერს ნიშნავდა სინამდვილიდან. თითქოს სასამართლოს სცენა იყო გადმოცემული, მაგრამ ისე რომ, მისი აღწერა არ შეიძლება. ამას მეორე სურათი დაემატა, ერთი მარჯვნივ იყო,მეორე მარცხნივ. ეს მეორე სურათი წარმოადგენდა ხელს, რომელიც წერდა: ვინც წერდა არ ჩანდა, მარტო ხელი იყო სურათზე, და აი, მივხვდი, რას შვრებოდა ეს ხელი, რას ნიშნავდა მისი წერა (და ასე გადაწყდა ამოცანა, ცდის პირმა დაასახელა ცნება)“[1].

ამ წარმოდგენების არსებობა დასტურდება თანამედროვე ფსიქოლინგვისტური გამოკვლევებით[2].

ამ წარმოდგენების მხატვრულ აღწერას ვხვდებით ლიტერატურულ ნაწარმოებებში: „— წყალი!“... იგრძნო წყალი მთელი სულით, მთელი სხეულით იგრძნო წყალი. ტუჩებზე ენა მოისვა. გამშრალი, ცხელი ენა. — წყალი!... — წყალი კლდეზე ეცემოდა, იმსხვრეოდა... წყლის მტვერი სახეზე ეფინებოდა (გრ. ჩიქ.).

ვ. ჰუმბოლდტის განმარტებით, ეს წარმოდგენები განსხვავდებიან საგანთა შიშველი აღქმებისაგან, მათ წარმოქმნაში სუბიექტური მომენტი მონაწილეობს[3].

ფ. დე სოსიური ფიქრობდა, რომ ეს წარმოდგენები პოტენციალურად არსებობენ ადამიანის ტვინში და რეალიზდებიან სამეტყველო აქტებში[4].

ჰ. პაულმა ენა მთლიანად სამეტყველო წარმოდგენებს გაუთანაბრა[5].

ამ წარმოდგენებთან სიტყვათა მნიშვნელობების უდავო კავშირზე მიუთითებენ საბჭოთა ენათმეცნიერებიც. მაგალითად, ა. სმირნიცკის

---

[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 38-1.

[2] Семантическая структура слова (психолингвистические исследования) М., 1971.

[3] Звегинцев В. А., История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях. ч. I, М., 1960. стр. 71.

[4] Чикобава Арн. «Язык» и «речь» в концепциях Пауля и Соссюра, Язык и речь, Тб., 1977, стр. 55.

[5] Там же, стр. 55.

განსაზღვრაში მოცემული „ფსიქიკაში წარმოშობილი საგნის ნაცნობი გამოსახულება“[1], იგივე წარმოდგენაა. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ კვლავ გაურკვევლობას ქმნის ერთი საკითხი: ყოველი წარმოდგენა ინდივიდუალურია[2]. მათ სუბიექტურ ნიშნებზე ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტი მიუთითებდა, მაშ როგორ უნდა აიხსნას მათ საფუძველზე ურთიერთგაგებინების მომენტი? როგორ შევათავსოთ ინდივიდუალური სოციალურთან? აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ეს წარმოდგენები ენობრივი მონაცემებია და ხასიათდებიან ყველა იმ სპეციფიკური ნიშნით, რაც ენობრივ შემოქმედებას ახასიათებს. ენა (მხედველობაში გვაქვს ენა და მეტყველება), როგორც ადამიანის ფსიქიკური შემოქმედების პროდუქტი, განუმეორებლად ინდივიდუალურია, ამავე დროს იგი მოქმედების პროცესში, გამოყენების მომენტშივე სოციალურია. ენობრივი კოლექტივის წევრთა წარმოდგენებიც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად ხასიათდებიან მსგავსი, საერთო, შეიძლება ასეც ვუწოდოთ, — ზოგადი ნიშნებით. სიტყვა „მ დ ი ნ ა რ ე ს თ ა ნ“ უამრავი ინდივიდუალური წარმოდგენაა დაკავშირებული. ქართველი კაცის წარმოსახვაში ის შეიძლება იყოს: ბობოქარი, ჩქარი, მოდუდუნე და ანკარა, მღვრიე, ნაპირებდაბურული, მთიდან დაქანებული ან გაშლილ ველზე მიმდინარე და ა. შ. ეს წარმოდგენები უამრავი ატრიბუტით იქნებიან ერთმანეთისგან განსხვავებული, მიუხედავად ამისა, მათ აუცილებლად ექნებათ მსგავსი, საერთო ნიშნები. ყველა წარმოდგენაში იქნება მოცემული მოძრავი, მიმდინარე მასა წყლისა, რომელიც ყველა სხვა სითხისგან განსხვავდება.

ენობრივ წარმოდგენათა საერთო ზოგადი ნიშნები ენობრივი კოლექტივის წევრთა ხანგრძლივი ფსიქიკური ურთიერთზემოქმედების ნიადაგზეა შემუშავებული, ამდენად მათ სოციალური ხასიათი აქვთ.

სახოვანი აზროვნების პროცესში[3] ენობრივი წარმოდგენის ბაზაზე საგნის იმ ნიშნის ან ნიშნების გამოყოფით, რომელიც ან რომლებიც აქტუალურია მეტყველების პროცესში, მუშავდება ენობრივი ცნება. იგი განსხვავდება მეცნიერული ცნებისაგან:

მეცნიერული ცნება საგნის არსში ღრმად წვდომით ყალიბდება. ენობრივი ცნების შემუშავება ამას არ მოითხოვს.

მეცნიერული ცნების დასადგენად საგანთა არსებითი ნიშნების აბსტრაგირება უნდა მოხდეს, ენობრივი ცნება კი საგნის სრულიად მეორეხარისხოვანი ნიშნის საფუძველზე შეიძლება წარმოიქმნას.

---

[1] С м и р н и ц к и й А. И., Значение слова, «Вопросы языкознания», 1955, № 2, стр. 89.

[2] კ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ლოგიკა, თბ., 1954, გვ. 91.

[3] ექსპერიმენტულად დამტკიცებულია „უსახო აზროვნებაც, იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ, იქვე, XX, 1978, გვ. 12.

რა თქმა უნდა, მათ შორის ასეთი მკაცრი ზღვარი ყოველთვის არ არსებობს, ხშირად ისინი ემთხვევიან ერთმანეთს, (როცა მსჯელობა მეცნიერულ საკითხებს ეხება და საგანთა არსებითი ნიშნების განზოგადებას მოითხოვს), მაგრამ ძირითადად, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობა და აზრთა გაზიარება ენობრივი ცნებებით ხორციელდება და არა მეცნიერულით[1].

მაშასადამე, სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა ენობრივ ცნებას გამოხატავს. ის თვით ენაშია მოცემული.

სემასიოლოგიის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, შესწავლის ობიექტს სიტყვის მნიშვნელობა, ამ მნიშვნელობის სტრუქტურა და ის სემანტიკური მიმართებანი და ურთიერთობანი წარმოადგენს, რომელსაც ეს ძირითადი სემანტიკური ერთეული ქმნის ენაში.

თავი IV. ქართულ სინონიმთა სემანტიკური ბუნებისათვის

სინონიმები ენაში გარკვეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან და ცხადია, მათი დახასიათებაც პირველ რიგში სემანტიკურ საფუძველზე უნდა მოხდეს.

ქართულ სინონიმთა სემანტიკურ ბუნებაზე პირველი დაკვირვებანი გასული საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.

პ. კვიცარიძის მოსაზრებით, ქართული სინონიმები რელატური ბუნებისანი არიან:

„...ამათ რომ გაუსინჯო ეთიმოლოგია და განარსების სათავე, ნახავ, რომ პირწმინდად რომ ერთსა და მასვე ცნებას რომ შეიცავდეს, ასეთი ორი სიტყვა ძნელი მოსაპოვებელია. ერთი სიტყვა ერთის მხრით წარმოგვიდგენს საგანსა, მეორე — მეორეს მხრითა, ერთი შინაგანს თვისებას გვიჩვენებს, მეორე — გარეგანს ვითარებას, ერთი წარმორინებას, მეორე დანიშნულებას საგნისას: თვითეულს სხვა სხვა ელფერი აძევს“[2].

ს. ხუნდაძე მიიჩნევდა, რომ ქართულში რელატურის გვერდით აბსოლუტური სინონიმებიც არსებობს: „საყურადღებო არიან შემდეგი გარემოებანი:

1. ზოგიერთ სინონიმებს ერთმანეთში მნიშვნელობით სრულიად არავითარი განსხვავება არა აქვს: მაგალ. ლოქო და ღლავი, თხმელა და მურყანი, კომში და ბია, თავთავი და თაველი და სხ.

[1] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ, იკე, XX, 1978, გვ. 12.

[2] პ. კვიცარიძე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჭიჭინაძის გამოცემით, ქუთ., 1888, გვ. 51.

2. ზოგიერთებს კი, როცა კარგად ჩავუკვირდებით, შეეამჩნევთ მცირეოდენ განსხვავებას მნიშვნელობაში, მაგალ. შ ი შ ვ ე ლ ი იმისთანაზე ითქმის, რომელსაც ტანზე მცირე რამ მაინც აცვია, ხორცი დაფარული აქვს, ხოლო — ტ ი ტ ვ ე ლ ი — იმისთანაზე, რომელსაც არაფერი არ აცვია"[1].

ამ განცხადების მიუხედავად, ს. ხუნდაძე შეუწყნარებლად მიიჩნევს სალიტერატურო ენაში ორი სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვის არსებობას:

„ცხადია, მეორეგვარი სინონიმები ყველა უნდა დარჩეს მწერლობაში ხელუხლებლად. ხოლო იმ სინონიმებს შორის, რომლებსაც სრულიად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ერთერთი უნდა ავირჩიოთ და ის დავტოვოთ მწერლობაში საერთოთ სახმარებლათ, რომელსაც მეტი საფუძველი ექნება ხმარებითა და კეთილხმოვანებით"[2].

ავტორის აზრით, რელატურის გვერდით აბსოლუტური სინონიმების არსებობა დასაშვებია მხოლოდ ცოცხალ სასაუბრო ენაში, სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმური სისტემა კი მხოლოდ რელატური სინონიმური მასალით უნდა აიგოს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმურ-სემანტიკური საკითხების შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, აზრთა სხვადასხვაობა სინონიმთა სემანტიკურ თავისებურებათა შესახებ დღემდე გრძელდება.

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონის" მიხედვით აბსოლუტურ სინონიმთა რაოდენობა ქართულ ენაში საკმაოდ სოლიდურია"[3].

არნ. ჩიქობავა კატეგორიულად უარყოფს მნიშვნელობრივად სავსებით იდენტური სიტყვების არსებობას: „სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის ორი სიტყვა ფაქტობრივ არ არსებობს: ან ობიექტური ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ საგრძნობია (ასეთ შემთხვევაში სინონიმები ერთმანეთს ენაცვლებიან: „მიმართულებითი" ანუ „ვითარებითი" ბრუნვა); ზოგჯერ სხვაობა უფრო საგრძნობია:. ასეთ შემთხვევაში სინონიმები ხან ენაცვლებიან ერთმანეთს დაუბრკოლებლად (გულადი ჯარისკაცი — მამაცი ჯარისკაცი), ხან კიდევ ასეთი შენაცვლება სტილისტიკურად საჩოთიროა ან სრულიად მიუღებელი"[4].

ალ. ღლონტის დაკვირვებით ქართულში აბსოლუტური სინონიმები არსებობს, მაგრამ მათი რიცხვი ერთობ მცირეა[5].

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სალიტერატურო ქართული, ქუთ., 1901, გვ. 176.
[2] იქვე, გვ. 177.
[3] ალ. ნ ე ი მ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. XXVI.
[4] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 189.
[5] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 52.

ბ. ფოჩხუა აბსოლუტურ სინონიმებად ძირითადად იდენტური მნიშვნელობის ტერმინებს მიიჩნევს და მათ „დუბლეტებს“ უწოდებს: „დუბლეტურ სიტყვათა წყვილები (ჯგუფები) გვხვდება უპირატესად ტერმინებში, ცნებათა სახელწოდებებში“[1].

აბსოლუტურ სინონიმებად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ მნიშვნელობრივად საკმაოდ იდენტურ სიტყვებს, რომლებიც კონტექსტებში რეალიზაციისას ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან სტილისტიკური თუ ექსპრესიულ-ემოციონალური მომენტებით[2].

განვიხილოთ ამ განსაზღვრებაში მოცემულ პირობათა მიხედვით ქართულ ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში აბსოლუტურ სინონიმებად წარმოდგენილი ლექსიკური მასალა:

ენათმეცნიერება — ლინგვისტიკა, ჭლექი — ტუბერკულოზი, ცდა — ექსპერიმენტი, ნაკლი — დეფექტი, მრეწველობა — ინდუსტრია, გადაზიდვა — ტრანსპორტი და ა. შ. (ალ. ნეიმანი);

ადსორბცია — შთანთქმა, გენერაცია — თაობა (როგორც ბიოლოგიის ტერმინი — ბ. ფოჩხუა).

როგორც ეხედავთ, ზემომოყვანილი წყვილები წარმოდგენილია ინტერნაციონალიზმებითა და საკუთარი სიტყვებით და თუ ასეთი ერთეულების ურთიერთშენაცვლების შემთხვევებს სტილისტიკურ-ექსპრესიული თვალსაზრისით გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ამგვარი წყვილები აბსოლუტური სინონიმიის პირობას ვერ აკმაყოფილებენ: ნასესხები ერთეულები შესაბამის ცნებებს კი აღნიშნავენ, მაგრამ ინტერნაციონალური კოლორიტი მათ სტილისტიკურად თავისთავად განასხვავებს შესაბამისი სინონიმური ეკვივალენტებისაგან: ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა, ტუბერკულოზი, ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ ი, დ ე ფ ე ქ ტ ი, ი ნ დ უ ს ტ რ ი ა, ა დ ს ო რ ბ ც ი ა, გ ე ნ ე რ ა ც ი ა და ა. შ. უცხო ენობრივ ატმოსფეროში შემუშავებული ლექსიკური ერთეულებია და თავისებური ფონემატური სტრუქტურით გარკვეულ სტილისტიკურ თუ ემოციონალურ ნიუანსებს ანიჭებენ კონტექსტს.

აბსოლუტური სინონიმიის ძირითადი პირობა სიტყვათა შორის სრული მნიშვნელობრივი იდენტურობაა. ამგვარი სემატიკური იგივეობის საილუსტრაციოდ ლექსიკოლოგიურ შრომებში საკმაოდ გავრცელებულია „ლინგვისტიკის“ შემცველ სინონიმურ წყვილთა წარმოდგენა. მაგალითად. ტრადიციული გაგებით ქართულ, რუსულ და ლატვიურ ენებში აბსოლუტურ სინონიმებად მიიჩნევენ წყვილებს: ლინ-

---

[1] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული სინონიმიკის ლექსიკოგრაფიული საკითხები, იქვე, XXII, 1980, გვ. 293.

[2] Ш а н с к и й Н. М., Лексикология современного языка, М., 1972, стр. 56.

გვისტიკა — ენათმეცნიერება, лингвистика — языкознание[1], lingvistika — valodnieciba[2].

ამგვარი აღიარების მიუხედავად, ეს წყვილები აბსოლუტური სინონიმიის ძირითად მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ; მაგალითად, სინონიმთა განსაზღვრის დისტრიბუციული და სუბსტიტუციური მეთოდების მიხედვით, აბსოლუტურ სინონიმებს არ უნდა ჰქონდეთ განსხვავებული დისტრიბუცია (უნდა უკავშირდებოდნენ ზუსტად ერთსა და იმავე სიტყვებს) და ნებისმიერ კონტექსტში ბუნებრივად უნდა ხდებოდეს მათი ერთმანეთით შეცვლა. ხშირ შემთხვევებში მათი ურთიერთმონაცვლეობა მართლაც დაუბრკოლებლად ხორციელდება. მაგალითად, ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების დარგის აღსანიშნავად ქართულშიც, რუსულშიც, ლატვიურშიც თანაბრად გამოიყენება ინტერნაციონალური „ლინგვისტიკა“ და მისი სინონიმური შესატყვისებიც, მაგრამ ენათმეცნიერების როგორც საგნის, როგორც სასწავლო დისციპლინის აღსანიშნავად უპირატესად ნაციონალური ერთეულები გამოიყენება. ზემომოყვანილი ენებისთვის დღეს ბუნებრივი და საყოველთაოდ გავრცელებული შესიტყვებანია: გამოცდის ჩაბარება ენათმეცნიერებაში, сдавать экзамен по языкознанию, kartot eksamenu valodnieciba.

მაშასადამე, ზემოგანხილულ სინონიმურ წყვილებში სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობანი უკვე საგრძნობია; „ლინგვისტიკის“ სემანტიკური მოცულობა შედარებით მცირეა სინონიმური მნიშვნელობის მქონე ნაციონალურ ერთეულებთან შედარებით.

სემანტიკური დისპროპორციის საწინააღმდეგო მიმართულებას გვიჩვენებს აბსოლუტურ სინონიმებად მიჩნეული ტუბერკულოზი — ჰლექი. ინტერნაციონალური სიტყვის გამოყენების არე იმდენად გაფართოვდა, რომ წყვილის შემადგენელ ერთეულთა შორის გარკვეული ევფემისტური დამოკიდებულებაც კი დამყარდა, მაგალითად, ჰლექიანთა საავადმყოფო, ჰლექით დაავადებული ბავშვი და სხვა მსგავსი შესიტყვებანი უკვე საჩოთირო და მიუღებელი გამოთქმებია. ასევე შეავიწროვა ინტერნაციონალურმა „ტუბერკულოზმა“ რუსული чахотка-სა და ლატვიური dilonis-ის გამოყენების ფარგლები.

ასეთივე სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობაა ქართულში აბსოლუტურ სინონიმებად მიჩნეულ სხვა ლექსიკურ ერთეულებს შორისაც. ეს დებულება არ გამორიცხავს ენაში მნიშვნელობრივად სავსებით იდენტურ ოდენობათა არსებობას. ასეთი სემანტიკური დუბლეტებია: აბსცესი — ჩირქგროვა, ადსორბცია — შთანთქმა, დენ-

---

[1] Реформатский А. А., Введение в языкознание, М., 1955, стр. 65.
[2] R. Veidemane, Latviesu valodas leksiska sinonimija, Riga, 1970, gg. 92.

ტალური — კბილისმიერი და ა. შ., მაგრამ ეს ერთეულები ვიწროსპეციალური მეტყველების კუთვნილებაა, ლექსიკოლოგიის თეორიასა და პრაქტიკაში კი სემანტიკურ-სინონიმური ურთიერთობა განიხილება საერთო სალიტერატურო ენის სიტყვათა შორის, ან ისეთ ერთეულებს შორის, რომლებიც პროფესიული ლექსიკისა და საერთო სალიტერატურო ფონდის მიჯნაზე დგანან[1].

დუბლეტები ტერმინოლოგიური ერთეულებია, ისინი მეცნიერულ ცნებებს გადმოსცემენ. ენობრივ ცნებათა აღნიშვნისას კი ენა „ფუფუნებას ვერ ითმენს“ და ნასესხებსა და დამხვედურ ერთეულებს შორის სწრაფად მყარდება მნიშვნელობრივი დიფერენციაცია. ეს სემანტიკური ძვრები, როგორც ტიპური ენობრივი მოვლენები საზოგადოების წევრთაგან შეუმჩნეველად მიმდინარეობს. მაგალითად, ქართულ სასაუბრო ენაში არც თუ ისე დიდი ხნის წინ (გაუმართლებელი სესხების შედეგად) გაჩნდა სინონიმური წყვილი ლურსმანი — გოზდი (гвоздь), მაგრამ უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის წარმოადგენდნენ ისინი აბსოლუტურად იდენტურ სემანტიკურ ოდენობებს, ის კი ფაქტია, რომ დღეს ქართველი კაცისთვის გოზდი წვრილი ლურსმანია[2].

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით აბსოლუტური სინონიმებია: პაპა — ბაბუა, კომში — ბია, იფანი — კოპიტი, თათარა — ფელამუში, მურყანი — თხმელა, ჩურჩხელა — ჯანჯუხა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი წყვილები შედგენილია სალიტერატურო ენის ინვენტარიდან და დიალექტური ლექსიკიდან აღებული ერთეულებით. მსგავსი მაგალითებია ბებია და დიდედა, სულელი და აბდალი, ყაჩაღი და ფირალი და ა. შ.

ლექსიკური ერთეულის დიალექტური სპეციფიკა თავისთავად განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ მას სალიტერატურო სიტყვის ტოლფას ეკვივალენტად ვერ მივიჩნევთ; ასეთ წყვილებს სინონიმებიც კი მხოლოდ პირობით შეიძლება ეუწოდოთო, შენიშნავს ალ. ღლონტი[3]. სამართლიანი განცხადებაა, მაგრამ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამ ე. წ. „დილექტიზმების“ გარეშე წარმოუდგენელია მეცხრამეტე საუკუნისა თუ მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა. ეს სიტყვები აკაკის, ი. გოგებაშვილის, ნ. ლომოურის, ე. ნინოშვი-

---

[1] Евгеньева А. П.. Синонимы русского языка, Словарь синонимов русского языка, т. I. Л., 1970, стр. 11.

[2] იქნებ ნასესხებ სიტყვასთან სრული სემანტიკური იგივეობის საფუძველზე გაქრა ქართული ენიდან სამსჭვალი, თუმცა ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორი სემანტიკური წონასწორობა იყო რამდენიმე საუკუნის წინ ქართულ სამსჭვალსა და ნასესხებ ლურსმანს შორის.

[3] ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 82.

ლის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა სამწერლო ლექსიკის აქტიური ერთეულებია და დასტურდება არა მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში, არამედ თვით მწერლის ენაში:

ა) კ ო პ ი ტ ი ს შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა (აკაკი);

ბ) ბევრი ამგვარი ისმოდა... ჩემს საწყალ დ ი დ დ ე დ ა მაიაზე (ნ. ლომ.);

გ) სახლს უკან ჰქონდა მოდგმული თ ხ მ ე ლ ი ს წკნელისაგან დაღობილი ფაცხა (ე. ნინ.);

დ) ჯორი ბ ი ა ს მიაბა (ნ. ლორთქ.) და ა. შ.

ზემომოყვანილი სიტყვები აქტიური ერთეულებია თანამედროვე მწერლობაშიც. ისინი შეტანილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულშიც ხშირ შემთხვევაში დიალექტურ წარმომავლობაზე მითითებით. თუ მათ, როგორც სამწერლო ლექსიკის ორგანულ ერთეულებს, მოვაშორებთ დიალექტურობის იარლიყს, ბუნებრივად დაისმის ქართულ სალიტერატურო ენაში აბსოლუტურ სინონიმთა არსებობის საკითხი და გასარკვევი დარჩება ის სემანტიკური ურთიერთობანი, რაც ამ ერთეულთა შემცველ წყვილებში არსებობს.

ამ ურთიერთობათა განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ამ რამდენიმე წლის წინ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს პ ა პ ა ს ა და ბ ა ბ უ ა ს უფლებების შესახებ. ამ სიტყვათა გამოყენების სფეროებზე დაკვირვებით დადგინდა, რომ ერთი საგნობრივი მიმართების მიუხედავად, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ისინი სავსებით ტოლფასი და ეკვივალენტური ფორმები არ არიან, რაც განაპირობებს მათი თავისუფალი ურთიერთმონაცვლეობის შეზღუდვას. რა თქმა უნდა, ბევრ წინადადებაში ისინი დაუბრკოლებლად ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი კონტექსტებიც, სადაც დასაშვებია მხოლოდ ერთი, ან მხოლოდ მეორე[1].

მსგავსი შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეცნიერული ცნების აღმნიშვნელი ტერმინი სემანტიკურად მარტივ ოდენობას წარმოადგენს, იგი ძირითადად საგნობრივ მიმართებას აღნიშნავს. მაგალითად, ბოტანიკოსისათვის ბ ი ა და კ ო მ შ ი, თ ხ მ ე ლ ა და მ უ რ ყ ა ნ ი, ი ფ ა ნ ი და კ ო პ ი ტ ი, მედიცინის მუშაკისთვის ა ბ ს ც ე ს ი და ჩ ი რ ქ გ რ ო ვ ა, პ ი რ ა მ ი დ ო ნ ი და ა მ ი დ ო პ ი რ ი ნ ი ერთი საგნობრივი მიმართების სიტყვებია და ამგვარ წყვილთაგან საჭირო ერთეულთა შერჩევაც წინააღმდეგობებთან არ არის დაკავშირებული (ანგარიში გაეწევა მხოლოდ ტერმინოლოგიაში მათ ოფიციალურ აღიარებას).

---

[1] ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება, „ლიტერატურული საქართველო“, 1970, № 30; გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1968, № 12, გვ. 126—130.

ენობრივ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები კი სემანტიკურად უფრო რთული ოდენობანია, ისინი საგნობრივ წარმოდგენებსაც შეიცავენ, რაც გარკვეული თვალსაზრისით ზღუდავს მათ ურთიერთმონაცვლეობას. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით ხელშესახებად მხატვრულ ენაში იგრძნობა. მაგალითად, კახეთის რომელიმე სოფლის ყოფის აღწერისას მწერალი კახელ გლეხს თავის ეზოში ბ ი ა ს და კ ო პ ი ტ ს ვერ დაარგვევინებს და ვერც თ ხ მ ე ლ ა ზ ე გაიყვანს იზაბელას მოსაკრეფად.

ესე იგი, ბ ი ა და კ ო მ შ ი, თ ხ მ ე ლ ა და მ უ რ ყ ა ნ ი, ი ფ ა ნ ი და კ ო პ ი ტ ი და ა. შ. მეცნიერული თვალსაზრისით ტერმინოლოგიური დუბლეტებია, სალიტერატურო ენის თვალსაზრისით კი — მსგავს ენობრივ ცნებათა აღმნიშვნელი სინონიმური წყვილები.

მაშასადამე, თუ ზოგადად, ენის განვითარების საერთო მასშტაბით დავუშვებთ აბსოლუტური სინონიმების არსებობას, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმები უნდა დავახასიათოთ როგორც თავისი ბუნებით რელატურნი[1].

[1] ამ დებულებიდან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩნია ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის „გაწმენდის" ზოგიერთი ის მოთხოვნა, რომლებიც სიტყვათა აბსოლუტური სემანტიკური იდენტურობის საფუძველზეა შემუშავებული; მაგ., მურყანი გვაქვს — თხმელა ზედმეტია, იფანი გვაქვს — კოპიტი ზედმეტია, ჯაგრცხილა გვაქვს — კვინცხა ზედმეტია და ა. შ.

ნაწილი პირველი

ლექსიკური სინონიმიკის საკითხები ძველ ქართულ სამწერლობო ენაში

სალიტერატურო ენები ევოლუციას განიცდიან, ვითარდებიან, მაგრამ მათი ცვლა-განვითარება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს. ქართულს ამ თვალსაზრისით სხვა ენებთან შედარებით ერთგვარი კონსერვატულობა ახასიათებს. „ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ქართველ ხალხს არ გამოუცვლია ტერიტორია სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, არ განუცდია ენათა შერევა, არ განუცდია უცხოური ენის ძლიერი გავლენა იმზომად, რომ კარდინალურად შეცვლილიყო წარმოთქმა. ამასთანავე გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც... მიუხედავად ამისა „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“... იმდენად განსხვავებული ლინგვისტური ოდენობებია, რომ მტკიცე საფუძველი მოგვეპოვება — ისინი სალიტერატურო ენის საფეხურებად, განვითარების ეტაპებად მივიჩნიოთ“[1].

ამ საფეხურების არსებობას, რა თქმა უნდა, განაპირობებს ქართული ენის გრამატიკულ წყობასა და მის ლექსიკურ მარაგში მომხდარი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში გარკვეული პერიოდების გამოყოფა და ძველი ქართული ლექსიკურ-სინონიმური სისტემის არსებობა მხოლოდ პირობით შეიძლება დავუშვათ, რადგანაც:

1. ძველი ქართული ლექსიკის უდიდესი ნაწილი დღესაც ცოცხალი და აქტიურია. ამ დებულების ჰეშმარიტების დადასტურებას წარმოადგენს მ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი:

„მოვისურვე გამეგო, რა ცვლილება განიცადა ქართულმა საუკუნეთა მანძილზე. ამისთვის ასეთი ცდა მოვახდინე: სანიმუშოდ სამი ნაწყვეტი ავიღე — თითო ფორმა „წამება წმიდისა შუშანიკისი“, „ამირან-დარეჯანიანი“ და „სიბრძნე სიცრუის წიგნი“. ეს ნაწყვეტები მეც წავიკითხე და კიდევ ორ მკითხველს წავაკითხე: საკმაოდ განათლე-

[1] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მთლიანობა — ოღონდ ნაირგვაროვანი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1978, № 4, გვ. 47—50.

ბულს საშუალო მკითხველს და წერაკითხვის მცოდნე გლეხს. თან დაჭნიშნე და დავთვალე გაუგებარი სიტყვები. შედეგი ასეთია: ვერ გავიგეთ:

ავტორი	მე	საშ.	გლეხმა	სულ
იაკობ ხუცესის	23	58	98	179
მოსე ხონელის	19	41	48	108
ს. ს. ორბელიანის	11	21	48	80"[1].

ხანდაზმულობა სიტყვის სიცოცხლისუნარიანობაზე უარყოფითად არ მოქმედებს. უძველეს წერილობით ძეგლებში დადასტურებული ერთეულები დღესაც განაგრძობენ აქტიურ არსებობას თანამედროვე მწერალთა თხზულებებში. ამ საკმაოდ ცნობილი ჰეშმარიტების ფონზე რატომღაც უცნაურად წარმოგვიდგება არქაიზმის ცნება. ენათმეცნიერებასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთხმად აღიარებული განმარტებით არქაიზმი მოძველებული[2] (устаревое)[3] სიტყვა ან გამოთქმაა. არქაიზმის ეს თავისთავად მარტივი განსაზღვრა შეუთავსებელია ენის, როგორც სისტემის გაგების თვალსაზრისთან.

„მოძველებული სიტყვა" ცალკე, დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. იგი გარკვეული სისტემის ნაწილია. ე. ი. იგულისხმება, რომ უნდა არსებობდეს „მოძველებული ლექსიკური მარაგი", რომელიც, თავის მხრივ, „მოძველებულ გრამატიკულ წყობასთან" ერთად უნდა განაპირობებდეს „მოძველებული ენის" არსებობას".

სიტყვათა „სიძველის" მაკონტროლებელ საშუალებას ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს. წერილობით ძეგლებში დადასტურებული ბევრი ლექსიკური ერთეული თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში მართლაც აღარ იხმარება. ამ თვალსაზრისით ისინი ძველი ენობრივი სისტემის კუთვნილებაა (და არა — „მოძველებულის", ამგვარი ენობრივი სისტემა არ არსებობს). სამწერლო ენას ამ თვალსაზრისით თავისი სპეციფიკა აქვს: ზორვა, ცრემლოვა, მგამა და ა. შ. ძველი ქართული ლექსიკის კუთვნილებაა, მაგრამ მათ წარმატებით იყენებენ ქართული მხატვრული სიტყვის თანამედროვე ოსტატები:

საბას ტაძრის წითელ ქამარს
ერთხელ კიდევ შემახედა, —
მერე მოშკლა,
არა მგამა (მ. მაჭავ.).

---

[1] მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, თბ., გვ. 349—350.

[2] რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 21.

[3] Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966, стр. 56.

მსგავს შემთხვევებში ძველი ლექსიკური ერთეულები (და არა — „მოძველებული") პოეტიზმებად გვევლინებიან და გარკვეულ სტილისტიკურ-ემოციონალურ ელფერს ანიჭებენ კონტექსტს.

შორეული წარსულის ამსახველ ნაწარმოებზე მომუშავე შემოქმედისათვის კი ძველი ლექსიკა უპირველეს ნედლეულს წარმოადგენს იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი ქსოვილის მისაღებად. ვერც ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ სიტყვებს ვუწოდებთ არქაიზმებს; „სიტყვა არქაიზმად არ ჩაითვლება, თუ იგი თავის ადგილზე, თავის ისტორიულ კონტექსტშია ნახმარი"[1].

მაშასადამე, მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამწერლო ენისთვის შეუსაბამოა მოძველებული სიტყვის, ანუ ე. წ. არქაიზმის ცნება, მაგრამ შესაძლებელია არქაიზაციის შემთხვევები, რაც მდგომარეობს ძველი სამწერლო ძეგლებისთვის ნიშანდობლივი ერთეულების უადგილოდ გამოყენებაში.

თანამედროვე მწერლობაში ძველი ქართული ლექსიკის კუთვნილებად მიჩნეული სიტყვები აქტიურობის მიხედვით ხშირად უტოლდებიან და ზოგჯერ სჭარბობენ კიდეც (წარსულის ამსახველ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ნაწარმოებებში) ეკვივალენტური მნიშვნელობის ახალწარმოქმნილ ან ახალშეძენილ ერთეულებს. ამ თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელიცაა ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში რაიმე მიჯნის დადება.

2. ლექსიკოლოგიის თეორიასა და პრაქტიკაში სინონიმურ ურთიერთობებს განიხილავენ სინქრონულ ასპექტში. სინონიმურ სისტემად წარმოგვიდგენენ რიგებს, შედგენილს მსგავსი მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულთაგან, რომელნიც ფუნქციონირებენ დროის რომელიმე განსაზღვრულ მონაკვეთში. ძველი ქართული ენა კი განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. საუკუნეების მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ამა თუ იმ საგნის, მისი ნიშან-თვისების, მოქმედების, მოვლენის და ა. შ., აღმნიშვნელი სიტყვები. სამწერლო ენა, როგორც ცნობილია, არაფერს კარგავს და ძველმა ქართულმა ხელნაწერებმაც უხვად შემოგვინახეს ერთი და იმავე ნომინატიური ფუნქციის მქონე ლექსიკური ერთეულები, ასე რომ, ხშირად ძნელი გასარკვევია, რომელი მათგანია ადრინდელი, იხმარებოდნენ თუ არა ისინი ერთი ეპოქის ფარგლებში, როდის იწყება და როდის მთავრდება მათი სინონიმური თანამშრომლობა და ა. შ.

ძველ სამწერლო ძეგლებში მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ურთიერთმონაცვლეობის ქრონოლოგიის დადგენის სირთულეზე ხშირად მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი:

---

[1] რ. ჯაფარიძე, ცისკრის ანკეტა, „ცისკარი", 1971, № 4, გვ. 124.

„საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის გამოსახატავად უძველეს ძეგლებში ტერმინი ვ ა ნ ი გვხვდება... შემდეგში ეს სიტყვა ქრება... ეს გარემოება ცხადყოფს, რომ მისი ცოცხალი არსებობისა და გავრცელების ხანა უკვე მეექვსე და მეშვიდე საუკუნეებს აღარ სცილდება და ამაზე უწინარეს ყოფილა იგი ქართლში გაბატონებული; ამრიგად ძეგლებიც, რომლებშიაც ასეთი ტერმინები გვხვდება, უცილობლად ქართული მწერლობის უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს... აღნიშნულ ხანაშივე გვხვდება ჩვენ სახლიც...

საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინებს წარმოადგენდნენ ს ა ყ ო ფ ე ლ ი და ს ა მ ყ ო ფ ი. ს ა მ ყ ო ფ ი სახლის სინონიმად აქვს ნახმარი შ. რუსთაველსაც... საცხოვრებელ ადგილსა და ნაგებობას ეწოდებოდა აგრეთვე ს ა დ გ ო მ ი და ს ა დ გ უ რ ი. ეს ტერმინები ნახმარი აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს[1].

3. ძველი სამწერლო ენის სემანტიკური საკითხების კვლევა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ხშირად ძნელი გასარკვევია, თუ რა ენობრივი ცნება გადმოიცემოდა ამა თუ იმ სიტყვით. კიდევ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს მნიშვნელობრივი მსგავსებისა თუ სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობის დადგენა ძველი სამწერლო ძეგლების კუთვნილ ლექსიკურ ერთეულთა შორის. ამ სიძნელეებზეც ხშირად მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი: „ამგვარად, ერთსა და იმავე ხანაში ერთი მხრით გვაქვს ს ა დ გ ო მ ი, მეორე მხრით ს ა დ გ უ რ ი: ცხადია, რომ ამ ორ სიტყვას შორის რაღაც განსხვავება უნდა ყოფილიყო... თუმცა ეს განსხვავება ზოგიერთ ძეგლებში მთლად არა ჩანს“[2].

ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ძველ ქართულ სინონიმურ ლექსიკაში გაერთიანება იმ ერთეულებისა, რომლებიც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისთვის ნიშანდობლივი არ არის, თუმცა აქაც გარკვეულ სიძნელეებს წავაწყდით:

. სხვა ლექსიკური ჯგუფებისგან განსხვავებით, სინონიმური ლექსიკა თავისებური სპეციფიკით ხასიათდება; ლექსიკური სინონიმია სიტყვათა შორის გარკვეულ სემანტიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს. სინონიმური საკითხების დამუშავებისას მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები წარმოდგენილნი უნდა იქნენ სინონიმურ ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ ურთიერთობას კი ძველი ქართული ლექსიკური ერთეულები ძირითადად ქმნიან იმ სიტყვებთან, რომლებიც დღესაც

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 6—9.

[2] იქვე, გვ. 7.

ცოცხალი და აქტიურია: ცრემლოობა — ტიროდა, ჯეკმა — მრავალი. მცირეა იმ წყვილთა რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ერთეულებითაა წარმოდგენილი: ხენეში — ჯერკუალი.

ძველი ქართული ლექსიკური სინონიმიკის ამგვარი პირობითი სისტემის ფონზე სრულად და რელიეფურად წარმოგვიდგება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, განვსაზღვროთ მისი წყაროები, სრულყოფილად დავახასიათოთ მისი თავისებურებანი, გავითვალისწინოთ ის ცვლილებანი, რომლებიც ამ სისტემის შემადგენელმა სინონიმურმა რიგებმა განიცადეს.

ძველი ქართული ენის სინონიმური საკითხების კვლევისას ვისარგებლეთ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებით, ძირითად სახელმძღვანელოს კი ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი" წარმოადგენდა[1], ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილ სინონიმთა დიდი უმრავლესობა ამ შრომიდანაა აღებული.

ქართულ სამწერლობო ენას ლექსიკურ სინონიმთა გამოყენებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სინონიმები დასტურდება ქართული ენის პირველსავე ეპიგრაფიკულ ძეგლებში: — შეწყალება, მეოხება, შეწევნა:

ა) შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამა-დედაჲ იოსიაჲსი ამენ[2].

ბ) ქრისტე დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის მცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხენწიე. ი ი.[3].

მშობლიური ენის სინონიმური მიკროსისტემა ოდითგან იყო სიტყვათა საიმედო საბადო ძველი ქართველი მთარგმნელებისათვის. ამ თვალსაზრისით მდიდარ მასალას იძლევა ოთხთავის უძველესი ქართული თარგმანები. ხანმეტი ლექციონარის მიხედვით მსგავსი მნიშვნელობის კონტექსტებში ერთმანეთს ენაცვლებიან.

ნუ გეშინინ, ნუ განხკრთებით:

ა) მაშინ ხრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ. (ხანმ. მ. 28_{10})[4],

ბ) ხოლო მან ხრქუა მათ: ნუ განხკრთებით. (ხანმ. მარკ. 16_6).

---

[1] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

[2] გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 26.

[3] ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 2.

[4] ა. შანიძე. ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპიური რეპროდუქცია), თბ., 1944.

ცისკარსა მსთუად, განთიად:

ა) ხოლო ერთსა მას შაბათთასა ცისკარსა მსთუად მოვიდეს საფლავსა მას. (ხანმ. ლ. 24_1),

ბ) ერთსა მას შაბათთასა მარიამ მაგდალინელი მოვიდა განთიად. (ხანმ. ი. 21_1).

იხილეს, პოვეს:

ა) ...მიხხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ ხიყო ლო- (ხანმ. ლ., 24_2).

ბ) ...პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან. (ხანმ. ლ., 24_2).

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა დასრულებულ წყვილებს წარმოგვიდგენს ხანმეტ და ჰადიშის ოთხთავთა ლექსიკურ-სინონიმიკური თვალსაზრისით შედარება[1].

ბადე, სათრომელი:

ა) ...და გამოხათრევდა — ბადესა ქუეყანად. (ხანმეტი ი., 21_7),

ბ) ...და გამოზიდვიდა სათრომელსა მას ხმელად. (ჰად.).

სამარე — საფლავი, მჩუარი — ტილო:

ა) ...პეტრეცა ...შევიდა სამარესა მას და იხილნა მჩუარნი იგი. (ხან. ი., 2_9),

ბ) მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი მდებარენი. (ჰად.).

შესამოსელი, საბრადნელი:

ა) მოირტყა შესამოსელი (ხანმეტი ი., 21_7),

ბ) მოირტყა საბრადნელი. (ჰად.).

ერთნაირ კონტექსტებში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა ურთიერთმონაცვლეობა ქმნის ძირითადად იმ ლექსიკურ-სტილისტურ განსხვავებას, რაც იგრძნობა ერთი რედაქციიდან მომდინარე და ქრონოლოგიურად ისეთ ახლომდგომ ძეგლებს შორის, როგორიცაა ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები[2].

გოდორი, სფჳრიდი:

ა) ...და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შვიდი სფჳრიდი. (პარხ., მარკ. 8_8).

ბ) ...და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შვიდი გოდორი (ჯრუჭ.).

---

[1] თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიმკის მოამბე, IV_2, თბ., 1938, გვ. 115—162.

[2] ი. იმნაიშვილი, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის, თ პიშ, ტ. IV, თბ., 1947, გვ. 158.

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს თანაბარი ოსტატობით იყენებენ როგორც ორიგინალური სასულიერო, ისე საისტორიო თხზულებების ავტორები.

იაკობ ცურტაველი

ა) განბარწყინება, განშუენება:

განაბარწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა. (139$_{22}$)[1],

ბ) გინებად, გმობად:

იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. (137$_{37}$),

გ) სადიდებელად, საქებელად:

განვაწესნეთ სახსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა. (143$_{38}$).

იოვანე საბანისძე

ა) მზაკუვარი, ეშმაკი:

მზაკუვარსა მას განმცდელსა სძლო, ეშმაკსა ლოცვითა მით. (165$_{31}$)[2].

ბ) სადგური, საბანაკე:

...არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისთაჲ. (164$_{20}$).

გ) ჰეშმარიტი, უტყუველი:

აღწერე უღირსისა გონებისა ჩემისა შეკრებული მარტჳლობაჲ ჰეშმარიტი და უტყუველი. (157$_{25}$).

გიორგი მერჩულე

ა) უგზო, მიუვალი:

და არს იგი უგზო და მიუვალ. (218$_{14}$)[3].

ბ) შენაწევრება, შემტკიცება:

ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან... და შეამტკიცნა. (205$_{37}$),

გ) ...და ჰირით, ურვით:

...და მცირედ ვენახნი ჰირით და ურვით დაუნერგვან. (218$_{23}$).

გიორგი მთაწმიდელი

ა) დიდებული, წარჩინებული:

იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთაგან და პაპათაჲთგან დიდებული და წარჩინებული. (7$_{1}$)[4].

ბ) უმანკოებით, სიწრფოებით:

---

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად დაამზადა ივანე ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

შეიწყნარნა ბერძენნი უმანკოებით და სიწრფოებით, (118_3).

გ) შრომა, რუდუნება:

მრავალი შრომაჲ და ჰირი და რუდუნებაჲ ჩუენ ზედა მოაწიეს. (117_2).

ლეონტი მროველი

ა) მაგარი, ძლიერი:

პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. (17_{15})[1].

ბ) მკეცი, პირუტყუ:

მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მკეცნი და პირუტყუნი. (17_{10}).

გ) შიში, ძრწოლა:

ყოველი ერი ხედვიდეს შიშით და ძრწოლით (122_{22}).

მაშასადამე, ლექსიკური სინონიმიკა ძირითადი საშენი მასალაა იმ მრავალსაუკუნოვანი შენობისა, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა ეწოდება.

თავი I. ძველი ქართული სამწერლოგო ენის ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი

მდიდარი და მრავალფეროვანია ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკა. მასში დალექილია სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის სხვადასხვა ზნე-ჩვეულების ამსახველი ლექსიკა. ყოველივე ეს გარკვეულ სიძნელეს ქმნის ამ ენობრივი სამყაროს სისტემატიზაციისათვის, მაგრამ ძველი მწერლობის ხასიათი თვითონვე განსაზღვრავს მისი ლექსიკური სინონიმიკის რამდენიმე თავისებურებას.

ძველი ქართული მწერლობა მთლიანობაში სარწმუნოებისთვის, სამშობლოსთვის ბრძოლის ისტორიაა. მთარგმნელთა თუ ორიგინალურ თხზულებათა ავტორთა მრწამსით, ქრისტიანობისთვის, მამულისთვის თავდადება ბრძოლაა კეთილსა და ბოროტ საწყისებს შორის. ამ შერკინების ასახვას შესაბამის ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული სიმდიდრე სჭირდებოდა და მართლაც, ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ცნებების — „კეთილი, წმიდა“, „ბოროტი, ბილწი“ არაჩვეულებრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება:

კეთილი, არზანიგი, დიდებული, კარგი, მარჯუე, ნანარი, პატივცე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

მული, პატიოსანი, საზუაობელი, სათნო, სანატრელი, საქადული, საყუარელი, საჩინო, ქველი, შესანიშნავი, შუენიერი, ცხებული, წარმართებული, წესიერი, ჯეროვანი, ჰამო...

წმიდა, განუკითხველი, განურყუნელი, განუხრწნელი, განწმედილი, ნაზიერი, ნაზირეველი, უბიწო, უბიწოდ-კრებული, უბრალო, უბრძოლველი, უგმობელი, უმანკო, უმწინკულო, უცოდველი, შეუგინებელი, შეუცოდებელი, წრფელი[1].

ბილწი, არა-წმიდა, არა-წრფელი, აუგიანი, ბიწიანი, ბიწიერი, ბუგრიანი, გლისპი, ლირბი, ლირწი, საგინელი, საგიობელი, საგმობელი, საკიცხელი, საძაგელი, საძულელი, საწუნელი, უგლიმი, უზნო, ურიდი, ურცხჳნო, უღირსი, უძღები, უჯერო, ხუესტი...

ბოროტი, ავაზაკი, ბოროტის-მყოფელი, გამომცემელი, განმცდელი, განმცემელი, გუეცი, გულ-არძნილი, გულ-მანკიერი, გულ-ძჯრი, ვერაგი, კაცთ-მოთნე, კაცის-მკელელი, კაცის-მსყიდველი, კუდ-კუეთილი, მავნებელი, მასმენალი, მაცთუნებელი, მაცთური, მაჰამებელი, მედგარი, მზაკუვარი, მკლველი, მკრეხველი, მლიქნე, მოსისხლე, მოკიცხალი, მოსმენარი, მპარავი, მტყუვარი, მცბიერი, ორგული, ორ-ენა, ორის-მეტყუელი, სახელ-ბოროტი, სიკარელი, უკეთური, შემასმენელი, შეჩუენებული, შინაგანმცემელი, ცოდვილი, ცრუ, ძჯრის-მზრახვალი, ძჯრის-მეტყუელი, ძჯრის-მკრებალი, ძჯრის-მოქმედი, ძჯრმოხსენე...

მრავალწევრიანია ბრძოლის, შერკინების აღმნიშვნელი სინონიმური რიგი:

ბრძოლა, განლაშქრება, განწყობა, ზედა-მისლვა, ზედა-მიხდომა, ზედა-შეხდომა, კუეთება, მიტევება, მომართება, მომართვა, მორკინლობა, რკინება, ღუაწლი, ლალვა, შენივთება, წყობა...

სასულიერო მწერლობის სპეციფიკური შინაარსითაა განპირობებული „სიკვდილის“ (ცვდომის, მოკვლის, დახოცვის...) და „სიცოცხლის“ (გაცოცხლების, განკურნების, მკვდრეთით აღდგომის...) აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სიმდიდრე:

სიკუდილი, აღმობერვა (სულის), აღმოტევება (სულის), აღმოწუდა (სულის), განჴდომა (სულის), აღსასრული, აღსრულება, განსლვა (სულის), განტევება (სულის), განჴუება (სულის), დაცემა, კუდომა, წარჴდომა (სულის), შესუენება...

მოკლვა, განგუმერა, დატჯნვა, დაჭოლვა, მოკუდინება, ქვის-დაკრება, წარწყმედა, შდობა, შიშთვილი...

მოსრვა, აღსპობა, აღსპოლვა, აღხოცა, განქარვება, დათქმა, დახოცა, მოლერწმნა, მოსრულება, მოწყდომა, მოწყუედა, მოხოცა, უჩინოყოფა, წარწყმედა, შემუსრვა...

---

1 შრომაში ნაჩვენებია ამა თუ იმ სინონიმურ რიგში შემავალ სიტყვათა მხოლოდ ნაწილი.

ცხოვნება, აღდგენა, განკურნება, განმრთელება, განრინება, განცხოველება, განცოცხლება, განწმედა, კუალად-მოგება, მოგება, მრთელყოფა, ცოცხალ-ყოფა, ცხორება, ჴსნა...

უამრავი ლექსიკური ერთეული მოეპოვება ძველ ქართულს ხსნის, შველა-დახმარების აღსანიშნავად:

შეწევნა, ავჟანდა, თანა-დადგომა, თანა-დგომა, კეთილის-საქმე, კეთილის-ქმნა, კეთილის-ყოფა, კეთილ-მოქმედება, კეთილობა, ლმობიერქმნა, ლხინება, მადლი, მოწლება, მოწყალება, სახეტკბილობა, ქველის-მეტყუელება, ქველის-მოქმედება, ქველის-საქმე, ქველობა, წყალობა, წყალობის-ყოფა, შუელა, შეწევნა, ცხოვნება, ხელის-ა(ღ)პყრობა, ჴსნა...

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა ფართო ასორტიმენტი ლექსიკურ ერთეულთა შერჩევის დიდ შესაძლებლობებს აძლევდა ქართველ მწიგნობრებს ადამიანის სხვადასხვა გრძნობითი ემოციის გადმოსაცემად.

განრისხება, ამრიზება, განფიცხება, განმწარება, განცოფება, განცხარება, განძჯნება, განწყრომა, განჯურვება, გულის-წყება, გულის-წყრომა, გულმოწყე-ქმნა, გულ-მწყრალ-ქმნა, მკსინვარება...

განხარება, ბედნიერება, განიშატიანება, განცხრომა, განშუება, გემოვნება, ლხინება, ლხუება, მხიარულება, ნეტარება, სანატრელობა, სიტკბო(ვ)ება, ფუფუნება, შუება, შუებულება, ჰამება...

მდიდარია მოძრაობის, ლაპარაკის, ჭამის პროცესის, წვეულება-ქეიფის აღმნიშვენლი სინონიმური რიგები:

რამდენიმე ეპოქის, ენის, სარწმუნოების სიმდიდრეა თავმოყრილი „მსხვერპლის“ აღმნიშვნელ სინონიმურ რიგში.

მსხუერპლი, განნაჩინები, ბატრუჭაკი, ვნება, ზატიკი, ზუარაკი, თავსნიერი, კრავი, მრგულიად-დასაწუველი, მრგულიად-შესაწირავი, პასექი, ნაყოფება, საზორველი, საკლველი, საკუერთხი, ტარიგი, შესაწირავი...

ოცამდე ლექსიკური ერთეული გამოიყენებოდა სიმრავლის აღსანიშნავად: ფრიადი, ა(ღ)ურაცხელი, აღუჰამრავი, ბევრი, დიდი, დიდადი, დიდძალი, მრავალი, უზომო, ურიცხუ, უხუ, ხუავრიელი, ჯეკმა...

ძველი ქართულისთვის ნიშანდობლივია გრძნეულებისა და გრძნეულის აღმნიშვნელ სიტყვათა სიუხვე: გრძნება (გრძნეულება), ზმნა, მისნვა (მისნობა), მოგუება, რთუანვა, სახრვა, ულუკება, ჩხიბვა...

გრძნეული, თერაფინი, მეწამლე, მზმნელი, მისანი, მრთუანავი, მსახვრალი, მუცლით მეზღაპრე, მჩხიბავი, ნიშთ-მზმნელი, ულუკი...

ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს წ ი თ ლ ი ს აღმნიშვნელი ლინგვოსპექტრის განსაკუთრებული მრავალფეროვნება. წითელი ფერის სხვადასხვა ნიუანსი თხუთმეტამდე სიტყვით აღინიშნებოდა:

წითელი, ენდროჲსფერი, ერვითრა, ზანდუკი, მეწამული, მეწამულის-ფერი... მწითური, მომწითურე (მომწითურო), მოწითანე (მოწითლე), ტარსიკონი, ღვიძლის-ფერი, ხსედი.

საკმაო რაოდენობით მოეპოვებოდა ძველ ქართულს ლექსიკური ერთეულები ბუნების სხვადასხვა მოვლენების გადმოსაცემად:

სიცხე, მცხინვარება, მჯურვალება (სიმჯურვალე), ხორშაკი (ხორშაკება)...

ქარი, არმური, ბღუარი, ნიავი, ნიავ-ქარი, სული...

ყინვა, ნეფხუა, სიცივე, ყინელება, კსინვა...

წარღუნა, აღქაფება, დიდროვა, რღუნა, წარმოცემა...

დაახლოებით ხუთიოდე ერთეულს შეიცავდნენ დღის სხვადასხვა მონაკვეთის აღმნიშვნელი სინონიმური რიგები:

დილა, აღსამსთობელი, განთიადი, რიჟუ-რაჟუ, ცისკარი...

დღე-საშოვალ (დღესაშუალ), დღეშუა, შუა-დღე, შუასამხარი...

მწუხრი, მიმწუხრი, საღამო, შებნელებული, შეღამებული...

ლექსიკური ერთეულებით შედარებით ღარიბია სინონიმური რიგები, რომლებიც აღნიშნავენ:

1. ადამიანის სხეულის ცალკეულ ნაწილებს

ა) ბ ე ჭ ი, მ ჯ ა რ ი:

დასდვიან ბ ე ჭ თ ა ზედა კაცთასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

დასდვიან მ ჯ ა რ თ ა ზედა კაცთასა (ძვ. ქართ. ლექს.).

ბ) ყური, სასმენელი:

...რომელი თუალმან არა იხილა და ყ უ რ ს ა არა ასმიეს. (სინ. მრ. 248_{39}),

ჴმაჲ ჭმნულ არს ს ა ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ჳს და ს ა ს მ ე ნ ე ლ ი ჴმისათჳს. (ექუს. დღ. 42_2).

თუმცა სინონიმურ რიგებს შორის გარკვეული დისპროპორცია ამ თვალსაზრისითაც არსებობდა, მაგალითად, „თვალი“ შემდეგი სიტყვებით აღინიშნებოდა: თუალი, სახედველი, სახილველი, საჩინონი (თუალნი)[1].

2. სამეურნეო იარაღს ან ტექნიკურ საშუალებას.

ა) მ ა ნ გ ა ლ ი, მ ღ უ ლ ი:

მეყსეულად მოავლინის მ ა ნ გ ა ლ ი, რამეთუ მოიწია მკაჲ. (მარკ. 4_{29})[2].

რაჟამს დამწიფდის ნაყოფი იგი, მუნქუესვე მიავლინის მ ღ უ ლ ი. (მარკ. 4_{29} C).

---

[1] იხ. ლ. გ ე ლ ე ნ ი ძ ე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში. თბ., 1974, გვ. 48—51.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.

ბ) სამსჭვალი, ლურსმანი:

...ვიხილო ჴელთა მისთა სახეი იგი სამშჭუალთაჲ. (ი. 20_{25}),

დაჰმშჭუალნეს ჴელნი და ფერჴნი მისნი მუსმრითა. (მ. სწ. 180_{26})[1].

3. ადამიანის ზოგიერთ ყოფით მოქმედებას ან სამეურნეო საქმიანობას.

ა) თიბვა, მკა:

სითბო მდელოჲ. (ძვ. ქართ. ლექს.),

განიცადენით ყორანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან. (ლ. 12_{24}).

ბ) მოსა, ცუმა:

რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინეჲ. (მ. 22_{11}),

გამოართუთ მაგას კუართი იგი წინაჲ და შთააცუთ მაგას. (ლ. 15_{22} C).

4. ადამიანის პროფესიას, ხელობას.

მურკ(ნ)ვალი, (მმურკნველი), მრცხელი:

ყოველსავე მურკვნალსა ქუეყანისასა ვერ ჴელეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად. (მარკ. 9_3 DE),

...ვითარცა მრცხელმან რაჲ შეწურის სამოსელი. (ძვ. ქართ. ლექს.).

ბ) მწდე, მევაჟინე:

ვყვენ... მწდენი მამანი და დედანი. (ძვ. ქართ. ლექს.),

სატრაპეზოს მოვიდიან ...ეგრეთვე მევაჟინენი. (ძვ. ქართ. ლექს.).

5. ზოგიერთ ცხოველს, ან ფრინველს

ა) დათუ, ბრანგუ:

ჴარი და დათუ ზოგად ძოვდენ. (ძვ. ქართ. ლექს.),

მიჴსნა მე ჴელისაგან ბრანგჳსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ბ) სირინოსი, დედაჭუავი. (ძვ. ქართ. ლექს.).

დაემკვიდრენ მას შინა ასულნი სირინოსთანი. (ძვ. ქართ. ლექს.),

დაემკვიდრენ მას შინა ასულნი დედაჭუავთანი. (ძვ. ქართ. ლექს.).

6. საგნის ნივთიერ შედგენილობას

ა) ბრპენი, ტყჳვი:

ბრპენისა ოდენ რაჲ-მე დამძიმდის? (ძვ. ქართ. ლექს.),

უფროჲს ტყჳვისა რაჲ მძიმე იყოფის? (ძვ. ქართ. ლექს.).

ბ) პილენძი, რვალი, კერმა:

---

[1] მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.

პ ი ლ ე ნ ძ ი ...განუბნია და ტაბლები იგი დაამხუა. (ძვ. ქართ. ლექს.),

დაუთხია კ ე რ მ ა ჲ და ტაბლები იგი დაუმხუა. (ძვ. ქართ. ლექს.),

დასდებდა რ ჳ ა ლ ს ა ფასის-საცავსა მას. (ძვ. ქართ. ლექს.).

ამრიგად, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკა პროდუქტია რამდენიმე ეპოქისა. ეს განსაზღვრავს მის მრავალშემადგენლიანობას. ამ მიკროსისტემაზე დაკვირვება გვიჩვენებს მის რამდენიმე თემატურ-სტრუქტურულ თავისებურებას:

1. ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკა ხასიათდება დიდი სიუხვით და მრავალფეროვნებით;

2. განსაკუთრებით მდიდარია ადამიანის სხვადასხვა თვისების, გრძნობითი ემოციების, შეწევნა-დახმარების, ბრძოლის, მოძრაობის, საუბრის, საქმლის მიღების, სიმრავლის აღმნიშვნელი სინონიმური რიგები;

3. ძველი ქართული მწერლობის სპეციფიკური შინაარსითაა განპირობებული სიკეთე-ბოროტების, სიკვდილ-სიცოცხლის, გრძნეულების, მსხვერპლთშეწირვის, წითელი ფერის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სიუხვე.

თავი II. დიალექტები — ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის მასაზრდოებელი წყარო

ენა საზოგადოების განუყრელი თანამგზავრია ჭირსა და ლხინში. იგი იზრდება, ვითარდება საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული, ტექნიკური და ა. შ. ცხოვრების დონის ზრდის კვალდაკვალ, მაგრამ ენას აქვს სპეციფიკური თავისებურება, რითაც ის კიდევ ერთხელ განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან. მისი ლექსიკური მარაგი ივსება ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების დიდი ისტორიული წარმატებების პერიოდშიც და უკიდურესი უბედობის ჟამსაც. იგი მდიდრდება მშვიდობიანი შრომისა და მშენებლობის პერიოდში შრომის, განახლების, მშენებლობის აღმნიშვნელი სიტყვებით, ივსება ისტორიული ძნელბედობის დროსაც — ნგრევის, განადგურების, აოხრება-ამოწყვეტის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით. ბუნებრივია, ივსება, ცოცხლდება, ახლდება ენის ლექსიკური მარაგის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი — სინონიმური მიკროსისტემა. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა სიუხვის წყალობით მემატიანე თანაბარი მხატვრული ოსტატობით გადმოსცემს ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვების ბედნიერ წუთებსაც და ქართლის ცხოვრების უმძიმეს მომენტებსაც. ბუნებრივია, ამ ენობრივ სიმდიდრეს აქვს თავისი წყაროები.

ლექსიკური სინონიმიკის საკითხების კვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დიალექტური მონაცემები. ენათმეცნიერთა, ლექსიკოგრაფთა საერთო აღიარებით, განვითარების ყოველ მომენტში საგრძნობია დიალექტების გამანაყოფიერებელი გავლენა სალიტერატურო ენაზე[1]. შესაბამისად, დიალექტური მასალა ყოველთვის იყო სალიტერატურო ენის სინონიმური ლექსიკის შევსების, განახლებისა და გამდიდრების წყარო. ამის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს რუსული ენის ძველი სამწერლო ძეგლები:

«С другой стороны надо указать, что текст «Русской правды» особенно в пространной редакции, содержит синонимы, т. е. одно и то же понятие выражается двумя или тремя словами. А наличие синонимов как нельзя более отчетливо свидетельствует о том, что текст «Русской правды» базируется на нескольких диалектах какого-то общего языка и суммирует разные элементы старых племенных наречий... Таким образом, наличие синонимических параллельных обозначений также доказывает, что язык «Русской правды» нельзя приурочить ни к какому месту и надо видеть в нем отражение общего языка (койне), впитавшего в себя различные древние племенные языки и наречия и послужившего основой для формирования русского литературного языка»[2].

ძველსლავური სიტყვებისა და მათი დიალექტური შესატყვისებისაგან შედგენილ სინონიმურ წყვილებს უხვად ვხვდებით XVI, XVII სს. რუსულ ლექსიკონებში. მაგალითად, ლავრენტი ზიზინი თავის შრომაში იძლევა ძველსლავური ლექსიკური ერთეულების ახსნას ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმებით (რუსული, უკრაინული, ბელორუსული სიტყვებით)[3].

ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხების დამუშავებისასაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დიალექტობრივი აგებულება თვით ძველი ქართული ენისა. მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით კი ეს უკანასკნელი რთული ოდენობაა. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ძველი ქართული ენა ითვისებდა და ამუშავებდა არა მარტო თვით ძველი ქართული ენის დიალექტურ ფორმებს, არამედ „მოძმე ენების მეგრულისა და სვანურის, მათი დიალექტებისა და მათი კილოების ენობრივ ფორმებსაც“[4]. ამ საკითხის შესახებ არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანი-

---

[1] Даль В. И., Толковый словарь живого великорусского языка, т. 1, С.-Пет.—М., 1880, стр. XXXIII.

[2] Ларин Б. А., Лекции по истории русского литературного языка, М., 1975, стр. 92.

[3] Ковалевская Е. Г., История русского литературного языка, М., 1978, стр. 111.

[4] ნ. მარი, ქართულ ენათმეცნიერებაში, ტსუშ, VI, ტფ., 1938, გვ. 315.

ძე, ვ. თოფურია...) არნ. ჩიქობავა მსჯელობს ძველი ქართული დიალექტების დამახასიათებელი ნიშნების შესახებ: „იმის მიხედვით, რაც უკვე გარკვეულია, შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ ძველ ქართულ სამწერლო ენაში წარმოდგენილი დიალექტები ზოგ რამეში არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ რიგი საერთო ძირითადი ენობრივი ნიშან-თვისებაც მოეპოვებოდათ“[1].

ძველი ქართული ენის დიალექტობრივ მრავალშემადგენლიანობაზე დაყრდნობით წარმატებით იხსნება ისეთი მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენები, როგორიცაა ხანმეტ-ჰაემეტობა, ნარედუქციალი და ურედუქციო ფორმების პარალელურად არსებობა ძველ ქართულ ხელნაწერებში და ა. შ. დიალექტები უნდა იქნეს მიჩნეული ძველი ქართული ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

ერთი და იმავე საგნის, მოქმედების, მოვლენის, საგნის, მისი ნიშან-თვისების და ა. შ. აღსანიშნავად სხვადასხვა კუთხეში წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები თანდათანობით შეჭრილან ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში და დამკვიდრებულან სინონიმურ წყვილებად:

მახე, ირემი:

ა) რაითამცა დაუდგეს მას მახე სიტყჳთა. (მ. 22_{15} C).

ბ) რაჲთა განერე... ვითა სირი ირემსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

სიცრუე, სიჩქარე:

ა) იყვენით თავებისა თქუენისა მეგობრებ ფასისაგან სიცრუჱისა (ლ. 16_{11} C),

ბ) უჩნდეს მათ სიტყუანი მათნი ვითარცა სიჩქარისანი. (ლ. 24_{11} DE).

ცხვრი, ნიკელი[2], ნიღრი, ნიჩური:

ა) ...ვითარცა საყურენი ოქროჲსანი ცხჳრსა ღორისასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ...ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) ...განილო ხრატუკი ნიღრსა მისსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) ამოაცუა გრკალი ნიჩურსა მისსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

რა თქმა უნდა, ძნელია იმის დადგენა, თუ სად, რომელ დიალექტში ეხმარებოდნენ ზემომოყვანილი სიტყვები, საერთოდ ძნელია ძველ ქართულში სინონიმურ პარალელთა გამოყოფა, რადგანაც ძველი ქართული ენის ლექსიკა რამდენიმე საუკუნის პროდუქტია, ეს კი თავისთავად განაპირობებს დიალექტურისა და ქრონოლოგიურის გამიჯვნა-განსა-

[1] Чикобава Арн. Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. იკვ, ტ. II, თბ., 1948, გვ. 273.

[2] ს.-საბასთან ეს სიტყვა „ნიკველი“ ფორმით დასტურდება. იხ. ს.-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV. თბ., 1965, გვ. 595.

ზღვრის სირთულეს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში არნ. ჩიქობავას, როცა წერდა: „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სინონიმები „უწყის“, „იცის“ ერთი დიალექტური წრის არ არის. ძველი ქართული სამწერლო ენისთვის „უწყის“ უფრო ადრინდელია, „იცის“ ენაცვლება მას და გვხვდება შედარებით უფრო გვიანდელ ძეგლებში“[1].

ძველი ქართული ენის სინონიმურ წყვილთა დიალექტური წარმოშობის დადგენას ართულებს ის გარემოებაც, რომ მსგავსი მნიშვნელობის „სიტყვათა ხმარება მარტო ერთი ტექსტით და, მაშასადამე, შესაფერისად ერთი ან რამდენიმე კუთხით არ იფარგლება“[2], მაგრამ თუ ენის ცვლა-განვითარების საერთო სურათს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგისთვის დამახასიათებელ დიალექტურ-ქრონოლოგიურ სინონიმურ დუბლეტთა წარმოშობის ზოგადი სქემა წარმოვიდგინოთ.

სალიტერატურო ენა არის მოწესრიგებული, დამუშავებული, საერთო სახალხო ენა, რომელსაც აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული და წესრიგით დამტკიცებული ნორმები[3]. სალიტერატურო ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება გარკვეულ წინააღმდეგობაში არიან. სასაუბრო ენა სწრაფად და განუწყვეტლივ იცვლება, ვითარდება. სალიტერატურო ენა კი მისი ნორმების გამო განვითარების თვალსაზრისით ერთგვარად კონსერვატულია. შესაბამისად, ცოცხალი მეტყველება და ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები რიგ შემთხვევაში საკმაოდ შორდებოდა ერთმანეთს. ძველი ქართული სასაუბრო ენა სწრაფად ვითარდებოდა, დიალექტურ ლექსიკაში განუწყვეტლივ წარმოიშობოდა ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები, ცოცხალი ენობრივი ფორმები. სამწერლო ენაში მათ დამკვიდრებას ყოველმხრივ ზღუდავდა სალიტერატურო ენის ნორმები. „ძველი ქართველი მწერლის (გადამწერის) იდეალს წარმოადგენდა სალიტერატურო ენა, მისი კონსერვატორული, ცოცხალ მეტყველებას მოწყვეტილი, მასთან დაპირისპირებული ნორმებით“[4], მაგრამ რაც უნდა ზუსტად იცავდეს გადამწერი (მწერალი) ამ ნორმებს, სალიტერატურო ენის ლექსიკას, ივი ძალაუნებურად მაინც განიცდის ცოცხალი სასაუბრო ენის გავლენას. ამ გავლენის შედეგად ძველ ტექსტებში სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეულის გვერდით ჩნდება იმავე ან მსგავსი მნიშვნელობის დიალექტური შესატყვისი.

მაშასადამე, ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთი მკვებავი წყარო დიალექტური ლექსიკაა.

---

[1] Чикобава Арн., Картвельские языки... იქვე, II, 1948, თბ., გვ. 265.

[2] ივ. ჯავახაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 21.

[3] Будагов Р. А., Литературные языки и языковые стили, М., 1967, стр. 5.

[4] ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 9.

თავი III. სიტყვაწარმოება — ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითადი მკვებავი წყარო

საზოგადოების ცხოვრების დონის განუხრელი ზრდა ქმნის ენის ლექსიკური მარაგის განუწყვეტელი შევსება-განახლების აუცილებლობას. ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში მოვლენილი ყოველი ახალი საგანი, მოვლენა, მოქმედება, ნიშან-თვისება და ა. შ. მოითხოვს სახელდებას. ცხრავლეს შემთხვევაში ეს ხდება ენის საკუთარ ბაზაზე საკუთარი ენობრივი საშუალებებით, ე. ი. საქმე გვაქვს სიტყვაწარმოებასთან.

წარმოქმნა ყოველი სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების უპირველესი საშუალებაა. „რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის შევსება-განახლების ძირითად საშუალებად ყოველთვის იყო საკუთარი სიტყვასაწარმოებელი რესურსების გამოყენება“[1]. სიტყვაწარმოების უდიდესი პოტენციალი იყო უპირველესი წინაპირობა იმისა, რომ შექმნილიყო თემატურად და ჟანრობრივად რთული და მდიდარი ძველი ქართული მწერლობა.

სადერივაციო აფიქსთა სიუხვე და მრავალფეროვნება ქართველ მწიგნობრებს შესაძლებლობას აძლევდა, დიდი სიზუსტით გადმოეღოთ ბერძნულ-ლათინური ფილოსოფიური, ლოგიკური, საღვთისმეტყველო, ტექნიკური და ა. შ. ტერმინები. სიტყვაწარმოების ეს დიდი პოტენციალი მწერლებს თუ მთარგმნელებს გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოების თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ერთ-ერთი მიზეზია ძველი ქართული ენის არაერთგვაროვნებისა და მრავალშემადგენლიანობისა[2].

ძველი ქართველი მწერლებისა თუ მთარგმნელების სიტყვაწარმოებითი თავისებურებების განხილვა სპეციალური კვლევა-ძიების საგანია. ჩვენს მიზანს კი შეადგენს ძველი ქართული ენის წარმოქმნის ძირითადი მოდელის, როგორც ენის ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრების უმთავრესი საშუალებების განხილვა.

სიტყვაწარმოება პირდაპირ კავშირშია როგორც ენის გრამატიკულ წყობასთან, ისე მის ლექსიკურ მარაგთან. სწორად შენიშნავს ვ. ვინოგრადოვი, რომ სიტყვაწარმოების ყოველი შემთხვევის ახსნა წმინდა მორფოლოგიური ცნებებით და კატეგორიებით არ ხერხდება: „თავისთავად იგულისხმება, რომ გრამატიკის მიღმა რჩება სიტყვაწარმო-

---

[1] Шмелев Д. Н., Современный русский язык (лексика), М., 1977, стр. 280.

[2] ე. გაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 230.

ებითი სინონიმიის საკითხები... მაგალითად, ტერმინოლოგიაში: резательный, резальный, резной, промывный, промывальный, промывной, промывательный ср. также промойный[1].

თუ სიტყვაწარმოების ვინოგრადოვისეული კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელებთ — მორფოლოგიური, სინტაქსურ-მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-მორფოლოგიური, სინონიმთა წარმოება ამ უკანასკნელ სახეობას (ლექსიკურ-მორფოლოგიურს) უნდა მივაკუთვნოთ.

განვიხილოთ ლექსიკურ სინონიმთა წარმოება ძველ ქართულ სამწერლო ენაში მორფოლოგიურ მაწარმოებელთა მიხედვით.

§ 1. სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული სახელები

ძველი ქართული ენის სინონიმური ლექსიკის გამდიდრების ერთერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთაგან სინონიმურ აბსტრაქტულ სახელთა წარმოება:

-ება სუფიქსით

განრყუნილ-ებ-ა, განკრწნილ-ებ-ა, საძაგელ-ებ-ა:

ა) გ ა ნ რ ყ უ ნ ი ლ ე ბ ა ს ა კაცთასა განეჰმარტენ იგინი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) გ ა ნ კ რ წ ნ ი ლ ე ბ ა ს ა შინა ისრაელ ვინ შეგეწიო? (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) არა გასწავონ შენ ქმნად ყოველთა ს ა ძ ა გ ე ლ ე ბ ა თ ა მათთა. (ძვ. ქართ. ლექს.).

მხიარულ-ებ-ა, ნეტარ-ებ-ა, შუებულ-ებ-ა:

ა) ხოლო მან მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ ი თ ჰრქუა. (ისტ. ქრესტ. 60),

ბ) არარაი ამათვანი ესწორების ნ ე ტ ა რ ე ბ ა ს ა მას მართალთასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

გ) ნუ იყოფინ ჩემდა სიმდიდრე... ნუცა შ უ ე ბ უ ლ ე ბ ა ჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

-ობა სუფიქსით

მთრვალ-ობ-ა, მეღვინე-ობ-ა, მოსუმურ-ობ-ა:

ა) ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მ თ რ ე ვ ა ლ ო ბ ი თ ა. (ლ. 21_{34}),

ბ) ბოროტ არს მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა ჲ და მაგინებელ არს სიმთრვალე. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) ევლტოდე მ ო ს უ მ უ რ ო ბ ი ს ა გ ა ნ ღვნისა. (ძვ. ქართ. ლექს.).

გლახაკ-ობ-ა, ჭირვეულ-ობ-ა:

ა) რაჲთა დააეიწყდეს გ ლ ა ხ ა კ ო ბ ა ჲ და სალმობაჲ არღარა მოეხსენოს. (ძვ. ქართ. ლექს.),

---

[1] В и н о г р а д о в В. В., Избранные труды. Исследования по русской грамматике, М., 1975, стр. 198.

ბ) აუწყებდა სიგლახაკესა მათსა და ჭირვეულობასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ძველ ქართულში სიტყვაწარმოების თვალსაზრისით -ება და -ობა სუფიქსთა გამოყენების სფეროები მტკიცედ არ იყო გამიჯნული, ამიტომაც სინონიმურ რიგში ხშირად გვხვდება ერთი და იმავე ფუძისაგან პარალელურად ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები:

მეგობარი — მეგობრ-ება — მეგობრ-ობა, მოყუასი (მოყუსი) — მოყუს-ება — მოყუს-ობა:

ა) მადლი და მეგობრებაჲ განააზნაურებს. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) უკუეთუ გნებავს მეგობრობაჲ ღმრთისაჲ, ნუ ეძიებ მეგობრობასა კაცთასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) რაჲ მოყუასება არს სიმართლისა და უშჯულოებისა? (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) განვეშორნეთ მოყუსობასა ძჯრის-მოქმედთასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმური აბსტრაქტული სახელები იწარმოება მსგავს სემანტიკურ მნიშვნელობათა მქონე უქონლობის სახელებიდანაც.

-ება სუფიქსით

უბიწო-ება, უბრალო-ება, უმანკო-ება:

ა) ყვიან... უბიწოებაჲ... და ...განშორევებაჲ ყოვლისაგან ბოროტისა. (შატბ 74_{33})[1],

ბ) დავიბანნე უბრალოებით ხელნი ჩემნი. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) მისაჯე, მე, უფალო, ...უმანკოებითა ჩემითა ჩემდამო. (ძვ. ქართ. ლექს.).

-ობა სუფიქსით

უზომ-ობა, უსაზრდელ-ობა:

ა) ვისხენით... ვითარცა მკუდარნი, დიდისა მისგან ჭირისა და უზომობისა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ჰურიაჲ იგი უსაზრდელობითა... სიკუდიდ მიიწია. (ძვ. ქართ. ლექს.).

სი-ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები

ძველ ქართულში საკმაოდ ნაყოფიერია მსგავსი სემანტიკის მქონე ლექსიკურ ერთეულთაგან სი-ე პრეფიქს-სუფიქსით აბსტრაქტულ სახელთა სინონიმური დუბლეტების წარმოება:

სი-ბილწ-ე, სი-ლირწ-ე, სი-ხენეშ-ე:

---

[1] შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს: ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

ა) ნუ მისცემ სიბილწესა მეუღლესა ამას მოწამისა შენისასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) სილირწე და ურცხვნოებაჲ ეშმაკისაჲ უფროჲს არს სილირწესა ძაღლისა. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) განევლტოდეს... უძღებებასა მისსა და სიხენეშესა. (ძვ. ქართ. ლექს.).

სი-გლახაკ-ე, სი-მკოდვ-ე, სი-საწყლ-ე:

ა) მომეწიფეს მე დღენი სიგლახაკისანი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ნუმცა ვინ იგლოვს სიმკოდვისათჳს. (ექუს. დღ. 97_{16})[1].

სი-მტკიც-ე, სი-მაგრ-ე:

და იყო სიმტკიცე და სიმაგრე მათი. (შატბ. 70_{20}).

§ 2. სინონიმური მნიშვნელობის მჭოდე უქონლობის სახელები

ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის საგრძნობ ნაწილს უქონლობის სახელები შეადგენს. სინონიმური მნიშვნელობის ლექსემებისაგან უქონლობის აღმნიშვნელ მსგავსი მნიშვნელობის წყვილთა წარმოქმნა მაწარმოებელ აფიქსთა ნაირგვარობით ხასიათდება.

-უ- პრეფიქსით

სინონიმურ წყვილებად, შედარებით იშვიათად მაგრამ მაინც, გვხვდება ოდენ უ-პრეფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელთა ფორმები.

უ-რიცხუ, უ-ხუ:

ა) და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლე ურიცხჳ. (ისტ. ქრ. 138. 20),

ბ) უხუთა წყალობითა შენითა ნუვეშინის მეც მე. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ—ო პრეფიქს-სუფიქსით

ეს წარმოება ძველი ქართულისთვის მეტად პროდუქტიულია და სინონიმური ლექსიკის შევსების ნაყოფიერ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

უ-გინც-ო, უ-სას-ო:

ა) ისმინე ხმაჲ უგინცოჲსაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მის გამო უსასო იქმნა ცნობასა მეორისასა. (ძვ. ქართ. ლექს.)

უ-რწმუნ-ო, უ-სჯულ-ო, უ-ღმრთ-ო:

ა) ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა. (ლ. 12_{46}E),

ბ) უსჯულოთა თანა შეირაცხა. (მარკ. 15_{28}C),

[1] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.

გ) არქუ მას უღმრთოსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ-ურ წარმოება

უქონლობის სახელთაგან წარმოქმნილ სინონიმურ წყვილებში უ-ურ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიც გვხვდება, წყვილის ცალად.

უ-გუნ-ურ-ი, სულელი:

ა) უტყუვეს უგუნურთა მათ. (შატბ. 359_{38}),

ბ) მოიხუნეს სულელთა მათ სანთელნი მათნი. (მ. 25_3).

უ-კეთ-ურ-ი, ბოროტი:

ა) სულითა უკეთურითა ფრიად იგუემებოდა. (შატბ. 340_{25}),

ბ) ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი. (მ. 12_{35}).

იშვიათად სინონიმური წყვილის ცალად უ-არ პრეფიქს-სუფიქსით, ნაწარმოები უქონლობის სახელებიც გვხვდება.

§ 8. სინონიმური მნიშვნელობის მქონე ძოწებრივის სახელები

სინონიმურ წყვილებს ქმნიან მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის, მქონე ლექსიკურ ერთეულთაგან ნაწარმოები ქონების სახელები.

-იან/ან სუფიქსით

მეფხან-იან-ი, მღიერ-იან-ი:

ა) ანუ მღიერიანი, ანუ მეფხანიანი არა მოიყვანეთ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) არა იყოს მის თანა... მღიერიანი ანუ მეფხანიანი. (ძვ. ქართ. ლექს.).

-ოვან სუფიქსით,

ფივლ-ოვან-ი, მდელ-ოვან-ი, მწუანვილ-ოვან-ი:

ა) იყო დიდად თივლოვანდაბილი იგი. (ი. 6_{10}C),

ბ) მდელოვანად ველად გავიდა. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) გამოჩნდა ველი მწუანვილოვანი. (ძვ. ქართ. ლექს.).

-იერ სუფიქსით

შესაბამის ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულებთან სინონიმურ უერთიერთობაში არიან -იერ სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელებიც.

ბრძენი, გონ-იერი:

ა) ემსგავსოს იგი კაცსა ბრძენსა. (მ. 7_{24} Ç),

ბ) ვინმე უკუე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და გონიერი, (მ. 24_{45} C).

სინონიმურ წყვილებს ქმნის სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელები.

ბიწ-იერ-ი, ბუგრ-იან-ი:

ა) შეგინებულნი და ბ ი წ ი ე რ ნ ი იშუებენ სიყუარულსა შინა მათსა. (ძვ. ქარ. ლ.),

ბ) უკუეთუ შუეს ძე ბ უ გ რ ი ა ნ ი, დამათხეველი სისხლისა. ძვ. ქართ. ლექს.).

წამლ-ეან-ი, გესლ-ოვან-ი:

ა) უპყრობდა იგი ხელითა... ყოველთა მათ ქუეწარმავალთა წ ა მ ლ ე ა ნ თ ა. (ძვ. ქ. ლ.),

ბ) რამეთუ გ ე ს ლ ო ვ ა ნ მ ა ნ ამან აჩინა კუალი თვისი. (შატბ. 103_{11}).

§ 4. მიმღეობური ლექსიკა ძველ ქართულ სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითად ნაწილს მიმღეობური წარმოება ქმნის. ჩვეულებრივ, მსგავსი მნიშვნელობის ზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოები მიმღეობური ფორმები სინონიმურ წყვილებს ქმნიან.

აღსრულება, გარდაცუალება, კუდომა — აღსრულებ-ულ-ი, გარდაცუალებ-ულ-ი, მ-კუდ-არ-ი:

ა) პეტრე... იგივე წესი იპყრა, ვითარცა მისსა წინა ა ღ ს რ უ ლ ე ბ უ ლ თ ა მთავარეპისკოპოსთა. (მამ. ცხ. 108_4)[1],

ბ) გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ უ ლ იყუნეს შჳდნი იგი წმიდათა მათგანნი.. (მამ. ცხ. 270_{26}),

გ) ჰგონებდეს, ვითარმედ პოონ იგი მ კ უ დ ა რ ი. (მამ. ცხ. 17_{21}).

ქართულ მიმღეობათა წარმოების მრავალფეროვნება ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იქნა შენიშნული. ანტონ კათალიკოსმა მიმღეობის 12 მაწარმოებელი გამოჰყო.

„ნიშანნი მიმღებისანი არიან: 1, ელი, 2, ლი, 3; ედი, 4, დი, 5, მმ, 6, რი, 7, არი, 8, არე, 9, უარე, 10, ლი, 11, ლე, 12, ული“[2].

ანტონის ზემომოყვანილი დებულება რამდენიმე შესწორებას საჭიროებს:

1. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი მას უველგან სუფიქსისეულ ხმოვნად მიუჩნევია;

2. ქართული ენისთვის უცხოა მმ-პრეფიქსი;

---

[1] გამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ ჭ ე ლ ი ძ ე მ ა, თბ., 1975.

[2] ა ნ ტ ო ნ ი I, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1885, გვ. 203.

3. ქართულ ენაში არ დასტურდება -უარე, -ლე სუფიქსები მიმღეობის მაწარმოებლად.

ძველ ქართულ ენაში მიმღეობებს აწარმოებენ მ-, მა-, მე-, მო-, ნა-, სა-პრეფიქსები და -არ, -არე, -ე, -ედ, -ელ, -ილ, -ულ(ურ), -ო სუფიქსები.

მიმღეობური მაწარმოებლების ამ სიუხვეს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანებით და ძველ ქართულ სამწერლო ენაზე დიალექტების გავლენით ხსნიან: „არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობების ფორმებში"[1]. ცხადია, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიმღეობური მაწარმოებლები ზემომოყვანილი ფორმისა და რიგის მიხედვით არ იყვნენ წარმოდგენილნი. ზოგი მათგანი უხსოვარი დროიდან იხმარებოდა ენაში, ზოგი გვიან გაჩნდა, ზოგი დაიკარგა, ზოგმაც გარკვეული ცვლილება განიცადა.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემის აგებაში მონაწილეობს ყველა გვარისა და დროის მიმღეობა.

მოქმედებითი გვარის მიმღეობანი

მოქმედებითი გვარის მიმღეობათა ძირითად მაწარმოებლად მ- პრეფიქსი მიიჩნევა. ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით სინონიმურ წყვილებს საკმაოდ ხშირად ქმნიან მოქმედებითი გვარის მიმღეობათა ოდენ მ- პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები.

მ-რთუანავ-ი, მ-ჩხიბავ-ი:

ა) არა იპოვოს შენ შორის... მ რ თ უ ა ნ ა ვ ი რ თ უ ა ნ ე ა ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) რაჲსათვის ჰხედავთ, ვითარცა ღმერთსა მ ჩ ხ ი ბ ა ვ ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმურ სისტემაში მონაწილეობს ოდენ მო- პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის მიმღეობური ფორმებიც.

მო-მკალ-ი მთიბელი:

ა) ჟამსა მკისასა უბრძანო მ ო მ კ ა ლ თ ა მათ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) იყუნენ... ვითარცა თივაჲ უკუანა მ თ ი ბ ე ლ ი ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.).

მო-დგამ-ი, თანა-მყოფი:

ა) ...სხუანნი მ ო დ გ ა მ ნ ი თქუენნი, რომელ განწესებულ არიან ასურასტანელთა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) და იყო დანიელ თ ა ნ ა-მ ყ ო ფ მეფისა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ზემომოყვანილ მიმღეობურ ფორმებში დადასტურებულ ო ხმოვ-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 569.

ნის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ე. ოსიძე მას ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებულად თვლის: „ო ზმნის მაწარმოებელ პრეფიქსად არ გვაქვს ქართულში და საერთოდ ო ხმოვანი, როგორც პრეფიქსი, ბევრ შემთხვევაში მეორეულია და ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული“[1].

ა. შანიძის აზრით, „მომკალში“ მიმღეობის მაწარმოებლად მო- პრეფიქსი გვეელინება: „მომკალი“ დღევანდელ საწარმოებელ საშუალებათა მიხედვით ასე დაიშლება: მო-მკ-ალ-ი, მაგრამ ისტორიულად -ალ ფუძეს უნდა ეკუთვნოდეს. თუ ვარაუდი სწორია, მიმღეობის მაწარმოებლად მარტო მო- რჩება“[2].

ამ ვარაუდის სისწორეს ადასტურებს ფორმა „მოდგამი“, სადაც მიმღეობის მაწარმოებლად ოდენ მო- პრეფიქსი გვეელინება.

ძველი ქართულის სინონიმურ სისტემაში შემავალ მოქმედებითი გვარის მიმღეობათა წარმოების უმთავრესი ხვედრითი წონა მ-ელ პრეფიქს-სუფიქსზე მოდის.

მ-თერძვ-ელ-ი, მ-თესვ-ელ-ი:

ა) ვითარცა... მჴნველი და მ თ ე რ ძ ვ ე ლ ი ეგრჱთ მოუჴედ მას. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ვითარცა მჴნველი და მ თ ე ს ვ ე ლ ი მიეახლე მისა მიმართ. (ძვ. ქართ. ლექ.).

მ-რცხ-ელ-ი, მ-მურკნვ-ელ-ი:

ა) შემოვალს... ვითარცა მდელოსა მ რ ც ხ ე ლ თ ა ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) დადგა... შორის გზასა აგარაკისა მ მ უ რ კ ნ ვ ე ლ ი ს ა ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.).

მოქმედებითი გვარის მიმღეობათა ამგვარ წარმოებაში მ- პრეფიქსს ზოგჯერ ა ხმოვანი მოსდევს.

მა-ენებ-ელ-ი, მა-ცთუნებ-ელ-ი, მა-ჰამებ-ელ-ი, შე-მა-სმენ-ელ-ი:

ა) მივსცე იგი ჴელთა მ ა ვ ნ ე ბ ე ლ თ ა შენთასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მოვიხსენეთ, რამეთუ მან მ ა ც თ უ ნ ე ბ ე ლ მ ა ნ თქუა. (მ. 27_{63} C),

გ) იყენენ პირსა მ ა ჰ ა მ ე ბ ე ლ ძლიერთა. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) არს შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავით. (ძვ. ქართ. ლექს.),

ქართულში ა- პრეფიქსი საარვისო ქცევის მაწარმოებელია და ზემოთ მოყვანილი მიმღეობებიც ზმნის საარვისო ქცევის ფორმიდან უნდა იყოს მიღებული. ზემოგანხილული წარმოების გეერდით ძველსავე ქარ-

---

[1] ე. ო ს ი ძ ე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუშ, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 190.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 590.

თულში დასტურდება შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის მიმღეობის ერთსა და იმავე ფორმაში მ- პრეფიქსს ა ხმოვანი ხან მოსდევს და ხან არა (შე-მ-სხმ-ელ-ი, შე-მა-სხმ-ელ-ი). ამ მოვლენის ასახსნელად ისევ ძველ ქართულ დიალექტებს უნდა მივმართოთ. სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ძველი ქართული ენის კილოები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ რედუქციის თვალსაზრისითაც[1]. დიალექტთა ერთი ნაწილი უმეტესად შეკუმშულ ფორმებს ხმარობდა. ამ კილოებმა დაამკვიდრეს ძველ სამწერლო ქართულში მიმღეობის „შემსხმელ“ ტიპი, დიალექტთა მეორე ნაწილში მეტწილად ურედუქციო ფორმები იხმარებოდა, ამ კილოების შემონატანია ძველ ხელნაწერებში დადასტურებული „მაკეთებელ, შემასხმელ“ ფორმები.

სინონიმურ წყვილებს არც თუ იშვიათად ქმნიან მ-არ პრეფიქსუფიქსიანი ფორმები.

ვნებითი გვარის მიმღეობანი

ვნებითი გვარის მიმღეობანი ძველ ქართულში მიმღეობური აფიქსების სიუხვითა და წარმოების მრავალგვარობით ხასიათდება. გვხვდება პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობანი. წარმოების ეს დიდი შესაძლებლობა თავისთავად განაპირობებს ვნებითი გვარის მიმღეობათა ფორმების ფართო გამოყენებას ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში. განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობს წყვილთა წარმოებაში -ილ და -ულ სუფიქსიანი მიმღეობური ფორმები:

დავრდომ-**ილ**-ი, დაჯსნ-**ილ**-ი:

ა) სიდედრი სიმონისი დ ა ე რ დ ო მ ი ლ იყო. მჯურვალებითა. (მარკ. 1_{30}),

ბ) მოართუეს მას დ ა ჯ ს ნ ი ლ ი ერთი, რომელ იდვა ცხედარსა ზედა. (მ. 9_2 C).

განრისხებ-**ულ**-ი, ამრიზებ-**ულ**-ი, განცოფებ-**ულ**-ი, განძჭნებ-**ულ**-ი:

ა) შეიცვალნიან იგინი ლომის სახედ... და პილოსა ა მ რ ი ზ ე ბ უ ლ ი ს ა. (მამ, ცხ. 202_{43}),

ბ) აღიძრა სულითა თჳსითა ვითარცა გ ა ნ რ ი ს ხ ე ბ უ ლ ი. (ლ. $1:1_{36}$ C),

გ) მრავალგზის ეშმაკნი აზრახდიან, გ ა ნ ც ო ფ ე ბ უ ლ ი თ ა მათ პირითა. (მამ. ცხორ. 307_{37}),

დ) რომელმან ოხერი სული და გ ა ნ ძ ჭ ნ ე ბ უ ლ ი უღროდ მოაქციე. (ძვ. ქარ. ლ.).

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, წელიწდეული, I—II, ტფ., 1923—24, გვ. 11; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, სმაჯ, ტ. 3, № 3, 1942, გვ. 299; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იქე, I, თბ., 1946, გვ. 64.

ნა- პრეფიქსიანი წარსულდროიანი მიმღეობური ფორმები წყვილში უსუფიქსებოდაც გვხვდება და სუფიქსებითაც.

ნა-ბოძვ-არ-ი, ნა-გებ-ი:

ა) ჰსუემდით ღჳნოსა ნ ა გ ე ბ ს ა მათთასა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ვსჭამ პურსა ნ ა ბ ო ძ ვ ა რ ს ა ღმრთისასა (ძვ. ქართ. ლექს.).

„უნიშნო ვნებითთაგან" ნაწარმოები მიმღეობები, ჩვეულებრივ, მ-არ აფიქსებით დასტურდება.

მო-მ-კუდ-არ-ნ-ი, მო-მ-წყდ-არ-ნ-ი:

ა) შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მ კ უ დ ა რ ნ ი. (მ. 28_4),

ბ) იყვნეს მ ო მ წ უ დ ა რ ნ ი მათნი, რომელნი მოსწყვიდნა სამფსონ. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმურ ურთიერთობაში მონაწილე მომავალდროიან მიმღეობათა ძირითად მაწარმოებელს სა- პრეფიქსი წარმოადგენს.

სა-ფლავ-ი, სა-მარხავ-ი:

ა) ქრისტე ამაღლდა... და წმიდასა ს ა ფ ლ ა ვ ს ა დაიდვა. (ჭილ-ეტრ. 118),

ბ) დაჰმარხეს იგი ჩემსა მას ახალსა ს ა მ ა რ ხ ო ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.).

უმრავლეს შემთხვევაში სა- პრეფიქსს -ელ სუფიქსი ახლავს.

სა-გუემ-ელ-ი, სა-ტანჯვ-ელ-ი:

ა) ძაძისა სამოსელი მცირედღა შეერაცხა ს ა გ უ ე მ ე ლ ა დ? (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) წარვიდენ ესენი ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ს ა საუკუნესა. (მ. 25_{46}).

არც თუ იშვიათად სემანტიკურ მოცულობათა მსგავსებას ავლენენ სა-ე, სა-ო პრეფიქს-სუფიქსებით წარმოებული მიმღეობანი.

სა-ფას-ე, სა-უნჯ-ე:

ა) იპოვნემსცა ყოველნი საქადულნი ს ა ფ ა ს ე თ ა ნ ი უნდო. (შატბ. 67_5),

ბ) დაგკრძალა ს ა უ ნ ჯ ე ს ა უკუდავებისასა. (ჭილ-ეტრ. 120).

სა-ბუ-ო, სა-მშჯავრ-ო:

ა) ს ა ბ უ ო ს ა დაუდებდი თავსა შენსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ოდეს იგინი წარადგინენ საშინელსა მას ს ა მ ს ჯ ა ვ რ ო ს ა. (ძვ. ქართ. ლექს.).

შედარებით იშვიათად სინონიმური წყვილის ცალად გვხვდება სა-ურ მაწარმოებლიანი ფორმებიც.

სა-ცთ-ურ-ი, საფრჴე:

ა) სიბრძნეჲ პურიათა ექმნა ს ა ც თ უ რ. (ჭილ-ეტრ. 120),

ბ) ვითარცა ს ა ფ რ ჴ ე მოუხდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა. (ლ. 31_{35}).

საშუალი გვარის მიმღეობანი

მიმღეობათა მ- პრეფიქსიანი წარმოება ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ძველისძველი ვითარების ამსახველადაა მიჩნეული[1]. ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვითაც სინონიმებად ხშირად დასტურდება საშუალი გვარის მიმღეობათა ოდენპრეფიქსული ფორმები.

მ-დრტჳნავ-ი, მ-ჩივან-ი:

ა) ნუმცა ვინ თქუენგანი არს ურჩ და მ დ რ ტ ჳ ნ ა ვ. (მ. სწ. 243_{10}),

ბ) მონაზონი ურჩი და მ ჩ ი ვ ა ნ ი ფრიად მავნებელ არს. (ძვ. ქართ. ლექს.).

ზოგიერთ შემთხვევაში სინონიმურ წყვილში შემავალი მიმღეობის მაწარმოებელ მ- პრეფიქსს ხმოვნები მოსდევს.

მა-ვალ-ი, მრორინე:

ა) ...ვითარცა იხილეს იგი მ ა ვ ა ლ ი ზღუასა ზედა. (მარკ. 6_{49}),

ბ) უკუეთუ ესე ადგილისა მ რ ო რ ი ნ ე ნ ი მონაზონნი მოვიდოდინ. (ძვ. ქართ. ლექს.).

მე-ორძ-ი, მოზარდი:

ა) კეთილად მ ე ო რ ძ ი ნერგი განხერხა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მეორე ამათგანი არს მ ო ზ ა რ დ ი. (ძვ. ქართ. ლექს.).

მე-ოტ-ი, ვლტოლ(ვ)ილი:

ა) ნუ განვალნ მ ე ო ტ ი ქალაქისა ამისგან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მთავარნი შენნი ვ ლ ტ ო ლ ვ ი ლ არიან. (ძვ. ქართ. ლექს.).

ძველისძველი წარმოშობისაა მ-არ აფიქსებით ნაწარმოები ფორმებით მიღებული წყვილებიც[2].

მ-ყჳრ-ალ(არ)-ი, მ-ჴჳობ-არ-ი:

ა) ვითარცა ლომი მ ყ ჳ რ ა ლ ი ეძიებს. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) იხილა ჟღავილი და მტირალნი და მ ჴ ჳ ო ბ ა რ ნ ი. (მარკ. 12_{20}).

ძველი ქართული ენის სინონიმურ სისტემაში შემავალ საშუალო გვარის მიმღეობათა უმთავრეს ნაწილს მ-არე, მ-ე, მე-ე, მო-ე პრეფიქს-სუფიქსებით წარმოქმნილი ფორმები ქმნის.

მ-კუმოლე-არე, მ-ბდჳნე-არე:

ა) პატრუქი მ კ უ მ ო ლ ვ ა რ ე არა დაშრიტოს. (მ. 12_{20}),

ბ) პატრუქი მ ბ დ ჳ ნ ვ ა რ ე არა დაშრიტოს. (ძვ. ქართ. ლექს.).

მ-რ-ე, მ-ძლ-ე:

ა) მ რ ე ვეყავ მას. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ვიდრემდის გამოიღის მ ძ ლ ე დ სასჯელი. (მ. 12_{20}).

მო-ძულ-ე, მო-ძაგ-ე:

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 126.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 576.

ა) ...ჴელისაგან ყოველთა მ ო ძ უ ლ ე თ ა ჩუენთაჲთა. (ლ. 1_{71}),

ბ) ჯერ არს, რაჲთა იყოს... მათა ფრიად მ ო ძ ა გ ე. (ძვ. ქართ. ლექს.).

მსგავს მნიშვნელობათა აღნიშვნაში მონაწილეობენ -ად სუფიქსიანი შესაძლებლობის გამომხატველი მიმღეობანიც.

აღორძინებ-ად-ი, წარმატებ-ად-ი:

ა) ძმანო, ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა დ ნ ო და წ ა რ მ ა ტ ე ბ ა დ ნ ო. (ძვ. ქართ. ლექს.).

განხრწნ-ად-ი, წარწყმედ-ად-ი:

ა) გ ა ნ ხ რ წ ნ ა დ მ ა ნ ჯორცმან დაამძიმის სული. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ნათესავი წ ა რ წ ყ მ ე დ ა დ ი არს განზრახვითა. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ი მ ღ ე ო ბ ა ნ ი

უარყოფით მიმღეობებს დიდი ადგილი უჭირავს ძველი ქართული ენის სინონიმურ სისტემაში. მათი ძირითადი მაწარმოებელია უ- პრეფიქსი.

უ-რიდ-ი, უ-ძლებ-ი:

ა) რად მიჰხედე... უ რ ი დ ი თ ა თუალითა? (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) რომელმან თუალთა მიერ უ ძ ღ ე ბ თ ა მიხედნეს, იმრუშებს. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ-რჩ-ი, უ-სმ-ი:

ა) განვიდეს უ რ ჩ ნ ი გონებითა მართალთაჲთა. (ლ. 1_{17}),

ბ) ვიქმენ მე ვითარცა კაცი უ ს მ ი. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) ერსა მას ექმნა გული უ ს მ და უ რ ჩ. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმური მიკროსისტემის მონაწილე უარყოფით მიმღეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას უ-ელ აფიქსები აწარმოებს.

და-უ-დგრომ-ელ-ი, და-უ-ყენებ-ელ-ი:

ა) ბუნებაჲსე ჩუენი განხრწნადი დ ა უ დ გ რ ო მ ე ლ არს. (შატბ. 103_{22}),

ბ) მოძრაჲ იგი მარადის... დ ა უ ყ ე ნ ე ბ ე ლ არს წარმატებაღ. (შატბ. 103_{25}).

უ-ხრწნ-ელ-ი, შე-უ-გინებ-ელ-ი:

ა) უ ხ რ წ ნ ე ლ ი სული არს ყოველსა შინა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მოიპოვე შენდა ცხორებაჲ უბიწოჲ და შ ე უ გ ი ნ ე ბ ე ლ ი. (ძვ. ქართ. ლექს.).

მსგავსი მნიშვნელობის სემანტიკურ მოცულობებს ქმნიან უ-ო პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობები.

უ-რცხჳნ-ო, უ-ჯერ-ო, უ-წეს-ო:

ა) ძაღლნი არიან უ რ ც ხ ჳ ნ ო ნ ი გულითა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ამას უწესოდ არა უქმნიეს. (ლ. 23_{41}),

გ) უჯერო მიჩს მოძღუანებაჲ პყრობილისაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ-ნდ-ო, უ-სარგებლ-ო:

ა) მმოსიეს მე უნდოდ ესე სამოსელი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მრავალი შრომაჲ და ყუედრებაჲ უსარგებლოდ ჰეშმარიტად შემემთხუევის ჩუენ. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმური წყვილის ცალად გვხვდება აგრეთვე უ-არ, უ-ურ მაწარმოებლიანი მიმღეობური ფორმები.

უ-მეც-არ-ი, უცები:

იყვნეს უცებ და უმეცარ საშჯელსა და ბჭობასა შჯულისასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

უ-პოვ-არ-ი, გლახაკი:

ა) გლახაკთა მათ და უპუართა ენატრებინ წყლითაცა განძღომაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) შესაძლებელ იყო განსყიდად ესე და მიცემად გლახაკთა. (მ. 26_{9}).

უ-გუნ-ურ-ი, უგულისხმო:

ა) უგუნურნო, ...რომელმან იგი გარეშე შექმნა, მანცა შინაგანი შექმნა (ლ. 11_{40}),

ბ) ესმოდენ ესე ერსა, ცოფსა და უგულისხმოსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

თანამედროვე ქართულისთვის ჩვეულებრივია უარყოფით მიმღეობათა აღწერითი წარმოება (არმცოდნე, არნახული). ეს წარმოება ქართული ენის შორეულ წარსულში იღებს ფესვებს. ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით საკმაოდ ნაყოფიერია უარყოფითი მიმღეობების ამგვარ ფორმათა მონაწილეობა სინონიმურ წყვილებში.

არა-განრყუნილი, განუხრწნელი:

ა) მოართუეს შჯდი ძარღჳ ნედლი, რომელი არა-განრყუნილ იყო. (ძვ. ქ. ლ.).

ბ) მოართუნეს... შჯდნი ძარღუნი ნედლნი განუხრწნელნი. (ძვ. ქართ. ლექს.).

არა-გარდამაქცეველი, უცვალებელი:

ა) იქმნა მოძრავი არა-გარდამაქცეველ და უძრავი-შემცვალებელ. (ძვ.ქართ. ლექს.).

ბ) უცვალებელ არს ღმრთეებაჲ იგი. (ძვ. ქართ. ლექს.).

მაშასადამე, ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური მიკროსისტემის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიმღეობურ წარმოებას.

§ 5. ნასახელარი ზმნები ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში

ქართულ ენას არაზმნური ძირებისაგან სიტყვაწარმოების დიდი შესაძლებლობა აქვს. „ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეუძლია სახელის ფუძისაგან ისეთი ნაირნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორიც ქართულში გვაქვს“[1]. პროდუქტიულობის მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერია სახელური ძირებისაგან ზმნათა წარმოება[2]. შესაბამისად, მსგავსი მნიშვნელობის სახელთაგან წარმოქმნილი ზმნები ავსებენ და ამდიდრებენ ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ ინვენტარს.

და-ვან-ება, და-ბანაკ-ება, და-ბუდ-ება, და-კარვ-ება:

ა) დ ა ვ ი ვ ა ნ ო თ მუნ ღამეს შინა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) დ ა ი ბ ა ნ ა კ ა უდაბნოსა მას. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) მფრინველთა ცისათა დ ა ი ბ უ დ ე ს რტოთა მისთა. (ლ. 13),

დ) გამოსავალთა მისთა ზედა დ ა ი კ ა რ ვ ო ს. (ძვ. ქართ. ლექს.).

მეუფ-ება, მეფ-ობა, უფლ-ება, ჴელმწიფ-ება:

ა) მ ე უ ფ ე ბ დ ე ს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ. (ლ. 19_{33}),

ბ) არქელაზი მ ე ფ ო ბ ს ჰურიასტანსა ზედა ჰეროდეს წილ. (მ. 2_{22}),

გ) მთავარნი წარმართთანი უ ფ ლ ე ბ ე დ მათ ზედა. (ლ. 22_{25}),

დ) დიდ-დიდნი ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ე დ მათ ზედა. (მ. 20_{25}).

მსგავსი მნიშვნელობის ზედსართავთაგან წარმოქმნილი სინონიმური ზმნები.

გან-მტკიც-ება, გან-მაგრ-ება, გან-ძლიერ-ება, გან-მჯნ-ობა, გან-ძნელ-ება:

ა) ...შენ ოდესმე მიიქცე და გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ნ ე ძმანი შენნი. (ლ. 22_{38}),

ბ) გ ა ნ მ ჯ ნ ი თ და იქმნენით ძე ძლიერების. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) მღდელნი აკურთხევდით, რომელმან გ ა ნ ა ძ რ ი ე ლ ა იგი. (ცილ-ეტრ. 29.),

დ) ...გ ა ნ ი ძ ნ ე ლ ო ს სიმაღლჱ იგი სიმტკიცისა მისისაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

გან-მწარ-ება, გან-ფიცხ-ება, გან-ცოფ-ება, გან-ცხარ-ება:

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ჰეგელ, I, 031.

[2] ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 94—113.

ა) მიგავლინო შენ სახლისა მის ისრაელისა... რომელთა განმაწარეს მე. (ეზეკ. 2_3 C)[1].

ბ) განფიცხნა ყოველი კაცი მეცნიერებისაგან. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) მეყსეულად განცხარდა ჰეროდე. (ძვ. ქართ. ლექს.).

მსგავსი მნიშვნელობის მქონე მიმღეობათაგან ნაწარმოები სინონიმური ზმნები

მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ზმნათა სინონიმური წყვილის საწარმოებლად გამოყენებულია ყველა გვარისა და დროის მიმღეობათა ფორმები.

მოქმედებითი გვარის მიმღეობანი

მაქებლ-ობა, (დიდების) მეტყუელ-ება:

ა) იმაქებლა დებორამან და ბარაკმან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ანგელოზნი... დიდებისმეტყუელებენ ღმერთსა. (ძვ. ქართ. ლექს.).

მფლობელ-ობა, მძლავრ-ობა:

ა) მტერნი ერთა შენთანი მფლობელობდეს მათ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) დავრდომილსა: და გლახაკსა ჰმძლავრობდა. (ეზეკ. 18_{12} C

ვნებითი გვარის მიმღეობანი

დავრდომილ-ება, უპოვარ-ება:

ა) უკუეთუ დავრდომილობდეს ძმაჲ შენი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) უკუეთუ უპოვარებდეს კაცი იგი. (ძვ. ქართ. ლექს.).

აღ-საბურველ-ება, გან-შიშულ-ება:

ა) აღგესაბურველნეს უკუანა კერძონი შენნი განსაქიქებელად. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) განაშიშულნეს ჯორცნი შეგინებად და სარცხჳნელად. (ძვ. ქართ. ლექს.).

ვნებითი და საშუალო გვარის მიმღეობანი

მესულებ-ობა, მთრვალ-ობა:

ა) ანკანაკობს, ღჳნით მესულებობს. (ძვ. ქართ. ლექს.),

---

[1] ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

ბ) სთროდა, მთრვალობითა მით სიფრთხილისადთა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ფორმაუცვლელ სიტყვათაგან ნაწარმოები ზმნები

მსგავს სემანტიკურ მნიშვნელობათა მქონე ზმნური ერთეულების წყვილთა წარმოებაში არც თუ იშვიათად ფორმაუცვლელი სიტყვებიც მონაწილეობს.

ზმნიზედები

მი-ახლ-ება, მიწევნა:
ა) ვითარ მიეახლა სიცხესა მას. (ძვ. ქართ. ლექს.),
ბ) ვითარ მიიწია სიტფოსა მას. (ძვ. ქართ. ლექს.).
გან-შორ-ება, განყენება:
ა) განეშორა მისგან ძალი მისი. (ძვ. ქართ. ლექს.),
ბ) განეყენა ძალი მისგან მისი. (ძვ. ქართ. ლექს.).

ზმნისწინები

გამო-წიალ-ება, გამოღება:
ა) გამოაწიაღა მწყერ-მარჯილი ზღვით (ძვ. ქართ. ლექს.),
ბ) გამოიღო მწყერ-მარჯილი ზღვთ. (ძვ. ქართ. ლექს.).
შთამო-ქუევ-ება, გარდამოვარდნა:
ა) შთამოქუევდა საყდრისაგან მეფობისა მისისა. (ძვ. ქართ. ლექს.),
ბ) გარდამოვარდა მეფობისა მისისაგან და საყდრისაგან თჳსისა (ძვ. ქ. ლ.).

ე. ი. ძველი ქართული სამწერლო ენის სინონიმურ სისტემაში გარკვეული ადგილი უჭირავს არაზმნური ძირებისაგან ზმნურ სიტყვაწარმოებას.

§ 6. კომპოზიციური წარმოება ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში

კომპოზიცია სიტყვაქმნადობის ის ხელსაყრელი და საიმედო საშუალება იყო, რომელსაც ნებისმიერ მომენტში მიმართავდნენ ძველი ქართველი ავტორ-მთარგმნელები. ამიტომაც არის, რომ ძველი ქართული სამწერლო ძეგლები მდიდარია კომპოზიციური მასალით. აქ თხზვის ყოველგვარ სახეს ვხვდებით, მაგრამ რატომღაც სინონიმურ წყვილებად შედარებით იშვიათად გვეელინებიან ფუძის მარტივი გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები.

კაცად-კაცადი, თავად-თავადი:

ა) მოუწოდა კაცად-კაცადსა თანა-მდებსა უფლისა თჳსისაჲ. (ლ. 16₅),

ბ) ითხოვდა... ხარკსა, რომელი ზედა-ედვა ჩუელებისაებრ თავად-თავადისა მათისა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ფერად-ფერადი, პირად-პირადი:

ა) ვიმკვებით ფერად-ფერადითა სამკაულითა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ)განკურნა მრავალნი სხეულნი პირად-პირადთაგან სენთა. (ძვ. ქართ. ლექს.).

მცირედ-მცირედი, კნინ-კნინი:

ა) მცირედ-მცირედითა ტანჯვითა აღგასრულო შენ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) თესლიცა იგი მისი კნინ-კნინითა აღვჴოცო. (ძვ. ქართ. ლექს.).

ხშირია შემთხვევები, როცა სინონიმები ერთიანდებიან ტოლად-შერწყმულ კომპოზიტებად. ასეთი თხზული სიტყვები თავის მხრივ მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებთან ქმნიან სინონიმურ წყვილებს.

დედამძუძე, მგრკვნველი:

ა) ვითარცა აღიჭს დედამძუძემან მწოვარი ჩჩჳლი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ვითარცა აღიჭს მგრკჳნველმან მწოარი. (ძვ. ქართ. ლექს.).

თესლ-ტომი, ნათესავ-ტომი:

ა) აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა. (ისტ. ქრესტ. 136₃₀),

ბ) მეცნიერ ხარ ნათესავ-ტომისა ჩემისა წინანდელისა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ნიავ-ქარი, ბორბალი:

ა) იყო ნიავ-ქარი ქარისა დიდისაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) იყო ბორბალი ქარისაჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

თხზული სინონიმიკის უდიდეს ნაწილს მაინც არ-ტოლად შერწყმული კომპოზიტები ქმნიან. მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსემებს ქმნიან სახელიანი კომპოზიტები, რომელთა ერთი ნაწილი მეორეს განსაზღვრავს. ასეთ წყვილთა წარმოებაში, ჩვეულებრივ, მონაწილეობენ:

არსებითი და ზედსართავი სახელები

დღე-გრძელი, გრძელ-საწუთო:

ა) იყო დღე-გრძელ ჭეყანასა ზედა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) იხილოს თესლი... გ რ ძ ე ლ-ს ა წ უ თ ო. (ძვ. ქართ. ლექს.).

ჰასაკ-გრძელი, ზეშთა-გრძელი:

ა) კაცნი ჰ ა ს ა კ-გ რ ძ ე ლ ნ ი არიან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) კაცნი ზ ე შ თ ა-გ რ ძ ე ლ ნ ი არიან. (ძვ. ქართ. ლექს.).

რ ი ც ხ ვ ი თ ი დ ა ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ორგული, ორენა:

ა) ო რ გ უ ლ ო, აღმოიღე პირველად დირეჲ თუალიხაგან შენისა. (მ. 7_5),

ბ) კაცმან ო რ ე ნ ა მ ა ნ გამოაცხადნეს ზრახვანი კრებულსა შორის. (ძვ. ქართ. ლ.).

მრავალსახე, მრავალფერი:

ა) მოიწინა ჩუენ ზედა მ რ ა ვ ა ლ ს ა ხ ე ნ ი მწუხარებანი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მოსრვიდენ ქრისტეანეთა ყოველთა მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ი თ ა სატანჯველითა (ძვ. ქარ. ლ.).

რ ი ც ხ ვ ი თ ი დ ა ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ოთხკარგი, ოთხკუთხედი:

ა) ...ო თ ხ კ ა რ გ თ ა მათ ანთრაკთა გამოქანდაკებული. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ...ო თ ხ კ უ თ ხ ე დ თ ა ქვათა ზედა გამოქანდაკებული. (ძვ. ქართ. ლექს.).

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი დ ა ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი

წყვილში შემავალ კომპოზიტთა მეორე შემადგენელ ნაწილად ხშირად გვხვდება ბ ა მ, გ ზ ი ს, წ ი ლ, ჯ ე რ სიტყვები.

ერთგზის, ერთჯერ:

ა) ცოდვითა მოკუდა ე რ თ გ ზ ი ს. (შატბ. 207_{29}),

ბ) ე რ თ ჯ ე რ მიუდგა და იშვა. (ძვ. ქართ. ლექს.).

სამგზის, სამწილად, სამჯერ:

ა) მოიწია... ს ა მ გ ზ ი ს სანატრელისა შუშანიკისა ზედა წყლულებაჲცა. (ისტ. ქრ. 141_{16}),

ბ) გამოწერენ იგი გულსა შენსა ს ა მ წ ი ლ ა დ. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) მიწოდა სახელით ს ა მ ჯ ე რ. (ძვ. ქართ. ლექს.).

მრავალგზის, მრავალწილად, მრავალჯერ:

ა) დაღათუ მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს გული მითქუმიდეს. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მოიმკის სამკალი თჳსი მ რ ა ვ ა ლ წ ი ლ ა დ. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) მრავალჯერ მოგვტევენ ცრდვანი ჩუენნი. (ძვ. ქართ. ლექს.).

ნაცვალსახელი და არსებითი სახელი

სხუაენა, ენაუცხო:

ა) ...ნათესავი ურიდი და სხუაენა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ...ნათესავი ურიდი და ენაუცხოჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

სხუაფერი, თითოპირი, თითოსახე, თითოფერი:

ა) ვენახოვანსა შენსა არა სთესო სხუაფერი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მოიღე სამოსელთაგან შენთა თითოფერთა. (ეზეკ. 16_{18}),

გ) თითოპირითა სახიობითა შემკობილნი აწყინებედ. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) რაოდენთა ჰქონდეს უძლურნი თითოსახეთაგან სენთა, მოიყვანეს მისა. (ლ. 4_{40}).

ნაცვალსახელი და ზედსართავი სახელი

ეგევითარი, ესევითარი, ესემლევანი:

ა) მამაჲ ეგევითართა ეძიებს თაყუანისმცემელთა. (ი. 4_{23}),

ბ) რომელმან მოსცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ კაცთა. (მ. 9_{8}),

გ) სხუასა მსგავსსა ესემლევანსა მრავალსა იქმთ. (მარკ. 7_{13}).

ნაცვალსახელი და მიმღეობა

თვითმხილველი, თუალით-მხილველი:

ა) თჳთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყჳსა მის. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) თუალით-მხილველ და მსახურ ექმნეს სიტყუასა მას. (ძვ. ქართ. ლექს.).

სინონიმურ ურთიერთობაში მონაწილე კომპოზიტთა შემადგენელ ნაწილებად რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელებიც გამოიყენება.

პირველ-დაბადებული, პირველ-შექმნული (პირველ-შექმნილი):

ა) პირველ-შექმნილი მამაჲ სოფლისაჲ... დაიცვენ. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) პირველდაბადებული იგი მამაჲ სოფლისაჲ... დაიცვა. (ძვ. ქართ. ლექს.).

ნახევარჯმელი, მხუევროანი:

ა) ნუ მოვალნ... ზურგგატეხილი ანუ ნახევარჯმელი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მის თანა ზურგგატეხილი იყოს, ანუ მხუევროან. (ძვ. ქართ. ლექს.).

მიმღეობანი კომპოზიტურ სინონიმიკაში

ძველი ქართული სამწერლო ენის კომპოზიტურ სინონიმიკაში საგრძნობი ადგილი უჭირავს მიმღეობიან ფორმებს. მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნათაგან წარმომდგარ მიმღეობათა კომპოზიტური შეერთება შესაბამის სინონიმურ წყვილებს გვაძლევს.

საფლავის-მტყუენველი, სამარის-მძარცუველი:

ა) ტანჯვასა შევარდების საფლავის-მტყუენველი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) რაჲსათვის სამარის-მძარცუველთა მათ დარჩი. (ძვ. ქართ. ლექს.).

წერილის-შემომუვანებელი, მოსაჴსენებელთ-მწერალი, მწიგნობართ-შემუვანებელი:

ა) სდეგით აქა დღეს ...წერილის-შემომუვანებელნი თქუენნი (ძვ. ქართ. ლ.),

ბ) მსაჯულნი და მწიგნობართ-შემუვანებელნი დაადგინნე. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) შევიდა... იოაქ, ძჲ ასაფისი, მოსაჴსენებელთ-მწერალი ეზეკიასჲსა. (ძვ. ქ. ლ.).

უმრავლეს შემთხვევაში კი მიმღეობის ერთი და იგივე ფორმა ერწყმის მსგავსი მნიშვნელობის მქონე ფუძეებს.

ბოროტის-მოქმედი, გრძნების-მოქმედი, ძჯრის-მოქმედი:

ა) უკუეთუმცა არა იყო ბოროტის-მოქმედი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) არათუმცა ძჯრის-მოქმედ იყო კაცი იგი, არამცა მიგეცით იგი შენ (ძვ. ქ. ლ.),

გ) მრავალთა გრძნების-მოქმედთა მოკრიბნეს წიგნები მათი. (ძვ. ქართ. ლექს.).

მძიმედ-მხედველი, მრუმედ-მხედველი:

ა) უკუეთუ იხილოს იგი მძიმე-მხედველმან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) უკუეთუ იხილოს იგი მრუმედ-მხედველმან. (ძვ. ქართ. ლექს.).

ყოვლისა-მპყრობელი, მე(ე)რთისა-მპყრობელი:

ა) ესრე იტყჳს უფალი, ყოვლისა-მპყრობელი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ესრე იტყჳს უფალი, მერთისა-მპყრობელი. (ძვ. ქართ. ლექს.).

ვნებითი გვარის მიმღეობანი

მრგულიად-დასაწუველი, ყოელად-დასაწუველი:

ა) უფროს არს ყოველთა მ რ გ უ ლ ი ად-დ ა ს ა წ უ ე ლ თ ა და მსხუერპლთა. (ძვ. ქ. ლ.),

ბ) აღღებად მათ ზედა მსხუერპლი ყ ო ვ ლ ად-დ ა ს ა წ უ ე ლ თ ა ჲ. (ძვ. ქართ. ლექს.).

ველურ-ქმნული, უცხო-ქმნული:

ა) ვ ე ლ უ რ-ქ მ ნ უ ლ ხარ ღმრთისაგან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) უ ც ხ ო-ქ მ ნ უ ლ ო ჴეშმარიტებისაგან. (ძვ. ქართ. ლექს.).

ს ა შ უ ა ლ ი გ ვ ა რ ი ს მ ი მ ღ ე ო ბ ა ნ ი

სპათ-მძღუარი, ერის-მძღუარი:

ა) ვიდრემდის მთავარ ს პ ა თ-მ ძ ღ უ ა რ მ ა ნ იჴსნას ტყუეობა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ვიდრემდის მთავარმან ე რ ი ს-მ ძ ღ უ ა რ მ ა ნ იჴსნეს ტყუჱ. (ძვ. ქართ. ლექს.).

უფლისა-მოყუარე, ქრისტეს-მოყუარე, ღმრთის-მოყუარე:

ა) მონამან უ ფ ლ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე მ ა ნ... მოყუსი იგი თჳსი პოვა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) კაცთა მათ ქ რ ი ს ტ ე ს-მ ო ყ უ ა რ ე თ ა აღიმჴედრნეს. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) ჯერ-მიჩნდა მეცა... მიწერად შენდა, მჴნეო, ღ მ რ თ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე ო. (ლ. 1₃).

როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილ სინონიმურ ერთეულთა მიმღეობური ნაწილი სემანტიკურად უძრავია და წყვილის ცალებს შორის მნიშვნელობრივ მსგავსებას თუ ნიუანსობრივ განსხვავებას კომპოზიტთა პირველი ნაწილი ქმნის, მაგრამ ძველი ქართულის კომპოზიტური სინონიმიკის სისტემაში უხვად გვხვდება წყვილები, სადაც ლექსიკურ ერთეულებს შორის სემანტიკურ მსგავსებას კომპოზიტთა სწორედ მიმღეობური ნაწილები ქმნიან.

ბოროტის-მოქმედი, ბოროტის-მყოფელი:

ა) ძჯრი მიაგო ბ ო რ ო ტ ი ს-მ ყ ო ფ ე ლ ს ა შენსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ბ ო რ ო ტ ი ს ა-მ ო ქ მ ე დ ს ა სულსა არა შევიდის სიბრძნჱ. (ძვ. ქართ. ლექს.).

ნიშთ-მზმნელი, ნიშთ-მჴურეტელი:

ა) კაცნი ნ ი შ თ-მ ჴ უ რ ე ტ ე ლ ნ ი არიან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) არა იპოვოს შენ შორის... ნ ი შ თ-მ ზ მ ნ ე ლ ი. (ძვ. ქართ. ლექს.).

შურის-მგებელი, შურის-მეძიებელი:

ა) შორის მტერთა დაუტევა მან შ უ რ ი ს-მ გ ე ბ ე ლ ი. (ძვ. ქართ. ლექს.).

ბ) შ უ რ ი ს-მ ე ძ ი ე ბ ე ლ არს ღმერთი ამათ ყოველთათჳს. (ძვ. ქართ. ლექს.).

ნავთ-სადგური, ნავთ-საყუდელი:

ა) მადლობითა წარჰგზავნიდეს მას ნ ა ვ თ-ს ა ყ უ დ ლ ი ს ა ყოველთაჲსა ქრისტჱსსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) მადლობით წარჰგზავნიდეს ნ ა ვ თ-ს ა დ გ უ რ ი ს ა მის მიმართ ქრისტჱსისა. (ძ. ქ. ლ.).

ფასის-შესაწირავი, ფასის-საცავი:

ა) დადგა იესუ წინაშე ფ ა ს ი ს-ს ა ც ა ვ ს ა მას. (მარკ. 12_{41}),

ბ) დადგა იესუ წინაშე ფ ა ს ი ს შ ე ს ა წ ი რ ა ვ ს ა. (მარკ. 12_{41} C).

ფერჴთ-შესასხმელი, ფერჴთ-შესაცმელი:

ა) წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და... ფ ე რ ჴ თ-შ ე ს ა ს ხ მ ე ლ ი. (ლ. 22_{35}),

ბ) განყიდეს... გლახაკი ფ ე რ ჴ თ-შ ე ს ა ც მ ე ლ ა დ. (ძვ. ქართ. ლ.).

თანა-მდგომი, თანა-მოდგამი:

ა) იგიცა მრავალთა თ ა ნ ა-მ დ გ ო მ ექმნა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) არს იგი ყოვლადვე უბადრუკ და თ ა ნ ა-მ ო დ გ ა მ... ეშმაკისა. (მამ. სწ. 244_{2}).

თესლ-მდინარე, თესლ-მცენარე:

ა) ესე არს სჯული... თ ე ს ლ-მ დ ი ნ ა რ ი ს ა დინებითა მისითა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) ესე არს სჯული... თ ე ს ლ-მ ც ე ნ ა რ ი ს ა დ დინებასა შინა მისსა. (ძვ. ქ. ლ.).

ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ა ნ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი ს ი ნ ო ნ ი მ ურ ს ი ს ტ ე მ ა შ ი

სინონიმურ წყვილთა თავისებურ ჯგუფს ქმნის უფორმო-სიტყვიანი კომპოზიტები. სინონიმურ სისტემაში შემავალ ამგვარ ლექსიკურ ერთეულთა უმთავრესი ხვედრითი წონა ზმნისართებზე მოდის. გვხვდება ოდენ ზმნისართებით წარმოქმნილ კომპოზიტთა სინონიმური წყვილები.

თავით-კერძო, პირით-კერძო:

ა) ხოლო იგი თავადი წვა თ ა ვ ი თ-კ ე რ ძ ო. (მარკ. 4_{38} C),

ბ) თავადი იყო პ ი რ ი თ კ ე რ ძ ო მის ნავისასა თავსა ზედა. (მარკ. 4_{38}).

ქუემო კერძო, ქუენა კერძო, ქუეშე კერძო, ქუეთკერძო:

ა) იყვნეს ქ უ ე მ ო კ ე რ ძ ო მისსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) იყვნეს ქ უ ე ნ ა კ ე რ ძ ო მისსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) ქ უ ე ა თ კ ე რ ძ ო არნ ძირი მისსა. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) ...ძირი მისი ქ უ ე შ ე კ ე რ ძ ო. (ძვ. ქართ. ლექს.).

ცხადია, ასეთ ერთეულებს შორის სინონიმურ კავშირს კომპოზიტთა შემადგენელი ზმნისართები ქმნიან. უმრავლეს შემთხვევაში კი ისინი ერწყმიან სრული მნიშვნელობის მქონე ფუძეებს და შესაბამისად, წყვილის ცალებს შორის სემანტიკურ მსგავსებასაც ეს უკანასკნელნი ქმნიან.

შუ(ვ)ადღე, დღეშუა, შუასამხარი:

ა) გამოაბრწყინვოს განკითხვაჲ შენი... ვიდრემდე შ უ ვ ა დ ღ ე. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) გამოაბრწყინვოს განკითხვაჲ შენი ვითარცა დ ღ ე შ უ ა ჲ თ. (ძვ. ქართ. ლექს.).

ზეგარდამოსატევებელი, ზეგარდამოსაქანელი:

ა) უფსკრულმან უფსკრულსა ხადა ქმითა ზ ე გ ა რ დ ა მ ო ს ა ტ ე ვ ე ბ ლ ი თ ა მისთაჲთა. (ძვ. ქარ. ლ.),

ბ) უსკრული უფსკრულსა ხადის ქმითა ზ ე გ ა რ დ ა მ ო ს ა ქ ა ნ ე ლ თ ა შენთაჲთა (ძვ. ქ. ლ.).

ქუეწარმძურომი, ქუეწარმავალი:

ა) ...ყოველი ქ უ ე წ ა რ მ ძ უ რ ო მ ი, რომელი ძურების ქუეყანასა ზედა. (ძვ. ქ. ლ.),

ბ) ყოველი ქ უ ე წ ა რ მ ა ვ ა ლ ი, რომელი ძურების პირსა ზედა ქუეყანისასა. (ძვ. ქართ. ლექს.).

თანა-წარსლვა, გარე-წარცოდვა, გარე-წარჯდომა, თანა-წარჯდომა:

ა) ...თუ შესაძლებელ არს თ ა ნ ა-წ ა რ ს ვ ლ ა დ სასუმელი ესე ჩემგან. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) გ ა რ ე-წ ა რ მ ც ო დ ე მე სასუმელი ესე. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) გ ა რ ე-წ ა რ მ ჯ ა დ ე მე სასუმელი ესე. (ძვ. ქართ. ლექს.),

დ) თ ა ნ ა-წ ა რ მ ჯ ე დ ი ნ სასუმელი ესე ჩემგან. (ძვ. ქართ. ლექს.).

ცხადია, ზემომოყვანილ სიტუაციებში სინონიმურ კავშირთა ძირითადი მაწარმოებელი ზმნური ფუძეებია, მაგრამ გარკვეული სემანტიკური ნიუანსობრივი მნიშვნელობა წინდებულებსაც ენიჭება (თ ა ნ ა-წ ა რ ჯ დ ო მა, გ ა რ ე-წ ა რ ც ო დ ვ ა).

თავი IV. სიტყვათა სესხება — ძველი ქართული სამწერლობო ენის ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრების წყარო

სიტყვათა სესხება ენის განვითარებით გამოწვეული კანონზომიერი მოვლენაა. საზოგადოების ცხოვრების დონის წინსვლასთან დაკავშირებით განუ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებაში განუწყვეტლივ ჩნდება ახალ-ახალი საგნები, მოვლენები, მოქმედებანი, ნიშან-თვისებანი და ა. შ. ყოველი მათგანი უნდა აღინიშნოს ენის ლექსიკურ მარაგში, მაგრამ მშობლიურ ბაზაზე საკუთარი ენობრივი მასალით ყოველთვის არ ხერხდება მათი წარმოება. ასეთ შემთხვევებში ენა მიმართავს სხვა ენიდან სიტყვის სესხებას. მეცნიერებიდან დიდი ხანია უკუგდებულია ე. წ. „ენის სიწმინდის დაცვის“ პურისტული ლოზუნგი და სიტყვათა სესხება სამართლიანადაა მიჩნეული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება-შევსების წყაროდ[1]. მიუხედავად ამისა, ლექსიკოლოგიას ჯერ კიდევ არ გააჩნია ნასესხებ სიტყვათა სრულყოფილი კლასიფიკაციის მეცნიერულად დამუშავებული პრინციპები.

კანონიერი სესხების გზით შეძენილი სიტყვები ესისხლხორცებიან მიმღები ენის ლექსიკურ ქსოვილს, „მშობლიურდებიან“ და დროთა განმავლობაში სპეციალისტებისთვისაც კი ძნელი საცნობი ხდება მათი უცხოური წარმოშობის დადგენა. სიტყვათა ეს თვისება სცადეს გამოეყენებინათ ნასესხებ ერთეულთა კლასიფიკაციისათვის. „ნასესხები“ უწოდეს იმ სიტყვებს, რომლებიც უკვე სრულად აითვისა მიმღები ენის ლექსიკამ და ამ ენობრივი კოლექტივის წევრები მათ უკვე „მშობლიურად“ აღიქვამენ, „უცხო სიტყვები“ კი — იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია მიმღებ ენას და ენობრივი კოლექტივის წევრები მათ ჯერ კიდევ უცხო ლექსემებად აღიქვამენ[2]. ეს კლასიფიკაცია სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, რადგანაც:

1. თვით ტერმინს „უცხო სიტყვა“ ახლავს უხერხულობა. იგი ხაზს უსვამს, რომ სიტყვათა ეს ჯგუფი უცხოა, მაშინ როცა ის უკვე მიმღები ენის კუთვნილებაა, მხოლოდ გრძელდება ამ ჯგუფის ლექსიკურ ერთეულთა სრული ათვისება[3].

2. უმრავლეს შემთხვევაში ძნელი დასადგენია, სად იწყება და სად მთავრდება ნასესხებ ერთეულთა სრული შესისხლხორცება მიმღები ენის ლექსიკური მარაგის მიერ.

---

[1] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 64.

[2] С т е п а н о в а М. Д., Ч е р н ы ш е в а И. И., Лексикология современного немецкого языка. М., 1962, стр. 182.

[3] ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 368.

ა. ლაუა ნასესხებ სიტყვებს ჰყოფს ორ ჯგუფად, ნაციონალურ ნასესხობად და ინტერნაციონალურ ნასესხობად. „ნაციონალურს“ უწოდებს იმ სიტყვებს, რომლებიც ერთი ენიდანაა მეორე ენაში შესული, „ინტერნაციონალურს“ უწოდებს იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც „რამდენიმე დიდ კულტურულ ენაში“ იხმარება[1]. არც ეს კლასიფიკაციაა სრულფასოვანი. ჯერ ერთი გაურკვევლობას ქმნის თვით ტერმინი „ნაციონალური ნასესხობა“, მეორეც, ნასესხებ სიტყვათა დიდი უმრავლესობა ენიდან ენაში შუალობითი გზითაა შესული, ბევრი მათგანი სამ და მეტ ენაში იხმარება (არადიდ ენაში), მაგრამ მათ ინტერნაციონალიზმებად ვერ მივიჩნევთ და ამ კლასიფიკაციის მიხედვით „ნაციონალურ ნასესხობათა“ ჯგუფშიც ვერ მოვათავსებთ.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს „ინტერნაციონალურის“ ცნებაც. ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ ინტერნაციონალურად უნდა ჩაითვალოს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც რომელიმე ინტერნაციონალური არეალის სამ დიდ ენაში მაინც იხმარება[2]. მაგალითად, ევროპის არეალი — ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები. მაშასადამე, ინტერნაციონალიზმები სესხების რაიმე ქვეჯგუფს კი არ ქმნიან, არამედ მის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენენ.

ისტორიულად არცერთ საზოგადოებრივ უჯრედს (გვარს, ტომს, ხალხს, ერს) არ უარსებია განყენებულად, უმეზობლოდ. ასევე ენასაც ვერ წარმოვიდგენთ მოწყვეტით, სხვა ენებისაგან იზოლირებულად. ტომების, ხალხების, ერების ისტორიული ურთიერთობის შედეგად ყოველი ენის ლექსიკურ მარაგშია დალექილი სხვადასხვა ენათა ლექსიკური მასალა. მაგალითად, ძველი სლავურისთვის უძველეს ნასესხობად მიაჩნიათ: გერმანული ენებიდან — бук, изба, карп, князь, король, купить, лук (растение), осёл... სკანდინავიური ენებიდან — ворвань, кнут, крюк, ларь, сельд, ябеда... ბერძნული ენიდან — анис, кедр, свекла, извест, канун, каторга, кровать, тетрадь, магнит...[3].

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს უნგრულ-ფინურმა, სლავურმა, გერმანულმა ენებმა ლატვიური ენის ლექსიკის ფორმირებისა და შევსების პროცესში. სპეციალისტები ლატვიური ენის ლექსიკაში ითვლიან 400—500 უნგრულ-ფინურ, 922 სლავურ და 750 გერმანულ ერთეულს (აქედან 300 ინტერნაციონალური სიტყვაა)[4].

ოდითგან ჰქონდა ქართულს ურთიერთობა სხვადასხვა ენასთან. მრა-

---

[1] A. Laua, Latviesu leksikologija, Riga, 1969, გვ. 118—121.

[2] Маковский М. М., К проблеме так называемой «интернациональной» лексики, ВЯ, 1960, № 1, М., стр. 44.

[3] Шмелев Д. Н., Современный русский язык (лексика), М., 1977, стр. 253.

[4] A. Laua, იქვე, გვ. 119.

ვალრიცხოვანი გამოკვლევებით ქართულში უამრავი ბერძნულ-ლათინური, სპარსული, თურქული, არაბული, ოსური და ა. შ. წარმოშობის სიტყვაა დადასტურებული[1]. მაგრამ რა მიმართებაშია სესხება ენის ლექსიკურ სინონიმიკასთან?

სიტყვათა ყოველგვარი სესხება ენის სინონიმიას არ უკავშირდება. „ტრაქტორი" ნასესხები სიტყვაა თანამედროვე ქართულში, რუსულსა და ლატვიურში, მაგრამ ის ამ ენათა ლექსიკური სინონიმიკის კუთვნილება არ არის, რადგან მისი სინონიმური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული ამ ენათაგან არც ერთს არ გააჩნია. სესხება მაშინაა ენის ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრების წყარო, როცა ენას რაიმე ცნების აღსანიშნავად სიტყვა გააჩნია და რომელიმე სხვა ენიდან კვლავ შემოდის ლექსიკური ერთეული იმავე ან მსგავსი მნიშვნელობით.

თავისუფალი, **აზნაური:**

ა) აწ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ სამე არიან შვილნი. (მ. 17_{26}),

ბ) აწ უკუე ა ზ ნ ა უ რ არიან შვილნი იგი. (მ. 17_{26} C).

საწერელი, **კალამი:**

ა) საკმარ იყო მუნ ქარტაჲ და მწიგნობარი და ს ა წ ე რ ე ლ ნ ი. (ძვ. ქართ. ლექს.),

ბ) არა მნებავს მელანითა და კ ა ლ მ ი თ ა მიწერად შენდა. (ძვ. ქართ. ლექ.).

მოწამე, **მარტკლი**

ა) გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მ ო წ ა მ ე. (ისტ. ქრესტ. 159_{11}),

ბ) მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მ ა რ ტ კ ლ ი ს ა. (ისტ. ქრესტ. 141_{33}).

ცხენთსარბიელი, **იპოდრომი:**

ხედვიდა თავსა თჳსსა, ვითარმედ ჯდა ცხენთსარბიელსა მას ქალაქისასა, რომელსა ეწოდების ი პ ო დ რ ო მ ი. (ძვ. ქართ. ლექს.).

მცირეა მხოლოდ საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვათაგან წარმოქმნილ სინონიმურ რიგთა რიცხვი. ასეთი ძველისძველი ერთეულებით წარმოდგენილი რიგები აღნიშნავენ:

ბ უ ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს:

ა) აღმოკრდომა, აღმობრწყინება, აღმოელინება, აღმოჰკრვა (მნათობის), განთენება...

ბ) ბრწყინვა, ბრკიალება (ბრკინება, მბრკინვალება), ელვარება, კამკამება...

---

[1] მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I თბ., 1966; ასევე ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; А б а е в В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.—Л., 1958; К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

გ) დაკდომა, დასლვა (მნათობის).

დ) ქროლვა, ბერვა, ნქრევა.

ე) ყინვა, ყინელება, ნეფხუვა, სიცივე, კსინვა.

დროის რომელიმე ხანგრძლივ პერიოდს ან მის განსაზღვრელ მონაკვეთს:

ა) დილა, აღსამსთობელი, განთიადი, რიჟურაჟუ, ცისკარი.

ბ) დღე-საშოვალი, (დღე-საშუვალი), დღეშუა, შუადღე, შუასაჴსარი.

გ) მომავალი, მერმისი, მოსლვა, მოწევნადი.

დ) მწუხრი, მიმწუხრი, საღამო, შებნელებული, შეღამებული.

სიცოცხლის (ცხოვრების) სხვადასხვა პერიოდს:

ა) დაბადება, შობა, ზუება[1].

ბ) დაბერება, დამდედება, მიმკცოანება, მოხუცებულება.

გ) სიკუდილი, აღმობერვა (სულის), აღმოტევება (სულის), აღმოწუდა (სულის), განკდომა (სულის), აღსასრული (აღსრულება), განსლვა (სულის), განტევება (სულის), განკუება (სულის), დაცემა, კუდომა, წარკდომა (სულის), მიცუალება, შესუენება...

ზოგიერთ საგანს (სულიერს ან უსულოს) ან მის თვისებას:

ა) პირუტყუ, მჴეცი, ოთხფერჴი, საცხოვარი, ცხოვარი.

ბ) ფერკმატყიერი, ფერჴფაჩუნიერი.

გ) ხე, ძელი, შეშა.

დ) ბრწყინვალე, ელვარე, კამკამებული, მბზინვარე.

ე) მემთრვალე, მესულებე, მეღჯნე, მოსუმური, მსუმელი, სასუმლის-მოყუარე.

ვ) ენაუცხო, სხუაენა.

ზ) ცოცხალი, მრთელი, სრული, ცხოველი.

სქესს, ნათესაობას:

ა) დედალი, ძუ (ძუვი), მდედრი (მდედრებრივი), მზუელი, ნეზუ.

ბ) შვილის-შვილი, ძე ძეთა, ძის-წული.

სხეულის ამა თუ იმ ნაწილს:

ა) ნაწლევი, წელი, მუცლიერი, შინაგანი.

ბ) ძუძუნი, სასმეურნი, სასძეურნი.

ყოფითი ცხოვრების ზოგიერთ მოვლენას, მოქმედებას:

ა) დავარდნა, დავრდომა (განვრდომა), დამჯობა, დაცემა.

ბ) სმენა, გა(ნ)გონება, ყურის-მიყოფა, ყურად-ხუმა.

გ) ძილი, თლემულება, რულოვა.

დ) წარგზავნა, წარვლინება და ა. შ.

კიდევ უფრო მცირეა მხოლოდ ნასესხები სიტყვებით წარმოდგე-

---

[1] იხმარებოდა ცხოველთა შობის აღსანიშნავად.

ნილ სინონიმურ რიგთა რაოდენობა. ასეთი რიგები ძირითადად აღნიშნავენ:

სოციალურსა თუ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ ცნებებს: ხარკი, ბაჟი, ზუერი.

რაიმე პროფესიას: ჯამბაზი, მიმოსი.

ზოგიერთ საგანს:

ა) ბალახში, ლალი.

ბ) ტაბლა, ტრაპეზი.

ძველი ქართული სამწერლო ენის სინონიმურ ლექსიკას ძირითადად ქმნიან საკუთარ და ნასესხებ ერთეულთაგან წარმოქმნილი სინონიმური რიგები.

მაშასადამე, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის მშენებლობაში ქართული ენის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენებიდან ნასესხები სიტყვებიც მონაწილეობს. შედარებით უფრო საგრძნობია მათი ხვედრითი წონა სოციალურ-ადმინისტრაციული, რელიგიურ-სარწმუნოებრივი, კულტურულ-ტექნიკური ცნებების ამსახველ და სამეურნეო ყოფისთვის დამახასიათებელ საგანთა, თუ მათ ნიშან-თვისებათა აღმნიშვნელ სინონიმურ რიგებში.

ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითად ბირთვს ენის საკუთარი სიტყვები შეადგენენ. ამ ლექსიკურ ერთეულთაგან შექმნილ მიკროსისტემაზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ადასტურებს შემდეგი დებულების ჭეშმარიტებას:

„განვითარების უძველეს საფეხურზე... საერთო ქართული ენა უაღრესად წმინდაა, და ვინც ამ ენას შეისწავლის, ის მცოდნე იქნება საზოგადო ქართული ლიტერატურული ენისა, რა ეპოქისაც უნდა იყოს ის“[1].

თავი V. სინონიმთა ფუნქციები ძველ ქართულ სამწერლობო ენაში

ძველი ქართული სამწერლო ენის გამოსახვის საშუალებათა მხატვრულ-ექსპრესიული ინვენტარიდან ლექსიკურ სინონიმიკას ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა ურთიერთშენაცვლება მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილ სახეს ანიჭებს ქართული ენის უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 33.

ა) წ უ ა ლ ო ბ ი თ ა ღმრთისაჲთა და შ ე წ ე ვ ნ ი თ ა ჯუარისაჲთა... აღვაშჱნე საყოფელი ესე... (მცხ. წარწ.)[1].

ბ) ...ჴ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა ს ა... წმიდისა კონსტანტინე მეფისაჲსა... ქართლსა შინა უ ფ ლ ო ბ ა ს ა ტბელისა ივანესა... (ერედ.)[2].

უძველეს წარწერათა რელიგიურ-მემორიალური შინაარსი განაპირობებს მათი ლექსიკური სინონიმიკის სპეციფიკურ თავისებურებებს. ერთმანეთს ენაცვლებიან ლექსიკური ერთეული, რომლებიც აღნიშნავენ:

ა) დახმარებას, შეწევნას. — მ ე ო ხ ე ბ ა-შ ე წ ე ვ ნ ა (ბეთლ.), მ ე ო ხ ე ბ ა-შ ე წ ე ვ ნ ა-შ ე წ უ ა ლ ე ბ ა-წ უ ა ლ ო ბ ა (მცხ.), შ ე წ უ ა ლ ე ბ ა-შ ე წ ე ვ ნ ა (ბოლნ.),

ბ) უფალს, ღვთაებას — წ მ ი დ ა-ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი (ერედ.).

გ) ამა თუ იმ რელიგიურ რიტუალს. თ ა უ ვ ა ნ ი ს-ც ე მ ა-ლ ო ც ვ ა (ბოლნ.).

თუ ეპიგრაფიკული ძეგლები მოცულობრივი სიმცირისა და შინაარსობრივი სპეციფიკურობის გამო სინონიმთა მარტივ ურთიერთშენაცვლებას გვიჩვენებს, ძველი ქართული ენის ნათარგმნასა თუ ორიგინალურ თხზულებებში ლექსიკური სინონიმები მხატვრულ-ექსპრესიულობის თვალსაზრისით სრული დატვირთვით გამოიყენებიან. მათი ოსტატური გამოყენებით ავტორ-მთარგმნელები აღწევენ ცნების ზუსტ, ადეკვატურ ასახვას, აზრის მხატვრული გადმოცემის სრულყოფას, ორიგინალური თუ ნათარგმნი ტექსტის მუსიკალურ კეთილხმოვანებას და ა. შ. შესაბამისად ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სინონიმურ რიგთა ლექსიკური ერთეულების მოხმარების რამდენიმე სახე.

ს ი ტ ყ ვ ა თ ა შ ე რ ჩ ე ვ ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა ს ი ნ ო ნ ი მ თ ა ს ე მ ა ნ ტ ი კ ურ მ ო ც უ ლ ო ბ ა თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ

ძველ ქართულ სამწერლო ძეგლებში დადასტურებულ სინონიმურ ფორმებზე დაკვირვებით ვლინდება დიდი სემანტიკური მგრძნობელობა, რასაც ქართველი მწიგნობრები იჩენდნენ სიტყვათა შერჩევის დროს. მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა გამოყენებისას ისინი ითვალისწინებდნენ სიტყვათა სემანტიკურ მოცულობებს და ძირითადი მნიშვნელობის გვერდით მის დამატებით, სემანტიკურ-ნიუანსობრივ კომპონენტებსაც ამჩნევდნენ.

ძველი ქართული ძეგლების მიხედვით მ ო ს ლ ვ ა-მ ო წ ე ვ ნ ა,

---

[1] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 16.

მ ი ს ლ ვ ა-მ ი წ ე ვ ნ ა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა იციან, რომ მ ი ს ლ ვ ა-მ ო ს ლ ვ ა მნიშვნელობის თვალსაზრისით გამჭვირვალე ნეიტრალური ერთეულებია, ხოლო მ ი წ ე ვ ნ ა-მ ო წ ე ვ ნ ა მთავარ მნიშვნელობასთან (სივრცეში გადაადგილებასთან ერთად შეიცავს კიდევ მნიშვნელობის დამატებით კომპონენტს, — ამა თუ იმ პუნქტამდე მიღწევის, ან მოღწევის სემანტიკურ ელემენტს. სინონიმთა შორის ეს ნიუანსობრივ-სემანტიკური სხვაობა განსაზღვრავს მათი გამოყენების სფეროებს. მ ი ს ლ ვ ა-მ ო ს ლ ვ ი თ აღინიშნება სივრცეში ე. წ. თავისუფალი გადაადგილება:

ა) მ ო ვ ი დ ა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტაჳ (შ. წ. ისტ. ქრ. 133_{31}).

ბ) მ ო ვ ი დ ე ს მსახურნი იგი მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო. (აბ. წამ. ისტ. ქრესტ. 167_{37}).

გ) მას ჟამსა მ ო ვ ი დ ე ს მამაჲ ეპიფანე და მღდელი მატოჲ. (გრ. ხანძ. ისტ. ქრ. 212_{28}).

დ) ვითარცა კრავი... მ ო ვ ე დ ი დაკლვად. (სინ. მრ. 229_{7}).

როცა „გადაადგილების“ აღნიშვნასთან ერთად საჭიროა გარკვეულ პუნქტამდე მიღწევის გადმოცემა, მ ი წ ე ვ ნ ა-მ ო წ ე ვ ნ ა გამოიყენება:

ა) ვითარცა მ ო ი წ ი ა იგი საზღვართა ქართლისათა... ზრახვაყო. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 133_{27}).

ბ) ვითარცა მ ი ი წ ი ნ ეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა... შეიწყნარა ნერსე. (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 165_{1}).

გ) ვითარ მ ო ი წ ი ა ქართლის სანახებსა... პოვა ყრმაჲ ჰაბუკი. (გრ. ხანძ. ისტ. ქრ. 216_{34}).

დ) მ ი ვ ი წ ი ე ნ ი თ მთასა სინასა. (სინ. მრ. 266_{23})[1].

მნიშვნელობრივ მსგავსებასთან ერთად ცნების აღნიშვნის სიზუსტის მეტ-ნაკლებობითა და მნიშვნელობის დამატებითი ნიუანსებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყვები: მ ი ც ე მ ა, მ ი მ ა დ ლ ე ბ ა, მ ი ნ ი ჭ ე ბ ა, მ ი რ თ უ მ ა, მ ი ძ ღ უ ნ ა.

ამ სინონიმური რიგიდან ნეიტრალური და სემანტიკური მინარევებისაგან თავისუფალი სიტყვაა „მიცემა“, ამიტომაც ძველი ქართული ტექსტების მიხედვით იგი გამოყენების მეტი სიხშირითაც ხასიათდება:

ა) ს ც ა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელ და სამოსელ. (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 164_{24-25}),

ბ) გამოიღო ვეცხლი თჳსი... და მ ი ს ც ა დედაკაცსა მას. (კიმ. II, 36_{37})[2],

[1] სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.

[2] კიმენი, ნაწილი I, ტ. II, გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ, თბ., 1946.

გ) მ ი გ ც ნ ე შენ აღნათქუემნი ჩემნი. (სინ. მრ. 71_{15}).

„მირთუმა“, „მიძღუნა“ სიტყვები ბოძების, ჩუქების ნიუანსებსაც შეიცავს და მოკრძალებული, თავაზიანი „მიცემის“, „შეთავაზების“ კომპონენტებსაც:

ა) ცოლმან ჯოჯიკისმან მ ი ა რ თ უ ა ღჳნოჲ ჰიქითა. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 136_{20}),

ბ) მ ო ა რ თ უ ა თავი მისი ლანკლასა ზედა. (მარკ. 6_{28}),

გ) რომელნი მ ო ა რ თ უ მ ი დ ე ს მათ იფქლსა ეგჳპტით. (სინ. მრ. 272_{18}),

დ) მან განიხარა ფრიად ...და ყოველივე მ ო მ ი ძ ღ უ ა ნ ა. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 137_{25}).

მ ო მ ა დ ლ ე ბ ა, მ ო ნ ი ჰ ე ბ ა ერთგვარი ზეამაღლებული „ბოძების“ მნიშვნელობრივ ელემენტებს შეიცავს და მეტწილად უფლისადმი, მეფე-დიდებულთადმი მიმართვისას, ან ღვთაებრივი, სასწაულებრივი დასაჩუქრებს ამსახველ კონტექსტებში გამოიყენება:

ა) აღიარენ შენცა ცოდვანი შენნი.... რაჲთა უწყოდი, რომელი მიტევებაჲ მ ო გ ე მ ა დ ლ ა. (მამ. სწ. 68_{27}),

ბ) კადნიერებაჲ სამოთხედ შესლვისაჲ მ ო გ უ მ ა დ ლ ე ჩუენ. (სინ. მრ. 13_{21}),

გ) ვიცი მე ერთი ღმერთი, ...რომელმან ესე ცხორებაჲ მ ო მ ა ნ ი ჰ ა. (კიმ. II, 12_{37}),

დ) ...რაჲთა სასუფეველი ცათაჲ მ ო გ უ ა ნ ი ჰ ო ს. (სინ. მრ. 50_{13}),

ე) მ ი ა ნ ი ჰ ა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათიათასი (გრ. ხანძ. 217_{39}).

არც თუ იშვიათად ავტორ-მთარგმნელი ნეიტრალურ სიტყვას გვერდს უვლის და არჩევს ლექსიკურ ერთეულს, რომელიც სინონიმური რიგის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად კონტექსტისთვის შესაფერ სემანტიკურ ნიუანსსაც შეიცავს:

კ ა რ გ ი ს, ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ს აღმნიშვნელი სინონიმური რიგი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით საკმაოდ მრავალწევრიანია: კეთილი, შუენიერი, ჩინებული... მაგრამ წყლის „სიკეთე-სიკარგის“ აღსანიშნავად გ. მერჩულე ჰ ა მ ო ს ამჯობინებს:

ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰ ა მ ო თ ა ჲ... მოცემულ არს. (გრ. ხ. ისტ. ქრ. 218_{16}).

ავტორისეული შერჩევა სემანტიკურად მიზანშეწონილია. ჰ ა მ ი მნიშვნელობრივად აერთიანებს წყლის თითქმის ყველა კეთილ თვისებას: სიგრილეს, სიწმინდეს, სასიამოვნო გემოს.

ასევე, ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში, მოხმარების გარკვეული სფეროებით ხასიათდებიან სინონიმები: ტირილი — ცრემლოვა, ცოლი — მეუღლე, ხელმწიფე — მეუფე და ა. შ

მაშასადმე, სინონიმთა შერჩევისას ძველი ქართველი მწიგნობრებისათვის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ბუნებისა და მნიშვნელობრივ მოცულობათა გათვალისწინება წარმოადგენს.

სინონიმთა სუბსტიტუცია

ლექსიკურ სინონიმთა გამოყენების ერთ-ერთი უძველესი ხერხია მათი ურთიერთშენაცვლება. მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა მარტივი სუბსტიტუციით ავტორ-მთარგმნელი თავიდან იცილებს სიტყვათა უხერხულ გამეორებას და აღწევს კონტექსტის სასურველ სტილისტურ-ექსპრესიულ გაფორმებას:

აღმართვა, აშენება:

მამამან შენმან აღჰმართნა სამარტჳლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 135_{16}).

ისწავა, მოიწუართნა:

მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. (გრ. ხანძ. ისტ. ქრ. 203_{19}).

სჯა-განკითხვა:

რომლითაცა სარჩელითა ჰშჯიდეთ, მითვე განიკითხნეთ. (ცხ. წმ. ანტ. 73_{11})[1].

მოწამე-მარტჳლი:

ტაბლასა სიხარულისასა მოწამეთასა თქუენ წინაშე დაგებად ვიწრაფი და განზავებად თქუენდა ღჳნისა, სულისა საკსენებელისა მარტჳლთაჲსა. (სინ. მრ. 260_{16}).

სინონიმთა პარალელური ხმარება

ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით სინონიმთა სტილისტურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენების ერთ-ერთ გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს კონტექსტში მათი ერთმანეთის გვერდით ხმარება:

ა) არარაჲ აღმოხდა პირსა მისსა ვაებაჲ, არცა კუნესაჲ. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 138_{4}),

ბ) ...სადა იგი არს სადგური და საბანაკჲ ძეთა მაგოგისთაჲ. (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 164_{20}),

გ) რომელსა — იგი აკუმევდეს, ყოველსა ადგილსა შეაბილწებდა, და ქარნი შეიგინებოდეს და ქუეყანაჲ განირყუნებოდა. (სინ. მრ. 222_{2}),

---

[1] ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1970.

დ) და ჰხედვიდესცა ქალწულთა ეკლესიითა ქრისტჱსთჳს წმ-დად და შეუგინებლად. (ცხ. წმ. ანტ. 66$_{39}$),

ე) დღეს თუ მომრუშე იყო და მეძავ და ხვალე მშჯდ და მართალ იქმნე, ევლტოდე და განეშორე უშჯულოსა მას. (შატბ. 185$_{23}$).

თავი VI. ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის თავისებურებანი IX—XI საუკუნეებში

ძველი ქართული სალიტერატურო ენა განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ცხადია, განვითარების ამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ძველი ქართულის ენობრივ ქსოვილში ჩნდებოდნენ სხვადასხვა მოვლენები, პროცესები, რომლებიც მეტნაკლებად კვალს ტოვებდნენ ძველ ქართულ სამწერლო ძეგლებში. ზოგჯერ ამ თავისებურებათა ერთობლიობა სპეციფიკურობისა და მასშტაბურობის თვალსაზრისით ეპოქალურ მნიშვნელობას იძენს. ესეც უნდა იყოს მიზეზი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში შემჩნეული არაეთგვარობისა. „მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ისტორიაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ძირითადი საფეხური (ე. წ. ძველი და ახალი ქართული), ქართული ენა არ იყო ერთგვაროვანი ამ საფეხურებს შიგნითაც"[1].

ლექსიკურ სინონიმიკაში მიმდინარე ცვლილებათა თვალსაზრისით, განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ბოლო პერიოდის ძეგლები.

§ 1. ცვლილებანი ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურულ შედგენილობაში

IX—XI საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სინონიმურ რიგთა განსაკუთრებული თემატურ-სტრუქტურული სიუხვე და მრავალფეროვნება. ამ მოვლენას გარკვეული ისტორიული და ლიტერატურულ-ლინგვისტური ახსნა მოეპოვება.

IX—XI საუკუნეები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მიჩნეულა საქართველოს ისტორიაში, საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. ეს პერიოდი უდიდესი ეკონომიური აღმავლობით აღინიშნება. განვითარების მაღალ დონეზეა მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. ხალხი სახლდება მამა-პაპათა ნასახლარებზე და აქამდე გამოუყენებელ ადგილებს სამიწათმოქმედოდ

[1] ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 230.

იყენებს[1]. არაბი დამპყრობლებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე ჩაღდება დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა. აღადგენენ მტრისგან დარბეულ და გაპარტახებულ ეკლესია-მონასტრებს, აშენებენ ახალს. ამ ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთები აშკარად მეტყველებენ განვითარებული სარწყავი სისტემის არსებობაზე, დიდ საგზაო მშენებლობებზე.

„ეს არის „ახალქალაქების“ ხანა“, რომელიც ადრეფეოდალური ურთიერთობის უკანასკნელი პერიოდისათვის (IX—X სს.) იყო დამახასიათებელი, იგი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გარკვეულმა საფეხურმა წარმოქმნა“[2].

ენის განვითარების საფუძველს ქმნის საზოგადოების განვითარება. ენის ლექსიკური შემადგენლობა უშუალოდ ასახავს და ერთბაშად ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს: ახალ საგანს, ახალ მოვლენას სახელწოდება უნდა ჰქონდეს, რომ ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების პროცესში შესაძლებელი იყოს მის შესახებ რაიმეს თქმა[3].

IX—XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური სინამდვილე ამ თვალსაზრისით ენის გამომსახველობითი ძალების თავისებურ შემოწმებას წარმოადგენდა. ქართველი საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრების მხატვრულად ხორცშესხმა ქართული ენის ლექსიკური მარაგის ყოველი რგოლის შევსება-გამდიდრებას, დახვეწას მოითხოვდა.

ლექსიკური სინონიმია იყო ენის ერთ-ერთი ის მგრძნობიარე უჯრედი, სადაც დიდი სიზუსტით აისახა IX—XI საუკუნეების ქართულ სინამდვილეში მიმდინარე სოციალური ცვლილებანი.

V—VIII საუკუნეების ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით „მამული“ ნათესაობრივს, შთამომავლობითს ნიშნავდა:

ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ...ყოვლადვე არაბიელთა თესლი მ ა მ უ ლ ა დ და დედულად. (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 163_{20}).

ამგვარი სემანტიკური გაგებით ეს სიტყვა ნათესაობის აღმნიშვნელ სინონიმურ რიგს განეკუთვნებოდა: ტ ო მ ი, თ ე ს ლ ი, თ ე ს ლ ა დ-თ ე ს ლ ი, თ ე ს ლ-ტ ო მ ი, დ ე დ უ ლ ი, მ ა მ უ ლ ი, მ ო დ გ მ ა, მ კ ვ დ რ ი, ნ ა თ ე ს ა ვ ი, ძ ი რ ი...

მეცხრე საუკუნიდან, როცა საქართველოში მთავრდება ადრეფეოდალური ხანა და იწყება განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი, „მამული“ მნიშვნელობრივ ცვლილებებს განიცდის, იგი უკვე ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმას აღნიშნავს:

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 323.
[2] იქვე, გვ. 358.
[3] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 80.

გარდა-რაჲ-იცვალა ყოლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მ ა მ უ ლ ი და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა. (სერ. ზარზმ. 176$_{33-35}$)[1].

სემანტიკურმა ცვლილებამ განაპირობა ამ სიტყვის ადგილგადანაცვლება. სინონიმურ სისტემაში იგი უკვე სიმდიდრის, ქონების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა გვერდით აღმოჩნდა:

საუნჯე, განძი, კიმილია, მამონა, მ ა მ უ ლ ი, მონაგები, ნამარხევი, ნაყოფი, საგანძური, სამკვიდრებელი, საფასე, საქონელი, საცხოვარი, საცხორებელი, სიმდიდრე, ფასი, ქრთამი...

მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის სინონიმური რიგი:

მონა, ბარაკიელი, თანა-მონა, კირთი, მენიჯოგ(რ)ე, მენიჯგორე, მონა-მოყუასი, მრწემი, მსახური, ყრმა, კაცი,...

ამ რიგის წამყვანი სიტყვა (მონა) უკვე ჰკარგავს „მონის“ სემანტიკურ გაგებას, იძენს „ყმის“ მნიშვნელობას და გამოყენების სიხშირით მას უკვე უტოლდებიან ამავე სინონიმური რიგის ერთეულები — ყ რ მ ა, კ ა ც ი[2].

IX—XI საუკუნეების ქართული მწერლობა იყო „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“ ეპოქის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარებისა[3]. ამ პერიოდში მიაღწია განვითარების მწვერვალს ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ჩასახულმა ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ. ეს არის ეპოქა სუმბატ დავითის ძის „ბაგრატიონთა ცხოვრებისა“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის „ქართლის ცხოვრებისა“ და ა. შ. ქართული ლექსიკური სინონიმიკის ბევრი რიგი შევსებას სწორედ ამ ისტორიული თხზულებებიდან იღებს.

სინონიმურ რიგს — გულპყრობილი, გმირი, კადნიერი, მამაკაცი, მომრთხმელი, მრე, მტკიცე, მძლავრი, მძლე, მკნე, უშიში, ქველი, შემძლე (შემძლებელი), ამ პერიოდში ემატება, — ა ხ ო ა ნ ი, ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი, გ ო ლ ი ა თ ი, გ უ ლ ო ა ნ ი, ლ ო მ ი, უ შ ი შ ა რ ი, ქ ა ჯ ი, შ ე მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი, შ ე უ წ ო ნ ე ლ ი, ჯ ო მ ა რ დ ი...

ასევე: მეფე, ამირა, ამირათა-ამირა, გვრგვნოსანი, თჯთმპყრობელი, მბრძანებელი, მეუფე, კეისარი, შარავანდედგმული, — ს ულ თ ა ნ ი, შ ა ჰ ი, შ ა ჰ ი ნ შ ა ჰ ი, ხ ა კ ა ნ ი, ხ უ ა ს რ ო, ჯ ე ა ნ გ ი რ ი...

IX—XI საუკუნეებში ფართოდ გაიშალა და დამოუკიდებელი ლიტერატურული მიმართულების სახით ჩამოყალიბდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღში ჩასახული საერო მოტივები. იქმნება ქართული ფეოდალური საზოგადოების ყოფის ამსახველი ორი-

---

[1] ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 54—55.

[2] იქვე, გვ. 72.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 531.

გინალური თხზულებები, ითარგმნება მსოფლიო ლიტერატურული აზროვნების შედევრები. ქართველი კაცის ყოფის, მისწრაფების, სულიერი განცდის გადმოცემისათვის უკვე სრულყოფილ იარაღს აღარ წარმოადგენს მარტვილობათა და ცხორებათა ენა, და შესაბამისად, ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულებით მდიდრდება ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების, პიროვნების ამა თუ იმ თვისების, ლხინის, სიხარულის თუ სხვა გრძნობითი ემოციების აღმნიშვნელი სინონიმური რიგები:

სინონიმურ რიგს — მეგობარი, თანა-მეუღლე, თანა-სძალი, მახლობელი, მეზობელი, მიყუარი, მოდგამი, მოყუარე, მოყუასი, მოძმე, საყუარელი, ემატება — ა მ ხ ა ნ ა გ ი, ა რ ი ფ ი, ნ ა დ ი მ ი...

ასევე: მხიარული, ბედნიერი, განხარებული, განცხრომილი, მდიდარი, ლხენილი, უმოლხინე, შუებული, — ბ ე დ ს ვ ი ა ნ ი, ს ვ ი ა ნ ი, შ ე ფ რ ო ბ ი ლ ი...

შუება, ბედნიერება, განიშატიანება, განცხრომა, განშუება, განხარება, გემოვნება, ლხინება, ლხუება, მხიარულება, სანატრელობა, სიხარული, სიტკბო(ე)ება, ფუფუნება, შენდომა, ჰამება, — მ უ ხ ა ე რ ი, შ ე ქ ც ე ვ ა...

ჰამა, ანკანაკება (ანკანაკობა), გემოიან-ხილვა, ვახშმობა, პური, პურის-რთვა, პურის-ჭამა, სადილი (სადილობა), სამხრობა, სერობა, სუმა, სტუმრობა, ტაძრობა, ტოზიკობა, წვეულება, ხადილობა, ჭამა-სუმა, — დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა, მ ა ე მ ა ნ ი, მ ე ჯ ლ ი შ ი (მ ი ჯ ლ ი შ ი)...

ენის ლექსიკურ-ეპპრესიულ საშუალებათა დახვეწა და შევსება-გამდიდრება ფილოსოფიური აზროვნების განსაკუთრებული განვითარებითაც იყო შეპირობებული.

ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი ჯერ კიდევ VI საუკუნეში იყენებს არისტიდე ფილოსოფოსის აპოლოგიას[1], მაგრამ როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართული ფილოსოფიური აზროვნება განვითარების უმაღლეს მწვერვალს ძველი ქართული მწერლობის მეორე პერიოდში აღწევს.

ფილოსოფიურ თხზულებათა თუ ტრაქტატთა ქართველი ფილოსოფოს-მთარგმნელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ზუსტად, ადეკვატურად გადმოეღოთ დედნის მეცნიერული ტერმინოლოგია. ხშირად რომელიმე ფილოსოფიურ ტერმინს მშობლიური ენის რამდენიმე სიტყვას უძებნიდნენ, ანდა მეცნიერული სიზუსტის მიზნით ქართული შესატყვისის გვერდით უცხო ლექსიკურ ერთეულსაც ტოვებდნენ:

კეთილი — შუენიერი, ბოროტი — სავნებელი:

ხოლო სხუათა ყოველთა დღეთა მარხვაჲ წ ე ს ი ე რ ი კეთილ არს

[1] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 155; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 602.

და შუენიერ და ნაყროვნებაჲ და მთრვალობაჲ ბოროტ არს და სავნებელ (მც. სჯ. 39)[1].

გუელთევზი, ზმირნი:

...გრძელ-თევზნი და ზმირნი, და გუელ-თევზნი, რომელნიგი უყეანთა მდინარეთა და ტბათა შინა იშვებიან. (ექუს. დღ. 82_{17})[2].

რიცხვი, ჰამარი:

ხოლო ქუეყანისა ზომანი, და რიცხუთა და ჰამართა ღონენი.... ესევითარსა აღსასრულსა მიიწევიან. (ექუს. დღ. 4_{24}).

სჯლოგიზმი, თანშესიტყუა:

სამ არიან ნაწილნი სჯლოგიზმოჲსანი, რომელ არს თანშესიტყუაჲ. (ი. პეტრ. შრ. II. 22_4)[3].

მაშასადამე, ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურულ ცვლილებებს IX—XI საუკუნეებში ჰქონდა თავისი სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-ლიტერატურული წანამძღვრები.

§ 2. ლექსიკური სინონიმიკის წყაროებრივი თავისებურებანი

ლექსიკური სინონიმიკის წყაროები ძირითადად ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბოლო პერიოდშიც უცვლელია. ცოცხალი ხალხური მეტყველება უწინდებურად წარმოადგენს მის მთავარ მასაზრდოებელ წყაროს. ასევე სიტყვათა სესხებაც კვლავ რჩება მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ დუბლეტთა საწარმოო ბაზად, რაშიც გარკვეული კორექტივები შეაქვს X საუკუნის ბოლოს განახლებულ ბერძნულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას, მაგრამ მაინც, სინონიმური ლექსიკის გამდიდრება-შევსების თვალსაზრისით, ამ ეპოქის ძირითად ნიშნად უნდა ჩაითვალოს ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება ქართველ ავტორ-მთარგმნელთა მიერ.

თარგმანისადმი შემოქმედებითი მიდგომის ტრადიცია ოდითგან ახასიათებდა ქართულ მწერლობას. „ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია „თავისუფალი თარგმანისა“. თეორია „შემატება-შემოკლებისა“ მარტო ექვთიმე ათონელის თარგმანებში როდი იჩენდა თავს, ის ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა. მთარგმნელობის პროცესში ქართველები მონურად არ მისდევდნენ სათარგმნელ ნიმუშებს. იშვიათად შეხვდებით ჩვენს ძველ მწერლობაში ისეთ

---

[1] მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1972.

[2] ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო შ. ყაბაძემ, თბ., 1947.

[3] ი. პეტრიწის შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.

გადათარგნილ ძეგლს, რომელიც სიტყვა-სიტყვით, უცვლელად იყოს გადმოღებული. მთარგმნელებს შეაქვთ თავიანთ თარგმანში ქართული სული, ქართული შეგნება, ქართული სახეები და კოლორიტი, ქართულ გეოგრაფიულ-ისტორიული სახელები და ტერმინები, თავისებურად, ქართულად ამოკლებენ და ავრცობენ მათ, ასე, რომ ეს ნათარგმნი ძეგლები ხშირად ორიგინალური შემოქმედების მიჯნამდე მიდის"[1].

რა თქმა უნდა, ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ თარგმანისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების თვალსაზრისით ძველი ქართული შვიდსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სავსებით ერთგვაროვანია. „ყოველ ეპოქასა და ლიტერატურულ სკოლას თავისი სტილი აქვს, რომელიც წარმმართველი და გეზის მიმცემია თავისი დროის მწერლობისათვის. იცვლება დრო, ეპოქები, ლიტერატურული თვალსაზრისები, იდეები: მიმდინარეობს არსებული ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოწმება-გადამუშავება ახალი იდეებისა და სტილის შესაბამისად"[2].

თარგმნილი წიგნების რედაქციული გადამუშავება-გადახალისება განსაკუთრებით გაცხოველდა ძველი ქართული მწერლობის II პერიოდში. „ხუთი გამოჩენილი მოღვაწე მეთაურობს ამ ისტორიულ საქმეს. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი"[3].

ამ მუშაობის ძირითადი მიმართულებანი ასეთი იყო:

1. თარგმანის მაქსიმალური სიზუსტე და სიახლოვე ბერძნულთან. ამ სიზუსტის დასაცავად მიზანშეწონილად იყო მიჩნეული, ქართულ ტექსტში სიტყვათა ჩამატება ან კლება. წინადადებებში სიტყვათა რიგის შეცვლა;

2. სახარებაში დაცული ბევრი ძველი ლექსიკური ერთეული და გრამატიკული ნორმა ამ პერიოდისათვის უკვე აღარ ესმოდათ კარგად, ამიტომ აუცილებელი გახდა მათი განახლება;

3. ამ ოპერაციების დროს მთარგმნელებს მუდამ თვალწინ ჰქონდათ მშობლიური ქართული ენა, რომელიც ოდნავადაც არ უნდა შებღალულიყო, დიდი სიფრთხილით და სათუთად უნდა დაცულიყო მისი ბუნებრივი თვისებები. თარგმნისას სრულყოფილად უნდა გამოვლენილიყო ქართული ენის თავისებურებანი, ქართული ზმნის შესაძლებლობანი[4].

ძველი ძეგლების ტექსტოლოგიური გადამუშავება-გადახალისება,

---

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 186.

[2] თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976, გვ. 215.

[3] იქვე.

[4] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979, გვ. 82, 154.

მათთვის „ქართული სულის ჩადგმა“ ავტორ-მთარგმნელისაგან გარკვეულ ხელოვნებას მოითხოვდა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. აი, როგორ შეფასებას აძლევს მკვლევარი პეტრიწონის სკოლის მეთოდების მიხედვით რედაქციაქმნილ ერთ-ერთ ხელნაწერს:

„ძველი თარგმანის ლექსიკა შეცვლილია ახალი სემასიოლოგიური ერთეულებით. ავტორი სრულფასოვნად ფლობს ქართულ სიტყვიერ მასალას: აცოცხლებს, ქმნის და შემოაქვს ტექსტში უამრავი ქართული სიტყვა, რომელთაგან ბევრი სიტყვათშემოქმედების საუკეთესო ნიმუშია. ახალ ლექსემათა უმრავლესობა ბუნებრივია ფორმითა და აღნაგობით, ხელოვნური ჩანს სიახლისა და გავრცელების თვალსაზრისით“[1].

ბუნებრივია, რომ მშობლიური ლექსიკისადმი ეს ნოვატორულ-შემოქმედებითი მიდგომა ენის სინონიმურ სისტემაშიც აისახა:

1. შეიმჩნევა უცხოური წარმოშობის ლექსიკურ ერთეულთა ინტენსიური „გაქართულება“. ნასესხები სიტყვები სინონიმურ წყვილებში უპირატესად ქართული მაწარმოებლებით გვხვდება.

აერ-ოვან-ი, უსართულოჲ:

...უ ს ა რ თ უ ლ ო ჲ და ა ე რ ო ვ ა ნ ი იგი ელამისაჲ, ბჳსა მის გარეშესაჲ, ოც წყართა. (ეზეკ. 40_{14}).

ბ ა ყ ლ-ე ა ნ-ი, მწინკულევანი:

ა) რაჲ არს სამოსელი იგი ბ ა ყ ლ ე ა ნ ი, რომელი ემოსა მას. (მაი. სწ. 280_{10-11}),

ბ) რომელსა უყუარს მწინკული იგი, გონებაჲცა მისი მ წ ი ნ კ უ ლ ე ვ ა ნ არს. (მამ. სწ. 279_{8-9}).

მრავლდება პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელთა სინონიმური წყვილები, სი-ბორგილ-ე, სი-ცოფ-ე, სი-ხელ-ე:

ა) სადა-იგი მდგომარე არს, ეშმაკი და განქმელთა მათ და დაწერტილთა ძუალთა მიერ ს ი ბ ო რ გ ი ლ ს ა აღაგზებს. (ექუს. დღ. 72_{11}),

ბ) რომელი ესე უფროჲს არს ყოველთა ს ი ც ო ფ ე თ ა ტყუეილისა დაწამებაჲ უსულოთაჲ. (ექუს. დღ. 72_{11}),

გ) იცნობდა მარკოზს სალოსსა ს ი ხ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს მისისა. (მამ. ცხ. 209_{2}).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე აბსტრაქტულ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება სხვადასხვა სურათს იძლევა[2].

3. მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ წყვილებში საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ არ-ნაწილაკიანი უქონლობის სახელები:

[1] თ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976, გვ. 217.

[2] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იქვე, ტ. IX—X, თბ., 1958, გვ. 121—127.

არა-ძლებაჲ, სენი, უძლურება, სნეულება:

ა) განჰკურნებდა ყოველთა სნეულებათა და ყოველთა არაძლებათა ერისათა. (მ. 4_{23}C),

ბ) განჰკურნებდა ყოველსა უძლურებასა ერსა შორის. (ორი ბ. რ. მ. 4_{23} EG).

არა-კეთილი, უკეთური:

ა) და მე მივსცენ მათ ბრძანებანი არაკეთილნი და სამართალნი, რომლითა ვერ ცხონდენ მათ შინა. (ეზეკ. 20_{25}),

ბ) რამეთუ შინაგან გულისაგან ზრახვანი კაცთანი უკეთურნი გამოვლენ. (მარკ. 7_{21} C).

არა-მცირედი, ურიცხვ:

ა) ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ. (ცხ. ი. ეფთ. 24_{33}),

ბ) ხოლო თორნიკ... აქავე მოიქცა ურიცხჳთა სჳფასითა (ცხ. ი. ეფთ. 20_{26}).

4. იზრდება სასუბიექტო მიმღეობათაგან წარმოქმნილ სინონიმურ წყვილთა რიცხვი.

მშლელი, წინააღმდგომი:

უკუეთუ ვინმე იპოოს მშლელი... და წინააღმდგომი ძმათაჲ. (ცხ. ი. ეფთვ. 26_{39}).

მობაძავი, მზუელავი:

ა) თქუენცა მისა მობაძავად თავნი თჳსნი მოიყვანნეთ (მამ. ცხ. 9_{12}),

ბ) ...არს მზუელავი ესე არსისაჲ. (ი. პეტრ. შრ. II, 79_{23}).

5. განუხრელად ფართოვდება -ად სუფიქსიან მიმღეობურ სინონიმთა მოხმარების ფარგლები:

განქარვებ-ად-ი, განხრწნ-ად-ი, წარწყმედ-ად-ი:

ა) არა ჯერ არს სიყუარული ესევითარისა განქარვებადისაჲ. (მამ. სწ. 259_{10}),

ბ) ნათესავი წარწყმედადი არს განზრახვითა. (ძვ. ქ. ლ.),

გ) განხრწნადმან ჯორცმან დაამძიმის სული. (ძვ. ქართ. ლექს.).

6. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგები საგრძნობლად მდიდრდება სათანადო ბერძნულ ლექსიკურ ერთეულთა კალკირების გზით:

მრავალ-მეტყუელი, სიტყუა-პოვნიერი, სიტყუათ-მოყუარე, სიტყუის-მეცნიერი:

ა) არცა ჰნებაენ სმენაჲ ჳმასა მრავალმეტყუელთა. (მამ. სწ. 303_{6}),

ბ) იყო იგი ფრიად გონიერ და სიტყუა-პოვნიერ. (ძვ. ქართ. ლექს.),

გ) კაცი სიტყუა-მ ე ც ნ ი ე რ ი მოვიდა ეფესოდ. (საქ. მოც. 18$_{24}$).

ბუნებრივია, რომ ლექსიკურ სინონიმთა მოხმარების თვალსაზრისით IX—XI საუკუნეების ქართული სამწერლო ძეგლები სავსებით ერთგვარი არ არის. აქ გარკვეულ როლს ასრულებს მთარგმნელის სპეციფიკური ხელოვნება და მისი თავისებური დამოკიდებულება თავისი დროის სალიტერატურო ენისადმი[1]. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის თარგმანებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი: ეს არის მათში გამოვლენილი უდიდესი რწმენა ქართული ენის შესაძლებლობებისა, რაც თავისთავად განაპირობებდა მთარგმნელთა მიერ ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. ეს მოვლენა კანონზომიერი შედეგია იმ ეროვნული თვითშეგნების ზრდისა, რაც თან სდევდა ქართველი ხალხის საბოლოო ფორმირების პროცესს ადრეფეოდალურ ხანაში.

„ქართველები ამ დროს არა მარტო ბერძნების თანასწორუფლებიანად თვლიან თავს, ქართული კულტურა ამ დროს არა მარტო მხარს უსწორებს მსოფლიო ცივილიზაციის უმთავრეს მესვეურს — ბიზანტიას, არამედ გარკვეულ მეტოქეობასაც უწევს მას"[2]. ქართული ენა კი არა მარტო გათანასწორებულია ბერძნულ ენასთან უფლებრივად, არამედ თავისი მესიანური დანიშნულებით აღემატება მას და მსოფლიოს ყველა ენაზე მაღლა დგას[3].

IX—XI საუკუნეების მთარგმნელ-მოღვაწეთა მშობლიური ენის ლექსიკური სინონიმიკის წყაროებისადმი კრიტიკულ-შემოქმედებითი მიდგომა წარმოადგენს იმ პერიოდის ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში შემუშავებული ეროვნული თვითშეგნების იდეის ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას.

§ 8. ლექსიკური სინონიმიკის ფუნქციონალურ-სტილისტური თავისებურებანი

IX—XI საუკუნეები დიდმნიშვნელოვანი პერიოდია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მისი ლექსიკური სინონიმიკაც მრავალმხრივაა საყურადღებო ქართული ენის ისტორიკოსთათვის. ამ პერიოდის ძეგლების ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა ერთმანეთის გვერდით ჭარბი ხმარება, სინონიმური პარალელიზმის სიუხვე: კერეონი და სანთელი, მომღერალი და მუტრიბი[4].

---

[1] ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 230.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 574.

[3] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 14.

[4] შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 58—59.

სინონიმური პარალელიზმი, ე. წ. ჰენდიადისები, ამ ეპოქის პირმშო არ არის. ასეთ სინონიმურ წყვილებს ქართული სამწერლო ენის უძველეს ძეგლებშიც ვხვდებით:

გუემა და ტანჯვა:

მწარე გონებაჲ აქუს მას, გ უ ე მ ა ს ა და ტ ა ნ ჯ ვ ა ს ა დიდსა შეგაგდოს შენ. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 134_{37}).

უმეცრება და უგუნურება:

უ მ ე ც რ ე ბ ა ს ა და უ გ უ ნ ურ ე ბ ა ს ა შინა ვიყავ. (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 171_{10}).

საგრძნობლად ფართოვდება სინონიმური პარალელიზმის გამოყენების სფეროები IX—X საუკუნეებში:

ჰასაკოვანი და მოხუცებული:

ვიხილე კაცი ერთი ჰ ა ს ა კ ო ვ ა ნ ი და მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი. (სინ. მრ. 63_{29}).

სიმშჯდე და განურისხველობა:

ისწავებნ... სიმშჯდესა და გ ა ნ უ რ ი ს ხ ვ ე ლ ო ბ ა ს ა. (გრ. ხანძ. ისტ. ქრ. 206_{5}).

წესი და კანონი:

კუალად განვაახლებთ და დავამტკიცებთ წ ე ს თ ა და კ ა ნ ო ნ თ ა. (მც. სჯულ. 23_{7}).

კანონი და განგება:

ეგრეთვე დავამტკიცებთ კ ა ნ ო ნ თ ა და გ ა ნ გ ე ბ ა თ ა. (მც. სჯულ. 23_{30}).

XI საუკუნიდან კი ჰენდიადისების ჭარბი გამოყენება ეპოქის სტილურ ნიშნად იქცევა. მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა პარალელურად ხმარება გ. მთაწმიდლის შრომების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ღუაწლი და შრომა:

ჴმა-მაღლად ქადაგებენ ღ უ ა წ ლ თ ა და შ რ ო მ ა თ ა მათთა. (ცხ. ი. ეფთ. 14_{4}).

მრთელი და უვნებელი:

ჯდა ცხედარსა ზედა ყოვლითურთ მ რ თ ე ლ ი და უ ვ ნ ე ბ ე ლ ი. (ცხ. ი. ეფთ. 45_{7}).

ჰენდიადისები პირველხარისხოვანი სამკაულია იოანე პეტრიწის მხატვრული ენისა: უ კ უ ა ნ ა ჲ თ და შ ე მ დ გ ო მ ა დ, მ ო წ ა დ ე და ტ რ ფ ი ა ლ ი, გ ა ნ წ ვ ა ლ ე ბ ა ს ა და გ ა ნ ყ ო ფ ა ს ა, პ ი რ ვ ე ლ ი და მ თ ა ვ ა რ ი, უ ძ რ ა ვ ა დ და შ ე უ რ ყ ე ვ ლ ა დ[1].

ჰენდიადისებში ნასესხები ლექსიკური ერთეულების მონაწილეობა

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის შრომები, I, თბ., 1940, გვ. LXIV.

ბუნებრივია ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის ძეგლებისთვისაც: მოწამე და მარტჳლი:

გუაკურთხენ წმიდაო მოწამეო და მარტჳლო. (შუშ. წამ. ისტ. ქრ. 142_{21}).

როგორც შ. ძიძიგური შენიშნავს, ამგვარ სინონიმურ წყვილებს ავტორ-მთარგმნელისაგან გარკვეული ლინგვისტური მისია აქვს დაკისრებული: „უცხოური სიტყვის დანერგვის ერთ-ერთ ხერხად უნდა დავსახოთ ენაში ბუნებრივად გამომუშავებული შინაგანი საჭიროება-უცხოური ფორმისა და მისი ეკვივალენტის წყვილად, პარალელურად ხმარება, ვიდრე ახალი სიტყვა ფეხს მოიკიდებდეს. მაშასადამე, ერთი ცნება გამოხატულია ორი სიტყვით[1].

საკუთარი და ნასესხები ლექსიკური ერთეულებისგან წარმოქმნილი სინონიმური წყვილები მიუცილებელი სამკაულია X—XI საუკუნეების ქართველ მწიგნობართა შრომებისთვის.

განმგებელი და ეპიტროპი:

განმგებელად და ეპიტროპად თჳთმპყრობელნი მეფენი განაწესნა. (ცხ. ი. ეფთ. 26_{40}).

მაგრამ ახლა უკვე ჰენდიადისების ხმარება არ ემსახურება იმ მიზანს, რომ „ერთი უცნობი სიტყვა მეორით განიმარტოს... ვერც იმით ავხსნით ამ ხერხის გამოყენებას, თითქოს მოცემული ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად საკმარისი არ იყოს ერთი ქართული სიტყვა"[2]. ამ ეპოქისთვის ჰენდიადისების ხმარება ტრაფარეტულ სტილისტურ ხერხად იქცა[3].

ძველი ქართული სამწერლო ენის ბოლო პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა მხატვრულ-ექსპრესიული მოხმარების თვალსაზრისითაც. სინონიმური რიგებიდან ამ პერიოდის ავტორ-მთარგმნელთათვის ხელმისაწვდომი და აქტიურია სამი, ოთხი, ხუთი და ზოგჯერ მეტი ლექსიკური ერთეული.

მეფე, მეუფე, კელმწიფე:

დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ... ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფჱ. (გრ. ხანძ. ისტ. ქრ. 219_{25-27}).

დიდებული, განთქმული, საჩინო, წარჩინებული:

იოვანე იყო ...დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის... მჴნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა. (ცხ. ი. ეფ. 15_{7}).

---

[1] შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, ტ. II, № 7, თბ., 1941, 692.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ი. პეტრიწის შრომები, I, თბ., 1940, გვ. LXV—LXVI.

[3] დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 154.

ჰეშმარიტება, სიმართლე, სიწრფოება, უმანკოება:

შეუდეგ ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს ა და ს ი მ ა რ თ ლ ე ს ა და ს ი წ რ-
ფ ო ე ბ ა ს ა და უ მ ა ნ კ ო ე ბ ა ს ა. (ექუს. დღ. 84_{35}).

როგორც ვხედავთ, სინონიმები აქ თითქოს სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია, რომ ნებისმიერ მომენტში შეენაცვლონ ერთმანეთს.

ლექსიკურ სინონიმთა მხატვრული მოხმარების თვალსაზრისით უმაღლეს ოსტატობას აღწევენ ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა მთარგმნელები. ისინი სიტყვათა სემანტიკურ მნიშვნელობათა გვერდით მათ ბგერით შედგენილობასაც ითვალისწინებენ:

გალობა, დიდება, თაყვანის-ცემა:

მამასა ღმერთსა უ გ ა ლ ო ბ თ,
და ძესა ღმერთსა ვ ა დ ი დ ე ბ თ,
ერთობით მორწმუნენი,
და სულსა წმიდასა თ ა ყ ვ ა ნ ი ს-ვ ს ც ე მ თ. (ძლისპ. 48_{8})[1].

კურთხევა, ამაღლება:

ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ე თ ყოველნი საჭმენი უფალსა
ღა ა მ ა ღ ლ ე ბ დ ე თ მას უკუნისამდე. (ძლისპ. 96_{1}).

გალობა, დიდება, ქება, ღაღადება:

ანგელოზნი ღ ა ღ ა დ ე ბ ე ნ,
მთავარანგელოზნი გ ა ლ ო ბ ე ნ.
ა ქ ე ბ ე ნ ქერობინნი,
ადიდებენ ს ე რ ა ბ ი ნ ნ ი.

ქადაგება, ღაღადება:

წინასწარმეტყუელნი ქ ა დ ა გ ე ბ ე ნ,
ღოციქულნი ღაღადებენ,
გონებანი ეწამებიან. (სინ. მრ. 183_{23-24}).

ოსტატურად შერჩეულ სინონიმთა ვოკალური გაფორმება ანიჭებს ამ სალექსო სტრიქონებს რითმულობას და საოცარ მუსიკალობას.

მაშასადამე, IX—XI საუკუნეები დიდმნიშვნელოვანი პერიოდია ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის არსებობის ისტორიაში.

ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა ძვრებმა შესწორებანი შეიტანეს ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურულ შედგენილობაში, ცვლილებანი გამოიწვიეს სინონიმურ რიგთა შევსება-გამდიდრების თვალსაზრისით.

აღნიშნული პერიოდი ეპოქალურია ლექსიკურ სინონიმთა მხატ-

[1] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, თბ., 1971.

ერულ-ექსპრესიული მოხმარების მხრივ. ამ დროის ავტორ-მთარგმნელები უმაღლეს ოსტატობას აღწევენ მსგავსი სემანტიკური ერთეულების გამოყენების სფეროში.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის ყველა რგოლში დაგროვდა რაოდენობრივი ცვლილებანი, რაც უკვე მთლიანობაში საფუძვლად ედებოდა თვისობრივად ახალ სისტემას, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სინონიმიკას.

ნაწილი მეორე

ლექსიკური სინონიმიკის საკითხები ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში

თავი I. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკა

ლექსიკურ სინონიმთა სიუხვისა და სიტყვათა შერჩევის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ უნიკალური მოვლენაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ერთი და იმავე მოქმედების, მოვლენის, საგნის ან მისი ნიშან-თვისების გადმოსაცემად პოემის ავტორს ათი და ზოგჯერ მეტი ლექსიკური ერთეული მოეპოვება. ცხადია, სინონიმური სისტემის ყველა უბანზე თანაბარი დატვირთულობა არ არის. მსვავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ლექსიკურ ერთეულთა სიმჭიდროვით.

§ 1. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული და სოციალური გარემო, მისი იდეური დანიშნულება და შინაარსი თვითვე განსაზღვრავს ნაწარმოების ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურულ თავისებურებებს:

1. რუსთველის ეპოქა არის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის, ქართული ფეოდალური კულტურის განვითარების უმაღლესი მწვერვალი[1]. პოემაც უხვად გვთავაზობს სიმდიდრის, სიმრავლის, ლხენის, ფეოდალური წყობისთვის დამახასიათებელ ატრიბუტთა აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს:

ა) მრავალი, ანგარიშ-მიუწდომელი, ბევრი, დაუთვალავი, დიადი, იეფი, მრავალკეცი, პაშტა, უამარი, უთვალავი, უზომო, ულევი, ურიცხვი, უსაზომო, უსახო,

ბ) საჭურჭლე, ალაფი, ლარი, ნიჭი, საუნჯე, საქონელი.

გ) ძღვენი, არმაღანი, საბოძვარი, საჩუქარი.

[1] გ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, გვ. 3.

დ) ხელმწიფე, მეფე, კეისარი, მპყრობელი, მფლობელი, პატრონი, სკიპტროსან-გვირგვინოსანი, უფალი, ხანი.

2. რუსთველის პოემა სარაინდო რომანია, და ჩვეულებრივ, მისთვის ნიშანდობლივია ბრძოლა-შერკინების, ძლევა-გამარჯვების, დიდი ფიზიკური ძალის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე:

ა) გამარჯვება, დათრგუნვა, დამარცხება, დამონება, დაპყრობა, დაძაბუნება, მორევნა, შეფრობა, ძლევა (მძლეობა), წამოქელვა, ჯობება (ჯობნა).

ბ) გმირი, გოლიათი, მაგარ-ვადა, მემარჯანი, მკლავ-მაგარი, მკლავ-ფიცხელი, მოურევარი, მძლე, ქველი, ძალ-გული, ძალ-გულოვანი, ძლიერი, ჯანი.

გ) ომი, ბრძოლა, ლაშქრობა, ნაპირობა, (შე შემო)ტევება, რჩოლა(მერჩი, მოჩერჩოლება), შემობმა, წაკიდება(წამკიდობა).

3. „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის უკეთესი ჰიმნია, ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა ტრფობას და მასთან დაკავშირებულ სულიერ განცდებს აგვისახავს, ამიტომაც გაზსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა ადამიანის სხვადასხვა გრძნობითი ემოციების ამსახველი სინონიმური რიგები:

ა) დაღრეჯილი, ბნელ-ქმნილი, გულ-დანაწყლულები, გულ-მოკლული, დღე-კრული, ვაგლახებული, ლახვარ-სობილი, ლახვარ-ხებული, მევაგლახავი, მონაწყენი, მშმუნავი (მშმუნვარე), ნავღელ-ჭმული, პირბნელი, სევდიანი, სიცოცხლე-გაარმებული, შეჭირვებული, ჭირ-მონამატები, ჯავრიანი.

ბ) სევდა, ბავთება, დამძიმება, დანავღლება, დარდი, კაეშანი (კეშანი), ლხინ-ნაკლულობა, მგამა, მოწყენა, სამძიმარი, სიმძიმილი, ნავღლება, (და)ღონება, ურვა, ჭმუნვა,

გ) წყენა, გაავცნობება, გაალმასება, გაგულისება, გამომჩივარება, გამწარება, გამხეცება, გაფიცხება, გარისხება, კუშტობა, ქუშობა, წყრომა, წყრომა-ზრახვა, შერისხვა, ჯავრება.

ლექსიკური ერთეულების სიმდიდრით გამოირჩევიან სინონიმური რიგები, რომლებიც აღნიშნავენ:

1. ადამიანის გონების რაიმე თვისებას:

ა) ბრძენი, არ-უიცარი, გონიერი, ცნობილი, ცნობიერი, ჭკვიანი.

ბ) უჭკუო, გონება-შეიწრებული, მსწრომელი, რეგვენი, უგუნური.

გ) ხელი, ბნედ-ქმნილი, თვალ-დაუფახელი, მხეც-ქმნილი, რეტი, უცნობო, უცნობო-ქმნილი, შეთი, შლეგი, შმაგი, ცნობა-შმაგი.

2. თხოვნას, ხვეწნას, შებრალებას და მოწყალეს, მხსნელს:

ა) აჯა, ვედრება, თხოვნა, მუდარა(მუდარობა), მოაჯეობა, ნუკეცა, ქენება, შეპოვ(ნ)ება, ხვეწნა.

ბ) მოწყალე, არ-ფიცხელი, ლმობიერი, მოწყალე-მლმობელი, სახიერი, შემწყნარებელი.

გ) შებრალება, შენანება, შეცოდება, შეწყალება.

3. კარგს, საუკეთესოს და ცუდს, სამარცხვინოს:

ა) კარგი, ამო, გულის-გული, ვარგი, მარგი, ნაქები, საკარგული, სანატრელი, სასარგებლო.

ბ) უკეთესი, რჩეული, საარაკო, უარაკო, უებრო, უზადო, უმჯობესი, უსახო, უცხო, ღარიბი, შერი, ძვირფასი, ძვირნაფასები.

გ) ცუდი, ავი, არამი, არ-საქებელი, აუგიანი, ბილწი, გაბასრული, გლახა, დაუგვანი, მაყივნებელი, ნაზრახი, ოხერი, სააუგო, საძაბუნო, სირცხვილიანი, უგვანი, უმსგავსი, შეუფერი.

4. მართალს, ჭეშმარიტს და ყრუს, ღალატიანს:

ა) მართალი, არ-ნათნები, არ-ნაცქაფავი, დასტური, მრთელი, მაუმცდარი, უცრუო.

ბ) ცრუ, მომცქაფავი, მტყუანი, სიტყვა-მცთარი, უწრფელო, უხანო, ფლიდი, ღალატიანი, ცქაფი.

5. მოძრაობას, ლაპარაკს, ნადიმობა-შექცევას, ყოფა-ქმნას:

ა) გასრულება, გათავება, გალევა, დასრულება, სრულ-ქმნა.

ბ) ქმნა, ზმა, ყოფა, ყოფა-ქცევა, ქცევა, ქცევა-ზმა, ქცევა-ქმნა.

გ) ჭამა, ნადიმი, პურობა, პურობა-დარბაზობა, ძღომა, ხადილი.

ლექსიკური ერთეულებით შედარებით ღარიბია სინონიმური რიგები, რომლებიც აღნიშნავენ

1. ბუნების სხვადასხვა მოვლენებს: ა) გათენება, გადილება. ბ) გრგვინვა, ქუხილი. გ) წვიმა, ცრვა. დ) შეღამება, დაბინდება.

2. ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებს: ა) დაბადება, შობა. ბ) დამარხვა, დასამარება. გ) მოკვდავი, სულმობრძავი. დ) მოწიფება, გავსება.

3. ზოგიერთ საყოფაცხოვრებო საგანს, სამეურნეო თუ ტექნიკურ საშუალებას ან სამხედრო აღჭურვილობის რაიმე ნაწილს: ა) ბადე, მახე. ბ) გვირაბი, ხვრელი. გ) დეზი, წრტიალი. დ) ვადა, კოტა. ე) სამხრე, სამკლავე. ვ) სკამი, სელი. ზ) ფარი, დარაკა. თ) წამალი, დარმანი, მუფარახი. ი) ხმალი, შიმშერი.

4. ზოგიერთი სახის ცხოველს, ფრინველს, მცენარეს: ა) გველი, ასპიტი. ბ) ეკალი, ნარი, ქაცვი. გ) ლერწამი, ნა. დ) ჩიტი, სირი.

5. ადამიანის ხასიათის ზოგიერთ მანკიერ თვისებას: ა) ძუნწი, პურაძვირი. ბ) ხარბი, გაუძღომელი.

მაშასადამე, რუსთველისეული ლექსიკური სინონიმიკა მდიდარი და მრავალფეროვანია. განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევიან სხვადასხვა გრძნობითი ემოციების, ადამიანის გარეგნული სიტურფე-სილამაზის, დიდი ფიზიკური ძალის, შერკინება-გამარჯვების, ლხენა-შექ-

ცევის გამომხატველი სინონიმური რიგები. ამ მოვლენას გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ახსნა მოეპოვება: „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკა თემატურ-სტრუქტურული სიუხვე-მრავალფეროვნების თვალსაზრისით ღვიძლი პირმშოა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქისა.

§ 2. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკის წყაროებისათვის

რუსთველისეული ლექსიკური სინონიმიკის სიუხვის ერთ-ერთი პირველწყარო ხალხური შემოქმედებაა. ქართული ენის უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებული სინონიმური ფორმები სწორედ ქართული ცოცხალი მეტყველებიდან იღებენ სათავეს. სასაუბრო ენა ყოველთვის იყო ქართული მწერლობის მასაზრდოებელი წყარო, მაგრამ, როგორც შ. ნუცუბიძე შენიშნავს, ქართულ მწერლობაში „ხალხურობის“ გამოვლინების ტენდენციამ განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი XI საუკუნის ბოლოს[1]. ქართულ მწერლობაში „ხალხურობის“ გამოვლინების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს სქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვა-გამოთქმათა ფართოდ გამოყენება ლიტერატურულ ქმნილებებში. სპეციალური გამოკვლევებით „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ოდენობანი[2]. მაგალითად, ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით ტყუვილ-მოტყუების აღმნიშვნელი სიტყვებია: სიცრუ(ვ)ე, სიჩქურე, ნაცილი, ტყუ(ვ)ება, უსამართლობა, ცთუნება, ცილი, ცილობა.

„ვეფხისტყაოსანში“ (ისევე როგორც „ვისრამიანში“) სიტყვათა ამ წყობას რამდენიმე ლექსიკურ ერთეულთან ერთად ემატება ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის ნიშანდობლივი „მოღორება/დაღორება“ და საბოლოოდ ტყუ(ვ)ილ-მოტყუების აღმნიშვნელი რუსთველისეული სინონიმური რიგი ასე წარმოგვიდგება: ტყუ(ვ)ება, კატაბა, მომცდომარება, მოღორება (დაღორება), მრუდი, ორპირობა, სიბილწე, სიცრუე, ცრუობა, ცქაფა, ჭრელი.

ძირითადი საყრდენი ფუნდამენტი, რომელზედაც შ. რუსთველისეული სინონიმური სისტემა დგას, ძველი ქართული მწერლობაა. დიდ შემოქმედს სიტყვათა შერჩევის დროს უხვად უსარგებლია ჩვენი სა-

---

[1] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, შრომები, ტ. IV, თბ., 1976, გვ. 214.

[2] ნ. მ ა რ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1965, გვ. 45—105; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938, გვ. 209—227; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, შოთა რუსთაველის ენის საკითხები, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971, გვ. 3—30.

სულიერო, საისტორიო თუ საერო მწერლობის ლექსიკური მასალით. მაგალითად, სასულიერო მწერლობის ძეგლების მიხედვით, გახარების აღმნიშვნელი სიტყვებია: განხარება, ბედნიერება, განიშატიანება, განცხრომა, განშუება, გემოვნება, ლხინება, ლხუება, მხიარულება, ნეტარება, სანატრელება, სიტკბოვნება, ფუფუნება, შუება, შუებულება, ჰამება.

„ვეფხისტყაოსანში“ იგივე მნიშვნელობა შემდეგი ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემა: ლხინი, არ-მოწყენა, განცხრომა, (გა)ხარება, ლხენა, ნეტარება, ნიშატი, სიამოვნე, სიხარული, ტკბუნვება, შადი, შვება.

სას. მწ. უმეცარი, გამოუცდელი, განუსწავლელი, უიცი, უცებო, უწურთელი.

„ვეფხისტყაოსანი“: უსწავლელი, უმეცარი, უიცი, უცები, უცოდნელი, უწვრთელი.

„ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სინონიმური რიგი შევსებას ძველი ქართული საისტორიო მწერლობიდან იღებს. სწორედ აქედან მომდინარეობენ სინონიმური წყვილები: დარაჯა — ციხოვანი, ხარაჯა — ხარკი...

უდავოდ დიდია ძველი ქართული საერო მწერლობის გამანაყოფიერებელი გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ სინონიმიკაზე. რუსთველს მრავალი ლექსიკური ერთეული აუღია „ვისრამიანიდან“, „ამირან-დარეჯანიანიდან“, „აბდულმესიანიდან“ სიტურფე-სილამაზის, ბრძოლა-შერკინების, შექცევის და ფეოდალური არისტოკრატიის სხვადასხვა ყოფითი მომენტის დასახასიათებლად:

„ვისრამიანი“: ტურფა, დამამშვენებელი, კეკლუცი, მოსაწონელი, ნატიფი, პირშვენვარე, სანდომი, საწადისი, სახამსო, სრული, უაუგო, უებრო, შვენება-მოჭარბებული, შვენვარე (შვენიერი), წალკოტქმნილი.

„ვეფხისტყაოსანი“: ტურფა, კეკლუცი, ლამაზი, ლერწამ-ტანი, მრავალ-ფუალი, (მ)შვენიერი, ნაზი, ნარნარი, პირ-ბაკმიანი, ნატიფი, პირმზე, სარო-ტანი, სატურფალი, ტან-ალვა, ტან-ნაკვთიანი, ტან-სარო, წერწეტი, ჯავარ-სრული.

პოემის ენაზე დაკვირვება მოწმობს, რომ მისი ავტორი იშვიათი სიფრთხილით იყენებდა ძველი ქართული ენის მეტად მდიდარ და მრავალფეროვან ლექსიკურ მასალას[1]. მაგალითად, ტ ი რ ი ლ ი ს მნიშვნელობა ძველი ქართული სამწერლო ძეგლების მიხედვით შემდეგი სიტყვებით გადმოიცემოდა: ტირილი, ახვა, გლოვა, გოდება, გურინვა, ვაება, ვალალება, ცრემლოვა, ტყება, ყივილება...

---

[1] შ. ღ ლ ო ნ ტ ი, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1966, გვ. 87—115, მ ი ს ი ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1968, გვ. 6—23.

„ვეფხისტყაოსანში“: ტირილი, ახვა, გლოვა, გლოვა-ახვა, გლოვა-ტირილი. ვაგლახი, ვაება, ოხრვა, სულთქმა, უობა, უში.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ სინონიმური რიგი არ შეიცავს ძველი ქართულის „ცრემლოვას“, იგი ალბათ რუსთველის ეპოქისთვის უკვე მოძველებული იყო.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთივე არქაულობის ნიშნით ხასიათდებოდა XII საუკუნისთვის ლექსიკური ერთეულები: არა-ძლება, არდაბაგება, მტირი, ჯერკუალი და პოეტმაც მათ ნაცვლად უბვად წარმოგვიდგინა იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში გაჟღერებული ენობრივი ფორმები:

ბაღი, ბაღჩა, ედემი, საბაღნარო.

სენი, ლმობა, სალმობა, სატკივარი, სნება.

ღალატი (ღალატობა), გაწირვა, დაღადრება, მუხთლობა, ორგულება.

ზოგჯერ კი ძნელი გასარკვევია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ავტორი ძველი ქართული ენის ლექსიკური მასალის გამოყენებისას. მაგ. საკმაო განსხვავებაა მეგობარ-მოყუასის აღმნიშვნელ ძველი ქართულისეულ და რუსთველისეულ სინონიმურ რიგებს შორის:

ძვ. ქართ: მეგობარი, თანა-მეუღლე, თანა-მოძმე, თანა-სძალი, მახლობელი, მოდგამი, მოყუარე, მოყუასი. მოძმე, საყუარელი.

„ვეფხისტყაოსანი“: მოყვარე, ამხანაგი, მოყვასი, სწორი, ძმად-ნაფიცარი (ძმა), ძმად-ფიცი, ძმად-შეფიცებული, ძმობილი.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ სინონიმური რიგი რამდენიმე მოძველებულ ლექსიკურ ერთეულთან ერთად არ შეიცავს „მეგობარს“, რომელიც აქტიურ სიტყვას წარმოადგენს როგორც რუსთველამდელ. ასევე რუსთველის შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაში.

დროთა განმავლობაში თვით სიტყვის სემანტიკა განიცდის ცვლილებას, ამიტომაა, რომ ძველი ქართულის სინონიმური წყვილის პატიჟი, საშჯელი პირველმა ლექსიკურმა ერთეულმა „ვეფხისტყაოსანში“ სულ სხვა მნიშვნელობის გამომხატველ სინონიმურ რიგში გადაინაცვლა: ჭირი, ავი, ბავთი, გაჭირობა, პატიჟი, სიავე, უბედობა.

ძველი ქართულის ძაძა უხეში ქსოვილისგან დამზადებულ ჩასაცმელს ნიშნავდა: მოიხუნეს ძაძანი ძუელნი მხართა მათთა ზედა. (ძვ. ქართ. ლექს.).

„ვეფხ“: დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა. (1635₁).

ძველ ქართულში: მოკუდავი — სასიკუდინე:

მეცა კაცი ვარ მოკუდავი. (ძვ. ქართ. ლექს.).

„ვეფხისტყაოსანში“: მოკუდავი — სულთმობრძავი:

ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ ენით. (882).

„ვეფხისტყაოსნის“ სინონიმიკის ძირითად ნაწილს საკუთრივ ქარ-

თული წარმოშობის ლექსიკური ერთეულები ქმნიან, მაგრამ ამ მიკრო-სისტემაში საგრძნობი და ხელშესახებია ქართულ ენაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობაც. როგორც შ. ძიძიგურის გამოკვლევა მოწმობს, საჭიროების შემთხვევაში სიტყვათა სესხების აუცილებლობა ოდითგან ესმოდათ ქართველ მწიგნობრებს[1].

„ვეფხისტყაოსნის“ სინონიმურ სისტემაში ნასესხები სიტყვა უმრავლეს შემთხვევაში ენის საკუთარ სიტყვასთან ქმნის სინონიმურ წყვილს. როცა ამა თუ იმ მნიშვნელობის გამომხატველი სინონიმური რიგი მრავალწევრიანია, ჩვეულებრივ, რიცხობრივად მშობლიურ ნიადაგზე შემუშავებული ლექსიკური ერთეულები სჭარბობს ნასესხებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სინონიმური რიგი მხოლოდ ნასესხები სიტყვებითაა წარმოდგენილი. ზემოთქმულის მიხედვით, შეიძლება, „ვეფხისტყაოსნის“ სინონიმურ მიკროსისტემაში სინონიმურ წყვილთა შემდეგი ტიპები გამოვყოთ:

1. სინონიმურ წყვილებს ენის საკუთარი სიტყვები ქმნიან:

გამოცდილი, გახელოვნებული:

ა) ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გ ა მ ო ც დ ი ლ ნ ო. (165_2),

ბ) კაცნი, გრძნებისა მცოდნენი, ზედა გ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ უ ლ ნ ი. (1247_2).

გატეხვა, დალეწვა:

ა) გ ა ს ტ ე ხს ქვასაცა მავარსა გრდემლი ტყვიისა ლპილისა. (5_4),

ბ) ქვითა დ ა ე კ ლ ე წ ე თ წვიანები, ჩვენ იგი გავანატენით. (618_3).

წვიმა, ცრვა:

ა) მუნვე წ ვ ი მ ს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად. (86_3),

ბ) აგრგვინდა ცა და ღრუბელნი, ც რ ო დ ე ს ბროლისა ცვარითა. (1329_1).

2. **სინონიმური წყვილის მეორე ცალი ნასესხებია:**

აღმოსავლეთით, **მაშრიყით:**

ა) ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ წადიო, პირსა იარე ზღვისასა. (947_3),

ბ) ინდო-არაბ-საბერძნეთით, მ ა შ რ ი ყ ი თ და მაღრიბელნი. (968_3).

საყვარელი, **მიჯნური:**

ა) მაგრა შეეკრთი, ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ჩემი ვნახე ძილსა შინა. (506_2).

ბ) მერმე ჩემი მ ი ჯ ნ უ რ ი ხარ, დასტურია, არ ნაჭორად. (130_2).

წმიდა, **ხალასი:**

ა) წ მ ი დ ი ს ა წყალი ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია. (581_2),

---

1 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, ტ. III, № 7, თბ., 1941, გვ. 689—695.

ბ) კვლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხ ა ლ ა ს ი ს ა. (1438$_4$).

3. სინონიმური რიგები მხოლოდ ნასესხები სიტყვებითაა წარმოდგენილი:

ალმასი, ანდამატი:

ა) ა ლ მ ა ს ი ს ა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა. (342$_4$),

ბ) გახეთქა ლალი, გათლილი ა ნ დ ა მ ა ტ ი ს ა კვერითა. (1342$_3$).

ბულბული, იადონი:

ა) უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბ უ ლ ბ უ ლ ი მსგავსად ყვავისაღ! (1253$_4$),

ბ) ი ა დ ო ნ ი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს. (767$_2$).

ხარკი, ხარაჯა:

ა) უბრძანა: „ხ ა რ კ ს ა მოგვცემდი, მართ ვითა შენი გვარია". (1648$_2$),

ბ) ხ ა რ ა ჯ ა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია. (471$_1$).

ქართულ ენას სიტყვათა სესხების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ნასესხები სიტყვები გამოიყენებოდნენ როგორც ძველ, ისე რუსთველის თანამედროვე მწერლობაში, იხმარებოდნენ ცოცხალ ქართულ სასაუბრო ენაში, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ პოემის ავტორი ბევრ მათგანს უკვე ქართულ სიტყვად მიიჩნევდა და იყენებდა სიტყვასაწარმოებელ ფუძედ.

ალმასი — აალმასნა:

დააცხუნნა, მაგრა მისთვის ა ა ლ მ ა ს ნ ა, არ აძეწნა. (760$_2$).

ბაღი-საბაღნარო:

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა ს ა ბ ა ღ ნ ა რ ო ს ა. (35$_3$).

მიჯნური-სამიჯნურო:

ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს. (18$_2$).

„ვეფხისტყაოსნით" ერთგვარად შეჯამდა რუსთველამდელი და მისი თანამედროვე მწერლობა. პოემის სინონიმურ ლექსიკაშიც ფრთხილი შერჩევით შეიკრიბა, ძველი და XII საუკუნის ქართული სამწერლო ენისთვის დამახასიათებელი მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ბევრი სინონიმური წყვილი, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის" სინონიმურ მიკროსისტემას აქვს თავისი განუმეორებელი თავისებურება, რომლითაც ის განსხვავდება როგორც ძველი, ისე XII საუკუნის ქართული სამწერლო ძეგლების სინონიმური ლექსიკიდან. ამ თავისებურებას ძირითადად ქმნის შ. რუსთველისეული სიტყვაწარმოება. პოემის ლექსიკური მარაგი უამრავ ნასახელარ ზმნას შეიცავს[1]. შესაბამისად, მსგავსი მნიშვნელობის სუბსტანტივებისაგან მიღებული ზმნები თვის მხრივ სინონიმურ წყვილებს წარმოქმნიან.

[1] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1926.

კლდე, სალი, ტინი — გაკლდევება, გასალება, გატინება:

ა) გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გ ა ი კ ლ დ ე ო. (921$_3$),

ბ) გ ა ს ა ლ დ ე ს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი. (136$_2$),

გ) რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვილდეს, არ გ ა ტ ი ნ დ ე ს, (749$_2$).

„ვეფხისტყაოსნის“ ენისთვის დამახასიათებელია ამგვარი სიტყვა-წარმოებით მიღებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ვერ შეხვდებით ვერც რუსთველამდელ და ვერც რუსთველისდროინდელ სამწერლო ძეგლებში. „განმარტებას ართულებს ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ კონტექსტს გარდა ეს სიტყვა არ გვხვდება ქართულ მწერლობაში: მით უფრო იგი არ ჩანს არც ქართული ენის აღმოსავლურ (ქართლ-კახურ, თუშ-ფშავ-მოხეურ-ხევსურულ) კილოებში. იგი არც ამავე ენის სამხრული (მეახური) და დასავლური (აჭარულ-გურულ-იმერული) კილოების აქტიურ ლექსიკურ ფარაგს არ განეკუთვნება“[1].

პოემის მიხედვით, მოცემული ლექსიკური ერთეულიდან მისი სინონიმური ცალის მიღების პროდუქტიული ხერხია ამ სიტყვის შესაბამისი ანტონიმური მნიშვნელობის მქონე ფუძისგან უ-ო პრეფიქს-სუფიქსით ან უარყოფითობის არ ნაწილაკით სიტყვათწარმოება:

მართალი, უ-ცრუ-ო:

ა) კვლა ქალი ეტყვის: „მ ა რ თ ა ლ ხარ მაგისსა დამძიმებასა, მაგრა რა გავბრუო მ ა რ თ ა ლ ი, ნუ მეუკვ რასაცა თნებასა“. (847$_1$),

ბ) მას ღამით უქმნეს სადარნო, უ ც რ უ ო, ანაჩქარები“. (1412$_3$).

მდიდარი, არ-ალქატი:

ა) მივედით, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მ დ ი დ ა რ ი. (612$_3$).

ბ) მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის ა რ-ა ლ ქ ა ტ ი ს ა. (1465$_1$).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ-სინონიმიკურ სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს მიმღეობურ მასალას. მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობები შესაბამის სინონიმურ წყვილებს ქმნიან.

გამწარება, გარისხება, გაფიცხება — გამწარებ-ულ-ი, გარისხებ-ულ-ი, გაფიცხებ-ულ-ი:

ა) შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გ ა მ წ ა რ ე ბ უ ლ ნ ი. (908$_3$),

ბ) მერმე წამოჯდა წარბ-შერჩმით, გ ა მ წ ყ რ ა ლ ი, გ ა რ ი ს ხ ე ბ უ ლ ი. (522$_4$),

გ) მართ ვითა ქარი მოქროდა გ ა ფ ი ც ხ ე ბ უ ლ ი, მ წ ყ რ ო მ ე ლ ი. (594$_2$).

---

[1] ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, რუსთველის ლექსიკის საკითხები, შ. რუსთველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 302.

პოემის სინონიმური შენობის აგებაში მონაწილეობს ყველა გვარისა და დროის მიმღეობა.

მოქმედებითი გვარის მიმღეობები

შე-მ-სხმ-ელ-ი, შე-მა-მკობ-ელ-ი:

მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან. (43_4).

ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობები

დაფარ-ულ-ი, დამალ-ულ-ი:

ა) ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული. (895_2),

ბ) კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამჟღავნეს. (444_2).

ვნებითი გვარის მომავალდროიანი მიმღეობები

სა-თქმ-ელ-ი, მო-სა-ხსენ-ი:

ა) ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა. (20_2),

ბ) ტარიელ თქვა: „დედოფალო, გკადრებ ერთსა მოსახსენსა“. (1642_1).

სინონიმურ წყვილთა წარმოებაში მონაწილეობენ მიმღეობათა უპრეფიქსით ნაწარმოები უარყოფითით ფორმები.

უ-თვალავ-ი, უ-ლევ-ი:

ა) ნუთუ სრულად ამოგვწყვიდნეს უთვალავმან, ბევრმან სპამან. (449_4),

ბ) მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

შესაბამის წყვილებს ქმნიან მიმღეობათა არ ნაწილაკიანი უარყოფითი ფორმებიც.

არ-ნათნები, არ-ნაცქაფავი:

ა) მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები. (1481_1),

ბ) მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი. (1315_1).

პოემის ენისთვის დამახასიათებელია მიმღეობათა უარყოფითი ფორმების მონაწილეობა კომპოზიტებში (ხელ-აღუპყრობელი). ეს თხზულის სიტყვები სინონიმურ ურთიერთობას ქმნიან შესაბამის ლექსიკურ ერთეულებთან.

მრავალი, ანგარიშ-მიუწთომელი:

ა) ოც დღე იარა, ღამეცა დღეზედა წაჰრთო მრავალი. (147_2),

ბ) მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწთომელი. (75_1).

სინონიმურ წყვილთა მიღების თავისებური საშუალებაა ერთი და იმავე სიტყვის ფუძესთან მსგავსი მნიშვნელობის ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობათა შერწყმით ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნა.

ცრემლდათხეული, ცრემლდასხმული, ცრემლდენილი:

ა) თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ც რ ე მ ლ დ ა თ ხ ე უ ლ ი. (4$_1$),

ბ) მუნით ქალი გამოიჭრა გულ-მდუღარე, ც რ ე მ ლ-დ ა ს ხ მ უ ლ ი. (230$_3$),

გ) ც რ ე მ ლ-დ ე ნ ი ლ ი შეეხვეწა, ადგა, მუხლნი მიუყარნა. (245$_4$).

სინონიმური ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი ხერხია მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა კომპოზიტური შეერთება.

შეშინებული, შედრეკილი, — შედრეკილ-შეშინებული:

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა, შ ე დ რ ე კ ი ლ-შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ს ა და სიკვდილისა მეშველსა! (799$_{1-2}$).

§ 3. სინონიმთა შერჩევის პრინციპებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

სინონიმური მიკროსისტემის სიუხვეზე დიდადაა დამოკიდებული მხატვრული ქმნილების გამომსახველობითი ძალების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ენის ეს თვითმყოფადი უბანი პირველხარისხოვანი სალაროა ყოველი შემოქმედისათვის, ყველას თანაბარი უფლება აქვს, საჭირო მომენტში მიაშუროს მას, მაგრამ ამ ბუნებრივ საგანძურში ყველა ერთნაირად თავისუფლად და „შინაურულად“ ვერ გრძნობს თავს და სწორედ აქ ვლინდება მესიტყვის „ნიჭი და ხელოვანება“. რამდენადაც ზედმიწევნითაა იგი დაუფლებული მშობლიური ენის სინონიმურ მარაგს, იმდენად მეტი საშუალება აქვს, ყოველი საჭირო მომენტისათვის მოძებნოს შესაფერი ლექსიკური ერთეული.

შ. რუსთველისეული სინონიმური რიგები მრავალწევრიანია. პოემის ავტორს ყოველი ნებისმიერი მომენტისათვის მოეპოვება მსგავსი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე სიტყვა და საჭიროების მიხედვით მათგან თავისუფლად არჩევს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ორგანულად ერწყმიან სალექსო სტრიქონის მუსიკასა და რითმას.

კურნება, აქიმობა, წამლობა:

ა) რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების,
გაიგონენ ჴირნი ჩემნი, მ კ უ რ ნ ე, რაცა მ ე კ უ რ ნ ე ბ ი ს. (732$_4$),

ბ) ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა,
ამით უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მ ი ა ქ ი მ დ ა. (519$_4$),

გ) მოახსენე, „რად დაჰბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჰმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო“. (1053).

სინონიმთა ურთიერთშენაცვლებით თავიდან აცილებული სიტყვის გამეორება.

წიგნი, უსტარი:

დაწერა წიგნი მსმენელთა გულისა გაბაგმირალი,
ვარდი გაჰპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომკვირვალი.
„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღაწები...“ (1292_{3-4}, 1293_1).

პოემის ენაზე დაკვირვება მოწმობს, რომ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა შერჩევის დროს გათვალისწინებულია ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ-ნიუანსობრივი შედგენილობანი. როგორც ცნობილია, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის გვერდით შეინიშნება ერთი ან რამდენიმე დამატებითი სემანტიკური კომპონენტი[1]. მაგალითად, სიტყვები: შეშინება, გაკრთომა, დაკრთომა (კრთომა), დაფეთება, დაშინება, ფრთხობა, შედრეკა, შედრეკა-ლობა—კლება, შეკრთომა, შეძრწუნება აღნიშნავენ ცნებას „შეშინება“, მაგრამ ამ მთავარი მნიშვნელობის გარდა ზემოთ მოყვანილი სინონიმური რიგის ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური მოცულობანი შეიცავენ კიდევ გარკვეულ მნიშვნელობრივ ელემენტებს. სინონიმთა შორის ეს სემანტიკურ-ნიუანსობრივი განსხვავებანი პოემაში ოსტატურადაა გამოყენებული „შეშინების“ სხვადასხვა ინტენსიობისა და ხარისხის გადმოსაცემად.

როცა საჭიროა უეცარი, მოულოდნელი „შეშინების“ აღნიშვნა, პოეტი იყენებს ლექსიკურ ერთეულებს: გაკრთომა, დაკრთომა, შეკრთობა:

ა) ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა. (936_4),

ბ) იგი მზე დაკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი. (1278_{01}),

გ) შეკრთა, დიდნი დაიზახნა, წამოიჭრა ვითა რეტი. (269_2).

დაფეთება, ფრთხობა ასევე მოულოდნელ, მაგრამ შედარებით ძლიერ „შეშინებას“ აღნიშნავს:

ა) „ვითა ქაჯი დაგეემალე, მონებიცა დავაფეთეთ“. (228_3),

ბ) ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა. (1342_1).

შედრეკა, შედრეკილობა—კლება „შეშინების“ აღნიშვნასთან ერთად სიმხდალის, ჯაბნობის მნიშვნელობრივ ნიუანსებსაც გადმოსცემს:

ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა—კლებასა. (68_2).

---

[1] ბ. ფოჩხუა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 38—39; ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 19; Евгеньева А. П., Основные вопросы лексической синонимии, М., 1966; Звегинцев В. А., Замечания о лексической синонимии, Вопросы теории и истории языка. Л., 1963, с. 136—141.

შ ე ძ რ წ უ ნ ე ბ ა სინონიმური რიგის საერთო მნიშვნელობის აღნიშვნასთან ერთად მიუთითებს მოქმედების ძლიერ ინტენსიობაზე. ამ სიტყვით გადმოცემული „შეშინების“ ხანგრძლიობაც რამდენადმე აღემატება ამავე სინონიმური რიგის სხვა ლექსიკური ერთეულებით აღნიშნული მოქმედების ხანგრძლიობას.

თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შ ე მ ი ძ რ წ უ ნ დ ა. (90_3).

ზემომოყვანილი ლექსიკური ერთეულებიდან ერთადერთ ნეიტრალურ სიტყვას „შეშინება“ წარმოადგენს. იგი ყოველგვარი სემანტიკურ-ნიუანსობრივი გაფორმების გარეშე გადმოსცემს სინონიმური რიგის ძირითად მნიშვნელობას და წარმოადგენს ამ რიგის წამყვან, დომინანტ სიტყვას:

მოვა მტერი საშინელი, შ ე გ ვ ა შ ი ნ ა ამად ამან. (449_3).

ის გარემოება, რომ დომინანტის მნიშვნელობა თავისუფალია სემანტიკურ-ნიუანსობრივი მინარევებისაგან, განაპირობებს მის დიდ დატვირთულობას. აი მაგალითად, როგორია პოემის მიხედვით ზემომოყვანილი სინონიმური რიგის შემადგენელ წევრთა გამოყენების სიხშირე[1]: შეშინება[11], გაკრთომა[5], დაკრთომა[6], დაფეთება[1], დაშინება[1], კრთომა[5], ფრთხობა[1], შედრეკა[2], შედრეკილობა — კლება[1], შეკრთომა[5], შეძრწუნება[2].

კიდევ უფრო ხელშესახებად ჩანს სინონიმურ რიგში დომინანტის განპირობებული მდგომარეობა მსგავსი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების სიხშირის შემდეგი მაჩვენებლიდან: მტირალი[2], გულ-ამოსკვნილი[2], გულ-მდუღარი[9], ვებული[3], მოტირალი[1], ცრემლ-დათხეული[1], ცრემლ-დასხმული[1], ცრემლ-დენილი[1], ცრემლ-მინადენი[1], ცრემლ-ნადენი[2], ცრემლ-ნაფახულები[1], ცრემლ-ნაწთომი[1], ცრემლ-შეუშრობელი[2].

არაერთ სპეციალისტს მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა ერთიმეორის გვერდით ხმარება განსაკუთრებულ ემოციურობას ანიჭებს შ. რუსთველისეულ სტროფებს:

ს ი ც რ უ ე და ო რ პ ი რ ო ბ ა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა. (789_4).

ა უ გ ი და მ ო ყ ი ვ ნ ე ბ ა არად შესწონს ყოლა კრულსა. (1093_2).

მსგავს სინონიმურ-ფიგურალურ გამოთქმათა საწარმოებლად ავტორი მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგიდან უმთავრესად დამატები-

---

[1] ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების სიხშირის მონაცემები აღებულია შრომიდან, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, თბ., 1973.

თი სემანტიკურ-ნიუანსობრივი მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებს არჩევს: კუშტი (იხ. სინონ. რიგი-გამწყრალი), პირ-გამქუშავი:

ანაზდად მოყმე გამოჩნდა კ უ შ ტ ი, პ ი რ-გ ა მ ქ უ შ ა ვ ი ა. (204$_1$).

დალებება (იხ. ცემა), დალურჯება:

დ ა ა ლ ე ბა, დ ა ა ლ უ რ ჯ ა, მედგრად პირნი მოიქუშნა. (572$_2$).

ზოგჯერ კი დომინანტს მოსდევს იმავე რიგის სინონიმი, რომელიც დამატებითი სემანტიკური ნიუანსით ავსებს წინამავალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობრივ მოცულობას:

გამწყრალი, გარისხებული:

მერმე წამოჯდა წარბ-შერჯმით გ ა მ წ ყ რ ა ლ ი, გ ა რ ი ს ხ ე ბ უ ლ ი. (522$_4$),

დამწვარი, დაალებული:

ამას დაყმუნდა ტარიელ დ ა მ წ ვ ა რ ი, დ ა ა ლ ე ბ უ ლ ი. (303$_1$).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ სინონიმიკაში სრულყოფილად მხატვრული ასახვა პოვა განვითარებულმა ქართულმა ფეოდალურმა ყოფამ. შოთა რუსთველმა კრიტიკულად შეაფასა მისი წინადროინდელი მწერლობის სინონიმური მემკვიდრეობა, მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებიდან ვადაგასული, არქაული ლექსიკური ერთეულები შეცვალა ცოცხალი ქართული სასაუბრო ენობრივი ფორმებით, სიტყვაწარმოების მოქნილი ნიმუშებით, შემოქმედებითად განავითარა ლექსიკურ სინონიმთა გამოყენების ქართულ მწერლობაში შემუშავებული ტრადიციები.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკა როგორც თემატურ-სტრუქტურული თავისებურებებით, ასევე წყაროებრივი და ფუნქციური თვალსაზრისითაც ახალი ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში.

თავი II. ლექსიკური სინონიმიკის რამდენიმე თავისებურებისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესში

ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის გადამუშავება ერთბაშად არ მომხდარა, იგი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. მეტად დიდია საერო მწერლობის როლი ამ პროცესში. ძირითადად სწორედ საერო მწერლობის ძეგლებში მოხდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის სტრუქტურული და თვისობრივი ჩამოყალიბება.

ახალ ქართულ სამწერლო ენას ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველება დაედო საფუძვლად. ეს საყოველთაოდ აღიარებული ფორმულა

არ გმორიცხავს ამ პროცესში ქართული ენის სხვა დიალექტების მონაწილეობას. ამ დებულების დადასტურებას წარმოადგენს „რუსუდანიანის“ ენა, რომლის დიალექტურ თავისებურებათათვის არაერთ სპეციალისტს მიუქცევია ყურადღება:

„ცოცხალ მეტყველებასთან მჭიდრო კავშირით „რუსუდანიანი“ თითქმის ყველა სხვა ძეგლისაგან განსხვავდება. ჩვენ არ გვეგულება ამ ხნის სხვა ისეთი ძეგლი, რომელშიც ასე მრავალფეროვანი და ისტორიული დიალექტოლოგიისათვის მნიშვნელოვანი მდიდარი კილოური წარმოშობის ფორმები იყოს წარმოდგენილი“[1].

ივ. გიგინეიშვილის დაკვირვებით, „რუსუდანიანში“ დადასტურებული დიალექტური ფორმები შეიძლება ქართული ენის სხვადასხვა დასავლურ კილოშიც შეგვხვდეს, მაგრამ ისეთი მთლიანი სისტემა, როგორსაც ეს ფორმები ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში ქმნის, ნიშანდობლივია დღევანდელი გურული კილოსთვის[2]. ცხადია, ამ დიალექტურ სისტემაში გარკვეული ადგილი ლექსიკას უნდა დაეთმოს, და მართლაც უდავო ფაქტია, რომ ლექსიკური ერთეულები: ბარობაზე, გააბდლებული, გამომიძღვანეს, დაგაუსინათლოებს, დაგვარონიეს, დაეფჩხნა, ვებეცებოდი, სამისდღეშიოდ, სულობას მოველ, წააზმანეს და სხვ. დასავლურ კილოებში გამომუშავებული ფორმებია; სწორედ ისინი ანიჭებენ ცოცხალი ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელ მიმზიდველობას შემდეგ წინადადებებს:

1. ზღვაში შევიდა, ჩემს ბარობაზე დაიკარგა. (166_{27}),
2. ძისა ჩემსა ბრალია, ამად რომე წინასვე გააბდლებული გამოიჭრა. (401_{24}),
3. მისაგებებლად წავიდნენ, მე წინ გამომიძღვანესო. (232_{7}),
4. დევი ასეთს ორთქლს გამოუშვებს, რომ დაგაუსინათლოებსო. (436_{2}),
5. დაგვარონინეს მიწაში და, რაც ზეით იყო შენობა. (317_{33}),
6. ეცადა და ვეღარ დაეფჩხნა მამასა. (312_{15}),
7. ცხენიც შემბრალდა, ჩამოვხე, მაგრამ მთვრალივით ვებეცებოდი. (542_{31}),
8. სამისდღეშიოდ შენი სახელი ყოველს ქვეყანას მოყიენებული შეიქნაო. (526_{14}),
9. რა სულობას მოველ, იპრიანა ღმერთმან ჩემი შეწყალება. (543_{1}),
10. აიღო მეცხვარემან ის ბარი და ხელმწიფეს წააზმანა. (525_{35}).

---

[1] არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954, გვ. 90.

[2] ივ. გიგინეიშვილი, წინასიტყვაობა, რუსუდანიანი, თბ., 1957, გვ. XXIV.

მაშასადამე, „რუსუდანიანის“ ლექსიკური სინონიმიკისთვის ნიშანდობლივია, დასავლური დიალექტებიდან მომდინარე ენობრივი ფორმების შემცველი სინონიმური წყვილები.

საერთოდ, მეთორმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობა, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით გამოწვეული გრამატიკულ ფორმათა ნაირსახეობა და ლექსიკური სიჭრელეა[1], ეს დებულება არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სალიტერატურო ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების პროცესი ერთგვაროვნად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია აღორძინების ხანის ქართულ სამწერლო ძეგლებში აღმოსავლური ლექსიკის სიჭარბე და არჩილის პოზიცია ამ საკითხში. მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის სურვილის მიუხედავად, სპეციალისტებმა თვით არჩილის ნაწარმოებებში აღნუსხეს ნებსით თუ უნებლიეთ ნასმარ არაქართულ სიტყვა-გამოთქმათა საკმაო რაოდენობა: ალქანი, ანადოლი, ასლა, აჯალი, ბოზორი, ბორჯალი, ბუთი, გადრი, გაუჩაედნა, დასუბავება, დულა, ეშყი, ვარადა, ზარიფი, ზარხოში, თობა, თოფხანა, თომარი, თრიაქი, თუღუნი, იაქე, იმანი, ისლარბეჩ, ისუმრა, კალბინი, კარა, კოსორი, მაზა, მანი, მანაშური, მარაზი, მაფრაშა, მაღრიბი, მაშრიყი, მაჯამა, მეყორულე, მინბაში, მიძინი, მუნაჯიბი, მურასა, მუსაიბი, მუსაფი, მუხანათი, ნაბათი, ნაემნობანი, ნალა, ნალბაქი, ნასაღი, ნაყირი, ონარი, ორბანო, რადაბრაგანი, რადება, რასტ-მუღამები, რაყანი, სასუმრა, სეთა, სოჰბათი, სუბად, ფალაქი, ფართლობს, ფასლება, ფაშა, ფეშქაში, ფიანდაზი, ღალიტი, ყაისი, ყათლავი, ყაირათი, ყირმიზი, ყულაჯი, ყული, ყუმარი, შა, შადი, შარიარი, ჭაშნიგი, ხათუნი, ხალათი, ხარაჯა, ხრილობენ, ხურდა, ჯადობაჯადობა, ჰემი, ჰიერი (ეს სიტყვები ან არ გვხვდება საბას ლექსიკონში, ან განმარტებულია როგორც უცხო წარმოშობის ერთეულები). ბესი — бес, ბრათი — брат, მედი — мед, მორიბვა — рыба, როტი — рот, სალდათი — солдат, სიტნა — сытно, ცარი, ცარიცა, ხლება[2].

ცხადია, ქართულ მოსახლეობაში სპარსული ენის ინტენსიური გავრცელება და მწერლობაში სპარსული ლექსიკის მოძალება გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შედეგი იყო. იგი ქართველთა ეროვნული გადაგვარების ირანული პოლიტიკის განსაზღვრული გეგმის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთ-

---

[1] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971, გვ. 49.

[2] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1940, თბ., 590; ლ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969, თბ., II, გვ. 59.

რებით მძიმე მდგომარეობა შექმნილა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში: „ქართველი ერი მართლაც უაღრესს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელ თავის სულიერ ძალას არ მოიკრებდა და ეროვნულ განსაცდელის თავითგან აცილებას არ ეცდებოდა.

საბედნიეროდ ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინააღუდგა. ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისაგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი... ამ გვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ საბა სულხან ორბელიანმა შეადგინა“. (ივ. ჯავახიშვილი).

„სიტყვის კონის“ ნასესხებ ერთეულთა შემცველ სალექსიკონო აბზაცებზე დაკვირვება ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის დებულების ჭეშმარიტებას. თითქმის ყოველ მათგანში იგრძნობა ავტორის გულისტკივილი უცხოური ერთეულის ჭარბი აქტიურობის გამო. ლექსიკოგრაფი განმარტავს მის უცხოურ წარმოშობას, მიუთითებს მის ქართულ შესატყვისზე, ცდილობს მკითხველის დარწმუნებას მშობლიური სიტყვის უპირატესობაში და ამგვარი გულმოდგინებით ცდილობს ნასესხები და საკუთარ სიტყვათაგან წარმოქმნილი სინონიმური წყვილიდან გზა გაუკაფოს ენის საკუთარი წარმოშობის ერთეულს:

გ ი რ ა ო სხვათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვიან,

ვ ა ზ ნ ა თოფის წამლის ჰურჰელი, სხვათა ენაა, ქართულად მუხტი ჰქვიან,

ზ ა ფ რ ა თურქთა ენაა, ქართულად მწითური ნავღელი ჰქვიან,

ზ უ მ ბ ა სხვათა ენაა, ქართულად მარბიელი ჰქვიან და ა. შ.

სულხან-საბა სალიტერატურო სიტყვის გვერდით მის ხალხში გავრცელებულ ეკვივალენტსაც ასახელებს სათანადო ტერმინებით: „გლეხურად“, მსოფლიონი უწოდენ“, „მსოფლიოთა ენით“ და ა. შ. „ლექსიკონი ქართული“ საკმაოდ შეიცავს ამგვარი გზით მიღებულ სინონიმურ წყვილებსაც:

გ უ ლ თ მ ი ს ა ნ ი გონებით შემტყობი გლეხურად,

დ ა თ ვ ს ა უხმობენ მდაბიურნი ბუღაურსა,

დ ა კ ა ვ ე ბ ა ს უხმობენ გურიულნი დაჭერას,

ვ ა რ ი ა ს ეძახიან გლეხნი სადღობელსა,

კ უ დ უ რ ი კუდიანი. ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდენ,

ლ ო მ ბ ი ე რ ი გუნება-მშვიდი და წყნარი გლეხურად,

მ ე ტ ი ჩ ა რ ა სხვათ სარიგებელთ გამგებელი გლეხურად, რომელ არს წარმდები,

ქ უ რ დ ი მპარავი გლეხურად,
ხ ა დ ი ლ ი იმერულად სამასპინძლო[1].

„სიტყვის კონაში“ წამოყენებული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას ეხედავთ სულხანის იგავ-არაკებში. ავტორი გაურბის მწერლობაში საყოველთაოდ გავრცელებული სპარსიზმების ხმარებას, ცვლის მათ ცოცხალ მეტყველებაში გამომუშავებული ეკვივალენტებით. „სიბრძნე-სიცრუისას“ ლექსიკა სანიმუშოა ხალხურ სასაუბრო ენასთან სიახლოვით. ამასვე ვერ ვიტყვით „ქილილა და დამანას“ თარგმანის სულხანისეულ რედაქციაზე. აქ ავტორი მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათაგან უპირატესობას ძირითადად ძველ ქართულ ენობრივ ფორმებს ანიჭებს. მაგალითად, ვახტანგის მიერ ხმარებული სიტყვები: ბ ა ღ ი, კ ი ს ე რ ი, კ უ ნ ძ უ ლ ი, ლ ე კ ვ ი, ჯ ა შ უ შ ი, მას შეუცვლია იმავე მნიშვნელობის ძველქართული ერთეულებით: წ ა ლ კ ო ტ ი, ხ რ ი კ ი, კ ი ნ წ ი, ხ ე რ თ ვ ი ს ი, ბ ო კ ვ ე რ ი, მ ს ტ ო ვ ა რ ი[2]. მსგავს შემთხვევებში სინონიმურ სიტყვათაგან ძველქართული ფორმების წინ წამოწევა ნაწარმოებისთვის ამაღლებული, რიტორიკული ტონის მინიჭების თავისებურ სტილისტიკურ ხერხად უნდა მივიჩნიოთ.

არჩილ მეფისა და ვახტანგ მეექვსის, განსაკუთრებით სულხან-საბას ლიტერატურული მოღვაწეობით ფაქტიურად დამთავრდა ცოცხალი ხალხური მეტყველების ბაზაზე ძველი ქართულის გადამუშავება[3].

დ. გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობა უკვე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის დასრულებულ და სრულყოფილ ნიმუშადაა მიჩნეული[4]. ამ მოსაზრების სამართლიანობას ადასტურებს დ. გურამიშვილის ნაწარმოებთა ლექსიკურ სინონიმიკაზე დაკვირვება.

„დავითიანის“ სინონიმური სამყარო თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია. მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა რიგები განსაკუთრებული მრავალწევრიანობით ხასიათდებიან:

1. აჯა, ვედრება, თხოვნა, ნუკევა, ხვეწნა...

2. კარგი (კაი), არ საგმობარი, ვარგი, კეთილი, უკილველი, ფარსაგი, ქებული, ძვირ-უთქმელი...

3. მოსაწონი, გასახარო, საამური, სავარგო (სავარგი), საკვეხური, სალხინო, სამჯობინარო, სარგო, საფარსაგო, საქები...

4. მწიკვლი, ლაფი, მწვირი, ტუტყი, ჭუჭყი...

5. ლამაზი (ლამაზიანი), კეკლუცი, პირ-ბადრი, პირ-სირინოზი, ტურფა, შვენიერი,

---

[1] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV_1—IV_2, თბ., 1965—1966.
[2] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბ., 1953, გვ. 141.
[3] ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., 1, თბ., 1964, გვ. 37.
[4] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980.

6. ორგული, ავის მქნელი, გულ-მზაკვარი, გულ-მანკიარე, დაუნდობელი, მავნე, მოღალატე, მუხთალი, უნდო...

7. საძაგ(ელ)ი, არად სარგელი, არ სალხინარი, არ საცინარი, გულსაწვავი, საგმობარი, სატირალი, საუდიარე, საძრახავი, საწვავ-სადაგელი, საწყინარე, საჭირალი, საჭმუხავი, შესარცხვენ(ელ)ი, წარსაწყმედელი...

8. უნამუსო, ბოზი, კახპა, მეძავი, მრუში, უსირცხვილო, უწმინდური.

9. უწვრთელი, უმეცარი, უცოდინარი, უწვრთელ-უცები...

10. ცუდი, ავი, ბილწი, უგვანი, უდიერი, უკეთური, უმზგავსო, უპატიური, ურიგო, უწესური, ფინთი, ძვირი, წყეული...

11. ცრუ, არ-მართალი, ეშმაკი, მატყუ(ვ)არი, მაცდური, მრუდი, უპირო, ტყუილის გუდა, ფლიდი...

12. ხელი, ბრიყვი, გიჟი, გიჟი-სტერი, სულელი, უგუნური, უჭკო, შმაგი, ჭკვაზე თხელი და ა. შ.

„დავითიანის" სინონიმურ სისტემას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რაც განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ როლს და ადგილს ქართული ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღორძინების ხანის მწერლობაში საკმაოდ ფეხმოკიდებული სესხება უკვე არჩილის, ვახტანგ მეექვსის და განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ენაში ჰკარგავს სისტემურ ხასიათს. „დავითიანში" კი გარკვეული მხატვრულ-სტილისტური მიზნებით ნახმარ რამდენიმე რუსულ სიტყვა-გამოთქმასთან (სუდარი, დაი ოლია...) ერთად სპორადულად დასტურდება მხოლოდ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ისეთი ნასესხობანი როგორიცაა: არამი, გენია, ვახში, მუქაფა, ნობათი, რაყამი, ფეშქაში, ყალანი და ა. შ.

„დავითიანის" სინონიმურ რიგებს ძირითადად ქმნის მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სალიტერატურო ერთეულები: ლ ხ ი ნ ი, გ ა ნ ც ხ რ ო მ ა, შ ე ვ ე ბ ა:

ა) დღეს რომე ლ ხ ი ნ ი მოგაგოს,
ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობა, ხორცი უვარჯო,
სულსა ულოცო, უწირო. (46)[1].

ბ) ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა
გ ა ნ ც ხ რ ო მ ა ს ა და შ ე ვ ე ბ ა ს ა:
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა,
ვცდილობდი არ გაშვებასა. (46).

ჰმუნვა, ურვა, წუხილი, ჯავრი:

ა) სჯობია ისევ მოლხენა
წ უ ხ ი ლ ს ა, ჰ მ უ ნ ვ ა-ურ ვ ას ა,

[1] დაით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, კიევი—თბილისი, 1980.

გირჩევ დაეხსენ მაგდენსა
ცრემლსა და ოფლში ცურვასა. (45).
ბ) რაცა ვსთქვი, ჯ ა ვ რ ი თ ეგე მკლავს,
მაჩივლებს, ეგ მატირებსა,
წყეული წუთი-სოფელი
რაც არ მწადს, მას აპირებსა. (45).

„დავითიანის“ სინონიმურ რიგებს სალიტერატურო სიტყვებთან ერთად ქმნის მათთან მნიშვნელობით ახლოს მდგომი შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

1. ავტორისეული სიტყვაწარმოებანი

მლოთავი, მემთვრალე:

ა) ღმერთი კარგსა რად უზემდა
მას ბილწს, მეძავს და მ ლ ო თ ა ვ ს ა?
ავის მქნელსა ავის საქმით
ღმერთი საქმეს მოურთავსა. (43)
ბ) მ ე მ თ ვ რ ა ლ უ თ ა თ ვ ი ს მაცდურნი
მახეთა დაარწყმენდია,
ნებიერობა ხორცისა
სულისა წარსაწყმენდია. (40)

მუვარი, მიჯნური, ტრფიალი, საუვარელი:

ა) თუ შენა ხარ ჩემი მ უ ვ ა რ ი, ნუ ხარ გულ-მზაკვარი,
იყავ შენ გულ-მართალია,
როგორც რომ სამართალია. (77)
ბ) მ ი ჯ ნ ურ მ ა ნ უნდა ტ რ ფ ი ა ლ ი
გულ-მართლა შეიყვაროსა,
მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით
არ ოდეს გაეყაროსა. (16)
გ) ს ა ყ უ ვ ა რ ე ლ მ ა ნ სიტყვა ავი მითხრა, გულ საწვავი:
ნეტა რად ვიყო შენია,
სახით ავრიგად შენია. (77)

2. დიალექტებიდან მომდინარე სიტყვები.

„დ. გურამიშვილმა ფართოდ გაუღო მწერლობის კარი ხალხური საწყისის სტიქიონს, ხალხიდან ჰკრეფდა პოეტი სიტყვიერ მასალას“[1]. და, ბუნებრივია, „დავითიანის“ სინონიმიკაც უხვად შეიცავს სალიტერატურო სიტყვათაგან და მათი კილოური ეკვივალენტებისაგან წარმოქმნილ წყვილებს:

ბაბანი, თრთოლა, ძაგძაგი:

ა) ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი,
არ აქვთ სიცივით თ რ თ ო ლ ა-ბ ა ბ ა ნ ი. (54)
ბ) უწვრთელი ძაღლი მიხვდების
გარეთ სიცივით თ რ თ ო ლ ა ს ა,

[1] დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, კიევი — თბილისი, 1980, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს წინასიტყვაობა, გვ. 9.

საჭმლითაც არვინ განაძღებს,
პილწად დაიწყებს წრწოლასა. (15)
გ) ახლა კი გაჭებ, სიკვდილო,
მამწყინდა შენი ძაგება:
ხენები სთქვი და გამხსენდა
ცივებით ა ძ ა გ ძ ა გ ე ბ ა. (86)

3. სასულიერო მწერლობიდან მომდინარე არქაული ფორმები.

სალიტერატურო სიტყვასა და მნიშვნელობრივად მის არქაულ ეკვივალენტს შორის გამოყენების სფეროები შემდეგნაირად ნაწილდება: არქაული ფორმები ძირითადად სჭარბობს სასულიერო შინაარსის ტექსტებში, უფლისადმი მიმართვისას, საგალობლებში. ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ამბების თხრობისას, ან ისტორიულ შემთხვევა-მოვლენათა გადმოცემისას ავტორი, ჩვეულებრივ, მწერლობაში გავრცელებულ ერთეულებს მიმართავს:

აგარაკი, ყანა:

ა) მთავ, ღვთისავე, მთაო, პოხილო,
დავითის საგალობელო,
ვით ა გ ა რ ა კ ო ზეგარდმო
ცვარისა შემატკბობელო,
აღმოგვიცევნე უთესლოდ
ნაყოფი შესამკობელო. (38)
ბ) ვენახთ უწვიმის ჴეტყვანი,
მზგავსი ნახეთქი ლოდისა.
მკალია დასცის ყ ა ნ ე ბ ს ა,
ქარი უქროლის ოდისა. (23)

მეოხ-ყოფა, შველა:

ა) მარიამ ქრისტეს დედაო,
ასულო სიონეველო,
შენ მეოხ-მეყავ ცოდვილსა,
ქალწულო, ღვთისა მხეველო! (39)
ბ) შენის ვერ ხილვის სევდითა
სულსა რასთვისა მაძრობა?
მზევ, მ ო მ ე შ ე ე ლ ე, განმათბე,
სიცივით ნუ დამაძრობა. (35)

წრფელი, მართალი, სწორი:

ა) არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა,
ავი რა შეამჩნიესო;
ორსავ გზას წ რ ფ ე ლ ს წინ უდებდა,
ხორციელსო და სულიერსო. (18)
ბ) კვლავ მოციქულად გაგზავნა
ჩინით რჩეული ბერები;
მისწერა წიგნი მ ა რ თ ა ლ ი
და ფიცით დასაჯერები. (31)

გ) ვაჭარი უნდა სარფისა,
სამთვრალოს არას სვემდესა...
ს წ ო რ ე ს ადლსა და სასწორსა
ხელში არ ამრუდებდესა. (17)

მრავალწევრიანი სინონიმური რიგები ავტორს ლექსიკურ ერთეულთა შერჩევისა და შენაცვლების დიდ შესაძლებლობებს აძლევს. დ. გურამიშვილის პოეტური ენისთვის ნიშანდობლივია სინონიმთა პარალელური ხმარება: ლ ხ ი ნ ი, შ ვ ე ბ ა, ს ი ა მ ე:

ვაი, რა ბოძი წაიქცა,
სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლ ხ ი ნ ი, შ ვ ე ბ ა, და ს ი ა მ ე
სულ ჰირად გარდაგვექცაო! (47)

არ **სალხინარი, არ საცინარი, სატირალი, საწყინარი, საჭირალი:**

ხარ ს ა ტ ი რ ა ლ ი, არ ს ა ც ი ნ ა რ ი,
ხარ ს ა ჭ ი რ ა ლ ი, არ ს ა ლ ხ ი ნ ა რ ი,
გაქვს ს ა წ ყ ი ნ ა რ ი ჩანადინარი,
მოსულხარ ჭურჭად, მატყუებ ცუდად. (80)
მ პ ა რ ა ვ ი, ქ უ რ დ ი; მ ტ ყ უ ა ნ ი, მ რ უ დ ი:
ამად შემძულდი, ყოფილხარ ცუდი,
მ ტ ყ უ ა ნ ი, მ რ უ დ ი, მ პ ა რ ა ვ ი, ქ უ რ დ ი.
ვისაც შენ უნდი, ყელს აძეს ხუნდი,
ზურგთა ჰკიდია ტვირთი დიდია. (80)

როგორც ვხედავთ, „დავითიანის“ ლექსიკურ სინონიმიკას ბევრი რამ აქვს საერთო წინა პერიოდების სამწერლო ძეგლებთან. ამავე დროს ზემოაღნიშნულ თავისებურებათა ერთობლიობით იგი უკვე შორდება მათ როგორც სტრუქტურული შედგენილობით, ასევე ფუნქციურ-თვისობრივი თვალსაზრისითაც.

მაშასადამე, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დამთავრდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემის ჩამოყალიბება, მაგრამ ამ პროცესზე ჩვენი წარმოდგენა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ გავითვალისწინეთ ამავე პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლის ანტონ პირველის მემკვიდრეობა და მისი როლი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში.

ანტონის ენა დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სპეციალისტთა შორის. ამის საფუძველს კი ის წინააღმდეგობანი ქმნის, რომლებსაც თვით ეს ფენომენი შეიცავს. მაგალითად, თუ სულხანის, დ. გურამიშვილის ნაწარმოებთა ფონზე ანტონისეული ორთოგრაფია და მშრალი სქოლასტიკური ნორმები ანაქრონიზმად მოჩანს, ამასვე ვერ ვიტყვით მისი ლექსიკის შესახებ. ანტონს სიტყვიერი მარაგის სიღარიბეს ვერავინ შესწამებს. შესაბამისად, მოცულობრივად ტევადი და მრავალსახოვანია მისი სინონიმური ლექსიკაც:

კეთილი, არ-საწუნელი, გულვებადი, დიდებული, დიდებულ-ქმნილი, კეთილ-შუენიერი, რჩეული, საამო (საამოვნო), სათანადე, სათნო, სანებური, სასურვი, საქები, საყუარი, საწადი (საწადრე), ტკბილ-საამოვნო, შესაფერ-შესაბამი...

უბიწო, უბოროტო, უბრალო, უბრყვილო, უგიობელი, უგმობელი, უზადო, უზაკუელი, უმანკო, უხრწნელი, უჯერკულო, შეუგინები... უწესო, უთნო, უნდო, უჯამსი, ცუდი, უწმიდო, წარწყმედული, ხრწნილი... საძაგელი (საძაგი), საგიობელი, სატუხელი, საძულელი, საწყინი, საბავთო, სატირალი... ძჯრის-მოქმედი, ავი, ბოროტი, ბოროტ-მჰაზრუელი, თუალ-მღები, ორგული... შუენიერი, კეთილ-საჭურეტი, ლამაზი, ლამაზ-მჭვრვალი, მორფ-მდიდარი, საქებ-სალამაზო, შუენიერ-ქმნილი, ჰაეროვანი...

შუენიერ-მოუბნარი, ზესთ-გამომთქმელი, კეთილ-გამომთქმელი, ლამაზ-მუსიკი, მაღალ-მჭევრ-მეთქჳ, მაღალ-ფრას-რიტორი, მეშაირე შუენიერი, მმკობელ-შემწყობელი, მჭევრ-მოუბნარი, რიტორ-უხუ, რიტორ-შუენიერი, საკჳრველ-პიიტიკოს-მესტიხე, უხუ-შუენიერ-შემწყობი, შუენიერ-მეთქჳ, შუენიერ-მეტყჳ...

ანტონი პირველხარისხოვანი ოსტატია სინონიმთა მხატვრული მოხმარების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს მისი „წყობილსიტყვაობა“ იწვევს. იგი სინონიმური სუბსტიტუციისა თუ პარალელიზმის მრავალ სანიმუშო მაგალითს შეიცავს: ოქრო სდის, სცროის, სწჳმს, შხეფავს, საკჳრველად. (წყობ. 753)[1].

არსენი ჰგალობს ტკბილი კანონთა შინა...
არსენი სტჳნავს ოქრო-მუსიკთა ქმათა (წყობ. 755).

ლხინი, შვება, ხარება; ურვა, წუხილი, ჰირი, ჰმუნვა:

ირაკლის ქება — ჩემდა პირველი შ ე ე ბ ა,
ჰ ი რ თ ა დავსება, ჰ მ უ ნ ვ ი ს კუამლთა განქრება,
ლ ხ ი ნ ი ს აღვსება, ბნეულთ ამოთ აღრება,
თუ ენა შურება, განაღა უ რ ვ ა სცხრება! (640).

ისევე როგორც ანტონის მთელ ენობრივ მემკვიდრეობას, ამ მდიდარსა და კოლორიტულ სამყაროსაც აქვს გარკვეული თავისებურებანი, რომლებიც აძნელებს მის შეფასებას და ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში მისთვის გარკვეული ადგილის მიჩენას;

1. ანტონის შრომებში გააქტიურებას იწყებს საერო მწერლობის მიერ კარგა ხნის წინათ უკუგდებული არქაული ერთეულები. თუ „რუსუდანიანში“, „სიბრძნე-სიცრუისაში“, „დავითიანში“ ცოცხალი, სასა-

[1] ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1980.

უბრო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმებია წინა პლანზე წამოწეული, ანტონი სინონიმურ წყვილთაგან უპირატესობას ძველი სასულიერო ძეგლების კუთვნილ ფორმებს ანიჭებს, მაგალითად,

ანტონ პირველი

განწვალება:

ჯუარმან ოთხითურთ სამსჯულებით მახულ-წუერით
სიტყუა კაცობრივ განსწვალა ორ არსებად (წყობ. 271).

დაჯნილი:

ჰურია-ცნობა ნუსტორის საძაგისა
იტყუს სხუა გუამად დაჯნილსა კორცთა ტაძარს. (წყობ. 42).

ვლტოლა, სრბა, სრბოლა:

იროდის ევლტის, ეგვპტის კერპთა შესძრავს. (წყობ. 54).
მზისა ღმრთისადმი ისრბე მისვლად ტრფიალმან. (წყობ. 462).
შედგომილ-ყოფად სიძისა მყის ისრბოლა,
ტკივილით ნათზსა არ მიჰრიდა გურგუნსა. (წყობ. 465).

თერძული, ორნატი:

მუშაკი ბრძენი, თერძულს მთესი იფქლისა...
გიორგი აღვალს ათონით საყდრად ღმრთისად. (წყობ. 510).
შეიწუნარა... ჳეშმარიტებისა მოძღურთათა
მოერქუნილმან წმიდამან მან ორნატმან. (მარტირ. 141_{24})[1].

მომღე:

პიმენ სალოსი — ქრისტესთუს განკრთომილი,
გონებით ბრძენი, ზეცით მომღე სიბრძნისა (წყობ. 774).

ჩქარება:

...იჩქარა ახლად
ფლორენცას კოლტმან მგელთამან უსირცხვლოდ. (წყობ. 26).

დ. გურამიშვილი

გაყოფა:

მინდა და სწავლის სიმოკლით
ცალ-ცალკე ვერ გამიყვია (დავ. 15).

დაქცეული:

ჩვენს დაქცეულსა ოჯახზედ
უნდა, რომ შენ ისარქარო. (დავ. 44).

გაქცევა, გაქუსვა, რბენა:

შეშინდა, შაჰყვირა, გაქცევა ამირა (დავ. 54).
ცხენთა შესხდენ და გაქუსლეს
სიტყვა თქვეს რა მუქაფისა (დავ. 26).
მირბოდა ქალი, შორიდამ ნახეს,
აგერ მოვაო, მათ დაიძახეს (დავ. 64).

ნახნავი, ხნული:

შემცირდის ხართა ნახნავი,
მოსწყდის ნაწველი ფურისა (დავ. 23).
მფარცხველმან თქვა: დაღმა ვფარცხავ
ალმა ხნულსა ეს მართებსა (დავ. 25).

მომცემი:

კვლავ კლდეო წყლისა მომცემო...
მასვი მე მადლით მწყურვალსა. (დავ. 38).

ჩმახვა:

„მე მოგახსენებ მართალსა,
ტყუილად არა ვსჩმახაო". (დავ. 32).

2. სინონიმურ ურთიერთობაში გაბედული, უჩვეულო, ზოგჯერ მეტად ხელოვნურად ნაწარმოებ ზმნურ ფორმათა მონაწილეობა მხოლოდ მისთვის, ავტორისთვის დამახასიათებელ კოლორიტს და სტილისტურ გაფორმებას ანიჭებს ანტონისეულ ფრაზებს:

მეშუენიერეს; მელამაზ-მეკეთილნეს
პიიტიჯანი პეტრე საკურველისანი. (წყობ. 769)
შენნი შაირნი, იეზეკიელ დიდო,
აკროსტიხორნი იასჰ-სჳრევნ,

[1] ანტონ ბაგრატიონი, წიგნი მარტირიკა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. VI, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1980.

ს ა რ დ ი ო ნ-მ ა რ გ ა რ ი ტ ე ბ ე ნ, ურთიერთის კიდულნი
ძ ჯ რ ფ ა ს-ს პ ე კ ლ ო ბ ე ნ. (წყობ. 767).
ტაიჭის ძემან იოანე ნეტარმან
ს ი ბ რ ძ ნ ი ს-მ ო ყ უ ა რ ა, ი ღ მ რ თ ი ს-მ ე ტ ყ უ ე ლ-ს ა ხ ე ლ ა,
რ ი ტ ო რ-ი უ ბ ნ ა, შ უ ე ნ ი ე რ-ი მ ჰ ე ვ რ-მ ე თ ქ უ ა. (წყობ. 763).

ზემომოყვანილმა ფორმებმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს ი. პეტრიწისეული ი გ უ ლ მ ე თ ქ უ ე ბ ე ნ, ი ღ მ რ თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ა, შ. რუსთაველისეული გ ა ს ა ლ ე ბ ა, გ ა ტ ი ნ ე ბ ა, ვ ი ა კ ვ ა ნ ე და ა. შ.

3. ანტონისეული სინონიმური ლექსიკის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება მიმღეობურ ფორმათა სიჭარბეა. თითქმის ყოველ აბზაცში შევხვდებით მსგავსი სემანტიკური გაგების მქონე მიმღეობებს; სასურ.-ვი, საწადრე, სანებური:

ს ი მ ჴ ნ ი თ-შ უ ე ნ ე ბ ი თ საქები ალექსანდრე,
ს ი ბ რ ძ ნ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე თ სასურვი, ბრძენთ საწადრე. (წყობ. 605).

...მაგრა ჩუენთა გულსმოდგინე-ჰყუნეს ესოდენ სულნი, ნიადაგ მნებებელნი სიბრძნით აღრჩეულისა ს ა ნ ე ბ უ რ ი ს ა ნ ი (მარტ. 336_{30}).

განსაკუთრებით სასუბიექტო მიმღეობათა სიუხვეა თვალში საცემი, მაგრამ ანტონისეული სპეციფიკა აქაც იგრძნობა: თუ ძველსა და ახალ ქართულში უპირატესად პრეფიქს-სუფიქსური წარმოებაა გაბატონებული, ანტონისეულ სინონიმიკაში სასუბიექტო მიმღეობათა პრეფიქსიანი ფორმები სჭარბობს;

მ-ხედ-ი, მ-ჭურეტ-ი:

მ მ ა რ ხ უ ე ლ თ ა თუალნი, მხედრნი მარად მზისანი...
დღეს ცად მესამედ აღსრულნი იქებოდედ. (წყობ. 517).
თუალი ურულო — მინამძლავრთა ზედ-მ ჭ უ რ ე ტ ი,
უფროჲსად მსწრაფი ქრისტეს მიმართთა სრბათა... (წყობ. 635).

მა-ბრწყინ-ი, მა-ნათი:

...საყდარმან მისმან ღირსად შეიწყნარა ეს —
ქრისტეს სჯულებთა მ ა ბ რ წ ყ ი ნ ი, მცველი მტკიცედ (წყობ. 605).
წყარო არს ღაწუნი ევთიმისნი, მსმენელნო,
ცეცხლისა ცუართა, ალისა შხეფთა წუმათ,
ვინაჲთგან ცეცხლი მწველი, — მ ა ნ ა თ ი ნივთთა;
ამისი სიტყუა ნათლოის, სწვავსცა კუალად (წყობ. 695).

მა-კეთ-ი, მე-ქმ-ი:

დიმიტრი, თუ სთქუა, შაირთ მ ა კ ე თ თ ა თანა
ესთა რაცხილ არს, ვითარმედ ზევდებისცა
თანამედროვეთა თჳსთა, გარდა ვახტანგის (წყობ. 808).
ეს ბაგრატ — მ ე ქ მ ი სპატრისა, შემაერთი
მონარხიისა, ვახტანგ „მგელ-ლომ“ სახელის (წყობ. 564).

მე-შვ-ი, მ-ბად-ე:

იერუსალიმ, სადაცა დის წყალი მცოცხლ...
სახვიდა სძალსა მ ე შ ვ ს ა მაცხოვრისასა (წყობ. 145).
სალმრთო საწადე — სახარებისა ბადე...
მეორედ მ ბ ა დ ე, სიტყუერთ დასაქადე (წყობ. 333).

სასუბიექტო მიმღეობათა ზემომოყვანილმა ფორმებმა არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ გაგვახსენოს ი. პეტრიწი, კერძოდ, მისი დ ა ბ რ წ ყ ი ნ ი, მ ბ ა ძ ი (მ ბ ა ძ ა ვ ი), მ ბ ა დ ი, მ ე ქ მ ი, მ ე შ ვ ი და ა. შ.

4. ანტონ პირველის სინონიმიკაში დიდი ადგილი უჭირავს კომპოზიტურ ლექსიკას. ანტონი მოყვარულია რთული და ზერთული სახელებისა:

რიტორ უხუ, სიტყუა-შუენიერი, მჭევრ-მოუბნარი, უხუ-მართალ-გამომთქმელი:

ა) ანტონი მნათი — ქართველთა დიდებული...
რ ი ტ ო რ უ ხ უ, ს ი ტ ყ უ ა-შ უ ე ნ ი ე რ, მ ჭ ე ვ რ-მ ო უ ბ ნ ა რ (წყობ. 715),
ბ) გიორგი კუალად — სარაცხი ბრძენთა შორის...
საღმრთო მეტყუელი, უ ხ უ-მ ა რ თ ა ლ-გ ა მ ო მ თ ქ მ ე ლ ი (წყობ. 719).

5. ზეამაღლებულ, საზეიმო-პათეტიკურ ტონს ანიჭებს ანტონის ნაწერებს სინონიმური მნიშვნელობის უფროობითი ხარისხის ფორმები, რომელთაც საკმაო რაოდენობით შეიცავს მისი სინონიმური ლექსიკა:

უზესი (უზესთაესი), უმწუერვალესი:

ა) მისნი დათხზვანნი დიოს-კრონოსიანნი
სიმაღლით სხუათა უზეს, ყოველად ციანნი (წყობ. 741),
ბ) ხოლო ტრფიალებაჲ ესე არა ქუეშეური... არამედ უ ზ ე ს თ ა ე ს ი ყოველთა სიმაღლეთა (მარტ. 191$_{7-9}$),
გ) ...უ მ წ უ ე რ ვ ა ლ ე ს ი ბუნების შეერთება
ერთისად ოდენ ქუემდებარისა მიმართ (წყობ. 172).

უგანწმედილესი[1], უპატიოსნესი, უწმიდესი:

ა) უწმიდეს არს...
საღმრთო მარიამ საქმეთაგან ცნობითა,
უ გ ა ნ წ მ ე დ ი ლ ე ს თუთ წმიდის წმიდათაჲსაც (წყობ. 159),
ბ) ეკლესიამან შეჰქმნა გალობა ესე,
უ პ ა ტ ი ო ს ნ ე ს ხერუვიმთა ყოველთა
შეუსწორებელ (წყობ. 199),
გ) მაშასადამე, უ წ მ ი დ ე ს არს ყოველთა,
რამეთუ მოსეს მუნ არა ეძლო შესლვად (წყობ. 157).

უსაშინელესი, უსასტიკესი:

ა) უ ს ა შ ი ნ ე ლ ე ს ი აქუსყე შენდამი ენებაჲ მეექუსეი, ქრისტეს მოწამეო, უღმრთოთა (მარტ. 389$_{5}$).

---

[1] ანტონი ხარისხის ფორმებს აწარმოებს მიმღეობათაგანაც.

ბ) ...რომელიცა უსასტიკეს არს ენებაი, ივნოს მით წინააღმდგომმან (მარტ. 390_1).

6. ანტონი საკმაოდ გაბედულად მიმართავს სიტყვათა სესხებას, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ენას სათანადო ერთეული გააჩნია (საკუთარი ან ადრეულ პერიოდებში ნასესხები). ამ გზით წარმოქმნილ სინონიმურ წყვილებს საკმაოდ ხშირად ვხვდებით მის ნაწერებში:

ატაკი, ბრძოლა (შებრძოლება):

ა) განაძლიერეს ატაკი იგი და სპათაგან სპარსთასა მოსრნეს მრავალნი. (მარტ. 312_{14}),

ბ) ...ახლითა სპითა მაშურალთა სპათა ზედა ბაგრატისთა აღადგინა ბრძოლა სასტიკი (მარტ. 329_{31-32}).

სტიხი, ლექსი, შაირი:

ა) პეტრიწის სტიხთა აუკეთესენ, ბრძენო.
საწად არს ჩემდა შენთა ფრაზისთა სმენა (წყობ. 658),

ბ) შენნი შაირნი საკუთველ-შენაწყობნი
საწად არიან, ჩემდა ფრიად სასურველ (წყობ. 681),

გ) ელვენ ლექსები ძვირფას სპეკალთ უმჯობეს;
ბრწყინვენ სიტყუანი, ვარსკულავ-მდგომარეობენ (წყობ. 735).

ანტონისეული სინონიმიკა ქართული სამწერლო ენის სინონიმური სისტემის კოლორიტული ნაწილია. მასში არქაულ ერთეულთა მოჭარბებას ენის განვითარების კანონზომიერებით ვერ ავხსნით. „მას უყვარდა ძველი ქართული, ცდილობდა, ეწერა ამ ენით“[1]. ასეთი მონდომების მიუხედავად, ეს სამყარო სტრუქტურულად და თვისობრივად განსხვავდება ძველი სამწერლო ძეგლების სინონიმური ლექსიკისაგან. ამ განსხვავებას ძირითადად ქმნის ავტორისეული სიტყვაწარმოებით წარმოქმნილ ერთეულთა მონაწილეობა სინონიმურ ურთიერთობაში. მათგან ზოგიერთი მათგანი დღესაც ცოცხალია და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის აქტიურ ფონდს განეკუთვნება (აწმყო, ნამყო, მყობადი...)[2]. ცხადია, ანტონისეულ ყველა ერთეულს ასეთი ბედი არ რგებია წილად, მის მიერ შექმნილი ბევრი ნაძალადევი, ხელოვნური ფორმა მის შრომებს არ გასცილებია.

ანტონისეული სინონიმური რიგები საკმაოდ შეიცავენ ნასესხებ ერთეულებს (მხედველობაში გვაქვს ახალნასესხობანი რუსული, ბერძნული, ლათინური ენებიდან). მის შრომებში ხშირმა და აქტიურმა გამოყენებამ გაუკაფა გზა სალიტერატურო ქართულში არომატს, ატმოსფეროს, მონარქს, მონარქიას, იდეას, და ა. შ.

---

[1] ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 76.

[2] ე. გაბიძაშვილი, მ. ქავთარია, „მარტირიკის“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტიკური თავისებურება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. VI, თბ., 1980, გვ. 571.

მაშასადამე, მშობლიური ენის ლექსიკური სინონიმიკის შესწავლა-გამდიდრების თვალსაზრისით ანტონ პირველი აგრძელებს XI—XII სს. დიდ ქართველ მწერალ-მთარგმნელთა ტრადიციებს.

თავი III. ლექსიკური სინონიმიკის საკითხები მე-19 საუკუნის მწერლობასა და პრესაში

ენა ხალხისაა სასაუბროც და სალიტერატუროც. მას ნორმებს ვერც მწერალი დაუწესებს და ვერც გრამატიკოსი[1]. ამ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების ფონზე რაღაც ზებუნებრივად მოჩანს ანტონ კათალიკოსის ინიციატივა და უნარი ენობრივ სარბიელზე, მაგრამ როგორც ა. შანიძე შენიშნავს, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული საზოგადოებრივი ვითარება, ანტონის გავლენა, ავტორიტეტი იმ პერიოდისათვის და მხედველობაში უნდა მივიღოთ კ. კეკელიძის დებულება: „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის დარგში"[2].

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს გავლენა მხოლოდ ამ ეპოქის ქართულისთვის არ არის დამახასიათებელი. იგი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სამწერლო ენაში. ამ პერიოდის ორიგინალურსა თუ ნათარგმნ თხზულებებში სინონიმური რიგებიდან აშკარად ეძლევა უპირატესობა ძველი ქართული სამწერლო ძეგლების კუთვნილ ლექსიკურ ერთეულებს; როგორიცაა: აჯა, ბორგვნილი (ძვ. ქართულის ბორგნეული—გაცოფებული), შეშლილი, ბრკომა, განრომა, გარნა, განძება, დაზმა (ხანის) დამაშვრალი, დაშვრომა, ერთბამად, ვითარ, ვსებაჲ (ჩაქრობა), ზრახვა (თქმა), თვინიერ (გარეშე, გარდა, ხოლო), თნება, იავარ-ქმნული, კერძო (ნაწილი, მხარე), ლიტონი, ლმობა (სალმობა, ტკივილი), მეყსეულად (ძვ. ქართულის მეყსეულად), მზვაობარი, მიზდი, მლალავი, მომყმარი, მსხემი, მტილი, მტყველველი, მუნ, მწუხრი, მხმილავი, ნუკევა, როკვა, რონინი, რქუმა, სახმილი, საწუთრო, სირი, სიწრფოება, ტარიგი, უვისთ, ძნება, ხადილი, ჰხამს და ა. შ.

სინონიმურ ლექსიკაში მომრავლებას იწყებს ი. პეტრიწისეული და

---

[1] არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. II, თბ., 1979, გვ. 14—15.

[2] ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 75.

ანტონისეული სასუბიექტო მიმღეობათა ფორმები: გ ა ნ მ გ ე (განმგებელი), მ ა ქ ა ნ ი (მქნეველი), მ ა ხ ვ რ ა ლ ი (ვინც ოხრავს), მ ვ ე ბ ი (ვინც ვაებს), მ თ ე ნ ი (მათენებელი, მნათობი), მ ო ა რ ე, ან მ ა რ ე (მოსიარულე), მ რ ე (მომრევი), მ რ ხ ე (მრხეველი), მ შ ვ ე ნ ი (დამამშვენებელი) და ა. შ.

ასეთივე წარმოებით წარმოქმნილ სინონიმურ წყვილს წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის მ-ბად-ე, მე-შვ-ი.

მეშვი შობა (შევ) ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობაა და ნიშნავს არა დამხმარეს, მეშველს, როგორც ეს ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის მეექვსე ტომშია განმარტებული[1], არამედ — მშობელს. მბადეც და მეშვიც ალ. ჭავჭავაძეს ანტონ პირველის შრომებიდან აქვს აღებული, შდრ:

ანტონი:

საღმრთო საწადე — სახარებისა ბადე...
მეორედ მბადე სიტყუერთ დასაქადე (წყობილ. 333_{1-4}).
კირილე საღმრთო აღმომზეობს ეგუპტით...
სიტყუსა ჯორც-ქმნას გარდამოსცემს ბრწყინვალედ,
საკუთარ ღმრთის — მეშვს შეგუასწავებს მარიამს (წყობ. 91_{1-3}).

ალ. ჭავჭავაძე:

კეთილ არს, რომე ბედი მწყრომარე, ცვალების მბადე
არა მარადის ეგრეთ გედევნის, რაზომც არს მქადე (139)[2].
ვარხვს უყიოდი, მერიდე, ხმა ჩემი მას ვერ ვაგონენ.
ერონხში ეპკარ და მოცავპკალ, მის მეშვნი ვატირ-ვაღონენ (77).

არქაული ლექსიკური ერთეულებითა თუ ოდინდელი მორფოლოგიური ნორმებით გატაცება ზოგჯერ გარკვეულ ენობრივ უხერხულობას ქმნის:

სინნავ, — რას მგამეობ, თავსა უპოვრად მიჩვენებ,
მიტევებისა თხოვნის წილ, ხდომას ხდომაზე შესძინებ? (232)[3].

„მგამეობას“ არ იცნობს ძველი ქართული მწერლობა. ა. შანიძის გამოკვლევით X—XIII საუკუნეთა ძეგლებში დასტურდება გა ზმნისწინ-დართულ ვალ ფუძის ზმნური ფორმებიდან მომდინარე გ ა გ ე ა, ჰ გ ა ო დ ი ს, მ გ ა ვ ა დაბოლოს — მ გ ა მ ა, რომელიც მტკიცედ დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაში. იგი ნიშნავდა: მედარდება, ჯავრი მაქვს, მენაღვლება და, ჩვეულებრივ, იხმარებოდა უარყოფით ან კითხვით წინადადებებში[4].

ალ. ჭავჭავაძის მგამეობ გასული საუკუნის სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებული -ობ თემისნიშნიანი ფორმების (ნ ა ღ ვ ლ -ობ,

---

[1] ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. 6, შეადგინა ს. ც ა ი შ ვ ი ლ მ ა, ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 311.

[2] იქვე.

[3] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1940.

[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, არა მგამა, თხზულებანი, II, ეფხისტყაოსნის საკითხები, I, თბ., 1966, გვ. 77—84.

დ ა რ დ-ო ბ) ანალოგიითაა ნაწარმოები. ტექსტის არქაიზაციის მიზნით ავტორს ძველი სამწერლო ძეგლებიდან აუღია მგამ (ე-ს წარმოშობა გაურკვეველია), რომლის ობიექტური პირის ნიშანი მ-ანი ფუძისეულ თანხმოვნად მიუჩნევია[1]. ასევე, ქართული სამწერლო ენის განვითარების არცერთი პერიოდი არ იცნობს „ემუქმკებოდიან“ ფორმას, რომელიც ნ. ბარათაშვილთან დასტურდება[2] და ა. შ.

ამავე პერიოდში სამწერლო ენის სინონიმური ლექსიკის ხელოვნური დიფერენცირების ცდებიც შეიმჩნევა, რაც გამოწვეული იყო სინონიმური რიგებიდან „სამი სტილის თეორიის“ მიხედვით სიტყვათა შერჩევით.

ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის განვითარების ისტორიაში მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ერთობ რთული პერიოდია. სინონიმურ რიგთა არქაიზაციისა და ხელოვნური ფორმებით დამძიმების პარალელურად მიმდინარეობს მათი შევსებაც ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულებით. გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, განსაკუთრებით გ. ერისთავის ნაწარმოებებში უხვად იჩრება იმდროინდელი ცოცხალი სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები, დ. ჭონქაძის და ლ. არდაზიანის სინონიმური ლექსიკა კი თავისი სტრუქტურით მთლიანად ახალი სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, სინონიმთა მოხმარება-გამოყენების საბა-სულხანისეული და დ. გურამიშვილისეული ტრადიციების სრული აღდგენა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ-სინონიმური სისტემის საბოლოო ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ილიასა და აკაკის მემკვიდრეობაში ხდება. ამ პროცესის ძირითადი დამახასიათებელი მომენტებია:

1. სინონიმური ლექსიკის გათავისუფლება არქაული ერთეულებისაგან და ხალხისთვის გაუგებარი ხელოვნური ფორმებისგან;

2. სინონიმურ რიგთა შევსება ხალხური სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვებითა და გამოთქმებით.

აი, მაგალითად, როგორ წარმოგვიდგება ილიას „კაცია ადამიანის?!“ სინონიმური არსენალი:

1. ანჩხლი, ავი. 2. ბებერი, მოხუცებული, ხნიერი. 3. გაგება, შეტყობა, მიხვედრა. 4. გაგონება, მოსმენა. 5. გაოცება, გაკვირვება, გაშ-

---

[1] „მგამა“ სწორად აქვთ ნახმარი გრ. ორბელიანს (იხ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა ს და ჯ. ჰ უ მ ბ უ რ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1959, გვ. 81), გ. ერისთავს (იხ. გ. ე რ ი ს თ ა ვ ი, თხზულებანი ო. უ რ ი დ ი ა ს რედაქციით, თბ., 1966, გვ. 229) და ა. შ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს სიტყვა იმდროინდელ სასაუბრო ენას ახასიათებდა.

[2] ივ. ლოლაშვილის დაკვირვებით იქცა „თამარიანის“ „ემუქფებიან“ ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს. იხ. ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, მეხოტბენი, II, თბ., გვ. 92—93.

რობა. 6. გაჩენა, დაწესება. 7. გახარება, აღტაცება. 8. გაჯავრება, გაწყრომა, განრისხება, გულის მოსვლა, გაანჩხლება, გაცხარება, გაკაპასება, გამწარება, გაჭარხლება, ატკეცვა, აპილპილება, დაზაფრება. 9. გონება, ჭკუა. 10. დალევა, შესმა, გადაკვრა, გადაყლაპვა. 11. დამარხვა, დაფლვა, მიწას მიბარება. 12. დაჟინება, ახირება. 13. დაღლილი, დაქანცული, ქანცგაწყვეტილი. 14. დაღონებული, მწუხარე, ცხვირჩამოშვებული. 15. დაძახება, დაყვირება, დაჭყიტება. 16. დაჯერება, დარწმუნება. 17. დრო, ხანი, დროება, ჟამი. 18. ვალი, ვახში. 19. ზანტი, ზარმაცი. 20. თრობა, გამობრუჟვა, გადაკვრა, შექეიფიანება, ჩაღლეკა. 21. კანკალი, თრთოლა, 22. კვეხნა, ტრაბახი, 23. ლამაზი, მზეთუნახავი, მშვენიერი, ტურფა, კალმით ნახატი, მოხდენილი, მადლიანი. 24 ლაპარაკი, ბაასი, სჯა. 25. მართალი, ჰეშმარიტი. 26. მახინჯი, გონჯი, უშნო, ურიგო, საძაგელი, უხეირო, უბადრუკი. 27. მოგონება, გახსენება. 28. მოკვდა, ჩაძაღლდა, მიიცვალა, სული განუტევა, სული ჩააბარა, პატრონს ჩაჰბარდა, ფეხები გაჰიმა. 29. გულთმისანი, გულთამხილავი. 30 მუცელი, სტომაქი. 31. ნებიერობა, განცხრომა, კმაყოფილება. 32. პირუტყვი, ცხოველი. 33. სულელი, გიჟი, რეგვენი, უგუნური, უტვინო. 34. უცბად, უეცრად. 35. ქალი, დედაკაცი. 36. შიში, კრძალვა. 37. შიშველი, შიშველ-ტიტველი. 38. შეშინებული, თავზარდაცემული, ზარდაცემული, შემკრთალი, ფერწასული. 39. ცბიერი, მაცდური, პირმოთნე, მანკიერი, 40. ცემა, გალახვა. 41. ცოლი, მეუღლე, ჯალაბი. 42. ძალი, ღონე. 43. ძაღლი, ქოფაკი. 44. წამოროშვა, წამოროხვა. 45. წაყვედრება, დამუნათება. 46. წვალება, ტანჯვა. 47. წმინდა, ფაქიზი. 48. წოლა, გდება, გორვა, გაშოტვა. 49. წყეული, ქოლვა. 50. ჭუჭყიანი, უწმინდური, ტალახიანი, გაქონილი, მოთხუპნული. 51. ხერხი, ეშმაკობა. ოსტატობა, ხელოვნება. 52. ხვეწნა, მუდარა, ევედრება. 53. ჯავრი, დარდი, ნაღველი, სევდა, წუხილი[1].

ილიას ენის მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ მისი ენობრივი შემოქმედების ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობაა[2]. ამ მოსაზრებას ილიას სინონიმურ ლექსიკაზე დაკვირვებაც ადასტურებს[3].

სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითად ბაზად ხალხური სასაუბრო ენა მიაჩნდა აკაკი წერეთელსაც. მან გაუღო სალიტერატურო ენის კარი ხალხური მეტყველებიდან მომდინარე ერთეულებს: ა ტ რ ო ვ ებ ს, ა მ ხ ე ლ ა, ბ ა რ ო ბ ი თ, ბ ო ბ ო ლ ა, გ ა ს ი ს ი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, კაცია ადამიანი?!, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 124—223.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939, გვ. 1—33.

[3] გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ი. ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966, გვ. 159—165; ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სინონიმები ი. ჭავჭავაძის ენაში, თსუშ, ტ. 71, თბ., 1959, გვ. 19—29.

ნება, გაღალული, თოთო, იჯრა, მარული, მინაბდული, კვრეხა, პოტინი, რიკრიკი, საჩქეფი, სულხავი, ღადარი, შეხმატკბილება, ყვინთვა, ჩაქუხა, ჩახრიალა, წაკოკინება და ა. შ.[1].

მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართული ენის ლექსიკურ სინონიმიკაში მძლავრ ნაკადად იჭრება მთის კილოებისთვის დამახასიათებელი სიტყვა-გამოთქმები.

ქართველ კლასიკოსთა მოღვაწეობამ ცხადყო, რომ ქართული სალიტერატურო ენა ყველა თავისი ფესვით ხალხურ სასაუბრო ენასთანაა დაკავშირებული. ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის... ნაწარმოებებმა ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ ქართული სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკის მტკიცე საფუძველი ცოცხალი მეტყველებაა, ქართული ენის დიალექტებია: „...თვით ერთისა და მისვე საზოგადოებათა კრების, ერის შვილებზედაც სხვა და სხვა მხრით უმოქმედნია ერთსა და მასვე საგანსა, ამიტომაც ხშირათ ერთსა და მასვე საგანს სხვა და სხვა სახელი მიუღია ერთსა და მასვე ენაში. აი, ამისთანა სიტყვებია: სეტყვა — კოხი, თხუნელა — მუდო, კუკური — კვირტი, ბორბალა — ობობა, ბლაბუდა — ბანდღი, ბადახში — ლალი, გობი — ხონი, (თაბახი სპარსულია), გეჯა — ვარცლი...“ — წერდა პ. კვიცარიძე 1888 წელს[2].

ამ ჰეშმარიტად სწორი დებულების თავისებურ პრაქტიკულ შემოწმებას წარმოადგენდა იმავე წელს „ივერიის“ ფურცლებზე გამართული პაექრობა იმის შესახებ, თუ როგორ თარგმნილიყო ქართულად რუსული „ვოდოპადი“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელმა. რედაქციას ყველა ხალისით სთავაზობდა „ვოდოპადის“ მნიშვნელობით მის მშობლიურ კუთხეში გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულს და ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა ამ სიტყვის უპირატესობაში. აღმოჩნდა, რომ „ვოდოპადის“ აღმნიშვნელი სინონიმური რიგი ქართული დიალექტების მიხედვით საკმაოდ მრავალწევრიანია: მეჩხერი (იმერ.), საჩქეფი (ქართ., რაჭ., იმერ.), ჭაჩი (ხევს.), შხივი (სვან., ლეჩხუმ.), ჩაბარუხი (მთიულ.), ჩანჩქარი (გურ.) ჩანჩქერი (ქართლ., კახ., იმერ.), ჩაღარღანა (საინგ.), ჩაქუხა (გურ., იმერ.), ჩახრიალა (ქართლ., კახ., იმერ.), ჩქერი (იმერ., ფშავ.). წყალვარდნილი (სალიტ.), წყალტეხილი (ქართლ.), ხასრი (ფშავ.)[3].

ამრიგად, სალიტერატურო ენაზე დიალექტების ცხოველმყოფელი

---

[1] ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად. ზემოჩამოთვლილ ერთეულთა დადგენისას ვიხელმძღვანელეთ აგრეთვე ბ. ფოჩხუას წიგნით— ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974. გვ. 187—202.

[2] პ. კვიცარიძე, ქართული სწორმეტყველება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემით, თბ., 1888, გვ. 50.

[3] იხილე გაზეთი „ივერია“ 1898 წ., 8 № 34, № 49, № 59, № 62, № 64, № 66, № 67, № 71, № 74, № 76, № 77, № 82, № 111.

გავლენა უცილო ჰეშმარიტება გახდა, მაგრამ სამწერლო ენაში კუთხური ლექსიკის მძლავრი ნაკადის შემოჭრამ უკვე სხვა კითხვები წამოჭრა ქართული ენის მესვეურთა წინაშე: ხომ არ წალეკავს ეს ცოცხალი ბუნებრივი ძალა საუკუნეების განმავლობაში ნასათუთევ სამწერლო ენის ნორმებს? ხომ არ განდევნის კახეთის, იმერეთის თუ ფშავის სოფლებიდან მონადენი სიტყვა-გამოთქმები სალიტერატურო ენის მნიშვნელობით შესატყვის ლექსიკურ ერთეულებს? რამდენად უფლებამოსილია დიალექტური მონაცემი სალიტერატურო ენის შესაბამისი ლექსიკური ერთეულის გვერდით?

„ჯერ კი მწიგნობრულმა საეკლესიო ენამ გაიტაცა ჩვენი მწერლები და ბოლოს კი, როცა შეიტყეს, რომ სახალხო ენით იყო საჭირო გაზეთის ბეჭდვა, ყველამ თავისი კილო არჩია და ამ ნაირად დღეს ჩვენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე იგი რა თემისაც არიან, იმ თემის ენით სწერენ და ზოგიერთი ხომ თავის სოფლის ენასაც ხმარობს. ამ გვარად ენა მეტად აჭრელდა და ქიზიყურის პროზისა და ფშაურის პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარი“[1].

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი წერილებიდან აშკარად ჩანს ერთმანეთისადმი მკვეთრად დაპირისპირებული ორი მიმდინარეობა. მკვლევართა ერთი ნაწილი დაუეჭვებლად მიიჩნევს, კუთხური სიტყვა-გამოთქმებისთვის, როგორც სალიტერატურო ენის მკვებავი წყაროებისთვის სამწერლო ენაში გამოყენების რაიმე ნორმების არსებობას და მოითხოვს ლიტერატურულ ნაწარმოებებში მათ შეუზღუდავ ხმარებას: „საერთო ენა, რაც კი რამე კარგი და მშვენიერია სათემო კილოში, ითვისებს, ისაკუთრებს. სხვათა შორის, ამ შეთვისებაზედ არის დამოკიდებული საერთო ენის აღორძინებაც... სამწერლო ენის წარმატება, სხვათა შორის, დამოკიდებულია სათემო კილოს შეთვისებაზედაც. ამას ჩვენი ახალი დროის მწერლებიც გვიმტკიცებენ. ზოგიერთის ჩვენის თანამედროვე მწერლების ენას თუ ხშირად აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი საზოგადოება, თუ ეს ენა ტკბილი და მშვენიერია, იმიტომ, რომ იგი ენა ითვისებს მას ყველაფერს, რაც კი კარგი რამე მოეპოვება თვითეულს სათემო კილოს“[2].

ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა დაკვირვებით, სალიტერატურო სიტყვის გვერდით ყოველთვის უფლებამოსილია მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის დიალექტური შესატყვისი და ამგვარი გზით მიღებული სინონიმური წყვილი სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის სრულუფლებიანი წევრია: „ცოცხალი ხალხის ყოველივე შვილი მიყრუებულ კუნჭულშიც კი იგონებს სხვა-და-სხვა სიტყვას, ფორ-

---

[1] პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საერო ენა და სათემო კილო, „ივერია“, 1888, № 166.

[2] ნ. უ-ელი (ნიკო ურბნელი), მოწინავე (უსათაუროდ), „ივერია“, 1888, № 169.

მას, აზრს, სთხზავს ანდაზებს, არაკებს, ზღაპრებს და სხვა. ცოცხალი ენა გვერდს ვერ აუხვევს ვერცერთ კუნჭულს, და მწერალი ვალდებულია, რაც უნდა მიყრუებულ კუნჭულში მოკრას ყური აზრიან სიტყვას, ლამაზ ფორმას, რიგიან გამოთქმას — მწერლობაში შეიტანოს და მით გაამდიდროს და გაამშვენიეროს სამწერლო ენა. როგორც დედა — მდინარეს აღონიერებს და აძლიერებს სხვა-და-სხვა მხრიდან შიგ მიმდინარე პაწია ნაკადულები, ისე, ამდიდრებს და ამშვენიერებს დედა-ენას მისი შტოების საუკეთესო ფორმები, სიტყვები, გამოთქმები"[1].

ამავე აზრს ავითარებდნენ გრ. ყიფშიძე, ს. გორგაძე და სხვები.

ქართული ენის მესვეურთა მეორე ნაწილი გულისტკივილით მიუთითებდა სალიტერატურო ენაში კუთხური მასალის სიჭარბეზე, მწერლებს, პოეტებს უსაყვედურებდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა პროვინციალიზმებით აჭრელებას და მოითხოვდა სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების გამოყენების მკვეთრად შეზღუდული ნორმების დადგენას: „ქართულის ენის განვითარების საქმეს უცნაური დრო დაუდგა, ყოველი თემი საქართველოისა, ან უკეთესია, ვთქვათ, ყოველი მწერალი ცდილობს სათემო ენით სწეროს და სხვასაც ისე აწერინოს, რაკი თავი მართალი ჰგონია, ხოლო სხვისი უმართლო. სად არის სიმართლე? დავიჯეროთ ქართული ენა და მწერლობა იყოს ისეთი ლაბირინთი, რომელსაც ადამიანი გზათა კვალს ვერ უპოვის"[2].

პ. კვიცარიძის მოსაზრებით, ამა თუ იმ დიალექტური ერთეულის სალიტერატურო ენაში გამოყენების შესაძლებლობათა განხილვისას ანგარიში უნდა გაწეოდა იმ გარემოებას, თუ რამდენად იყო იგი გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და რამდენად ესმოდა მისი სემანტიკური მნიშვნელობა ქართული ენობრივი კოლექტივის უდიდეს ნაწილს: „ახლანდელს ქართულს მწერლობაში ერთობ გახშირდა ენაკილოთი წერა, მითომ და სახალხო პოეზიის სახელით, იმ თემის შვილი უნდა იყო, რომ ეს ნაწერები გაიგო. დანარჩენ ქართველებს იგი არ ესმის: ისე დაკვართულია ენა, რომ არავითარს ენის კანონებს არ ექვემდებარება და ხშირათ აზრიც ორჭოფდება და ირღვევა... ძალიან ცოტა ქართველობამ იცის, თუ რა არის: გობი, ხონო, ვარცლი, თაბახი, ყოყოლი (ქათმის მამალი), ღვეძელი, ღანძილი, ჰიჰილაკი, კალანდა, ცვრევა, თაგოთაგობა, ბობოლა და სხვა"[3].

პ. მირიანაშვილს დიალექტური სიტყვა-გამოთქმები დასაშვებად მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში მიაჩნია: „თემის კილოს ადგილი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარაკებს თავის გმირებს;

---

[1] ს. ხუნდაძე, ბ-ნი კლდიას მსჯელობის გამო, „ივერია", 1903, № 174.

[2] კლდია, ცოტა რამ გრამატიკისა, „ივერია", 1903, № 168.

[3] პ. კვიცარიძე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჭიჭინაძის გამოცემით, თბ., 1888, გვ. 55.

მხოლოდ მაშინ ნება ეძლევა მწერალს გვაჩვენოს თავისი გმირები, ისე, როგორნიც თვითონ ნამდვილად არიან"[1]. სალიტერატურო ენაში კი დიალექტურ ერთეულს გამართლებულად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნასესხებ სიტყვას ცვლის: „მწერალს თუ თემის სიტყვა რომელიმე შემოაქვს მწერლობაში, იმის მაგიერი იქ არ უნდა იყოს და თუა, უცხო უნდა იყოს; ავიღოთ სიტყვა არტაში ეს სომხურია. დღევანდელს ქართულს ენაში აღარ დაცულა; ნამდვილი ქართული სიტყვა კი შენახულა მეგრულს-ქართულში: ხირკალი (ხე გრკალი); მეორე სიტყვაა: ძუნწი; ესეც სომხურია, ქართული კი, თუ არ ვცდები, იმერულშია, „პურშავი"; რა ცოდვა არის არტაშისა და ძუნწის მაგიერ მწერალმა რომ იხმაროს: ხირკალი და პურშავი"[2].

ზემომოყვანილი მოსაზრებიდან აშკარად ჩანს, რომ მისი ავტორი სალიტერატურო სიტყვის გვერდით მსგავსი მნიშვნელობის მქონე დიალექტური ერთეულის არსებობას დაუშვებლად თვლის და ასეთი გზით მიღებულ სინონიმურ წყვილსაც სამწერლო ენის ლექსიკური სინონიმიკისთვის უცხოდ მიიჩნევს.

მაშასადამე, გასული საუკუნის დამლევსა და მეოცე საუკუნის დასასრულს დღის წესრიგში დაისვა დადგენილიყო ქართულ სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების გამოყენების ნორმები. ქართული სამწერლო ენის განვითარების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ იმ პერიოდისათვის ეს საკითხი არ გადაჭრილა. დღესაც ქართულ პრესასა თუ სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად იჩენს ხოლმე თავს შეუთანხმებლობა და აზრთა სხვადასხვაობა ლიტერატურულ ნაწარმოებებში კუთხურ სიტყვა-გამოთქმათა გამოყენების ნორმების შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მწვავედ დაისვა სალიტერატურო ქართულის საორიენტაციო დიალექტების საკითხი. „თუ წინათ უცილობელი იყო, რომ ერთადერთი ქართლურია, რომელიც ესაფუძვლება სალიტერატურო ენას, ახლა ამ დებულებას გარკვეული კორექტივი ესაჭიროება, ამბობენ ენის იმდროინდელი თეორეტიკოსები"[3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე ახლებური გაშუქება უნდა მისცემოდა სალიტერატურო ენაში დიალექტური სინონიმიკის გამოყენების საკითხსაც. ქართული ენის მესვეურთა წინაშე დაისვა კითხვები: დიალექტური მასალის მიხედვით წარმოდგენილი სინონიმური რიგებიდან რომელი კილოების მონაცემებს უნდა მისცემოდა უპირატესობა? რომელი დიალექტური ერთეულები უნდა ჩათვლილიყო უფლებამოსილად სალიტერატურო სიტყვების გვერდით სინონიმურ წყვილთა შექმნაში?

---

[1] პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საერო ენა და სათემო კილო, „ივერია", 1888, № 166.
[2] იქვე.
[3] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ფურცლები ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, „მნათობი", 1957, № 3, გვ. 162.

ამ თვალსაზრისით, ქართული ენის მესვეურთა ერთი ნაწილი ქართლურს აძლევდა უპირატესობას, მეორე ნაწილი — მესხურს, მესამე — იმერულს და ა. შ.

ჰეშმარიტებას მოკლებული და არამეცნიერული იყო ის დებულებანი, რომელთა საშუალებითაც ქართული ენის ზოგიერთი თეორეტიკოსი თავისი მოსაზრების დასაბუთებას ცდილობდა: მაგალითად, პ. კვიცარიძე ქართლურს უპერდა მხარს შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

„ა) აქაური ენა უფრო ზოგადია დანარჩენის ქართველებისთვის, ვინემ სხვაგნებური; უფრო მდგნეა და მკვიდრი.

ბ) ქართლელების ხასიათი უფრო გამომუშავებულ-გამოჭედილია, ვინემ სხვა ქართველებისა.

გ) ქართლელები ბევრათ უფრო დამსახურებულნი არიან, ვინემ სხვა ქართველი თემები. იმათოდენი სისხლი არავის დაუღვრია სარწმუნოების და მამულის დასაცველათ“[1].

პ. მირიანაშვილი ქართული სალიტერატურო ენის საორიენტაციო დიალექტად მესხურს მიიჩნევდა მესხური კულტურისა და მწერლობის ძველთაძველი ტრადიციების გამო[2].

ს. ხუნდაძემ კი ჩამოაყალიბა ევფონიის საფუძველზე დადგენილი ნორმები და დიალექტური მასალის მიხედვით წარმოდგენილ სინონიმურ რიგებიდან წინ წამოსწია „კეთილხმოვანი“ ლექსიკური ერთეულები[3].

ბაბუა (პაპა)[4], ბებია (დიდ-დედა), ბჟოლა (თუთა), ბულბული (იადონი), დედოფალა (ტიკინა), თაველი (თავთავი), კლიტე (გასაღები), კრავი (ბატკანი), მუდო (თხუნელა, ფუღუ), პლანი (გეგმა), საინი (თეფში), ტყლიპი (ელენთა, ტყირპი), ქვევრი (ჭური), ქვიჯა (ავანდასტი, როდინი), ხმალი (ლეკური).

„კეთილხმოვანების“ გარდა ს. ხუნდაძე მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულებს სხვა თვალსაზრისითაც სინჯავდა:

1. ამოწმებდა მათ სამწერლო თუ სასაუბრო ენაში გავრცელებულობის მიხედვით:

ალუბალი (ქვიშნა) — „მწერლობაში უფრო ხშირათ შემოღებულია ალუბალი — და ესვე დარჩება“[5].

---

[1] პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჰიჰინაძის გამოცემით, თბ., 1888, გვ. 56.

[2] პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საერო ენა და სათემო კილო, „ივერია“, 1888, № 166.

[3] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ფურცლები ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, „მნათობი“, 1957, № 3, გვ. 162.

[4] ფრჩხილებში მოთავსებულია ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს მიერ დაწუნებული ფორმები.

[5] ციტატები ამოღებულია ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს გამოკვლევიდან, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 176—190.

ბ) ბია (კომში) — „სახელწოდება ბია უფრო გავრცელებულია ხალხში, ვიდრე კომში, როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიც (იმერეთში ხალხმა არ იცის, რა არის კომში, ამერეთში კი სახელწოდება ბია ბევრგან არის ცნობილი)".

გ) ვირი (სახედარი) — „სალიტერატურო ენაში ვირი უნდა დარჩეს, როგორც ყველასგან ცნობილი სიტყვა".

დ) სუფრა (მაგიდა, ტაბლა) — „ჩემი აზრით, „სტოლის" მნიშვნელობით სიტყვა „სუფრა" უფრო ადვილათ გავრცელდება, ვიდრე სახელები მაგიდა და ტაბლა, რადგან მას ხალხის ენაში აქვს საფუძველი".

ე) ხმალი (ლეკური), ხანჯალი (სატევარი) — „ახალ მწერლობაში ხმალი და ხანჯალი უფრო ხშირათ იხმარება, ვიდრე ლეკური და სატევარი".

ვ) ძროხა (ფური) — ძროხა უფრო ცნობილია როგორც იმერეთში, ისე ამერეთში, მწერლობაში ის უნდა დარჩეს".

2. ადარებდა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს პოლისემიურობისა და სემანტიკურ მოცულობათა მიხედვით:

ა) გასაღება (გამთელება) — „უმჯობესია ვიხმაროთ გამთელება, რადგან გასაღება კიდევ ნიშნავს თავიდან მოცილებას, გაყიდვას.

ბ) დრო (ჟამი) — „სჯობია — საერთოდ დრო ვიხმაროთ, რადგან ჟამი კიდევ შაეჩირსაც ნიშნავს".

გ) ეცინის (აჯავრებს) — „ამ სიტყვის დედააზრი ის არის, რომ ვისამე ჩვეულებრივს რამე მოქმედებას დიდი მიმზგასებით გამოხატავს ვინმე — და გამოხატავს სახუმრათ, გასართობათ, სასაცილოთ და არა შესაწუხებლად, წყენისა და ჯავრის გამოსაწვევათ. ეს დედააზრი იხატება ამ ცნების იმერულ სახელწოდებაში და ის უნდა ვიხმაროთ მწერლობაში".

დ) თირკმელი (ჭაჭა) — „თირკმელს ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო ერთ საგანს აღნიშნავს, სხვა მნიშვნელობა არ აქვს (ჭაჭა კი ყურძნის ნაწურსაც ეწოდება), — ამიტომ მწერლობაში თირკმელი უნდა დარჩეს".

ე) კუდი (ბოლო)— „უმჯობესია სახელწოდება კუდი ვიხმაროთ როგორც ოთხფეხის, ისე ფრინველების შესახებაც... ბოლო (და დასასრული) საქმის, აზრის ან ადგილის შესახებ ითქმის".

ვ) მიხმარება (მიშველება), წარეკვა (წასხმა) — „არ არის შესაწყნარებელი მწერლობაში არც ზმნები: მეშველი... და წავასხით... ამათ მაგიერ უმჯობესია ვიხმაროთ ზმნები მიხმარება და წარეკვა (ზოგ შემთხვევაში წაყვანა, როცა ადამიანებზეა ლაპარაკი)... შველა მაშინ ითქმის, როცა ნიშნავს დიდ გასაჭირში, განსაცთელში მყოფისათვის დახმარების აღმოჩენას", მაგალითად, როცა ვისმე კლავენ, სცემენ, ვინმე იხრჩვება და სხ.".

3. ზოგჯერ კი სიტყვათა შერჩევის ს. ხუნდაძისეული პრინციპები მეტად უცნაური და ძნელად ასახსნელია:

ა) ბჟოლა (თხმელა), კოპიტი(იფნი), თხმელა (მურყანი) — „იმერეთში იციან სახელწოდებანი ბ ჟ ო ლ ა, თ ხ მ ე ლ ა, კ ო პ ი ტ ი, — ამერეთში კი ამათ ეწოდებათ თ უ თ ა, მ უ რ ყ ა ნ ი, ი ფ ნ ი მაგრამ რადგან ამ მცენარეთა სამშობლო უფრო იმერეთია ვიდრე ამერეთი, და კეთილხმოვანებითაც იქაური სახელწოდებანი სჯობია, ამიტომ მწერლობაში უმჯობესია საერთოდ ვიხმაროთ ბ ჟ ო ლ ა, თ ხ მ ე ლ ა, კ ო პ ი ტ ი“.

ბ) ხაბურზაკი (საზამთრო) — „სახელწოდება ს ა ზ ა მ თ რ ო სრულიად არ შეეფერება ზაფხულში მოსავალ ნაყოფს, და რადგან ეს ხილი აზიიდან არის შემოსული, სჯობია, იქაურივე სახელწოდება — ხ ა ბ უ რ ზ ა კ ი დავსტოვოთ მწერლობაში“.

ს. ხუნდაძის შრომებში განხილულ სინონიმურ რიგთა უბრალო გადათვალიერებაც კი საკმარისია, რომ თვალში გვეცეს ავტორის მისწრაფება, წინ წამოსწიოს იმერული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივ. გიგინეიშვილს, როცა წერდა: „სწორი თეორიული შეხედულების ქონას ხელი არ შეუშლია ს. ხუნდაძისათვის მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე აშკარა დასავლური ფორმების თავგამოდებული დამცველი ყოფილიყო სალიტერატურო ქართულში“[1].

ასეთ არასწორ და ერთგვარად ტენდენციურ მოსაზრებათა გვერდით თანდათან მუშავდებოდა სწორი შეხედულება ქართული ენის სალიტერატურო ენის საორიენტაციო დიალექტებისა და ლიტერატურულ თხზულებებში დიალექტური ლექსიკის გამოყენების შესახებ. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის[2], პ. ჭარაიას[3], ალ. ხახანაშვილის[4], გრ. ყიფშიძის[5] და სხვათა სტატიები, ხოლო 1916 წელს „ივერიის“ ფურცლებზე უკვე ვეცნობით სრულიად საღსა და მეცნიერულად მომწიფებულ დებულებებს ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ: „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ორის მთავარი ცოცხალი კილოკავის (ქართლ-კახურისა და იმერულ-გურულის) და ძველის სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ ნაყოფს წარმოადგენს. ამასთანავე როგორც ძველად, ისე დღესაც სალიტერატურო ქართული უხვად საზრდოობდა და საზრდოობს მონათესავე (ლაზურ-მეგრულ-სვა-

---

[1] ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ახალი ქართული სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა, „სახალხო განათლება“, 1951, № 14.

[2] „იერია“, 1881, № 6.

[3] „მოამბე“, 1895, № IX.

[4] „იერია“, 1901, № 82.

[5] „განათლება“, 1911, № VIII.

ნურის) და უცხო ენათა ლექსიკით და მაშასადამე აუცილებლად განიცდიდა და განიცდის ამ უკანასკნელთ გავლენას... აქ ლაპარაკი გვაქვს ენის ფორმებზე და არა ლექსიკონზე — სიტყვებზე (ტერმინებზე), რომელთაც ჩვენი სალიტერატურო ენა მუდამ ყველა კილოკავიდან და მონათესავე ენიდან იღებდა და შემდეგშიც ასე იქნება. თუ კი უცხო ენებიდან ვიღებთ ტერმინებს როცა საჭიროა, განა ულოღიკობა არ იქნებოდა მონათესავე ენებიდან და კილოკავებიდან არ ამოგველო იგინი?"[1].

რამდენიმე უზუსტობის მიუხედავად, ამ ამონაწერში საკითხი ძირითადად სწორადაა გადაწყვეტილი. ქართული სალიტერატურო ენის შემდგომმა ისტორიულმა განვითარებამ დაადასტურა ამ დებულებათა ჭეშმარიტება.

გასულ საუკუნეშივე იქნა შენიშნული ქართულ სალიტერატურო ენის ლექსიკურ სინონიმიკაში ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულთა მონაწილეობა. პლ. იოსელიანის შრომაში უკვე ვხედავთ სალიტერატურო სიტყვისა და მისი ძველი ქართული შესატყვისისაგან წარმოქმნილ სინონიმურ წყვილზე დაკვირვებას: „ახალსა და ძუელსა აღთქმათა შინა ხმარებულ-არს ნაცუალ-სახელად ლექსი თ ა ვ ა დ ი, რომელიცა დადებულ-არს ნაცუალად თ ჳ თ. და თ ა ვ ა დ ი იესო დაჰსდგა შორის მათსა... ხოლო თ ა ვ ა დ ს ა ეძინა"[2].

პ. კვიცარიძემ ძველ ქართულ ლექსიკურ ერთეულთა აღსანიშნავად სპეციალური ტერმინიც კი შემოიღო — „ძველოდესმნი", ახსნა მათი წარმოშობის საფუძველი და განმარტა მათი მხატვრულ-ექსპრესიული ფუნქციები სალიტერატურო ენაში: „ცხოვრების მომდინარეობის და ჩვენთ წარმოდგენილობათა ცვლილებისდაგვარ, საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სიტყვა იცვლების ენაში, ხმარებიდან გამოდის და მათ ნაცვლად სხვა ახალი, (უფრო ხშირათ) მოხდენილი სიტყვები შემოდის ენაში. პირველგვარ სიტყვებს ეწოდებათ ძველოდესმნი, ანუ დრომოჭმული სიტყვები, ევროპიულათ არქაიზმონი. ასეთი სიტყვებია: კეღლობა-კოჭლობა, სიყმილი-შიმშილი, თხიერი-ტიკჭორა, ნეფხვა-ყინვა. მცონარება-ზარმაცობა, როკვა-ცეკვა, ჰუნე-ცხენი და მრავალი სხვანი. თუმცა ძველოდესმი სიტყვები აღარ იხმარებიან თანამედროვეს, ცოცხალ ენაში, მარამა ისინიც ზოგჯერ საჭიროა ისტორიულს და პოეზიურს თხზულებებში ძველის მდგომების და ისტორიულის პირების დასახასიათებლად"[3].

---

[1] ს. გ ო რ გ ა ძ ე, ქართული მართლწერა, ჴუთაისი, 1916, გვ. 5—11.

[2] პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, პირუელ-დაწყებითნი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, 1863, გვ. 32.

[3] პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემით, თბ., 1888, გვ. 54.

ამ სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულების მიუხედავად, სალიტერატურო სიტყვისა და მისი ძველი ქართული შესატყვისისაგან წარმოქმნილი სინონიმური წყვილის არსებობას იმთავითვე გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა ქართულ პრესაში:

„რაჭის ერთ სოფელს გლოლაში ისეთს ძველს ქართულს ლაპარაკობენ, რომ თქვენს მოსაწონს, და მაშ დიდი წარმატება იქნება ჩვენის ენისთვის, იმით რომ ავაჭრელოთ ლექსი თუ პროზა. საიდგან სადაო?.. განა მოვალენი ვართ ვიხმაროთ ყოველი ძველი სიტყვა, ან კილო, სადმე მიყრუებულს კუთხეში ჩარჩენილი, რომელიც ვერ შერთვია მოქალაქეობრივს ცხოვრებასა და ენის ბრძმედშიაც არ გატარებულა? დღეს განა ცოდვა არ იქნება, ცოცხალი და წინ წაწეული ფორმები მკვდრებსა და უკან ჩამორჩენილებს ვანაცვალოთ?“[1].

მაშასადამე, დაისვა საკითხი გარკვეულიყო: ა) ძველი ქართულის ფონდიდან რომელ ლექსიკურ ერთეულებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის მშენებლობაში; ბ) როგორ, რა პირობებში და რა ზომით შეიძლება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ერთეულთა ძველ სინონიმური შესატყვისების გამოყენება ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ამ კითხვებზე პასუხი ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებას უნდა გაეცა.

ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკაში უცხო სიტყვათა სიჭარბეს და „ქართულის თვსთა ნებაზედ გარყვნას“ ჯერ კიდევ ს.-საბა ორბელიანი უჩიოდა „სიტყვის კონაში“. ქართულ პოეზიაში სპარსიზმებისა და აღმოსავლური სიტყვა-გამოთქმების მოძალებაზე მიუთითებდა არჩილიც. „მძიმედ გჩან ენა ქართველთაო“, უკიჟინებდა იგი თეიმურაზს. ალ. ბარამიძის დაკვირვებით არჩილმა პირველად წამოაყენა ქართულ მწერლობაში ენის სიწმინდის დაცვის ლოზუნგი[2], მაგრამ როგორც საკითხის შესწავლა მოწმობს, პურისტული მრწამსის მიუხედავად, იგი თავის შემოქმედებაში ფართოდ უღებდა კარს ნასესხებ სიტყვებს: „არჩილი მართლაც ვერ ყოფილა ბოლომდე თანმიმდევარი ენის სიწმინდის დაცვის საქმეში. ამ მხრივ იგი შენიშვნას იმსახურებს პირველ რიგში სწორედ იმ სპარსიზმების, არაბიზმების, თურქიზმების და აღმოსავლური წარმოშობის სხვა სიტყვების გამო, რომლებსაც იგი ებრძოდა თავისი ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებით[3].

---

[1] ჯ. მირიანაშვილი, „ივერია“ 1888, № 219.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1940, გვ. 218.

[3] ლ. კობიაშვილი, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1969, № 2, გვ. 58.

ქართული ენათმეცნიერული აზროვნების წინა პერიოდებში შემუშავებული პურისტული ტენდენციები განაგრძობენ არსებობას მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე. 1888 წელს „ივერიის“ ფურცლებზე ნ. უ-ელის სტატიაში ვკითხულობთ: „რუსული ენის გრამატიკამა და კილომ დიდი გავლენა იქონია ჩვენს სამწერლო ენაზედ. და ეს რომ ასეა მტკიცდება იმ რუსიციზმებით, რომელიც ქართულს გრამატიკასა და ენას მოდებული აქვს. ყველამ კარგად იცის, რომ რუსული ენა ჩვენთვის ძლიერი იარაღია, ურომლისოდაც ევროპიულის მეცნიერების მიღება არ შეგვიძლიან, მაგრამ რუსულმა ენამ-კი მაინც გზაკვალი შეუშალა ჩვენს გრამატიკას, ჩვენის ენის ნორმალურს ზრდას...“[1] ანალოგიურ შეხედულებას ვხედავთ ს. ხუნდაძის შრომებშიც[2].

ამ პურისტული თეორიის გვერდით მეცხრამეტე საუკუნეშიევე შემუშავდა სალიტერატურო ქართულში ნასესხებ სიტყვათა გამოყენების მართებული მეთოდები. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ კლასიკოსთა სახელმძღვანელო დებულებებს: უნდა გახსოვდეთ, რომა, ვინიცობაა, გაერეკოთ ჩვენი ქვეყნითგან ყველა სიტყვები, რომელნიც აქ დაბინავებულან და რომელნიც კიდევაც აპირობენ დაბინავებასა, მაშინ ის უნდა წარმოვიდგინოთ თვალწინა. რომა ქართული ენა ეგვანება კალიისაგან მოპმულ ყანასა“, — წერდა ი. ჭავჭავაძე[3], ანალოგიურ შეხედულებას ავითარებდა ა. წერეთელიც თავის პუბლიცისტურ წერილებში[4].

პ. კვიცარიძე ნასესხებ ერთეულებს „სხვაგნებურ ანუ უცხო სიტყვებს“ უწოდებდა და მათ არსებობას ენის განვითარების კანონზომიერებით ხსნიდა: „რამდენათაც უცხო ქვეყნების განათლება წინ მიდის, რამდენი ახალი გამოგონება და აღმოჩენაა — ერთი სიტყვით რამდენი ახალი ცნება იბადება, იმდენივე ახალი სიტყვა (ტერმინი) შემოაქვთ. ამათი შემოუღებლობა მიუცილებელია სხვადასხვა ერისათვის. გამომგონებელის ერისთვის ამისთანა სიტყვას ქვია ახალთხზული, ხოლო სხვა ერებისთვის, რომელთაც ის სიტყვა მიუღიათ — ეწოდება სხვაგნებური, ანუ უცხო სიტყვა“[5].

მაშასადამე, მშობლიურ ლექსიკაზე ნასესხებ სიტყვათა გამანაყოფიერებელი გავლენა უცილობელი ჰეშმარიტება გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული ენის მესვეურთათვის, მაგრამ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი ნასესხებ ერთეულებს სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის მშენებლობაში? ამ კითხვაზე ძირითადად პა-

---

[1] ნ. უ-ელი, „ივერია“ 1888, № 177, მოწინავე (უსათაუროდ).
[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 166.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 299.
[4] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თეიური კრებული, ტფ., 1898, V, გვ. 15—16.
[5] პ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემით, თბ., 1888, გვ. 56.

სუხს გვაძლევს „ივერიის“ 1903 წლის № 261-ის მოწინავეში ჩამოყალიბებული დებულებანი ნასესხებ სიტყვათა გამოყენების შესახებ: „რა თქმა უნდა, რომ უცხო სიტყვების ხმარება, და ისიც ხშირად, არ არის სასურველი, ენას აჭრელებს და აზრის გაგებას უძნელებს ნაკლებად ნასწავლს, მეტადრე მდაბიო, უბირს ხალხს. მაგრამ ხშირად, ძრიელაც რომ სასურველი იყოს, ვერ ასცდები უცხო სიტყვის ხმარებას, რათგან შესაფერი ქართული სიტყვა არ მოიძებნება. ბევრი ისეთი უცხო სიტყვაც არის, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია მთელს კაცობრიობაში და იმათი დევნა მწერლობიდან, რა ჰკუაში მოსასვლელი იქნება?.. უცხო სიტყვების ზომიერი ხმარება თქვენს ენას ვერას დააკლებს, ვერ შეჰბღალავს, რადგან ყოველი სიტყვა დაექვემდებარება დედა-ენის გრამატიკას, მის დარჯაში გაივლის და ისე მოიქნება, როგორც ყოველი ქართული სიტყვაა მოქნილი. უცხო სიტყვები რომ ენას ამახინჯებდეს, რყვნიდეს, დღეს აღარც რუსული ევარგებოდა და აღარც ქართული, რადგან ერთშიაც და მეორეშიაც იმ თავიდანვე მრავალი უცხო სიტყვა დაბინავებულა და დღესაც თავისთვის არის მოკალათებული...“ იმავე გაზეთის მეოთხე გვერდზე მოთავსებულ სტატიაში, „წერილი რედაქციის მიმართ“, კი ვკითხულობთ: „დღეს ჩვენს მწერლობაში ერთი შესანიშნავი ნაკლია შეპარული, რომელიც დეკადენტურ „მოდათ“ შექმნილა. ეს ნაკლი გახლავთ უალაგო-ალაგას ხშირად ხმარება უცხო სიტყვებისა, რომლების მაგიერადაც შეგვეძლო ხმარება ჩვენის საკუთარის სიტყვებისა...“

ზემომოყვანილ ამონაწერიდან ხელშესახებად ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის ნასესხები ლექსიკა უცილობლადაა მიჩნეული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის მშენებლობის მასალად. მშობლიური სიტყვისა და მსგავსი მნიშვნელობის ინტერნაციონალური ერთეულისგან მიღებული სინონიმური დუბლეტი მიჩნეულია სალიტერატურო ენის ლექსიკის კანონზომიერ კუთვნილებად. აქვე ხაზგასმითაა მითითებული, რომ საკუთარი და ნასესხები სიტყვებისაგან წარმოქმნილ სინონიმურ წყვილებში შემოქმედმა უპირატესობა საკუთარ ლექსიკურ ერთეულებს უნდა მიანიჭოს, რომ ამით თავიდან აიცილოს „ენის აჭრელება და აზრის გაგების გაძნელება“.

მიუხედავად ამისა ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი დარჩა: 1. ნასესხები ლექსიკიდან რომელი ერთეულებია უფლებამოსილი შექმნას სინონიმური წყვილი სალიტერატურო სიტყვასთან ერთად. 2. როგორ და რა ზომით შეიძლება ნასესხები ლექსიკის გამოყენება სალიტერატურო ენის ლექსიკურ სინონიმიკაში.

ამ კითხვებზე პასუხი ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებას უნდა გაეცა.

ნაწილი მესამე

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები

თავი I. თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი

ენის საშუალებით ადამიანი ენობრივ ფორმებად გარდაქმნის და ცნობიერებაში ასახავს გარესამყაროს. რაც უფრო ვითარდება ენობრივი კოლექტივის აზროვნება, რამდენადაც უფრო ღრმად სწვდება კოლექტივის ცნობიერება ობიექტურ რეალობას, მით უფრო იხვეწება, სრულყოფილი ხდება ენის შემადგენელი ნაწილები, მისი ყოველი უჯრედი.

სიტყვა სინამდვილის ენობრივად ტრანსფორმირებული ნიშანია, ლექსიკური მარაგი კი ამ ნიშანთა საცავია. სამყაროს შეცნობის, ჰეშმარიტების წვდომის სფეროში მოპოვებული ყოველი წარმატება, პირველყოვლისა, სწორედ ამ საგანძურში აისახება, ამიტომაც ლექსიკური მარაგი ყოველთვის ხასიათდება დროის, ეპოქის ნიშნით. სასულიერო მწერლობის ენის ნაკლად ვერ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ მარტეილთა ცხოვრებებში არ დასტურდება სიტყვები: კოსმოდრომი, რაკეტა, რეაქტორი... ეს ლექსიკური ერთეულები ამ საუკუნის ატრიბუტებად მოევლინენ მსოფლიო ენათა ლექსიკას.

სინონიმური მიკროსისტემა ენობრივი ქრონომეტრის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებში სხვადასხვა ბგერითი გაფორმებით აირეკლება საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ყოველი სიახლე.

მეოცე საუკუნის ეპოქალური ძვრები, ქართველი ერის სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ-ტექნიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი მოვლენები განაპირობებენ ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის თემატურ და სტრუქტურულ რეკონსტრუქციას, მისი ყოველი რგოლის შევსება-განახლებას. მიმდინარე პროცესი ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

1. ფართოვდება სისტემის თემატური საზღვრები, ჩნდება მსგავსი

სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც აღნიშნავენ:

ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნებებს ან გარკვეულ მიმდინარეობას, მსოფლმხედველობას: დესპოტი — ტირანი, აგრესორი — თავდამსხმელი, ანტაგონისტური — დაპირისპირებული, ანექსია — დაპყრობა — მიტაცება.

ბ) ყოფითი ცხოვრების, სახალხო მეურნეობის, სპორტის ახალ სახეობას, დარგს, უბანს ან პროფესიას: ალპინისტი — მთასვლელი — მეკლდეური, დევალვაცია — გაუფასურება, მფრინავი — აერონავტი — ავიატორი — პილოტი.

გ) სინონიმურ რიგთა რიცხვის განუხრელ ზრდას იწვევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მსგავსი მნიშვნელობის მქონე წყვილებს ქმნიან ახალწარმოქმნილი თუ ნასესხები სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები: შეწებება — აგლუტინაცია, შეგუება — ადაპტაცია — აკომოდაცია, განზოგადება — აბსტრაქცია, ბაქტერია — ბაცილა, მეანე — აკუშერი — ბებია ქალი.

2. მიმდინარეობს სინონიმურ რიგთა შევსება ახალი ლექსიკური ერთეულებით: ახსნა — განმარტება — ანალიზი — ინტერპრეტაცია, მოთავე — თაოსანი — ინიციატორი, ველური — მხეცური — ბარბაროსული — ვანდალური, არეულობა — უწესივრობა — დეზორგანიზაცია.

3. მოძველებული ლექსიკური ერთეულები იცვლება ახლით: ბეითალი — ვეტერინარი — ვეტექიმი, გამყოლი — გიდი — ექსკურსიამძღოლი — ეტიკი — კოლაუზი, აკრობატი — ეკვილიბრისტი — მიმოსი — ჯამბაზი.

4. ენობრივი სისტემის ყოველი რგოლის ცვლა ისტორიული განვითარებაა და თავისთავში შეიცავს განვლილ პერიოდებს. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური ლექსიკის თემატური გამრავალფეროვნება, მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგების შევსება-განახლება მიმდინარეობს ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემის თემატურ-სტრუქტურულ თავისებურებათა შენარჩუნებით.

განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებიან თანამედროვე ქართულის ის სინონიმური რიგები, რომლებიც ძველშიც მრავალწევრიანობით გამოირჩეოდნენ: ვარგისი, გამოსადეგი, გამოსაყენებელი, დადებითი, მისაღები, მოსაწონი, სათანადო, სასარგებლო, საჭირო, სახარბიელო, სახეირო, ფარსაგი, ჯეროვანი... კარგი, გვარიანი, გზიანი, დალოცვილი, ეფექტური, ზორბა, ლაზათიანი, მადლიანი, მშვენიერი, რიგიანი, საამო, სასიამოვნო, ხარისხიანი...

ს ა უ კ ე თ ე ს ო, გამოსაჩენი, დიდებული, თავმოსაწონებელი, საამაყო, საკვეხარი, სამაგალითო, სანატრელი, სანაქებო, სანუკვარი, საოცნებო, საისახელო, სასიქადულო, სატრაბახო, საწადელი, სწორუპოვარი, უბადლო, უებრო, უზადო, უმაგალითო, შესანიშნავი, შესაშური, შეუდარებელი, ღირსეული, ღირსსაცნობი, ღირსსახსენებელი, ღირსშესანიშნავი, ჩინებული, ხელთუქმნელი, ჯვარწერილი, მაღალი, მაღალრენტაბელური, მაღალხარისხოვანი...

ც უ დ ი, ავი, გადასაგდები, გამოუსადეგარი, გლახა, გულსატკენი, დეფექტური, ზადიანი, მავნე, მანკიერი, მდარე, ნაკლოვანი, ნეგატიური, სავალალო, სამწუხარო, საძაგელი, საძრახისი, საძულველი, საწყენი, საჯაყი, უამური, უგვანო, უმსგავსო, ურგები, ურიგო, უსიამოვნო, უხარისხო, უხიაგი, უხეირო, ფინთი, არასაკადრისი, არასასურველი, არაკვალიფიციური... დაბალი, დაბალრენტაბელური, დაბალხარისხოვანი...

თანამედროვე ქართულს უმდიდრესი ლექსიკა გააჩნია ცნებების — „მართლის“, „წმიდის“, „ბილწის“ გადმოსაცემად. მ ა რ თ ა ლ ი, ალალი, ალალ-მართალი, ამწონ-დამწონი, გულახდილი, გულღია, გულწრფელი, ზუსტი, კაცური, კეთილსინდისიერი, მართლისმთქმელი, მართლმსაჯული, მართლგანმზრახველი, მიუდგომელი, მიუკერძეელი, მოუსყიდავი, მოუქრთამავი, ნაღდი, ობიექტური, პირდაპირი, პირუტყუარი, მოუფერებელი, პირმტკიცე, პირნათელი, პირუთვნელი, პირუტყუარი, პირჯეშმარიტი, სამართლიანი, სიმართლის მოყვარე, სიტყვის კაცი, უტყუარი, წრფელი...

წ მ ი ნ დ ა, განწმედილი, გაურყვნელი, გაუხრწნელი, ზნედაცული, ზნემაღალი, თავშენახული, კრძალული, ნამუსიანი, ნამუსდაცული, ნამუსშეუგინებელი, პატიოსანი, პირწყლიანი, სახელგაუტეხელი, სახელშეურცხვენელი, სინდისიანი, სინდის-ნამუსიანი, სპეტაკი, უბიწო, უბრალო, უზაკველი, უმანკო, უმწიკვლო, უცოდველი, უძრახი, უხრწნელი, ფაქიზი, შეუბილწავი, შეუგინებელი, შეულახველი, შეურყვნელი, შეურცხვენელი...

გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ი, ავხორცი, არაწმინდა, აუგიანი, ბილწი, გათახსირებული, გარეწარი, გაფუჭებული, გარყვნილი, გახრწნილი, ზნედაცემული, ზნედაბალი, ზნეწამხდარი, თავლაფიანი, თავლაფდასხმული, ლეჩაქახდილი, ლირფი, ლირწი, მეძავი, მრუში, ნათრევი, ნამუსგარეცხილი, ნამუსდაკარგული, სინდისდაკარგული, სინდისშერცხვენილი, სინდის-ნამუსზე ხელაღებული, სიძვისა, ულვაშშერცხვენილი, სულმდაბალი, უნამუსო, უსინდისო, უპატიოსნო, უპირისწყლო, ურცხვი, უცხვირპირო, უწმინდური, ჩიქილამოხდილი, ჩირქმოცხებული...

ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულებით ივსება სიკვდილ-სიცოცხლის, შველა-დახმარების, სხვადასხვა გრძნობითი ემოციების აღმნიშვნელი თავისთავად მდიდარი სინონიმური რიგები.

ფერების აღმნიშვნელი ლექსიკური ჯგუფებიდანაც თანამედროვე ქართულში განსაკუთრებული ნაირსხვაობით წითლის ამსახველი ლინგვოსპექტრი გამოირჩევა: წ ი თ ე ლ ი, აგურისფერი, ალისფერი, ბორდო, ენდროსფერი, ვარდისფერი, კაპარაში, ლალისფერი, მარწყვისფერი, მარჯნისფერი, მეწამული, პირისფერი, ჟანგისფერი, ჟოლოსფერი, ჟღალი, სისხლისფერი, სპილენძისფერი, უნაბისფერი, ღვინისფერი, ყირმიზი, შვინდისფერი, ცეცხლისფერი, ძოწისფერი, ჭერმისფერი, ჭიაფერი, ხახვისფერი, ხორცისფერი, ჯიგრისფერი, ჯორაფერი.

ენობრივი კოლექტივის გონება მუდმივი ძიებისა და შემოქმედების პროცესშია და ენობრივ ეკრანზეც ოპერატიულად აისახება ამ პროცესის ყოველი ნიუანსი. ასეთი განუწყვეტელი ცვლა-განახლების შედეგად ენაში თითქოს არაფერი არ უნდა დარჩეს ძველი, ოდინდელი, მაგრამ სინონიმურ რიგთა სტრუქტურის ამ თვალსაზრისით შესწავლა ენის კიდევ ერთ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოაჩენს: აზროვნების განვითარებისა და ჰეშმარიტების შემეცნების პროცესში ხშირად იკარგება, ქრება ის თავდაპირველი წარმოდგენა და ის ენობრივი ცნება, რომელიც ამა თუ იმ საგნის, მისი ნიშან-თვისების, მოვლენის თუ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას უდევს საფუძვლად, ლექსიკურ ქსოვილში ჩნდება ახალი ლექსემა სინამდვილის ამავე ფაქტის აღსანიშნავად, მიუხედავად ამისა, ენა არ კარგავს ძველ ერთეულს, იგი ახალ სემანტიკურ დატვირთვას იღებს და განაგრძობს არსებობას ლექსიკურ სამყაროში. გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ცრურწმენის საფუძველზე წარმოშობილი სიტყვაა და ადამიანის „ცვლას“, ე. ი. სულის მიერ საიქიოში ცხოვრების განგრძობის გაგებას შეიცავდა. ამ თავდაპირველი მნიშვნელობის დაკარგვის მიუხედავად, გარდაცვალება დღესაც აქტიური სიტყვაა და დომინანტს წარმოადგენს შემდეგ სინონიმურ რიგში: გარდაცვალება, აღსრულება, გათავება, სიკვდილი...

„ც უ დ ი ს“ აღმნიშვნელ ახალწარმონაქმნ თუ ახალშეძენილ ლექსიკურ ერთეულთა გვერდით: ა რ ა ს ა ხ ა რ ბ ი ე ლ ო, დ ე ფ ე ქ ტ უ რ ი, ნ ე გ ა ტ ი უ რ ი, — განაგრძობენ არსებობას ამავე მნიშვნელობის მრავალსაუკუნოვანი და მრავალჭირნახული ა ვ ი, ს ა ძ ა გ ე ლ ი, ს ა ძ უ ლ ე ლ ი, უ ჯ ე რ ო.

თითქმის მთლიანად შემოგვეინახნენ წ მ ი ნ დ ი ს, ბ ი ლ წ ი ს აღსანიშნავად ძველ ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული ერთეულები: წ მ ი ნ დ ა, გ ა უ რ ყ ვ ნ ე ლ ი, გ ა უ ხ რ წ ნ ე ლ ი, უ ბ ი წ ო, უ ბ რ ა ლ ო, უ გ მ ო ბ ე ლ ი, უ მ ა ნ კ ო, უ მ წ ი კ ვ ლ ო, უ ც ო დ ვ ე ლ ი, შ ე უ გ ი ნ ე ბ ე ლ ი... ბ ი ლ წ ი, ა უ გ ი ა ნ ი, ა რ ა წ მ ი ნ დ ა, ლ ი რ ფ ი, ლ ი რ წ ი, უ რ ც ხ ვ ი...

ზემომოყვანილი სიტყვები დღესაც აქტიური, ცხოველმოქმედი და ქართველი საზოგადოებისთვის ყოველდღიურად სახმარი ერთეულებია,

ამიტომ მათ „ძველს“ მხოლოდ პირობით ვუწოდებთ მათი მრავალსაუკუნოვნობის გამო.

მაშასადამე, თემატური მრავალფეროვნებით და სინონიმურ რიგთა სტრუქტურული შედგენილობით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმია ძველის სისხლხორცეულ გაგრძელებას და ორგანულ განვითარებას წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალმა ქართულმა უცვლელად შეინარჩუნა V—XI საუკუნეების სასულიერო ძეგლებში დადასტურებული ყველა სინონიმური წყვილი და ყველა ლექსიკური ერთეული. ცხოვრების წინსვლასთან დაკავშირებით ბევრი მოძველებული საგანი, მოვლენა, მოქმედება, ადათ-წესი, ჩვეულება და ა. შ. ხმარებიდან გადის, მათი აღმნიშვნელი სიტყვებიც პასიურნი ხდებიან, მივიწყებას ეძლევიან და ბოლოს სულ იკარგებიან ლექსიკური მარაგიდან. მაგალითად, ზორვა, აჩაჩა, ქალამანი და ა. შ. მაგრამ ზოგჯერ ასეთ შემთხვევებშიც იგრძნობა მისწრაფება ძველი ლექსიკური ერთეულების შენარჩუნებისა: ფაცხა, ქოხი ქართული ყოფიერებიდან განდევნეს ოდა სახლებმა, ბინებმა, კოტეჯებმა, მაგრამ ენის ლექსიკურ მარაგში ფაცხაც განაგრძობს არსებობას და ქოხიც, თუმცა მნიშვნელობის ცვლით (ფაცხა — ძველი ფაცხის ტიპის რესტორანი, ქოხი — მონადირის სახლი). საზოგადოება ძნელად ელევა სიტყვას, რადგან ლექსიკა ერის ისტორიაა ენობრივ ფორმებში გარდასახული და თითოეული სიტყვა — ამ ისტორიის შემადგენელი ნაწილი.

თავი II. სიტყვაწარმოება — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითადი წყარო

აბსტრაქტული სახელები

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკაში აბსტრაქტულ სახელთა სინონიმურ მიკროსისტემას ჩვეულებრივ სი-ე, -ება და -ობა აფიქსებით ნაწარმოები ფორმები ქმნის:

1) ვერ ვიტან სიცრუეს და სიყალბეს. (გ. ფანჯ.);

2 ...ჩემი საწოლი და სასთუმალი, თავდავიწყება და ნეტარება. (ლ. ასათ.);

3) მოგეხსენებათ, ეს თავაზიანობაო, ეს ზრდილობაო და ჩვენ ფეხზე ვიდექით. (კ. კობერ.).

მხატვრული ენის ლექსიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აბსტრაქტულ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება განუხრელად იფარ-

თოებს გამოყენების სფეროებს. მაგალითად, სინონიმურ სახელთაგან— ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა, ყ რ მ ა, ყ მ ა წ ვ ი ლ ი, ჭ ა ბ უ კ ი აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად თანაბარუფლებიანია როგორც -ო ბ ა, ისე ს ი-ე პრეფიქს-სუფიქსები, მხატვრული სიტყვის ოსტატები კი მეტწილად პრეფიქს-სუფიქსურ წარმოებას მიმართავენ: ს ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე, ს ი მ რ წ ე მ ე, ს ი ყ რ მ ე, ს ი ჭ ა ბ უ კ ე:

1) გამახსენდა ცეცხლის ქარში გამოვლილი, შორეული ს ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე გამახსენდა (ალ. მირცხ.),

2) ჩემი ს ი ყ რ მ ე, ს ი ჭ ა ბ უ კ ე ლაღად გამიტარებია. (ალ. მ ი რ ც ხ.),

3. მესამე დილას დამიბრუნდა კვლავ ს ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე. (რ. მ ა რ გ.),

4) დავუბრუნდით ისევ ს ი ჭ ა ბ უ კ ი ს ქარებს. (რ. მ ა რ გ.),

5) რად დავივიწყო ის, რაც ს ი მ რ წ ე მ ე ს მისდევს გაფრენილს. (ო თ. ჭ ე ლ.),

6) მმატებს ოცნებას და ს ი ყ მ ა წ ვ ი ლ ე ს. (ო თ. ჭ ე ლ.).

გონებრივი ნაკლოვანების, სიბრიყვის აღმნიშვნელი სინონიმური რიგებიდანაც მხატვრულ ლიტერატურაში მეტწილად სი-ე წარმოება გამოიყენება:

ს ი ბ რ ი ყ ვ ე, სიგიჟე

1) სიბრძნე, ისე ვით ს ი ბ რ ი ყ ვ ე ხშირად ტვირთია (მ. ფ ო ც ხ.),

2) თბილისში მოდის გიჟი აპრილი და ს ი გ ი ჟ ი ს თ ვ ი ს შენ მეტები. (ნ. კ ი ლ.).

ამავე რიგში მკვიდრდება შლეგ ძირისაგან ნაწარმოები ს ი შ ლ ე გ ე, შმაგ ძირისეული — სიშმაგე:

1) წელზე მარტყია ბრინჯაოს ბალთები და უცხოთ უკვირთ ჩემი ს ი შ ლ ე გ ე. (ნ. კ ი ლ.),

2. პირველთა ს ი შ მ ა გ ე[1] მირჩევნია, მეორეთა სიბრძნეს... (ვ. ალფ.).

ქართული ენისთვის ბუნებრივ და ტრადიციულ რიგს წარმოადგენს: ს ი მ შ ვ ი დ ე, ს ი წ ყ ნ ა რ ე, მ ყ უ დ რ ო ე ბ ა:

1) რა საოცარი მთვარიანი ღამეა... როგორი ს ი წ ყ ნ ა რ ე ა და მ ყ უ დ რ ო ე ბ ა. (შ. დ ად.).

2) იყო დროება, მ ყ უ დ რ ო ე ბ ა და მოგროვება. (გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი).

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა ამ რიგშიც შეინიშნება წარმოქმნის თვალსაზრისით გათანაბრების ტენდენცია და მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზე განუხრელად იზრდება ს ი მ ყ უ დ რ ო ვ ი ს გამოყენების სიხშირე:

---

[1] შმაგ ძირიდან სი-ე პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სიშმაგე მხოლოდ ერთხელ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში" — სიშმაგისთან.

1) ქუჩაზე სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევდა. (არჩ. სულ.),

2) მდიდრულად მორთულ დარბაზში სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევდა. (რ. ჭეიშ.).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ასეთივე დიდი აქტიურობით გამოირჩევიან ლექსიკური ერთეულები: სიმხდალე — სილაჩრე, სიკერპე — სიჯიუტე, მაგრამ მათსავე გვერდით ლიტერატურულ სამყაროში განაგრძობენ ცხოვრებას -ობა სუფიქსიანი ფორმებიც. მაშასადამე, მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებში წარმოქმნის თვალსაზრისით გათანაბრების ტენდენცია არ მოასწავებს სინონიმური ლექსიკის გაღარიბებასა და გაუფერულებას, პირიქით, პრეფიქს-სუფიქსური წარმოებისკენ სწრაფვა ახალ თვალსაწიერს შლის სიტყვაწარმოების სფეროში და სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების პერსპექტივას წარმოადგენს.

ქონების სახელები

ქონების სახელებიდან სინონიმურ ურთიერთობაში -იან, -იერ, -ოვან, -ოსან, -ურ, -ა სუფიქსებით ნაწარმოები სახელები მონაწილეობენ: სანდომიანი, სახიერი, სხივოსანი, სიმპათიური:

1) ტატო უზომოდ მოხიბლული იყო ეშხიანი და სხივოსანი ქალიშვილით. (ს. ჭილ.),

2) ჩვენი სოფლის შარაზე... მიაბიჯებდა... სახიერი თეთრულვაშა ციციკორე (გ. ლეონ.),

3) სიმპათიური, სათვალიანი ფიზიკოსი გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. (გ. ფანჯ.).

ქონების სახელთა სინონიმური მიკროსისტემიდან თანამედროვე ლიტერატურაში შედარებით დიდი მოთხოვნაა -იან სუფიქსიან წარმოებაზე: დარდიანი, ნაღვლიანი, სევდიანი:

1) ეგებ გგონია ყველა ჩემსავით გულჩათხრობილი და დარდიანი? (ო. ჭელ.),

2) ჟანა მოქანცული, ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა ჰორიზონტს. (გურ. კაპ.),

3) ასე თავდება ეს სევდიანი ადიღეური ლეგენდა ძველი. (ო. შალამ.).

-ა ბოლოსართიანი ქონების სახელთა მრავალფეროვნების და თვით -ა ფორმანტის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ კი ცხადია, იგი დაერთვის როგორც ზმნურ ფუძეებს (ბარბაც-ა), ასევე ზედსართავებსა და არსებით სახელებსაც და ყველა შემთხვევა-

ში რაღაცის „მქონებლობას“ აღნიშნავს[1]. ალბათ, წარმოების ასეთი ფართო შესაძლებლობითაა განპირობებული -ა ფორმანტიან ქონების სახელთა მოძალება ლიტერატურულ ნაწარმოებებში: ანკარა, კამკამა, კრიალა:

1) ხმა წკრიალა და გასაკვირველი ანკარაა და ისეთი სუფთა. (დ. ივარ.),

2) ...კვალად თანა სდევს შენს კამკამა წყალს. (ა. კალან.),

3) გახსოვდეს ეს მზე, ეს ცა კრიალა. (ვ. გორგ.).

ბარჩხალა, ბრდღვიალა, ბრიალა, კაშკაშა:

1) ეს ეს არის ბარჩხალა მზე... ჩაბრძანდა კაშკაშა ეტლში. (ნ. წულ.),

2) ისევ მოაწყდა სულს ბრდღვიალა მინდვრები ქართლის. (რ. ამაშ.),

3) მხრებზე დამადგა ბრიალა მთვარე .(ვ. გორგ.).

-ა სუფიქსიან ქონების სახელთა ხვედრითი წონის თანდათანობითი ზრდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

უქონლობის სახელები

უქონლობის სახელებიდან სინონიმურ რიგებს ძირითადად უ-ო, უ-ურ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ფორმები ქმნიან: უარაქათო, უღონო, უჯანო, უდღეური, უსუსური, უძლური:

1) თითქოს დაუღონოვდა კიდეც: უარაქათო, დამონავებული. (გ. ლეონ.),

2) სუსტსა და უღონოს უღლიდან სულ გამოხსნიან. (მოს. გვას.),

3) უჯანო ბიჭი იყო. (ქ. ლორთ.),

4) უდღეური ჩემი ნერგი ძირში გინდა მობელო. (ემზ. კვიტ.),

5) ნუ მიყურებთ შებრალებით, ვით უღონოს, უსუსურს, (ალ. აბაშ.),

6) უძლური და სუსტი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. (რ. ჭეიშ.).

თანამედროვე ქართულში იგრძნობა უ-ო ფორმანტებით ნაწარმოებ. ფორმათა სიჭარბე. მხატვრულ პროზასა და პოეზიაში ხშირია ასეთ ერთეულთა პარალელური ხმარების შემთხვევები:

1) მას ყოველივე უშნო, ულაზათო ემძულვარებოდა. (ი. გრიშ.),

---

[1] ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 137.

2) რა გააღვიძებს... ამ უჩქეფო-უხალისო, უსიცოცხლო ყოფას? (გ. ლეონ.),

3) ცა უსასრულო, ზღვა უნაპირო. (მ. ფოცხ.).

იშვიათად, მაგრამ მაინც სინონიმურ წყვილად ოდენპრეფიქსური ფორმებიც გვხვდება: ურიცხვი, უამრავი:

1) ჩვენი ქვეყანა გაუმაძღარ, ხარბ, ურიცხვ მტერს ებრძოდა. (ს. ჭილ.),

2) ქვრივ-ობლებისთვის უამრავი საბოძვარი გასცეს. (გრ. აბაშ.).

თუ უქონლობის სახელთა წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით ძველი ქართულის მონაცემებს გავიხსენებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართული იცავს და აგრძელებს უ-ო პრეფიქს-სუფიქსური წარმოების პროდუქტიულობის ტრადიციას.

წარმომავლობის სახელები

მსგავსი მნიშვნელობის ერთეულთა თავისებურ ჯგუფს ქმნიან -ურ, -ი(ვ)ურ ფორმანტებით ნაწარმოები წარმომავლობის სახელები: გარეული, ველური, ტყიური:

1) როგორც მტრედი გარეული ღუღუნებდა ჰორიზონტი (რ. ამაშ.),

2) შენს თმებს ველური ვაზისა და მთის თაფლის ნაზი სურნელი აქვს (რ. ამაშ.),

3) ჩემი სული... ტყიურივით სმენად ქცეული, იმეორებდა გულუბრყვილო შორეულ ექოს. (რ. ამაშ.).

ხშირად ქმნიან დროის რომელიმე მონაკვეთის მსგავს გაგებას -დელ სუფიქსიანი ფორმები: იმდროინდელი, იმჟამინდელი, მაშინდელი:

1) მათ ფრიად დასამახსოვრებელი სახე შეჰქმნეს იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების ფონზე. (ნ. აგიაშ.),

2) მაშინდელი ჩვენი რედაქცია იყო ერთი დიდი აქტიური კოლექტივი. (ნ. აგიაშ.).

ასევე ვრცელია -ელ ფორმანტიან მიმდევრობის სახელთა გამოყენების ფარგლებიც. შედარებით იშვიათად გვხვდება სინონიმურ ურთიერთობაში -ეულ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები: შორეული, უცხო:

იგი იდგა მარტო, უცხო და შორეული. (რ. ჭეიშ.).

დანიშნულების სახელები

ქართული ენა დანიშნულების სახელთა წარმოების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სინონიმურ დამოკიდებულებას ძირითადად სა-ე,

სა-ო აფიქსებიანი ფორმები ქმნიან: საპყრობილე, საპატიმრო:

1) ან კი ვის უნდა ნეტავ მტკიცება, ამ ბიბლიური საპყრობილედან რომ ვეღარავინ ვერ გაიქცევა. (მ. ფოცხ.),

2) ვხედავ, ძველმა პატიმრებმა მოაკითხეს საპატიმროს. (ოთ. ჭელ.).

მხატვრული სიტყვის ოსტატები მეტწილად სა-ო აფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს მიმართავენ: სასიქადულო, სამაგალითო, საუცხოო:

1) სამაგალითო მებრძოლის სახელს დაიმსახურებს. (ალ. ქუთათ.),

2) სასიქადულო შვილი მისცა ქვეყანას. (ალ. ქუთათ.),

3) საუცხოო მხატვრული სახეებით გადმოცემულია... ბუნების წარმტაცი პეიზაჟები (ნ. აგ.).

საფათერაკო, სავაჟკაცო:

1) მან მესამე გზა იცოდა... მოკლე მაგრამ საფათერაკო და სავაჟკაცო გზა. (ლ. გოთ.).

შედარებით იშვიათად გვხვდება მსგავსი სემანტიკის მქონე წყვილებად სა-ურ მაწარმოებლებიანი ფორმები.

წინა ვითარების სახელთა ხვედრითი წონა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში დიდი არ არის. სინონიმურ წყვილებს ძირითადად ქმნის ნა-არ, ნა-ევ აფიქსებით წარმოქმნილი ფორმები: ნატერფალი, ნაკვალევი:

მივაგენი, მჯერა მაგ შენს ნატერფალებს, ფურ-ირმების ნაკვალევს რომ ვაწყდები (ვ. გორგ.).

ნაბახუსევი, ნაღვინევი:

1) ...და ვერის ხიდზე ნაბახუსევი გალაკტიონი და ქუჩიშვილი. (ირ. აბაშ.),

2) თითქოს ნაბახუსევი იყო და ქვეყანას ფეხებზე იკიდებდა. (მ. შაველ.),

3) შენი მგზავრიც ფეხარეული, ნაღვინევი სიგარეტს რომ გთხოვს. (თ. ბექ.).

მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე წყვილებად ვხვდებით ხელობის სახელებსაც: მებადური, მეთევზე:

1) ოც მანეთს აძლევს კილო თევზში განთქმული მებადური. (მ. ელიოზ.),

2) კვირადღეობით ძველი მეთევზე გოლა ამოაკითხავდა ხოლმე. (მ. ელიოზ.).

სიტყვასაწარმოებელი მასალის თავისებური მხატვრულ-შემოქმედებითი დამუშავებით სინონიმურ წყვილებად ზოგჯერ მეტად საინტერე-

სო სემანტიკური ოდენობანი წარმოგვიდგება: მ ე რ ჯ უ ლ ე, მ ე უ ფ რ ო ს ე:

განა ტყუილად უყვარდა გარჯა, წვართულობა სოფლის მ ე რ ჯ უ ლ ე ს... და მ ე უ ფ რ ო ს ე ს. (გ. ლეონ.).

გეოგრაფიულ სახელთა სინონიმური დამოკიდებულების საზღვრები დიდი არ არის.

ბ ნ ე ლ ე თ ი, უ კ უ ნ ე თ ი:

1) ამ უკუნეთში გაისმოდა ყურშას წამოყეფება. (გ. კაპ.),

2) სადაც კი შუქი ბ ნ ე ლ ე თ ს ეომა, ახლა აქ მოაქვს ენგურს ზვირთებად. (ვ. გორგ.)

არც თუ იშვიათად ვხვდებით -ეთ სუფიქსიან სახელთა თავისებურ მხატვრულ-ტოპონიმიკური ფუნქციებით გამოყენების შემთხვევებს: წ კ ვ ა რ ა მ ე თ ი, უ კ უ ნ ე თ ი:

ბონდის ხიდს... გორაკებზე შეფენილი წვრილ-წვრილი თემები აკრავს. კერძოდ... წ კ ვ ა რ ა მ ე თ ი, უ კ უ ნ ე თ ი, (ნ. დუმბ.).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკისთვის ნიშანდობლივია უფროობითი ხარისხის ფორმათა გააქტიურება. შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზეც ხშირად ვხვდებით ამგვარ ფორმათა სინონიმურ წყვილებს: უ ტ კ ბ ი ლ ე ს ი, უ ნ ე ტ ა რ ე ს ი: უ ტ კ ბ ი ლ ე ს ი და უ ნ ე ტ ა რ ე ს ი გრძნობით გაითანგნენ. (მ. ხორგ.).

უ ლ ა მ ა ზ ე ს ი, უ მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ს ი:

1) მას კი ჰგონია, რომ უ ლ ა მ ა ზ ე ს ი თავი აქვს. (ვ. ალფ.),

2) ცეცხვის ძირიდან უ ლ ა მ ა ზ ე ს ი სადღეგრძელოები ისმოდა. (რ. მიშვ.),

3) გადმოიღვარა ოქროთი თაღი უ მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ს ხაზებით სრული. (რ. ამაშ.).

მაშასადამე, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემის ძირითად ნაწილს წარმოქმნილი ლექსიკა ქმნის.

მ ი მ ღ ე ო ბ უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური ლექსიკის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას მიმღეობურ ფორმათა სიუხვე და მრავალფეროვნება წარმოადგენს. სინონიმურ რიგთა მშენებლობაში ეხედავთ სხვადასხვა გვარისა და დროის მიმღეობურ ფორმებს.

მოქმედებითი გვარის მიმღეობათაგან მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა რიგებში სჭარბობს პრეფიქს-სუფიქსიანი ფორმები:

დ ა მ რ ბ ე ვ ე ლ ი, ა მ ა ო ხ რ ე ბ ე ლ ი:

ასე ამხელს ავტორი ხალხთა დამრბევლებს, ამაოხრებლებს. (გ. ნატრ.),

მიმზიდველი, მომაჯადოებელი:

1) ჩემი უმანკო თვალების წინ სრულდებოდა ეგზომ მიმზიდველი, მომაჯადოებელი... რიტუალი. (ა. კალაძე).

სინონიმურ ურთიერთობაში მონაწილეობენ ოდენ სუფიქსიანი მიმღეობური ფორმები:

დამთუთქავი, დამცეცხლავი:

დამთუთქავ და დამცეცხლავ სიტყვებს მიაყრის. (გ. ხორგ.).

წარმტაცი, მომხიბლავი:

ტაიას ნაამბობი მისთვისაც დიდად წარმტაცი და მომხიბლავი იყო. (შ. დად.).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით მიმღეობურ სინონიმიაში წამყვანი ადგილი ენებითი გვარის ფორმებს უჭირავს. წარმოების თვალსაზრისითაც ეს ლექსიკა მრავალფეროვანია. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით მომავალდროიანი ფორმებით წარმოქმნილ წყვილებს: სასურველი, საყვარელი:

მშვენიერო, სასურველო... საყვარელო... იტყოდა და მოეხვეოდა წითელ ვარდს (გ. ლეონ.).

კიდევ უფრო უხვი და მრავალწევრიანია წარსულდროიანი ფორმებით შედგენილი სინონიმური რიგები.

ოდენ პრეფიქსიანი

1) კნაპე ნატვრენი და ნაწყენი ზის. (გ. ხორგ.),

2) გადადებულ მარტვილობაში უგროვდებოდა ცოდნა და... ხანგრძლივი ნაფიქრის... და ნანახის განცხადების დიდი სურვილი. (ნ. წულ.).

-იღ სუფიქსიანი

დაღვრემილი, მოწყენილი:

1) დაღვრემილ თვალებში... ნაღველჩამდგარმა მხედარმა... კითხვის გამომხატველი მზერა დაახვედრა. (რ. ჯაფარ.),

2) ასე დადიოდა სევდიანი და მოწყენილი. (ს. ჭილ.).

-ულ სუფიქსიანი

მოხიბლული, მოჯადოებული:

მთელი მაშინდელი თბილისი მოხიბლული იყვნენ ამ ულამაზეს ქალთა ეშხით... ამ ულამაზესი ქალებით მოჯადოებულნი იყვნენ გრ. ორბელიანი და გიორგი ერისთავი. (ს. ჭილ.).

პრეფიქს-სუფიქსიანი

გამხმარი, გამხდარი:

ყინულის ანჩხარიევით გამხმარი, გამხდარი, გაყინწული... წეროს მიჰგავდა. (გ. ლეონ.).

საშუალი გვარის მიმღეობებიდან სინონიმურ წყვილებად მეტწილად პრეფიქს-სუფიქსური ფორმები გვხვდება. მობინე, მოშრიალე, მოხასხასე:

1) ვუმზერდით მოღაღანე ყანას. (გ. ლეონიძე).

2) ჰალები ლურჯად მოშრიალე, ნეტავ მაგ მკლავებში როგორ ჩაგეტიათ. (ი. ნონ.),

3) ხავსი შესცოცებია — წვიმიანში ქორფა და მოხასხასე. (გ. შატბერ.).

მთვლემარე, მძინარე:

1) ბაბუა კოტე წამოდგა... მთვლემარე მეუღლეს გადახედა. (გურ. რჩეულ.),

2) და მიდიოდა მეწინავის გაკვალულ თოვლში მძინარე მამა. (ტ. ჭანტ.).

მსგავს სემანტიკურ ოდენობებს საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ საშუალი გვარის მიმღეობათა ოდენსუფიქსური ფორმებიც:

მთრთოლავი, მჩქროლავი:

როგორ მიყვარდა ივრის ბროლნამსხვრევი ზვირთები... მუდამ ჩქროლავი, მთრთოლავი ტოროლას ფრთებივით. (გ. ლეონ.)

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებაში ხელშესახებადაა საგრძნობი უარყოფით მიმღეობათა ლექსიკური მოცულობა. სინონიმურ სისტემაში შემავალ ამ ლექსიკურ ერთეულთა აბსოლუტური უმრავლესობა უ-ელ, უ-არ პრეფიქს-სუფიქსებითაა ნაწარმოები: გაუთავებელი, დაუსრულებელი:

1) ურთიერთშორის მათ გაუთავებელი ჭიშპი და ომი... ჰქონდათ. (გ. ნატრ.),

2) თურქეთის დიდვეზირი და... ნეალუევი დაუსრულებელ დავას ეწევიან. (გ. ნატრ.).

დაუდეგარი, მოუსვენარი:

1) ფრთამალი ავტო გადახედავს კედლებს ჯვრიანებს და ცოცხალ ლითონს, დაუდეგარ რკინას უდარდელს. (ირ. აბაშ.).

2) ძიძა-გადიებს კი მოუსვენარი... ქარისა ერჩიათ. (ო. ჭილ.).

მცირეა ოდენპრეფიქსურ და უ-ურ მაწარმოებლებიან ერთეულთა შემცველი სინონიმური წყვილების რაოდენობა. უხილავი, უჩინარი:

1) უცნობს, უხილავს გელოდება სამეფო ტახტი. (ხ. ბერ.),

2) ანთოლოგია, არ ელოდება ამგვარ უჩინარ დამსახურებას. (ხ. ბერ.).

დაუნდობი, სასტიკი:

1) საყურებლად ღირდა ბრძოლა დაუნდობი მამათა და შვილთა. (მ. ლებ.),

2) ზაქარიამ და ივანემ სასტიკი ჩეხვა გააჩაღეს. (რ. ჯაფ.).

შედარებით იშვიათად სინონიმურ ურთიერთობაში უარყოფით მიმღეობათა -არ ნაწილაკიანი ფორმებიც მონაწილეობენ, არყოფილი, მოუვლენი:

მე შენის ტრფობით ვიმსჭვალებოდი, თვით მოუვლენი, ჯერ არყოფილი. (ალ. აბაშ.).

დღევანდელი სამწერლო ენის მიმღეობურ ფორმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ქართულმა ძირითადად შემოინახა ძველი ქართული სამწერლო ენის მიმღეობური ლექსიკა, შეინარჩუნა უძველეს ქართულ სამწერლო ძეგლებში დადასტურებული სინონიმური წყვილები, დაიცვა და განავითარა სინონიმურ ურთიერთობაში მიმღეობათა ჰარბი გამოყენების ძველქართული ტრადიცია.

ნასახელარი ზმნები

არსებით და ზედსართავ სახელთაგან ზმნების წარმოება ჯერ კიდევ ძველ ქართულში წარმოადგენდა სიტყვაწარმოების ერთ-ერთ ნაყოფიერ საშუალებას[1]. XI საუკუნიდან ამგვარი წარმოების პროდუქტულობა საგრძნობლად იზრდება. მაგალითად, იოანე პეტრიწის შრომებში არსებით და ზედსართავთაგან ნაწარმოებ ზმნათა გვერდით ვხედავთ რიცხვით სახელთაგან, ნაცვალსახელთაგან, მიმღეობისა და მასდარის ფუძისაგან და უფორმო სიტყვათაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს[2]. თანამედროვე ქართულის სინონიმურ სისტემაში საკმაოდ ვხვდებით ამგვარ წარმოებით მიღებულ ერთეულებს, გა-თავის-ება, განმარტო-ება:

1) ბუნებულა გათავისდა, ხალხს აღარ ეკარებოდა. (გ. ლეონ.),

2) ოთახში განმარტოვდით. (გ. კაპ.).

გა-ბევრ-ება, მომატება:

1) იტრიალა, იტრიალა, გაბევრდა, გაიბერა, ორმო გაავსო. (რ. ინან.),

2) შრომით, ღვაწლით, სახელით იზრდები და ბევრდები. (ი. კერძ.),

3) ერთი საათის შემდეგ წყალი აუცილებლად მოიმატებდა. (რ. ჯაფ.).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონი-

---

[1] ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954, გვ. 96.

[2] დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 132.

მიკის ძირითად ნედლეულს მაინც არსებითი და ზედსართავის სახელები წარმოადგენენ:

გ ა ქ ვ ა ვ დ ა, გ ა კ ლ დ ე ვ დ ა (ამ ფორმებმა არ შეიძლება რუსთველის „გასალდეს“, „გატინდეს“ არ გაგვახსენოს):

ცრემლს გზა არ მისცა, გ ა ქ ვ ა ვ დ ა, გ ა კ ლ დ ე ვ დ ა. (ელ. მაის.).

გ ა ც ხ ა რ დ ა, გ ა ხ ე ლ დ ა:

1) მთლად მასე არ არის, ბაბა! — გ ა ც ხ ა რ დ ა კონსტანტინე. (ჭ. ამირ.),

2) გახელდა გოჩა. (კ. ლორთ.).

თანამედროვე ქართულის სინონიმურ სისტემაში ნასახელარ ზმნათა რიგები განსაკუთრებული სიმდიდრითა და სემანტიკურ-ნიუანსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან:

აბობოქრება, აპილპილება, გააევება, გააევგულება, გაალმასება, გაანჩხლება, გაარჯლება, გააფთრება, გაბოროტება, გაბრაზება, გაგიჟება, გაგოროზება, გაგულისება, გავეფხვება, გაკაპასება, გალომება, გამგელება, გამეხება, გამძვინვარება, გამწარება, გამხეცება, გაფიცხება, გაშმაგება, გაცეცხლება, გაცოფება, გაცხარება, გაძაღლება, გაწიწმატება, გაჭინკულება...

მაშასადამე, ამ თვალსაზრისითაც თანამედროვე სალიტერატურო ენა ძველი სამწერლო ქართულის კანონიერი მემკვიდრეა.

კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა

თხზვა ლექსიკური ორგანიზმის ყოველი უჯრედის მძლავრი მაცოცხლებელი წყაროა. სინონიმურ სისტემაში ყოველთვის იგრძნობა ამ ენობრივი პროცესის სიცოცხლისუნარიანობა, ცხოველმყოფელობა, მაგრამ მსგავსი სემანტიკის სიტყვათა რიგებში შემაეალ კომპოზიტურ ლექსიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაა ენის წიაღში ბუნებრივად გამომუშავებული კომპოზიტური მოდელების დატვირთულობა. ეს ენობრივი მოვლენაც გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში ძნელია გავარკვიოთ, თუ რა იწვევს ფუძეთა გაორკეცებისა თუ ფუძეთა შეერთების ამა თუ იმ ტიპის პროდუქტიულობის ცვლას. მაგალითად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ რედუპლიკაცია ფუძეთა შენების უძველესი და თავდაპირველი პრინციპია, მიუხედავად ამისა, ძველი ქართული ენის ძეგლებში ნაკლებად გვხვდება ფუძის გაორკეცების შემთხვევები[1], ბუნებრივია, ძველი ქართულის

[1] დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 140.

სინონიმურ სისტემაშიც მცირეა ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა ხვედრითი წონა.

თანამედროვე ქართულში ამ თვალსაზრისით სხვა მდგომარეობაა. კომპოზიტური ლექსიკა სინონიმური სისტემის საგრძნობ ნაწილს შეადგენს და ფუძეგაორკეცებულ ერთეულთა გამოყენებაც შემოქმედთა ერთ-ერთ საკმაოდ პროდუქტიულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს, ბ ი ლ ი კ-ბ ი ლ ი კ, გ ზ ა-გ ზ ა, შ ა რ ა-შ ა რ ა:

1) მან ბ ი ლ ი კ-ბ ი ლ ი კ ფეხშიშველა იარა დიდხანს. (მ. მაჭ.),

2) გ ზ ა-გ ზ ა ნეკერჩხლების კაღრილია თუ მთლად გათიბული ლელია. (მ. ფოცხ.),

3) ორი ფეხშიშველა ბიჭი მიტყაპუნობს შ ა რ ა-შ ა რ ა. (მ. ფოცხ.).

პოეტურ ლექსიკაში განსაკუთრებით ფუძეგაორკეცებულ ზმნათა მოძალებაა საგრძნობი, კ ა მ კ ა მ ი, ლ ა პ ლ ა პ ი, ლ ი ვ ლ ი ვ ი:

1) ...დასაბამიდან სულ კ ა მ კ ა მ ე ბ ს ასე გულმშვიდად. (ხ. ბერ.),

2) ქვევით იორი ლ ა პ ლ ა პ ე ბ დ ა. (გ. ლეონ.),

3) ...ტბა გასაოცი ლაღობს ლ ი ვ ლ ი ვ ე ბ ს მთების კალთებთან. (ი. ნონ.).

სიმარტივისა და მოხერხებულობის გამო მარტივი გაორკეცება მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნიადაგსახმარი შემოქმედებითი საშუალებაა. ამგვარი გზით მიღებულ ახალ სინონიმურ წყვილებს მუდამ შევხვდებით ლიტერატურულ ქმნილებებში:

მ ი ბ უ ტ ბ უ ტ ე ბ ს, მ ი ფ ო თ ფ ო თ ე ბ ს:

ვნებააშლილი ოჩოკოჩი ტყეში... მ ი ბ უ ტ ბ უ ტ ე ბ ს, მ ი ფ ო თ ფ ო თ ე ბ ს. (ნ. წულ.).

ღ უ ზ ღ უ ზ ე ბ ს, ღ უ ღ უ ნ ე ბ ს:

1) შენი ოჯახი, სადაც ღუზღუზებს პოეზიის ცეცხლი მარადი. (მ. მაჭ.),

2) ხმელი ტოტებივით ვიმსხვრევით, ვიწვით და ღუღუნებს კერია. (მ. ფოცხ.).

ფუძეგაორკეცებული ლექსიკური ერთეულები გარკვეული ბგერითი ჟღერადობით გამოირჩევიან, თავისებური მუსიკალობა შეაქვთ კონტექსტში, ალბათ, ამიტომაც ანიჭებენ მათ უპირატესობას სინონიმთა შერჩევისას მხატვრული სიტყვის ოსტატები.

კომპოზიტურ ლექსიკაზე დაკვირვება სინონიმთა ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოაჩენს: სინონიმები სემანტიკურად მსგავსი ოდენობებია, ამიტომ ისინი ფორმალური გაერთიანებისკენ მიისწრაფიან და ვიღებთ ე. წ. სინონიმურად შერწყმულ ერთეულებს:

1) მე ახლა თავის მომკვლელი ვარ? უნდა სხვანაირად ვძლიო ს ვ ე ბ ე დ ს. (შ. ნიშ.),

2) დათას, ' ს ი ნ დ ი ს-ნ ა მ უ ს ი ს კაცს, იქნებ არც შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო.(ჭ. ამირ.).

მხატვრულ პროზასა თუ პოეზიაში ხშირად ვხვდებით სინონიმური მნიშვნელობის მქონე სახელზმნათა შერწყმის შემთხვევებს:

1) კურთხევა და ლოცვა დედის გადამექცეს წ უ ე ვ ლ ა-კ რ უ ლ-ვ ა დ. (ნ. ჯალ.),

2) ეჰ ხ ვ ე წ ნ ა-მ უ დ ა რ ა არ სჭრიდა სიკვდილთან. (შ. ნიშ.),

3) ერთად ჩ ა კ ო ნ ი ლ-ჩ ა კ ო ჭ ი ლ ი მამა-შვილი... მოწმე გახდა ლეკთა და კახთა სრბოლა-დევნისა. (ლ. გოთ.).

კომპოზიტთა შემცველი სინონიმური რიგების სტრუქტურული ანალიზი მოწმობს, რომ სინონიმური შერწყმა საფრთხეს არ უქმნის კომპოზიტში შემავალ ერთეულთა დამოუკიდებელ არსებობას: ბ ე დ ი, ი ღ ბ ა ლ ი, ს ვ ე აქტიურად გამოიყენებიან სალიტერატურო ენაში დამოუკიდებლადაც და სინონიმურად შერწყმული სახითაც, ს ი ნ დ ი ს ი ს და ნ ა მ უ ს ი ს კომპოზიტური გაერთიანება ოდნავაც ვერ ამციერებს ამ წყვილის წევრთა სუბსტიტუციურსა თუ დისტრიბუციულ უნარს:

1) ბ ე დ ი არ მწყალობს! წამოიძახა რეზომ. (ა. ბელ.),

2) საკუთარ ღმერთთან დავობდა ს ვ ე ზ ე. (ტ. მებ.),

3) — ს ვ ი ნ დ ი ს ი, კაცო ნ ა მ უ ს ი? — როცა საქმე ტახტის ბედ-ი ღ ბ ა ლ ს შეეხება, იქ ს ვ ი ნ დ ი ს-ნ ა მ უ ს ზ ე ვინღა ლაპარაკობს. (რ. ჯაფარ.).

მაშასადამე, სინონიმური შერწყმა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგების უნიფიცირებას არ მოასწავებს, მაგრამ რა სემანტიკურ ოდენობას უნდა წარმოადგენდეს ასეთი შერწყმით მიღებული ერთეული? შეიძლება თუ არა იგი სინონიმური რიგის სრულუფლებიან წევრად ვცნოთ? მთელის სემანტიკური მოცულობის გასარკვევად ჯერ მის შემადგენელ კომპონენტთა მნიშვნელობრივი რაობა უნდა დადგინდეს. სინონიმური რიგის წევრები, როგორც ცნობილია, მნიშვნელობრივ მსგავსებასთან ერთად გარკვეულ სემანტიკურ-ნიუანსობრივ სხვაობასაც გვიჩვენებენ. მ ა რ თ ა ლ ი სიმართლის, პირუტყუაობის ნიშნით ახასიათებს ობიექტს, მაგრამ ამ ლექსიკური ერთეულით გადმოცემულ მნიშვნელობას ერთგვარი „იურიდიული“ ნიუანსიც ახლავს: მ ა რ თ ა ლ ი გზის კაცი ვარ. (გ. ლეონ.). ა ლ ა ლ ი ც მართალი, პირუტყუარია, მაგრამ ამ ძირითად მნიშვნელობასთან ერთად მისი სემანტიკური მოცულობა კეთილშობილური სიწმინდის, გულკეთილობის ნიუანსებსაც შეიცავს: ა ლ ა ლ ი და სიტყვის კაცი იყო. (კ. ლორთქ.). ცხადია, ამგვარ ნაწილთაგან მიღებული მნიშვნელობა შეიცავს თითოეული კომპონენტისათვის დამახასიათებელ სემანტიკურ-ნიუანსობრივ ელემენტებს და მოცულობით ორივეს აღემატება: ოჯახის ა ლ ა ლ მ ა რ თ ა ლ დედას ლაფში რისთვის სვრით. (რ. ჯაფარ.).

ლ ა ნ ძ ღ ვ ა, გ ი ნ ე ბ ა ავსიტყვაობის აღმნიშვნელი სიტყვებია,

თუმცა გინება ბილწსიტყვაობის ელემენტებს უფრო უხვად შეიცავს, ვიდრე მისი წყვილისი ცალი, მათი შერწყმით მიღებული ლექსიკური ერთეული, რა თქმა უნდა, სემანტიკურად უფრო ტევადი და სრულია: ზოგჯერ დაავიწყდებათ, რომ ოთახში ქალიშვილი უზით და უხეში ლანძღვა-გინებით... იმყრალებენ პირს. (გ. ხორგ.).

ასეთივე სემანტიკური შეფარდებაა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს შორისაც:

იარაღ-საჭურველი>იარაღი, საჭურველი:

თავდამსხმელებმა დიდძალი იარაღ-საჭურველი მოიტაცეს. (რ. ჯაფარ.).

მოთქმა-ტირილი>მოთქმა, ტირილი. ვაი-ვიში>ვაი, ვიში:

გულისმომწყვლელი მოთქმა-ტირილი და ვაი-ვიში არ შემწყდარა. (რ. ჯაფ.).

ქართული სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემის შემადგენელი კომპოზიტური ლექსიკის ძირითად ნაწილს მაინც არა-ტოლად შერწყმული სახელები შეადგენენ, სადაც თხზული ერთეულის ერთი ნაწილი მეორეს განსაზღვრავს. ამ ტიპის კომპოზიტთა შემადგენელ კომპონენტებად, ჩვეულებრივ, არსებითი და ზედსართავი ან არსებითი სახელები და მიმღეობანი გვევლინებიან: ზნედაბალი, სულმოკლე:

1) მოიშორეს მერყევი და ზნედაბალი ადამიანები. (კ. ლორთ.),

2) გინდ დამძრახე და სულმოკლე ადამიანი დამიძახე. (რ. ჯაფ.).

თავწაღუნული, თავჩაქინდრული:

1) თავწაღუნული საქმიანობდა... დარდიანი გული... გადავაყოლოო. (დ. შენგ.),

2) უხეიროთ თავჩაქინდრული იდგა. (ო. ჭელ.).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კომპოზიტურ ლექსიკაში შეიმჩნევა მიმღეობათა (განსაკუთრებით ვნებითი გვარის წარსულდროიან მიმღეობათა) მოჭარბება. ეს მოვლენა განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა სინონიმურ სისტემაში, რომელიც თავისთავად ხასიათდება მიმღეობური ფორმების სიუხვით. აი, მაგ. წევრთა როგორი მრავალრიცხოვნებაა ნიშანდობლივი მიმღეობებითა და მიმღეობათა შემცველი თხზული ერთეულებით წარმოდგენილი სინონიმური რიგისათვის:

შეშინებული, ათრთოლებული, აკანკალებული, აცახცახებული, გაფითრებული, გალაჩრებული, გაქალაჩუნებული, გულაკანკალებული, გულამოვარდნილი, გულაცახცახებული, გულგამსკდარი, გულგახეთქილი, გულშეღონებული, გულშეძრული,

დიდედლებული, დაზაფრული, დამფრთხალი, ელდანაკრავი, ელდანაცემი, ზარდაცემული, ზაფრანაკრავი, ზაფრანაცემი, თავზარდაცემული, შედრეკილი, შედრეკილ-შეშინებული, შემკრთალი, შეცბუნებული, შეძრწუნებული, შიშმიცემული, შიშმორეული, შიშნაკრავი, შიშნანახი, შიშნაჭამი, შიშნეული...

თავი III. ოკაზიონალური ლექსიკა სინონიმურ სისტემაში

ენა დინამიური, მუდმივმოქმედი სამყაროა, სადაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ენობრივი შემოქმედება, სიტყვათხელოვნება. „ენაში ყველა იღებს მონაწილეობას ყოველ წუთს“ (ფერდინანდ დე სოსიური). ენობრივი კოლექტივის ყველა წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ მომენტში ისარგებლოს სიტყვაქმნადობის დაუშრეტელი რესურსებით და ენაში საუკუნეების მანძილზე ტრადიციით შემუშავებული სიტყვაწარმოების ნორმების მიხედვით შექმნას მისთვის სასურველი ლექსიკური ერთეული, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ეს ერთეულები ბუნებრივად არსებობენ ენის პოტენციურ ლექსიკაში, კოლექტივის წევრთა მიერ კი ხდება მათი თანდათანობითი გამოვლენა და რეალიზაცია[1]. ასე იქცნენ ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებად ილიასეული: აღებ-მიცემობა, მიმართულება, სინამდვილე...

სიტყვამ რომ მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვოს, საკმარისი არ არის მისი მხოლოდ შექმნა, ე. ი. „მიგნება, აღმოჩენა“. მაგალითად, დღეს სალიტერატურო ენის კუთვნილებას არ წარმოადგენენ მართლერება, სჯულიერება, შიგნიტიკური... ეს სიტყვები კი ისევ ილიას თხზულებებში დასტურდება. მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი გ. ლეონიძის დიდოსტატური, ღრმაქართული სიტყვათშემოქმედების ნიმუშები, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია საყოველთაო აღიარება მის გულჰუჰყიანს, გულღორღიანს, მეგულკეთილეს, პირუჰეშმარიტობას, პურუხვედრს... თუმცა ისინი ლექსიკური ნედლეულის უფაქიზესი დამუშავებით არიან შესრულებული:

1) ყველა ვინმე გულჰუჰყიანი... პურუხვედრი არ არის ღირსი ღვინის სმისა,

2) ვის არ ახსოვს ჩვენს სოფელში, უკეთური, გულღორღიანი,

---

1 გ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 63.

3) დალაქი... მეტად ჩვილი, გ უ ლ ნ ა ზ უ ქ ი მახსოვს... მ ე გ უ ლ კ ე თ ი ლ ე. (გ. ლეონ.).

ქართულს ცხოველთა სახელთაგან ზმნურ ფორმათა წარმოების ძველთაძველი ტრადიცია გააჩნია: გ ა ა ფ თ რ დ ა, გ ა ვ ე ფ ხ ვ დ ა, გ ა ვ ი რ დ ა, გ ა ლ ო მ დ ა, გ ა მ გ ე ლ დ ა, გ ა ჯ ი ქ დ ა...

ენის პოტენციური ლექსიკა უამრავ ასეთ ერთეულს შეიცავს. ამგვარი შესაძლებლობის ერთ-ერთ გამოვლენას წარმოადგენს ნ. დუმბაძის „გათხავდა“: მთლად გ ა თ ხ ა ვ დ ა ყაზილარი.

ჯერჯერობით არც ეს ლექსიკური ერთეულია სალიტერატურო ენის კუთვნილება.

მაშასადამე, სიტყვაწარმოების ტრადიციული ნორმების დაცვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ახალწარმოქმნილმა ერთეულმა ენაში მოქალაქეობის უფლება მოიპოვოს.

სიტყვის აღიარებისა და გავრცელებისათვის დროის ფაქტორსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გარკვეული „გამოსაცდელი ვადის“ გასვლის შემდეგ იგი საყოველთაო მოხმარების ერთეულად იქცევა. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან რვა ასეულზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ რუსთველისეული „მ ი ა კ ვ ა ნ ე“ კვლავ იშვიათ სიტყვად რჩება ქართულში (მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენჯერმე გაიმეორეს აღორძინების ხანის პოეტებმა).

ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული ახალ სემანტიკურ ოდენობას წარმოადგენს. მან თავისი ადგილი უნდა მოიპოვოს ენის სემანტიკურ სისტემაში. ამ თვალსაზრისით გარკვეულ როლს ასრულებს მისი მნიშვნელობრივი მოცულობა, შედგენილობა, მაგრამ ენაში სრულუფლებიანობის მოპოვებისთვის არც სიტყვის სემანტიკას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

კ. გამსახურდიას წ ყ ა ლ შ ი გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ი მნიშვნელობის მიხედვით ტევადი სიტყვაა. წყალშიგაჭირვებულია გამდინარე თუ მდგარ წყალში დასახრჩობად განწირული, მდინარის მიერ გატაცებული თუ რაიმე უბედური შემთხვევის შედეგად (ნავის გადაბრუნების, ან გემის კატასტროფის გამო) ტბაში, ზღვაში თუ ოკეანეში მოხვედრილი: ერგეაშვას მგრგვინავი. ვაჟკაცური ხმით მღერიან მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წ ყ ა ლ შ ი გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ თ ა დასახმარებლად. (კ. გამ.).

წ ყ ა ლ წ ა ღ ე ბ უ ლ ი ც წყალში განწირულია, მაგრამ შედარებით მცირე სემანტიკური გაბარიტის მქონე. იგი ვერ ასახავს ყველა იმ სიტუაციობრივ ნიუანსს, რომლითაც სხვადასხვა შემთხვევის გამო წყალში მოხვედრილი ადამიანი შეიძლება დახასიათდეს. მიუხედავად იმისა, რომ წ ყ ა ლ წ ა ღ ე ბ უ ლ ი ს სემანტიკური მოცულობა მცირეა, იგი ამავე დროს არაერთგვაროვანია, ძირითადი მნიშვნელობის (დასახრჩობად განწირვის) აღნიშვნასთან ერთად იგი დამატებითი სემანტიკური ნიუან-

სით — წყლის მიერ (არსებითად მდინარის მიერ) გატაცების ნიშნით ახასიათებს ობიექტს: წამით კვლავ გამოჩნდა კამკამა წყლის ზედაპირზე გვალვიან მიწასაით დამსკდარი ხელისგულები წ ყ ა ლ წ ა ღ ე ბ უ ლ ი კაცისა. (გ. გეგ.).

ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ წ ყ ა ლ წ ა ღ ე ბ უ ლ ი პოლისემიური სიტყვაა და სათანადო კონტექსტში „ბოლომოღებულს, უბადრუკს“ ნიშნავს.

ასეთი დიდი სემანტიკური უპირატესობის მიუხედავად წ ყ ა ლ შ ი გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ი დღემდე რჩება კ. გამსახურდიას ენის კუთვნილებად, წ ყ ა ლ წ ა ღ ე ბ უ ლ ი კი ლიტერატურული სიტყვაა და ფართო გამოყენება აქვს სამწერლო თუ სასაუბრო ენაში.

სიტყვამ რომ სრული სოციალური ღირებულება მოიპოვოს და სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის ორგანულ ნაწილად იქცეს, ამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივი კოლექტივის სანქციას: საზოგადოებამ უნდა მიიღოს იგი, შეიგუოს, შეითვისოს და გაიმეოროს. ამ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების მიღმა ჩვენთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაურკვეველი სიტყვის გასრულფუფლებიანობის პროცესიდან. მაგალითად, ლექსიკოლოგიას დღემდე არ მოეპოვება პასუხი კითხვებზე: როდის და როგორ იწყებს ახალწარმოქმნილი ერთეული დამოუკიდებელ ცხოვრებას? გამოყენების რა მინიმუმი და სიხშირეა საჭირო იმისათვის, რომ სიტყვა სალიტერატურო ენის კუთვნილებად ვცნოთ? ამის გამო ენის ლექსიკური მარაგის რიცხობრივი რაოდენობა ყოველთვის პირობითია, მისი მოცულობრივი საზღვრები ყოველთვის მოძრავი და არამდგრადია, ენის განვითარების ყოველი პერიოდისათვის მასში გამოიყოფა ე. წ. გარდამავალი ზონა, რომელსაც ქმნიან ახალწარმონაქმნები, რომლებიც წარმოების შესაძლებლობით ენობრივ ფაქტებს წარმოადგენენ, მაგრამ სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის კუთვნილებად ჯერ არ გამხდარან[1]. ასეთ ლექსიკურ ერთეულთა აღსანიშნავად უკანასკნელ ხანს ენათმეცნიერებაში ფართოდ გავრცელდა ტერმინი „ოკაზიონალური სიტყვა“[2].

ოკაზიონალურ ერთეულთა მოძალება ხელშესახებად იგრძნობა ფერთა სპექტრების აღმნიშვნელ ქართულ კომპოზიტურ ლექსიკაში:

1) მ დ ო გ ვ ი ს ფ ე რ ი ფერდობები ვიწრო ხეებში... იკარგებოდნენ (გ. გეგ.),

---

[1] Ш м е л е в Д. Н., Современный русский язык, М., 1977, с. 17.

[2] Л о п а т и н В. В., Рождение слова (Неологизмы и окказиональные образования), М., 1973; Л ы к о в Г. А., Современная русская лексикология, М., 1976; М а л ь ц е в а И. М., Лексическая окказиональность в языке XVII в. в кн.: Проблемы исторической лексикографии; Х а н п и р а Э., Окказиональное словообразование Маяковского, Автореферат канд. дисс., М., 1966.

2) უნაბისფერი ედო სახეზე... ცირცელისფერი ჰქონდა ტუჩ-ბაგე, თვალები ჰქონდა შალშავისფერი. (მ. ხერგ.),

3) შესახედავადაც ძნელი იყო: დამშხალული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი. (გ. ლეონ.).

ოკაზიონალური სიტყვა მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ ერთეულთან სავსებით შესაძლებელ და გამართლებულ სინონიმურ წყვილს ქმნის: გულღორღიანი — გულღვარძლიანი, მდოგვისფერი — ყვითელი, შალშავისფერი — შავი, წყალშიგაჭირვებული — წყალწაღებული.

ამგვარ წყვილთა სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ მათში მინიმუმამდეა შემცირებული წევრთა სუბსტიტუციური ურთიერთშენაცვლების უნარი და წყვილის ლიტერატურული ცალი უკონკურენციოდაა წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურისა თუ პერიოდული პრესის ფურცლებზე.

ოკაზიონალური ერთეულები ზოგჯერ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა საკმაოდ მრავალწევრიან რიგებს ქმნიან. მაგალითად, ინდივიდუალურ-ოსტატური სიტყვათშემოქმედებით გ. ლეონიძე „ენაგრძელის“ მრავალ სახესხვაობას ქმნის: ენაკეცია, ენამოლესილი, ენამორბედი, ენამუხლმალი, ენატლეკია, ენაწყალინაყია, ენაჭრიჭინა, ყბამოქნილი... მისივე ენადკარგი, ენამრე, ენამძლავრი კარგ მოლაპარაკეს, სიტყვამრავალს აღნიშნავს.

რა შეიძლება ითქვას ამგვარ სინონიმურ რიგთა შესახებ? რა ადგილი უნდა მიეკუთვნოს ოკაზიონალურ სამყაროს სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში? იგი ჯერჯერობით მხოლოდ მიკვლეულია და გამოტანილია ენობრივი კოლექტივის სამსჯავროზე, ამ თვალსაზრისით ის კვლავ რჩება პოტენციურ სინონიმურ ლექსიკად.

თავი IV. დიალექტური ლექსიკა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში

ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების მდინარებაში ბევრი რამ გაირკვა, ბევრ საჭირბოროტო საკითხს მოეფინა ნათელი. დღეს, მაგალითად, არავინ დაობს იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ქართულის ერთ-ერთ შტომრავალ მაცოცხლებელ ფესვს დიალექტები, ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს. ამ საყოველთაო ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით შესწორდა და დაიხვეწა ენათმეცნიერების ისტორიაში არსებული ბევრი დებულება. მაგალითად, ჟურნალ-გაზე-

თების ფურცლებზე უკვე ისე ხშირად ვერ შეეხვდებით მყვირალა მოწოდებებს: „განვდევნოთ დიალექტიზმები!“, „ვებრძოლოთ ენაში კუთხურობის ყოველგვარ გამოვლინებას!“ ენის საკითხებში ცოტად თუ ბევრად ჩახედული პიროვნება დიალექტიზმის სახესხვაობებშიც ერკვევა და მისთვის უკვე სხვადასხვა ენობრივ ოდენობებს წარმოადგენს წევიდა და ბჟოლა, გუუკეთა და თათარა.

დიალექტური ლექსიკა მშობლიური ენის ბედით დაინტერესებული ყველა პირისთვის სალიტერატურო ენის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს. ამ დებულების ჭეშმარიტება ცხადად ჩანს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ სინონიმიკაშიც. მხატვრული სიტყვის ოსტატები ლიტერატურული ერთეულისადმი იმავე მნიშვნელობის კუთხური სიტყვის შენაცვლებით მთელი სისრულით გვაგრძნობინებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მთისა თუ ბარის, ხევისა თუ ზღვისპირეთის ენობრივ სურნელს, ამა თუ იმ დიალექტური არეალის თავისებურ არომატს: ბებია, ბაბო, დიდედა:

1. ბებია მყავდა მერჯევიდან გამოთხოვილი. (რ. ჯაფ.),

2. — მოგიკვდეს ბაბო, რა ცხელი ხარ. (მარ. წოწკ.),

3. სამი პატარა გოგო-ბიჭი და მათი ჩინდალეული დიდედა ერთად წვებოდნენ. (კ. ლორთ.).

კუთავდა, კვნესოდა:

1. ბაბუა ავადმყოფი იყო და კუთავდა.(ნ. დუმ.),

2. თითქოსდა შეწუხებული კუთავდა მაყვლიანში შაშვი. (რ. ინან.),

3. თეიმურაზი ფანჯრიდან გასცქერის და კვნესის.

ნაგრამი, შთამომავალი:

1. ჩემი ნაგრამი თავის ქვეყანაში იცხოვრებს. (რ. მიშ.),

2. ჩემი შთამომავლობა ჩემი მადლიერი იქნება. (რ. მიშ.).

შვილიშვილი, ბადიში:

..,შვიდი წლის შვილიშვილს კარგი ნავი ჩააბარა...

ძველმა კოლხმა ბადიში კარგად შეაიარაღა. (ოთ. ჭელ.).

„სალიტერატურო ენა ვერ ამოსწურავს სიტყვათა მარაგს. მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება“[1]. აქვე უნდა შევნიშნოთ. რომ სინონიმური წყვილის დიალექტური ცალი წიგნურ მეტყველებაში წარმოჩენის შემდეგაც დიდხანს ინარჩუნებს კუთხურობის ელფერს. მასწავლებელი მოსწავლეებისადმი მიმართვისას დღესაც ვერ იხმარს „მოღორებას“, თუმცა ეს სიტყვა ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანშია“ და-

[1] არნ. ჩიქობავა, წყარო სიძლიერისა, „კომუნისტი“, 1969, 16 აგვისტო.

დასტურებული. სამწერლო ქართულში კი მოტყუება-მოღორება თავისუფლად განაგრძობენ აქტიურ თანაარსებობას:

1. — ჰაიტ, უნდა მომაღორონო. (ჯ. ქირ.),

2. კაცის მომღორებელს და მავნებელს ვგავარ ბიძია მეე? (რ. მიშ.),

3. მან მომატყუა. (ა. გეწ.).

დიალექტური ლექსიკის წონა მუდამ დიდი იყო ქართული ენის სინონიმიკაში. კილოებიდან მომდინარე ერთეულები დღესაც აქტიურად მონაწილეობენ მსგავსი მნიშვნელობის მქონე წყვილთა წარმოქმნაში: ავდალი — სულელი, აბრაგი — ყაჩაღი, ბანდიტი — ქსელი, თავანი — სხვენი, კერკეტი — მაგარი, მოყვარე — ცოლის ძმა, სველი — შრატი, და ა. შ., მაგრამ სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაინც სხვადასხვაა მხატვრული სიტყვის ოსტატთა დამოკიდებულება ლექსიკის ამ თვითმყოფადი და კოლორიტული სამყაროსადმი. თუ გასულ საუკუნეში ლიტერატურული ცხოვრების ყოველ უბანზე იგრძნობოდა კუთხურ სიტყვაგამოთქმათა ჭარბი, სტიქიური მოზღვავება, თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში იგრძნობა დიალექტური მასალის ფრთხილი გამოყენება. ცოცხალი მეტყველება, დიალექტები სალიტერატურო ენის საფუძველია, მაგრამ საჭიროა უდიდესი ზომიერება დიალექტიზმების გამოყენების დროს, — განაცხადეს ქართველმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა ენის საკითხების შესახებ გამართულ დისკუსიაზე 1971 წელს[1].

კუთხური ენობრივი მასალის ფრთხილი და ზომიერი გამოყენება სრულიადაც არ ნიშნავს სალიტერატურო ენისადმი კილოების ცხოველმყოფელი როლისა და უნარის უგულებელყოფას. დიალექტური ლექსიკა ქართველ შემოქმედთათვის ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს გაუზომელ და აუწყავ საგანძურს, უშრეტსა და ულევს. ამ მოსაზრების სამართლიანობას ადასტურებს სალიტერატურო ენაში ახლახან დამკვიდრებული გურულ-იმერულ-აჭარული ეტოშა:

1. მხოლოდ განუსჯელს ეტოშება კრიტიკა. (კ. გამს.),

2. ნურვინ იტოშებს ამას რომ ვბედავ. (მ. მაჭ.),

3. ეს ალბათ ბევრს ეტოშება. (თ. კვაჭ.).

ეტოშა სემანტიკურად არაერთგვარი სიტყვაა და საკმაოდ მრავალრიცხოვან სინონიმურ წყვილს ქმნის სალიტერატურო ენის შესაბამის ერთეულებთან, როგორიცაა: გაუკვირდა, ეოცა, ეუცნაურა, ეუცხოა, ეჩოთირა, ეუხერხულა, ეხამუშა[2].

ყოველი სალიტერატურო ენა გარკვეული ეპოქის პირმშოა. დროის მაჯისცემა იგრძნობა არა მარტო მხატვრული ნაწარმოების ისტორიულ

[1] „ცისკრის ანკეტა", „ცისკარი", 1971, № 4.

[2] ალ. ღლონტი, რატომ ეტოშათ „ეტოშა?", ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1980, № 2, გვ. 116—120.

ქარგაში, მსოფლმხედველობაში, მხატვრული გამოსახვის ფორმებში, არამედ სიტყვიერ ქსოვილშიც, ენობრივი მასალის შემოქმედებით დამუშავებაშიც. დიალექტური ლექსიკისადმი კრიტიკული მიდგომა, მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა რიგებიდან კუთხურ სიტყვა-გამოთქმათა ფრთხილი შერჩევა და ზომიერი გამოყენება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებას წარმოადგენს.

თავი V. ნასესხები ლექსიკა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში

დროთა განმავლობაში იცვლება თვით იმ ენობრივი პროცესებისა და მოვლენების მნიშვნელობა, პროდუქტულობა, მიმდინარეობის ხასიათი, რომლებიც ენის ცვლა-განვითარებას განაპირობებენ. ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ კონტაქტებს. კაცობრიობის პროგრესში ყოველ ერს შეაქვს თავისი წვლილი, განმარტავს მარქსიზმ-ლენინიზმი და ენათა ურთიერთზემოქმედების გარდუვალობაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიიდან გამომდინარე საენათმეცნიერო კონცეფციაა.

სხვადასხვა ენებიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულები ყოველთვის ამდიდრებდნენ მსგავსი სემანტიკის მქონე სიტყვათა რიგებს, ნასესხები ლექსიკა დღესაც წარმოადგენს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის წყალუხვ ნაკადს, მაგრამ განვითარებული სოციალიზმის ხანაში სესხების გზით ლექსიკური სინონიმიკის გამდიდრების პროცესს ახლავს გარკვეული თავისებურებანი.

ენის განვითარების წინაპერიოდებში სესხებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა. სასაუბრო ენაში გავრცელებული უცხო ენობრივ გარემოდან მომდინარე ერთეულები თავისუფლად იკაფავდნენ გზას სამწერლო ენაში. ნასესხობათა დიდი უმრავლესობა გაუმართლებელი სახისა იყო და ამ გზით წარმოქმნილი სინონიმურ წყვილთა არსებობა ხშირად ენის საკუთარი წარმოშობის სიტყვათა დაკარგვით მთავრდებოდა (საკუთარი მომთრვალე, მოსმური, მსუმელი და არაბულ-სპარსული ლოთი)[1].

არაკანონზომიერი, სტიქიური სესხების შედეგად დროთა განმავლობაში ზოგიერთ ცნებათა აღმნიშვნელ რიგებს დაუსრულებლად ემატებოდა ლექსიკური ერთეულები, რაც დისპროპორციას იწვევდა სინონიმურ რიგებში, მაგალითად:

[1] ა. შანიძე. ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები, წიგნში „სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები", თბ., 1979, გვ. 101.

ცხენი, ალაყი, აბრაში, ალათი, ამლაკი, ბახი, ბედაური, გაქირი. გულარღო, ზერდაგი, თაფლა, იაბო, ლაფშა, ლეგნა, ლურჯა, ლუში, მარქაფა, მაშტაკა, მერანი, ნისლა, ნიშა, ოჩანი, ჟღალი, რაში, რახსი, სარია, სასაბალნე, სატალახო, საფერხე, საფორანე, საღარი, საჯოგავი, სინიბი, სისვი, ტაიჭი, ტრედანა, უღაყი, ურა, უხედნი, ფაშატი, ქარცი, ქურანი, შავრა, შვინდა, ჩალა, ჩაქჩაქა, წაბლა, ჭაკი, ხზედი, ჯაგლაგი, ჯაგჯაგა, ჯაფიერი, ჯახრაკა, ჯიმბირი, ჯინიბი, ჰუნე[1].

ბულბული, იადონი (აედონი)[2], ძველ ხელნაწერებში ამავე მნიშვნელობით დასტურდება დედამთვრალი, კვიკნო).

საბჭოთა პერიოდში კი მიმდინარეობს სინონიმური ლექსიკის კანონზომიერი მოწესრიგებული განვითარება. სასაუბრო ენაში გავრცელებული ყოველი უცხო წარმოშობის ლექსიკური ერთეული ვერ აღწევს მწერლობაში. მაგალითად, სალიტერატურო ენის სინონიმური რიგები არ შეიცავენ დღეს ქართულ ზეპირმეტყველებაში ფართოდ გავრცელებულ რულს, გვოზდს, პოლს, ტორმუზს.

ყოველდღიური ყოფა-საქმიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გარკვეულ ცნებათა აღმნიშვნელ და ერთმანეთთაგან სემანტიკურ-ნიუანსობრივად განსხვავებულ სიტყვათა სიუხვეს მოითხოვს. სალიტერატურო ენის სინონიმური სისტემა ამ მხრივაც გეგმაზომიერად ვითარდება. სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, უბნის, პროდუქციის, ან რომელიმე მეცნიერულ-ტექნიკური ცნების აღსანიშნავად სინონიმურ რიგში რამდენიმე ერთეული ჩნდება, მაგრამ მათ შორის სწრაფად მყარდება მნიშვნელობრივ-ნიუანსობრივი განსხვავება. მაგ. სამეურნეო ნამზადის აღსანიშნავად ქართულს გააჩნდა სიტყვები: ნამზადი, ნაკეთები, ნახელავი, საქონელი... მაგრამ სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარებისა და ნაწარმის ფართო ასორტიმენტის აღსანიშნავად ქართულში გაჩნდა ნასესხები: პროდუქტი, პროდუქცია და სინონიმურ რიგშიც მოხდა სემანტიკური დიფერენციაცია: რძის, ხორცის, და საერთოდ, სოფლის მეურნეობის ნაწარმის აღსანიშნავად პროდუქტი დამკვიდრდა:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების გადიდების ასეთი შესაძლებლობანი გვაქვს სხვა დარგებშიც. (კომუნ.),

2. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემ-

[1, 2] სინონიმური რიგები წარმოდგენილია ა. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით.

პი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს (კომუნ.).

მრეწველობა ძირითადად პ რ ო დ უ ქ ც ი ა ს უშვებს:

სამრეწველო პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს ზრდის ტემპის მეათე ხუთწლიანი გეგმა რესპუბლიკამ უნდა შეასრულოს. (კომუნ.).

პ რ ო დ უ ქ ც ი ა გამოიყენება მეცნიერის, შემოქმედის, ხელოვანის ნაშრომის აღსანიშნავადაც: უნდა შეეცადოთ, რომ ჩვენი სამეცნიერო პ რ ო დ უ ქ ც ი ა დაეუკავშიროთ პრაქტიკას. (კომუნ.).

მრეწველობის ზოგიერთი დარგი ნ ა წ ა რ მ ს ამზადებს: ნ ა წ ა რ მ ი თ აღინიშნება რეზინის, ტყავის ნაკეთობანი:

რა არ მზადდება ამ საწარმოებში... რეზინის ნ ა წ ა რ მ ი, ბიოქიმიური პ რ ე პ ა რ ა ტ ე ბ ი... ტყავის და თეთრეულის ნ ა წ ა რ მ ი. (თბილ.).

იუველირული ნაკეთობისა და საზკვების ობიექტების მუშაკთა ნაშრომ-ნაღვაწის აღსანიშნავად კი ენამ შემოინახა ძირძველი ქართული სიტყვები: ნ ა კ ე თ ო ბ ა, ნ ა მ ზ ა დ ი, ნ ა ხ ე ლ ა ვ ი, ნ ა წ ა რ მ ი...

1. ...ქარხნის სასადილოში თავიანთი ნ ა ხ ე ლ ა ვ ი თ დაამშვენეს გრძელი მაგიდები. (თბილ.),

2. კვების ობიექტებში უხვად უნდა იყოს ნაირნაირი საკონდიტრო ნ ა წ ა რ მ ი. (სოფლ. ცხ.),

განვითარების ახალ სტადიაში შედის და ახალ ნიშან-თვისებებს იძენს გენეტურად მონათესავე ენათა კავშირ-ურთიერთობა. სულ უფრო ხელშესახებად საგრძნობი ხდება მათი ლექსიკური ურთიერთზემოქმედება: „მახვში, მაჩუბი, მურყვამი... ეს სიტყვები სვანურიდან მოვიდნენ დედა-ქართულში, მოვიდნენ და მოიტანეს ახალი ფერი, ახალი სურნელება, ახალი სილამაზე“[1]. ბევრი ლამაზი სიტყვა შესძინა მეგრულმა ენამ სალიტერატურო ქართულს. ცხადია, ეს ნასესხობანი გარკვეულ ადგილს იკავებენ ენის სინონიმურ სისტემაში და თავისებურ სემანტიკურ წყვილებს ქმნიან დამხვდურ სიტყვებთან. მაგალითად, ქალიშვილის, გოგოს აღმნიშვნელ სინონიმურ რიგს შეემატა მშვენიერი მეგრული სიტყვა ც ი რ ა:

გაწუწული თხების არვეს სად მიდენი სოფლის ც ი რ ა ე? (დ. ივარ.).

ძველთაძველი მეგრული ზღაპარ-თქმულებებიდან საერთო ქართულ ლიტერატურულ ენაში გადმოსახლდნენ და გრძნეულის, კუდიანის, ალ-ქაჯის აღმნიშვნელ სინონიმურ რიგებს შეემატნენ: ო ჩ ო კ ო ჩ ი, მ ა ზ ა კ ვ ა ლ ი, ტ ყ ა შ მ ა ფ ა:

1. იგი მართლაც ო ჩ ო კ ო ჩ ს მიაგავდა. (კ. გამს.),

2. ვნებააშლილი ო ჩ ო კ ო ჩ ი კი ტყეში დაბუყბუყებს, დაკელენაობს, ტ ყ ა შ მ ა ფ ა ს დაეძებს. (ნ. წულ.),

[1] ელ. ა ლ ფ ე ნ ი ძ ე, მზე ლომის თანავარსკვლავედში, თბ., 1976, გვ. 37.

3. ცხენის კუდზე გამოსაბმელი ქალია, როკაპების და ტარტაროზების გამოგზავნილი მაზაკვალია. (ნ. წულ.).

სინონიმურ სისტემაში თავისებურ მიკროსამყაროს ქმნიან მსგავსი მნიშვნელობის საერთო საბჭოთა ფონდის სიტყვები: აირი — გაზი, არტისტი — აქტიორი, ბელეტრისტი — პროზაიკოსი, დებატები — დისკუსია, ვარიანტი — ვერსია, ლაკონიური — ლაპიდარული და ა. შ. ეს ერთეულები ძირითადად ინტერნაციონალიზმებია და რუსული ენის მეშვეობით დამკვიდრდნენ თითქმის ყველა საბჭოთა ენის ლექსიკურ ფონდში[1].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში შეიმჩნევა ნასესხები ლექსიკის ფრთხილი, კრიტიკულ-შემოქმედებითი გამოყენება. ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთათვის უცხოა პურისტული მოსაზრებანი და საჭიროების დროს სინონიმური წყვილიდან თამამად აძლევენ უპირატესობას ნასესხებ ერთეულს:

გარდერობი — კარადა:

გარდერობი აქ მდგარა, როცა ოთახი გაუტიხრავთ. (რ. ჭეიშ.),

პედაგოგი — მასწავლებელი:

ელგუჯას მამა თომა ვაშაძე პედაგოგი გახლდათ. (რ. ჭეიშ.).

პერსონაჟი — გმირი:

სიტყვა „შერიგება“ აზრადაც არ მოსვლია მოთხრობის მთავარ პერსონაჟს. (რ. ჯაფ.).

პოპულარული — სახელგანთქმული:

ეს ადგილი მოწმობს, რაოდენ პოპულარული იყო საიათნოვას სახელი. (გ. ნატრ.).

სალდათი — ჯარისკაცი:

ჩვენც ვწირავდით ჩვენს ერთდაერთს — სამამულო სალდათს. (ნ. კილ.).

შოფერი — მძღოლი:

შოფერი ერთხანს შეყოვნდა. (მ. გვას.),

შოფერს წავარტყი იდაყვი. (მ. შავლ.).

ზემომოყვანილი მაგალითები, სხვა მსგავსი შემთხვევები მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ სტილისტურ ხერხად უნდა მივიჩნიოთ (სინონიმთა ურთიერთმონაცვლეობა). იგივე ავტორები იმავე მხატვრულ ნაწარმოებებში ძირითადად სინონიმური წყვილის საკუთარ ენობრივ ერთეულებს ეყრდნობიან:

---

[1] Дешериев Ю. Д., Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, М., 1966; Дешериев Ю. Д., Протченко И. Ф., Развитие языков народов СССР в советскую эпоху. М., 1968; Протченко И. Ф.. Процессы образования общего лексического фонда и вопрос о заимствованиях, в книге «Лексика и словообразование русского языка советской эпохи», М., 1975, с. 81—101.

ა) სულ უკვირდათ, როგორ შემოიტანეს ამ სოროში ამოდენა კარადა. (რ. ჭეიშ.),

ბ) სოფელს დაუბრუნდა და მასწავლებლად დაბერდა კიდეც. (რ. ჭეიშ.),

გ) იგი ახასიათებს მოთხრობის ერთ-ერთ გმირს — სანდროს. (რ. ჯაფარ.),

დ) საიათნოვა უკვე სახელგანთქმული მგოსანი იყო. (გ. ნატრ.),

ე) სამშობლო უკეთ სჭვრეტს თვითეულ ჯარისკაცს. (ნ. კილ.),

ვ) მძღოლს ისე უჩურჩულა. რომ მეც გამაგონა. (მ. გვას.),

ზ) გამოყვანა აბელს და მძღოლს დაავალა. (მ. შაელ.).

თუ გამონაკლისებს მხედველობაში არ მივიღებთ და ნასესხები ლექსიკის გამოყენების თვალსაზრისით თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას მთლიანობაში შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ქართულ მწერლობას უცხო სიტყვებით „წარამარაობა“ არ ახასიათებს, შეძენილი ერთეულებისა და ინტერნაციონალური ტერმინების მოხმარება მწერალ-შემოქმედთა თვითმიზანს არ წარმოადგენს, მხატვრულ ნაწარმოებებში ისინი გარკვეულ ექსპრესიულ-სტილისტური დანიშნულებით გამოიყენებიან.

ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის შევსება-გამდიდრების ბუნებრივ მიმდინარეობაზე დაკვირვება ადასტურებს „ივერიის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ 1903 წელს გამოთქმული დებულების ჰეშმარიტებას: „...უცხო სიტყვების ზომიერი ხმარება თქვენს ენას ვერას დააკლებს, ვერ შეჰბღალავს, რადგან ყოველი სიტყვა დაექვემდებარება დედა-ენის გრამატიკას, მის დარჯაში გაივლის და ისე მოიქნება, როგორც ყოველი ქართული სიტყვაა მოქნილი“[1].

თავი VI სინონიმთა შერჩევის თავისებურებანი მხატვრულ ენაში

ქართული ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული სიუხვე და მრავალფეროვნება ფართო შესაძლებლობებს იძლევა დიდი სიზუსტით გადმოიცეს როგორც პოეტურ განცდათა ქსოვილის უხილავი ძაფები, ასევე ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური ცნებანი. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას“ (ნ. მარი).

[1] „ივერია“, 1903, № 261, მოწინავე.

სინონიმური სისტემის სტრუქტურის გაცნობამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ქართულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგები სალიტერატურო თუ სასაუბრო ერთეულებთან ერთად ხშირად იმავე სემანტიკის რამდენიმე სამეცნიერო თუ ტექნიკურ ტერმინს შეიცავს. ენობრივი გამოსახვის ძირითადი მასალა სიტყვაა და ბუნებრივია, რომ რომელიმე სამედიცინო სტატიის ლექსიკა დიდად განსხვავდება სპორტული კორესპონდენციის სიტყვიერი მარაგისაგან. სინონიმურ რიგთაგან სიტყვათა სპეციალური, პროფესიონალური შერჩევა გამოსახვის სხვა საშუალებებთან ერთად ქმნის ენობრივი პროდუქციის სტილურ სპეციფიკას. ამ თვალსაზრისით თავისებურ ფენომენს წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ენა. სინამდვილის მხატვრული ასახვის პროცესში პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებათა წარმოსაჩენად შემოქმედი ხშირად სამეცნიერო ტერმინოლოგიასაც იყენებს, ოფიციალური სტილისთვის დამახასიათებელ ლექსიკასაც და ყარგონულ მეტყველებასაც. სტილთა შერევის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს „დათა თუთაშხიას“ ენა.

მ ე ც ნ. ი ს ტ. ს ტ ი ლ ი „...დავით აღმაშენებელმა და მისმა პოლიტიკოსებმა წინა აღმოსავლეთის კულტურულ-პოლიტიკური ხელმძღვანელის ფუნქციით აღჭურვეს ქართველთა სახელმწიფო და ამ მიზნის განხორციელების მტკიცე საფუძველი შექმნეს. მსოფლიო-ქრისტიანულ ცივილიზაციას და, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიას რომ საძირკველი მოერყა, თამარის სახელმწიფომ მართლმადიდებელი სამყაროს ჰეგემონობაზე, სამაჰმადიანოში წესრიგის დამყარებაზე განაცხადა პრეტენზია“[1].

ოფიციალ. კანც. „მე ვიბარებ თქვენს ვექილს და ვაცნობებ, რომ არსებობს ბათუმის საბაჟოში შედგენილი ოქმი თქვენი ხელბარგის ჩხრეკის და შიგ აღმოჩენილი ქლიბების დაბაჟვის თაობაზე. ოქმში არაფერი წერია აკრძალული ლიტერატურის პოვნაზე“.

პროფ. ჟარგ. „— ამანა და ჟუჩოკამ — როსტოველი ქურდია, ერთი, — რუსეთში მდიდარი მონასტერი დასძრეს... ახლა, კოსტას რა უქნია, ამ ტურასა ამასა: სურამელ იაკოფასთან ორიენ წილში სამი ათას თუმნად მორიგებულიყო და ამხანაგს კი რვაასი თუმანი უთხრა. ისე, რომ ჟუჩოკას წილიდან შვიდასი თუმანი გადაღუნა“.

მხატვრული ტილო ერთგვარი ენობრივ-სტილისტური მასალით არ იქსოვება. ეს გარემოება კი ზოგიერთ სპეციალისტს საფუძველს აძლევს ეჭვი შეიტანოს მხატვრული სტილის საერთოდ არსებობაში[2]. ამ საკითხის გარკვევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს (მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა თვით სტილის რაობის შესახებ), მაგრამ მაინც

---

[1] ჯ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი, დათა თუთაშხია, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978.

[2] Л е в и н В. Д., О месте языка художественной литературы в системе стилей национального языка, Вопросы культуры речи, вып. I, М., 1955, с. 77.

უნდა შევნიშნოთ, რომ სავსებით იზოლირებულად არც ერთი სტილი არ არსებობს (არც სტილთა გამიჯვნისა და რაოდენობის შესახებაა სპეციალისტთა შორის თანხმობა), ლიტერატურულ ნაწარმოებებში სინონიმთა შერჩევა-გამოყენებაზე დაკვირვება კი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით მხატვრულ ენას აქვს გარკვეული სპეციფიკა.

არამხატვრულ შრომაში — მეცნიერულ გამოკვლევაში, ოფიციალურ დოკუმენტში და ა. შ. სიტყვა უმთავრესად საგნობრივ-ნომინატიური ფუნქციით გამოიყენება და აღიქმება. ამინდის ბიუროს ცნობაში ქარიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება და მისი მსაზღვრელებიც, რომელთა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია: უმნიშვნელო, სუსტი, ძლიერამდე, ძლიერი.

მხატვრულ ნაწარმოებში კი სრულყოფილად იხსნება სიტყვის სემანტიკური მოცულობა და სტრუქტურული შედგენილობა. აქ ვლინდება მისი სემანტიკური ბუნების უცნობი და შეუმჩნეველი დეტალები, რაც ახალ მხატვრულ შესიტყვებათა წარმოქმნის საფუძველს იძლევა. მაგალითად, გალაკტიონის სათუთი პოეტური მგრძნობელობა ქარის მრავალ სახესხვაობას არჩევს:

.....ათასი ქარი იყო ხმაური,
ძლიერი ქარი კოლხიდის შლამის,
მსუბუქი ქარი მახინჯაურის...
მრგებელი ქარი ატეხილ ჭალათ
და მაგნე ქარი ლაქაშის ველთა...
გრიგალი ქარი ტრიალ სამგორის,
ალერსის ქარი ჩვენს ლაზიკიდან".
„ტოკავს ქარი ნაზ-ნარნარი".
„რტოებში აყობს ბებერი ქარი."
„მძაფრი ქარი... მღვრიე ქარი", და ა. შ.

მხატვრულ ლექსიკაში საგრძნობია მეტაფორული მნიშვნელობით ნახმარ სინონიმურ ერთეულთა სიუხვე. მაგალითად, წინსვლის, განახლების, ბრძოლის, რევოლუციის აღსანიშნავად გალაკტიონი ემყარება სინონიმურ რიგს: გრიგალი, ქარი, ქარბუქი, ქარტეხილი, ქარიშხალი:

„მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჭროლე ქარო".
„როს გრგვინავდა ხმა: ამხანაგებო! •
აი, ეს იყო მართლა ქარბუქი".
„ბევრგვარ გრიგალს გადუელია ჩემს გულში,
ბევრ ქარიშხალს ურბენია ქვითინით".

ნომინატიურ-საგნობრივი მნიშვნელობით კი პოეტი მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის სხვა ლექსიკურ ერთეულებს იყენებს: ქარი, ნიავი, სიო, ზეფირი:

„ქ ა რ ი ქრის, ქ ა რ ი ქრის, ქ ა რ ი ქრის“.
„სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნ ი ა ვ ი“.
„დაუბერა ნელმა ს ი ო მ, ვარდს შოკპარა ცის მანანა“.
„...და დაიცლის ნარნარი გაზაფხულის ზ ე ფ ი რ ი“.

შემოქმედის ფრაზაში ყოველი სიტყვა მხატვრულ-პოეტურ გამოსახვას ემსახურება. მნიშვნელობრივად დატვირთული ლექსიკური ერთეულების ურთიერთწონასწორობა მეტად მგრძნობიარე სემანტიკურ ველს ქმნის, სადაც სინონიმთა შორის უმცირეს ნიუანსობრივ სხვაობასაც კი მხატვრული გამოსახვის თვალსაზრისით გარკვეული ფუნქცია ეკისრება: ა კ ო ც ა, ე ა მ ბ ო რ ა, ე მ თ ხ ვ ი ა ერთსა და იმავე მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ მათი ოსტატური ურთიერთშენაცვლებით მწერალი ძირითადი მნიშვნელობის აღნიშვნასთან ერთად დედოფლისადმი მოწიწებასაც გვაგრძნობინებს, ქალურ თავდაჭერასა და კდემამოსილებასაც გადმოსცემს და რელიგიურ კრძალვაზეც მიგვანიშნებს:

„ქაიხოსრო მარიამ დედოფალს მორიდებულად მიეახლა და გულის-პირზე ე ა მ ბ ო რ ა. დედოფალმა შუბლზე ა კ ო ც ა თავის მაზლს... ალექსანდრემ ფართო პირჯვარი ისახა, ე მ თ ხ ვ ი ა (ძელჭეშმარიტს)“. (ლ. გოთ.).

ა ნ კ ა რ ა, კ რ ი ა ლ ა, ს უ ფ თ ა საგნის თითქოს ერთსა და იმავე თვისებას აღნიშნავენ, მაგრამ მათ შორის გარკვეული მნიშვნელობრივი განსხვავებაცაა, მისი რეალიზება კი კონტექსტის სათანადო სემანტიკურ დამუშავებას მოითხოვს:

წყარო ა ნ კ ა რ ა ენატრებოდა, მისი რაკრაკი, მისი დუდუნი. (ვ. გორგ.),

გახსოვდეს ეს მზე, ეს ც ა კ რ ი ა ლ ა, დღე მიმზიდველი ანდამატივით. (ვ. გორგ.),

მოსძალებია ნიავი კარებს, დაბლა ჩამოდის ლაჟვარდი ს უ ფ თ ა. (ვ. გორგ.).

მხატვრულ კონტექსტში სიტყვა თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური შედგენილობით მეტად ფაქიზი, სათუთია და ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური ურთიერთობის მცდარი გაგება, ან მათ შორის სემანტიკურ-ნიუანსობრივი სხვაობის უგულებელყოფა ხშირად წინადადების აზრობრივ და ენობრივ დამახინჯებამდე მიდის. მართლმეტყველებისა და მართლწერის ნორმების დარღვევად მიაჩნდა ვ. თოფურიას წ მ ი ნ დ ი ს და ს უ ფ თ ი ს მნიშვნელობრივი გაიგივება:

„ს უ ფ თ ა ა, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც... მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქონი, ჟანგი და მსგავსი რამ არა აქვს და თუ აქვს, ბანით, რეცხვით, წმენდით მოსცილდება. წ მ ი ნ დ ა — „უცოდველი“, ფაქიზი. შეურეველი, შეურყვნელი, კამკამა, დარკვეული, დარჩეული“[1].

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, წმინდა თუ სუფთა? ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965, გვ. 78.

უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევია ზემომოყვანილ სინონიმთა შორის გამოყენების ფარგლების სწორი განაწილება:

იგი იყო წ მ ი ნ დ ა, როგორც ბიჭა ბატკნის სული, ს უ ფ თ ა, როგორც მაღალი მთის წყარო. (ნ. წულ.).

მაშასადამე, მხატვრული კონტექსტი სიტყვისთვის მშობლიური სტიქიაა, „საკუთარი კედლებია“. სადაც იგი სრულად აცლენს პოტენციურ სემანტიკურ ენერგიას, ეს კი სინონიმურ რიგთაგან სიტყვათა შერჩევის მხატვრულ-სპეციფიკურ თავისებურებას განაპირობებს.

თავი VII. თანამედროვე საგაზეთო ლექსიკის სინონიმური თავისებურებანი

საგაზეთო ლექსიკა სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვათა მარაგის სისხლხორცეული ნაწილია. იგი იქმნება, მუშავდება და ფუნქციონირებს უშუალოდ სალიტერატურო ენის სიტყვათსაცავზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა, ლექსიკურ ერთეულთა მოხმარება-გამოყენების თვალსაზრისით, პრესის ენას აქვს გარკვეული თავისებურებანი, რომლებიც სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ქმნიან თავისებურ სპეციფიკურ საგაზეთო სტილს.

გაზეთის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მის წინაშე არასდროს არ მდგარა ისეთი დიდმნიშვნელოვანი და კეთილშობილური ამოცანები, როგორიც საბჭოთა პრესის წინაშე დგას, მათი გადაწყვეტა და შესრულება გაზეთის მუშაკთა დაძაბულ, თავდადებულ შრომას მოითხოვს: „ჩვენი პარტია დიდი ნდობით ეკიდება საბჭოთა ჟურნალისტების მრავალათასიან რაზმს, მაღალ შეფასებას აძლევს მათ ძნელ შრომას, ბუნებრივია, ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ იმით, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ყოველთვის იყოს პარტიული და საერთო-სახალხო აზრის ნამდვილი ტრიბუნა“ (ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი).

გაზეთი უშუალოდ უდგას გვერდში დაზგასთან თავდახრილ მუშას თუ საკოლმეურნეო ფართობზე მომუშავე მევენახესა და მეჩაიეს. მის ფურცლებზე ოპერატიულად შუქდება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის წარმატება თუ ჩამორჩენა, განათლების, კულტურის, ხელოვნების ყველა უბანზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ თვალსაზრისით ქართული პრესის ძალების ნამდვილ დათვალიერებას წარმოადგენდა 1980 წელი. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ უდიდეს წარმატებათა ასახვა, ქართველი კაცის ცხოვრებაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან მოვლენათა ყოველმხრივი გაშუქება მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა გარკვეულ მა-

რაგს მოითხოვდა და ამ თვალსაზრისით საგაზეთო ლექსიკური სინონიმიკის სპეციფიკურ თავისებურებებს განაპირობებდა[1].

საგაზეთო სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული შედგენილობიდან ყურადღებას იქცევს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

მრავალწევრიანია სინონიმური რიგები, რომლებიც აღნიშნავენ:

შ რ ო მ ას, ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ს

შ რ ო მ ა, ბ რ ძ ო ლ ა, გ ა რ ჯ ა, ლ ა შ ქ რ ო ბ ა, მ უ შ ა ო ბ ა, ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა, ღ ვ წ ა:

1. მშრომელი კაცისთვის გაღებული გ ა რ ჯ ა ისევე ფასდება, როგორც მათი შ რ ო მ ა, ვინც ბედნიერ ხვალინდელ დღეს გვიქმნის. („თბილ“.),

2. მეჩაიეები 29 ათასი ტ ო ნ ა ჩაისთვის ი ბ რ ძ ვ ი ა ნ და ეს ბ რ ძ ო ლ ა დაძაბული იქნება. („სოფლ. ცხ.“),

3. უხვი მოსავლისათვის ლ ა შ ქ რ ო ბ ა შემოდგომიდანვე დაიწყეს. („სოფლ. ცხ.“),

4. მეტ წილ დროს ვენახებში მ უ შ ა ო ბ ს. („სოფლ. ცხ.“).

შ რ ო მ ი თ ა ნ ს პ ო რ ტ ულ მ ე ტ ო ქ ე ო ბ ას

ბ რ ძ ო ლ ა, ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა, მ ე ტ ო ქ ე ო ბ ა, შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა, პ ა ე ქ რ ო ბ ა, ჰ ი დ ი ლ ი:

1. ბ რ ძ ო ლ ა ში ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის... მოჭიდავეები. („ლელო“),

2. პატარებს დიდხანს ემახსოვრებათ... მაია ჩიბურდანიძესთან ა ს პ ა რ ე ზ ო ბ ა. („ლელო“),

3. ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობს შრომითი მ ე ტ ო ქ ე ო ბ ა... პ ა ე ქ რ ო ბ ა ში ი შვა ახალი თაოსნობა. („თბილ“),

4. შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა წინსვლის მძლავრი რეზერვია. („თბილ.“),

5. მეორე მოჭიდავემ პოლონელებთან ჰ ი დ ი ლ ში მიიღო ტრავმა. („ლელო“).

ზემომოყვანილი სინონიმური რიგებისთვის სემანტიკურად თითქოს შეუსაბამოა ბ რ ძ ო ლ ა, ლ ა შ ქ რ ო ბ ა, მაგრამ საგაზეთო სტატიებში ამ სიტყვათა მოხმარება-გამოყენებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათ. უკვე დაკარგული აქვთ თავდაპირველი სემანტიკური გაგება და თანამედროვე პრესის ენაში ახალი და ძირითადი მნიშვნელობით (შრომის ან სპორტული ჰიდილის) გამოიყენებიან. ოდინდელი სამხედრო

[1] შრომაში გამოყენებულია ქართულ პრესაში 1980—1981 წლებში გამოქვეყნებული მასალები.

ლექსიკის დესემანტიზაცია განსაკუთრებით ხელშესახებადაა საგრძნობი სპორტულ მიმოხილვაში. დღეს რომელიმე სპორტული შეჯიბრების აღწერა წარმოუდგენელია შეტევის, იერიშის, შტურმის გამოყენების გარეშე. ისინი უკვე დაცლილია ოდინდელი საომარი სემანტიკისაგან და დღეს სპორტული ლექსიკის აქტიურ სიტყვათა ფონდს განეკუთვნებიან.

შრომითი პროცესის, მეტოქეობა-შეჯიბრების მიმდინარეობას, მის დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით

ბრწყინვალედ, ეფექტურად, კარგად, საუცხოოდ, შესანიშნავად, ჩინებულად:

1. პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ითამაშეს ქართველმა კალათბურთელებმა. („ლელო“),

2. იგი ეფექტურად ახერხებს კონტრშეტევის განხორციელებას. („ლელო“),

3. ბრიგადა კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. („კომუნ“.),

4. საუცხოოდ თამაშობს კაუნასის „ჟალგირისი“. („ლელო“),

5. შესანიშნავად ითამაშა 32 წლის კალათბურთელმა. („ლელო“),

6. ჩინებულად მუშაობენ ახალგაზრდები. („კომუნ.“).

თავდადებული, ბეჯითი, დამკვრელური, თავგანწირული, თავდაუზოგავი, შეუპოვარი:

1. თავდადებული შრომით შეისხამს ხორცს... ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილებები („კომუნ.“).

2. მე და ჩემს ამხანაგებს ცხოვრების აზრად მიგვაჩნია ბეჯითი შრომა. („სოფლ.“),

3. დამკვრელური შრომა... რესპუბლიკას გაიყვანს... სანუკვარ მიჯნაზე. („კომუნ.“),

4. თავგანწირული თამაშით... გამოგლიჯა მეტოქეებს მეტად საჭირო ქულები. („ლელო“),

5. ჩვენს ფეხბურთელებს შეასწავლიან თავდაუზოგავ ბრძოლას. („ლელო“),

6. კიდევ უფრო შეუპოვარი იყო ბრძოლა შესვენების შემდეგ. („ლელო“).

სისტემატურად, დღენიადაგ, განუწყვეტლივ, მუდმივად, რეგულარულად:

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სისტემატურად უნდა გააშუქონ დათვალიერებისათვის მზადება. („კომუნ.“),

2. საქართველოს კომუნისტები დ ღ ე ნ ი ა დ ა გ სრულყოფენ პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის სტილს. („კომუნ.“).

3. მასპინძლები გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ლ ი ვ უტევდნენ მეტოქის კარს. („ლელო“),

4. წელიწადზე მეტია რაც რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ა დ გადასცემს თავის პროგრამას აფხაზეთის ტელევიზია. („კომუნ.“),

6. ენერგიულად და ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ მოვკიდოთ ხელი სასოფლო-საგზაო მშენებლობას (საქ. ქალი).

შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ს, გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ს:

რეალიზაცია, გაკეთება, განაღდება, განხორციელება, მოგვარება, ორგანიზაცია, შესრულება, სრულყოფა, უზრუნველყოფა, ხორცშესხმა:

1. რაიონში გადაჭარბებით შ ე ს რ უ ლ დ ა სიმინდის მარცვლის წარმოების გეგმა. („სოფ. ცხ.“),

2. მათ... 27 ნოემბერს გ ა ა ნ ა ღ დ ე ს ხუთწლედის 4 წლის გეგმა. („სოფლ. ცხ.“),

3. მან უკეთ გ ა ნ ა ხ ო რ ც ი ე ლ ა ამ... დოკუმენტებში დასახული ღონისძიებანი. („კომუნ“.),

4. საკითხის მ ო გ ვ ა რ ე ბ ა ს საშველი არ დაადგა. („თბილ.“),

5. შედეგების შეჯამების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დაეკისრა რესპუბლიკურ სამუშაო ჯგუფს. („კომუნ.“),

6. უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ვ ყ ო თ... მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა რეალიზაცია. („სოფლ. ცხ.“),

სინონიმთა განსაზღვრის მეთოდების მიხედვით საგაზეთო ენის ლექსიკური სინონიმიკა უხვი და მრავალფეროვანია (ზოგიერთი ცნების აღსანიშნავად ათამდე ლექსიკური ერთეული გამოიყენება), მაგრამ თუ ამ მიკროსისტემას სხვა კუთხით შევხედავთ, მაგალითად, თუ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებს გავაანალიზებთ შემადგენელ წევრთა მოხმარების სიხშირით ან კონტექსტებში ურთიერთშენაცვლების უნარით, მდგომარეობა სხვაგვარად წარმოგვიდგება:

მდიდარია შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს, გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს აღმნიშვნელი სინონიმური რიგი, მაგრამ, თუ მის წევრთა სუბსტიტუციურ-დისტრიბუციულ უნარსა და უფლებებს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ეს სიტყვები თანასწორნი არ არიან. მაგალითად, ხუთწლედის ან სოციალისტურ დავალებათა გ ა კ ე თ ე ბ ა, მ ო გ ვ ა რ ე ბ ა, უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა და ა. შ. შეუძლებელია, ისინი მხოლოდ! ნ ა ღ დ დ ე ბ ა, ს რ უ ლ დ ე ბ ა ან რ ე ა ლ ი ზ დ ე ბ ა:

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმის დიდი გადაჭარბებით შ ე ს რ უ ლ ე ბ ა შექმნის მთლიანად... მეათე ხუთწლედის დავალებათა გ ა ნ ა ღ დ ე ბ ი ს გარანტიას. („სოფლ. ცხ.“).

მსგავს შესიტყვებებში უკანასკნელ ხანს გამოყენების სიხშირის მი-

ხედვით უპირატესობა განაღდებას ენიჭება. საერთოდ შენიშნულია, რომ „ნაღდ“ ძირისეული ფორმები ფართოდ იკიდებს ფეხს პრესის ენაში[1].

საგაზეთო ენისთვის ნიშანდობლივია გარკვეული ლექსიკური ერთეულების წინ წამოწევა მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვათა გამოყენების სფეროების შევიწროების ხარჯზე. მრავალწევრიანია ცნება კარგის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი. სალიტერატურო სინონიმურ რიგს აქ ემატება: დიდი, ეფექტური (ეფექტიანი), მაღალი და ამ სიტყვის (მაღლის) შემცველი სპეციფიკური საგაზეთო კომპოზიტები. მაგრამ უკიდურესადაა შეზღუდული თვით სიტყვა „კარგის“ მოხმარების არე. ის დარჩა მხოლოდ რამდენიმე შესიტყვებაში: კარგი შედეგები, კარგი კომბინაცია, კარგი პოზიცია... უმრავლეს შემთხვევაში კი იგი თითქმის განდევნეს ამავე რიგის სხვა ლექსიკურმა ერთეულებმა. მაგალითად, კადრი ან სპეციალისტი შეიძლება იყოს მხოლოდ კვალიფიციური (ე. ი. კარგი), ან მაღალკვალიფიციური (ე. ი. საუკეთესო):

1. ...ბრიგადა დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. („კომუნ.“),

2. კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები საშუალებას იძლევა მომზადდეს მაღაკვალიფიციური სპეციალისტები. („სოფლ. ცხ.“).

სოფლის მეურნეობისათვის ამინდი შეიძლება იყოს არა „კარგი“, არამედ ხელსაყრელი;

მეჩაიეებმა კარგად გამოიყენეს ზამთრის ხელსაყრელი ამინდები. („სოფლ. ცხ.“).

ხელსაყრელი ამინდი და თავდადებული, ბეჯითი, დამკვრელური და ა. შ. შრომა კი განაპირობებს არა „კარგ“ არამედ ხარისხოვან (კარგ) და მაღალხარისხოვან (საუკეთესო) ჩაის, ყურძენს, ბოსტნეულს, ხილს:

1. ოჩამჩირის რაიონის მეჩაიეებმა... მრეწველობას ჩააბარეს 34.184 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი .(„საბჭ. აფხ.“),

2. 0,45 ჰექტარ ზვარში 162 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოვიწიე. („სოფლ. ცხ.“),

3. მეურნეობა ყოველდღიურად 10—15 ტონა ხარისხოვან ბოსტნეულს აბარებს. („სოფლ. ცხ.“).

მდიდარია „ცუდის“ აღმნიშვნელი სინონიმური რიგიც, მაგრამ თვით სიტყვა ცუდი ლამის ისევე გაქრეს პრესის ფურცლებიდან, როგორც

---

[1] ბიძ. ფოჩხუა, კონტექსტი და მნიშვნელობა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 33.

სალიტერატურო ენიდან დაიკარგა მისი წყვილის ცალი გლახა. მაგალითად, სოფლის მეურნეობისათვის ამინდი შეიძლება იყოს არახელსაყრელი:

კოლმეურნეობები არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად უზრუნველყოფილი არიან თესლით. („სოფლ. ცხ.“).

არახელსაყრელი ამინდი და საქმისადმი ზერელე, უსულგულო დამოკიდებულება წინაპირობაა დაბალი ხარისხის (ცუდი), ან უხარისხო (უფრო ცუდი, უვარგისი) ჩაის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის:

მეურნეობებს ყველაზე დაბალი ხარისხის ხილი ჩაუბარებია. („სოფლ. ცხ.“).

კადრი, სპეციალისტი შეიძლება იყოს დაბალკვალიფიციური (ცუდი, სუსტადმომზადებული) ან არაკვალიფიციური უფრო ცუდი, მოუმზადებელი), შეფასება, მსაჯობა — დაბალკვალიფიციური, არაკვალიფიციური, ან არაობიექტური:

არაობიექტურმა მსაჯობამ თავისი დაღი დაასვა თამაშის მიმდინარეობას. („ლელო“).

მდგომარეობა, მაჩვენებლები, მუშაობა, შედეგები და ა. შ. შეიძლება იყოს არადამაკმაყოფილებელი, არასასურველი, არასახარბიელო:

1. პარტორგანიზაციები აღნიშნავენ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. („საბჭ. აფხ.“).

2. ძალზე არასახარბიელო პირობების გამო უნდა დაჩქარდეს შამპანურის ჩამოსხმის ავტომატური ხაზის მიწოდება. („თბილ.“).

პრესის ენაზე დაკვირვება მოწმობს, რომ ამა თუ იმ ერთეულთა ზედმეტი გააქტიურება მინიმუმამდე ამცირებს მსგავსი სემანტიკის მჭონე სიტყვათა ურთიერთშენაცვლების უნარს. დამთავრების აღმნიშვნელ ზმნათაგან ნაწარმოები სასუბიექტო მიმღეობები საკმაოდ მდიდარ სინონიმურ რიგს ქმნიან: დამაბოლოებელი, დამათავრებელი, დამასრულებელი... მიუხედავად ამისა, ხუთწლედის წელთან შესიტყვებაში დამამთავრებელი თითქმის უკონკურენციოდაა წარმოდგენილი:

1. მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით სრულდება („საბჭ. აფხ.“),

2. მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დარჩენილ სამ თვეში გეგმის ზევით რეალიზებული იქნება 4,8 მილიონი მანეთი. („თბილ.“).

გეგმა-ვალდებულებასთან ისე მტკიცედ დამკვიდრდა იკისრა,

რომ ამ პოზიციაში უკვე გარკვეული უხერხულობა ახლავს სხვა რომელიმე სიტყვის ხმარებას:

1. გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ზეგეგმით 155 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას. („თბილ.“),

2. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ქარხანა „გაზაპარატის“ მშრომელებმა („თბილ.“).

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია: გადამეტება, გადამლაშება, გადაჭარბება, გაზვიადება, აქედან გეგმა-ვალდებულებასთან შესიტყვების შექმნის უფლებები გადაჭარბებას აქვს:

1. შარშან რაიონში გადაჭარბებით შესრულდა სიმინდის მარცვლის წარმოების და დამზადების გეგმა. („სოფლ.“),

2. საქწიგნვაჭრობის სისტემაში გადაჭარბებით შესრულდა საქონელბრუნვის ხუთი წლის გეგმა. („თბილ.“).

შესიტყვებებში განსაზღვრულ ლექსიკურ ერთეულთა ერთმანეთის გვერდით რეგულარული და ჰარბი ხმარება წარმოშობს სპეციფიკურ საგაზეთო შტამპებს, სადაც უკვე გამორიცხულია მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ურთიერთმონაცვლეობა. მაგალითად, სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელებული სინონიმური წყვილის — სახიფათო — საშიში — წევრები საფეხბურთო მიმოხილვისას სუბსტიტუციის უნარს მოკლებული არიან: დარტყმა, იერიში, შეტევა და ა. შ. შეიძლება იყოს მხოლოდ სახიფათო და არა საშიში:

1. მჭედლიძემ მოიგერია ფეტისოვის სახიფათო დარტყმა. („ლელო“),

2. შესვენების შემდეგ დინამოელებმა არაერთი სახიფათო იერიში განავითარეს, სახიფათო მომენტები ჰქონდათ გუცაევს, ჭილაიას, თავაძეს. („ლელო“).

3. სტუმრებმა მეტოქის რამდენიმე სახიფათო შეტევა მოიგერიეს. („ლელო“).

საჭადრაკო ლექსიკისათვის მიუღებელია ჰარბი პაიკი, მიუხედავად იმისა, რომ ჰარბი და ზედმეტი სალიტერატურო ენაში შენაცვლების დიდი უნარით ხასიათდებიან.

„სოფლის ცხოვრების“ ფურცლებიდან უკვე გაქრა საჭმელი, ჭმევა და მეცხოველეობისა თუ მეფრინველეობის ამსახველ საგაზეთო სტატიებში სინონიმების გარეშეა წარმოდგენილი კვება, საკვები:

1. ზუსტად ვიცავ კვებისა და წველის წესებს. („სოფლ. ცხ.“),

2. მიმდინარეობს მეცხოველეობის საკვების დამზადება. („სოფ. ცხ.“),

3. ფურებს წინასწარ შემზადებულ საკვებს ვაძლევ. („სოფლ. ცხ.“).

ზღუდე, ზღვარი, მიჯნა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია. მიუხედავად ამისა, საგაზეთო ენისთვის შეუსაბამოა ხუთწლედის ზღუდე, ხუთწლედის ზღვარი და ამ შესიტყვების უკონკურენციო კომპონენტს მიჯნა წარმოადგენს[1].

ჩვენ უკვე ახლა ვსახავთ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებს. („კომუნ.“).

ასეთ ლექსიკურ შტამპებს უხვად შეიცავს ჩვენი საგაზეთო სტატიები. მიზეზი კი სრულიად მარტივია: მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის სიტყვებიდან გარკვეულ ერთეულთათვის მოხმარების თვალსაზრისით განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საგაზეთო ლექსიკა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი თავისებური და საინტერესო უბანია. აქ სიტყვაქმნადობის ყველა იმ სახე და საშუალებაა წარმოდგენილი, რაც საერთოდ ბუნებრივია სალიტერატურო ქართულისთვის, მაგრამ საგაზეთო სტატიებში სინონიმთა მოხმარებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გამოყენების ინტენსიობის მიხედვით სიტყვასაწარმოებელ აფიქსთა დატვირთვა თანაბარი არ არის, მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებში შეიმჩნევა ისეთ წარმოქმნილ ერთეულთა სიჭარბე, რომლებიც მხატვრულ-პოეტური ლექსიკისთვის ნიშანდობლივი არ არის, ეს კი თანამედროვე პრესის ლექსიკურ-სინონიმური სისტემის კიდევ ერთ სპეციფიკურ თავისებურებას განაპირობებს.

სინონიმურ ურთიერთობაში საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ -ურ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, სადაც ეს მაწარმოებელი -იან სუფიქსის ფუნქციას ასრულებს, ე. ი. მიუთითებს რაიმე ნიშან-თვისების მქონეობაზე. მაგალითად, გაზეთის ფურცლებზე ეფექტიანსაც ვხვდებით და ეფექტურსაც:

1. გაკვეთილის ავ-კარგზე მსჯელობისას ხშირად ვიყენებთ სიტყვებს — „ეფექტი“, „ეფექტიანი“. („ქ. ე. და ლ. სკ.“).

2. შრომითი მეტოქეობა რომ უფრო ეფექტიანი იყოს, აუცილებელია მისი შედეგების შემოწმება. („სახ. განვ.“).

3. შრომა უფრო ეფექტური და ხალისიანი იქნება. („სახ. განვ“).

-ურ ბოლოსართიან სახელთა შემცველი სინონიმური წყვილების სიუხვე ნიშანდობლივია თანამედროვე ქართული პრესის სინონიმური სისტემისათვის: კომპეტენტური (კომპეტენციის მქონე), მცოდნე: დააწინაურეს კომპეტენტური, საქმის მცოდნე ამხანაგები („კომ.“).

---

[1] თ. ღვინაძე, ლექსიკურ ნორმათა დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. III, თბ., 1980, გვ. 38.

რ ე ნ ტ ა ბ ე ლ უ რ ი, უ ზ ა რ ა ლ ო, მ ო მ გ ე ბ ი ა ნ ი:

1. ეს ხელს შეუწყობს ამ დარგის რ ე ნ ტ ა ბ ე ლ უ რ დარგად გა-. დაქცევას. („სოფ.“),

2. ...მთლიანად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უ ზ ა რ ა ლ ო იყოს („კომ.“).

სინონიმურ დამოკიდებულებაში მონაწილე ამ ტიპის სახელები ნასესხებია. საერთოდ, -ურ უცხო სიტყვათაგან ზედსართავების მაწარმოებელი პროდუქტული ბოლოსართია ქართულში[1].

უქონლობის სახელთა სინონიმური ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ მარტივსა და ნაყოფიერ საშუალებას ქონების სახელებზე -არ უარყოფითობის ნაწილაკის დართვა წარმოადგენს, ა რ ა კ ო მ პ ე ტ ე ნ ტ უ რ ი (კომპეტენციის არმქონე), არასპეციალისტი, უცოდინარი:

1. არ შეიძლება კანონის გატარება მიენდოს... ამ საქმეში ა რ ა კ ო მ პ ე ტ ე ნ ტ ურ პირს. („კომ.“),

2. ზოგჯერ ასეთი ა რ ა ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ს უცოდინარობით დანაშაული გამოუმჟღავნებელი, დამნაშავე კი დაუსჯელი რჩება. („კომ.“).

ა რ ა რ ე ნ ტ ა ბ ე ლ უ რ ი, ზარალიანი:

შეიმჩნევა ა რ ა რ ე ნ ტ ა ბ ე ლ უ რ საწარმოთა რიცხვის ზრდა. („საბჭ. აფხ.“).

თანამედროვე პრესის ლექსიკურ-სინონიმურ სისტემაში -არ ნაწილაკიან ფორმათა აქტიურმა მონაწილეობამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს IX—XI საუკუნეების ქართული ნათარგმნი ძეგლები, უქონლობის სახელთა ამ ტიპის წარმოება ქართველ მამათა ერთ-ერთი ნაცადი და ნაყოფიერი ხერხი იყო უცხოურ ლექსიკურ ერთეულთა ინტენსიური გაქართულების პროცესში.

პრესის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება ასახვის ოპერატიულობაა. მის ფურცლებზე მომენტალურად ბირეკლება საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ყოველი სოციალური, კულტურული, ეკონომიურ-ტექნიკური და ა. შ. სიახლე, ამიტომაც პრესის ენაში ყველაზე უმალ იგრძნობა ლექსიკური უკმარისობა. ეს კი მის კიდევ ერთ სპეციფიკურ თავისებურებას განაპირობებს: სალიტერატურო ენობრივი სამყაროს ყველა სხვა უბანთა შორის პრესის ენაში ყველაზე დიდია ნასესხები ლექსიკის ხვედრითი წონა. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა რიგებიც უხვად შეიცავენ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს. ხშირია შემთხვევები, როცა ნასესხები სიტყვის გვერდით კვლავ ჩნდება იმავე მნიშვნელობის უცხო ლექსიკური ერთეული და სინონიმურ რიგს იდენტურ ცნებათა აღმნიშვნელი ახალი სინონიმური წყვილი ემატება: ა ვ ა რ ი ა, კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა:

[1] თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1970, გვ. 125.

1. ...მიღებულ ღონისძიებათა შედეგად გამოირიცხა ა ვ ა რ ი ე ბ ი. („თბილ.“),

2. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც იკვლევს კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ს მიზეზებს. („კომ.“).

უცხო წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულთაგან წარმოქმნილი წყვილები განსაკუთრებით უხვად გვხვდება მეცნიერულ-ტექნიკურ ცნებათა ამსახველ სინონიმურ რიგებში, უმრავლეს შემთხვევაში ისინი ტერმინოლოგიური ერთეულებია:

რ ო ბ ო ტ ი, მ ა ნ ი პ უ ლ ა ტ ო რ ი:

1. განვავითაროთ... სამრეწველო რ ო ბ ო ტ ე ბ ი ს ფართო გამოყენება. („საბჭ. აფხ.“),

2. უზრუნველვყოთ... ავტომატური მ ა ნ ი პ უ ლ ა ტ ო რ ე ბ ი ს სისტემების წარმოება. („საბჭ. აფხ“.).

პრესაში დიდია გაუმართლებელი სესხების გზით შეძენილ სინონიმურ წყვილთა რაოდენობა. ხშირად ენას ამა თუ იმ ცნების აღსანიშნავი ლექსიკური ერთეულები საკმაოდ მოეპოვება, მხატვრული ქმნილებებიც უხვად გვაძლევს მათი გეგმაზომიერი შენაცვლების მაგალითებს, პრესის ფურცლებზე კი კვლავ ჩნდება უცხო წარმოშობის სიტყვა ამავე მნიშვნელობით: მაგ. მცირე ასაკის მამაკაცის აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე სიტყვა იხმარება: ყ მ ა წ ვ ი ლ ი, ბ ა ვ შ ვ ი, ყ რ მ ა, ბ ი ჭ ი, მ ო ზ ა რ დ ი, ჯ ე ე ლ ი, მ ო ყ მ ე, ჭ ა ბ უ კ ი, ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ეს სინონიმური რიგი მდიდარია და თავისუფლად შეგვიძლია სიტყვის შერჩევა ყოველი საჭირო შემთხვევისათვის ა. შანიძე მცირეწლოვანი მამაკაცის აღსანიშნავად გვირჩევს უპირატესად ყ მ ა წ ვ ი ლ ი გამოვიყენოთ[1], მაგრამ ჩვენს სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ყველა ეს სიტყვა მოძველებულია, ამიტომაც არის რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების სპორტული სარდაფები აჭრელებულია ნასესხები „ი უ ნ ი ო რ ი თ“.

ჩვენი ლექსიკონების მიხედვით სინონიმურ სიტყვებადაა მიჩნეული ს ა თ ა დ ა რ ი გ ო, დ უ ბ ლ ი ო რ ი, მ ო ნ ა ც ვ ლ ე, ს ა მ ა რ ჭ ა ფ ო (მ ა რ ჭ ა ფ ა), ს ა რ ე ზ ე რ ვ ო, მაგრამ თუ „ლელოს“ ფურცლებს გადავავლებთ თვალს იქ უკონკურენციოდაა გაბატონებული დ უ ბ ლ ი ო რ ი, „დუბლიორებმა მოიგეს“, „დუბლიორებმა წააგეს“. საერთოდ სპორტულ სინონიმიკაში ხელშესახებადაა საგრძნობი ნასესხებ ერთეულთა გააქტიურება. მაგ. მინიმუმამდეა შემცირებული ა ხ ა ლ ბ ე დ ი ს, დ ა მ წ ყ ე ბ ი ს, დ ა ს ა წ ყ ი ს ი ს გამოყენების ფარგლები და თითქმის ყოველ სტატიაში შევხვდებით დ ე ბ ი უ ტ ა ნ ტ ს, დ ე ბ ი უ ტ ს, ს ტ ა რ ტ ს:

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ლექსიკის ისტორიიდან, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969. № 2, გვ.14

1. ლანჩხუთის „გურია“ ლიგის დებიუტანტი გახლდათ. („ლელო“),

2. დიდი ხანია მატჩის დებიუტი „დინამოს“ ასე კარგად არ ჩაუტარებია. („კომ.“),

3. მაყურებელთათვის მოულოდნელი იყო ქუთაისელთა ბრწყინვალე სტარტი. („ლელო“).

მატჩის შედეგიანი მოთამაშის აღსანიშნავად ერთპიროვნულად გაბატონდა ნასესხებ სიტყვათაგან წარმოქმნილი წყვილი ბომბარდირი — სნაიპერი:

1. ზუსტად ტყორცნის ლიტველთა ბომბარდირი იოვაიშა. („ლელო“),

2. ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას მეთაურობს ს. ანდრეევი. („საბჭ. აფხ.“),

საგრძნობლად დასთმო გამოყენების სფეროები მსაჯმა. საბჭოთა არბიტრები მიჩვეული არ არიან დარღვევათა ამგვარ კვალიფიკაციას. („დროშა“).

სემინარებს დაესწრებიან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები. („ლელო“).

სპორტული მიმოხილვისათვის თითქმის უცხო გახდა ტრადიციული ქართული ერთეულები: მედროშე, მეთაური, წამყვანი, წინამძღოლი, ხელმძღვანელი, დღეს მაგალითად უჩვეულოდ მოგვეჩვენება შესიტყვებანი: მედროშე გუნდი, მეთაური გუნდი, წინამძღოლი გუნდი, ან მეთაური მოთამაშე, წინამძღოლი მოთამაშე, ხელმძღვანელი მოთამაშე, რადგან ამ პოზიციებში უკვე მტკიცედ დამკვიდრდა სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ნასესხობანი: ლიდერი, ფავორიტი, ფლაგმანი, დირიჟორი:

1. რა არის მოთამაშე ლიდერის თავიდათავი — ტექნიკური სრულყოფა თუ ტაქტიკური ალღო? („დროშა“),

2. მოედანზე ტურნირის ფავორიტები... რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები გამოვიდნენ. („ლელო“).

3. პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ქართული ფეხბურთის ფლაგმანზე. („თბილ.“).

საკუთარ და ნასესხებ სიტყვათაგან წარმოქმნილი წყვილები დღეს ყოველი ენის სპორტული სინონიმიკის ძირითადი საშენი მასალაა, მაგრამ სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა ამ წყვილთა შემადგენელი ლექსიკურ ერთეულთა გამოყენებითი დატვირთვა: მაგ. თანამედროვე რუსული ენის სპორტულ ლექსიკაში არ იგრძნობა ინტერნაციონალური ტერმინების პოპულარიზაციისაკენ სწრაფვა: აქ სინონიმური წყვილის ცალები შენაცვლების დიდი უნარით გამოირჩევიან: „სპორტული ტერმინოლო-

გიის აქტივიზაცია, სპორტული ლექსიკის ზრდა არ ნიშნავს მის გადაქცევას ჩაკეტილ სისტემად. ამ ფაქტს ადასტურებს სინონიმურ ფორმათა პარალელური თავისუფალი გამოყენება: нападающий — форвард, ладья — тура, судья — арбитр, передача — пас и др. ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიმჩნევა ადრე გავრცელებულ ნასესხებ ფორმათა მოხმარების სფეროების შევიწროება უფრო შესატყვისი და გამართლებული ერთეულებით. მაგ. წარსულში გაბატონებულ გოლკიპერთან, ბეკთან, ხავბეკთან შედარებით დღეს უფრო ფართო გამოყენების აქტიური სიტყვებია: вратарь, защитник, полузащитник. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსული სპორტული ლექსიკის განმტკიცებასა და განვითარებაზე. მაგ. საფეხბურთო ტერმინოლოგიაში უკვე ხელშესახებადაა საგრძნობი ნასესხებ სიტყვათა მოხმარების ფარგლების შევიწროება საკუთრივ რუსული წარმოშობის ექვივალენტების მიერ. ნასესხობანი ხელაღებით კი არ განდევნილა რუსული ენიდან, არამედ გამოყენების თვალსაზრისით მეორეხარისხოვანნი გახდნენ, ენის პასიურ ფონდში გადაინაცვლეს და ახალ ამპლუაში მოგვევლინნენ, სპორტული კომენტატორები მათ მიმართავენ გარკვეული სტილისტიკური მიზნებით (სპორტული მიმოხილვისას, ან სპორტული გადაცემისას)"[1].

ენის საკუთარ ერთეულთა მტკიცე და აქტიური პოზიციები საგრძნობია ლატვიურ სპორტულ ლექსიკაშიც. ლატვიური aizsargs (დამცველი), sacensiba (შეჯიბრება, პაექრობა), uzbruceis (თავდამსხმელი), sakums (დასაწყისი), vartsargs (მეკარე) სპორტულ მიმოხილვაში უფრო ფართოდ გამოიყენებიან ვიდრე მათი ნასესხები შესატყვისები: გოლკიპერი, ტურნირი, მატჩი, ფორვარდი, სტარტი, ჰავბეკი.

ქართულ სპორტულ სინონიმიაში კი საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა: იგრძნობა ნასესხები ლექსიკით ზედმეტი გატაცება, სინონიმური წყვილებიდან უცხო წარმოშობის ლექსიკურ ერთეულთა ჭარბი პოპულარიზაცია, რის შედეგადაც ენის საკუთარი წარმოშობის ერთეულები პასიურ მდგომარეობაში გადადიან, თანდათან ჰკარგავენ შესიტყვებებში მონაწილეობის უნარს, საბოლოოდ სინონიმური წყვილები ისპობა და მათგან მხოლოდ ნასესხები ერთეულები რჩება. მაგ. ქართულ სპორტულ ლექსიკაში დღეს უკონკურენციოდაა წარმოდგენილ აუტსაიდერი, ვეტერანი, ტრავმა, პრესინგი, კომბინაცია, მატჩი, კატეგორია, ტური, ტურნირი და ა. შ.

გაუმართლებელ სესხებას და უცხოური სიტყვების ჭარბად და უადგილოდ ხმარებას ვ. ი. ლენინი „ენის გაფუჭებად" მიიჩნევდა: რუ-

[1] Протченко И. Ф., Спортивная и физкультурная терминология, в книге Лексика и словообразование русского языка советской эпохи, М., 1975, с. 173.

სულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ „დ ე ფ ე ქ ტ ი“, როცა შეიძლება ვთქვათ ნ ა კ ლ ი, ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ან ხ ა რ ვ ე ზ ი?“[1]. ამ ცნების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართულსაც უხვად მოეპოვება:

1. აღნიშნული ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ნ ი უმოკლეს დროში გამოსწორდება. („საქ. ქალი“),

2. სამმართველოს მუშაკებს ერთგვარი წარმატებების მიუხედავად სერიოზული ნ ა კ ლ ი ც აქვთ. („თბილ.“),

3. ისინი ზუსტად გამოხატავენ იმ ნ ა კ ლ ს ა თუ მ ა ნ კ ს... („ქ. ენა და ლიტ. სკ.“).

4. საშუალება მოგვეცა... გადაგვეფარა წინა წლების გარღვევები. („სოფლ.“),

5. ეს ის ახალგაზრდებია... რომლებსაც შეუძლიათ წ უ ნ ი ს დროულად აღმოჩენა. („თბილ.“),

6. ორგანიზაციების მუშაობაში ბევრი ნ ა კ ლ ი და ხ ა რ ვ ე ზ ი ა. („სოფ.“).

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, „ნაკლის“ აღმნიშვნელი მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა რიგი ქართულში მრავალწევრიანია: ნ ა კ ლ ი (ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა, გ ა რ ღ ვ ე ვ ა, ზ ა დ ი. მ ა ნ კ ი, წ უ ნ ი, ხ ა რ ვ ე ზ ი... და არ იგრძნობა რომელიმე სხვა ენიდან სიტყვის შეძენის საჭიროება, მიუხედავად ამისა ნასესხები დ ე ფ ე ქ ტ ი მაინც გაჩნდა პრესის ფურცლებზე.

ისინი კონსტრუქციული და საწარმოო დ ე ფ ე ქ ტ ე ბ ი ს გამო ხშირად გამოდიან მწყობრიდან. („კომ“.),

მაშასადამე, დეფექტმა ქართულ სინონიმურ რიგშიც შეაღწია, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით შეიჭრა. რადგანაც იგი გამოჩენისთანავე ფართო მოხმარების ერთეული გახდა. საერთოდ, პრესაში ნასესხებ ერთეულთა გამოყენების სიხშირეზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ადასტურებს ა. შანიძის მიერ გამოთქმული დებულების ჰეშმარიტებას სხვადასხვა დროს სესხების გზით შეძენილი ლექსიკური ერთეულები თანდათან ავიწროებენ დამხვდური, ძირძველი სიტყვების გამოყენების ფარგლებს[2].

პრესის ფურცლებზე უკვე კანტიკუნტად ვხვდებით შ ე მ ო წ მ ე ბ ა ს, სამაგიეროდ ფართო გამოყენებით სარგებლობს მისი წყვილის ცალი კ ო ნ ტ რ ო ლ ი:

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები, წიგნიდან — სალიტერატურო ქართულის საკირბოროტო საკითხები, თბ., 1979, გვ. 100—101.

[2] ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., X X X, გვ. 354.

მკაცრი კონტროლი დაწესდა ბავშვთა შობადობისა და სიკვდილიანობის რეგისტრაციაზე. („საქ. ქალი“).

ნასესხები ერთეულის გამოყენების სიხშირის ინტენსიური ზრდის გამო მკვეთრად არის შემცირებული შემოწმების დისტრიბუციული უნარი. ის უკვე უძლურია შესიტყვება შექმნას ისეთ ლექსიკურ ერთეულებთან, როგორიცაა გაწევა, ორგანო, სისტემა და ა. შ. შემოწმების გაწევა, შემოწმების ორგანო, შემოწმების სისტემა სტილისტურად უკვე გაუმართლებლად გვეჩვენება, ყველა ამ პოზიციაში შემოწმების კონტროლი ცვლის:

1. შესაძლებლობა მოგვეცემა კონტროლი გავუწიოთ მშენებლობის მიმდინარეობას. („კომ“),

2. საჭიროა ამაღლდეს ჩვენი კონტროლის ორგანოების პასუხისმგებლობა. („კომ.“),

3. კონტროლის ასეთი სისტემა... კონცენტრირებული უნდა იყოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. („კომ.“).

კორექტივი და კორექტირება წარმატებით დევნის შესწორებას, ცვლილებას:

1. ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ აქაც შეგვატანინა საჭირო კორექტივი. („საბჭ. აფხ.“),

2. არ დაუშვათ საგეგმო დავალებათა უსაფუძვლო კორექტირება. („კომ.“).

ინტერნაციონალური პოტენციალის, რესურსების, რეზერვების ჩრდილში მოექცნენ საკუთარი ძალები, სახსრები, საშუალებები, შესაძლებლობანი:

1. აქტიურად უნდა მოვაქციოთ სამეურნეო ბრუნვაში მთელი შინაგანი რესურსები და რეზერვები. („კომ“.),

2. უფრო სრულად გამოვიყენოთ საქართველოს შრომითი და საწარმოო პოტენციალი. („საბჭ. აფხ.“).

მოხმარების თვალსაზრისით ასეთივე შეფარდებაა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს შორის: ლაინერი — თვითმფრინავი, პრობლემა — ამოცანა, პროფესია — ხელობა, რეაგირება — გამოხმაურება, სტიმულირება — დაინტერესება, წახალისება და ა. შ.

გამოყენების სიხშირეზე დიდადაა დამოკიდებული ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ მოცულობათა მატება-კლება. მოხმარების არის გაზრდასთან ერთად სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის გვერდით თანდათან ვითარდება დამატებითი მნიშვნელობრივი ელემენტები, მაგ. თანამედროვე ქართული პრესის ფურცლებზე აქტიური სიტყვაა ანტისანიტარია. იგი ძირითადი მნიშვნელობით სიბინძურეს, ჭუჭყს, უსუფთაობას აღნიშნავს, მაგრამ მისი სემანტიკური მოცულობა ამავე

დროს სანიტარული წესების, რეჟიმის დარღვევის ელემენტებსაც შეიცავს:

ბოსლებში სრული ანტისანიტარია. („კომ.“).

ნეგატიური თავისი მნიშვნელობით უფრო მეტია, ვიდრე ამავე სინონიმური რიგის სხვა ლექსიკური ერთეულები: იგი ანტისაზოგადოებრივიცაა, მავნეც, მახინჯიც, უარყოფითიც, დრომოჭმულიც: ნეგატიური მოვლენები ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება. („სოფლ. ცხ.“).

მოჭარბებული ექსპლოატაციის შედეგად ნასესხებ სიტყვას ხშირად რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობა უვითარდება, პოლისემიური ხდება და უცხო ენობრივი სამყაროდან მომდინარე ლექსიკური ერთეული რამდენიმე სინონიმური რიგის დომინანტად გვევლინება: რეალიზაცია, გაკეთება, განაღდება, განხორციელება, მოგვარება, ორგანიზაცია, სრულყოფა, უზრუნველყოფა, ხორციშესხმა:

ახლა პარტიის საქალაქო კომიტეტის მთავარი ამოცანაა... შეიმუშაოს კონკრეტული გეგმა მათი რეალიზაციისათვის. („საბჭ. აფხ.“).

რეალიზაცია — დამზადება, წარმოება, ათვისება:

ქალაქის მრეწველობის მიერ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმების შესრულება სოხუმელთა დიდი წვლილია აფხაზეთის მშრომელთა საერთო წარმატებაში. („საბჭ. აფხ.“).

რეალიზაცია — გასაღება, გაყიდვა (სახელმწიფოსათვის მიყიდვა), ვაჭრობა.

სახელმწიფო სტანდარტის აფხაზეთის ლაბორატორიამ ნება არ დართო 267 სხვადასხვა ნაწარმის პარტია მიეწოდებინათ სარეალიზაციო ქსელისათვის. („საბჭ. აფხ.“).

ტრანსპორტირება წარმატებით აღნიშნავს მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანას, ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვასაც და მილსადენების საშუალებით რაიმე ნედლეულის ადგილგადანაცვლებასაც:

გავითვალისწინოთ პროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები. („კომუნ.“),

განვავითაროთ... ქვანახშირის ჰიდრავლიკური წესით მოპოვება, აგრეთვე მილსადენებით ტრანსპორტირება. („კომუნ.“).

მაშასადამე, მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის ლექსიკურ ჯგუფებს, ენაში ბუნებრივად არსებულ ამ სიმდიდრეს ნაყოფიერად და გეგმაზომიერად იყენებენ ჟურნალ-გაზეთების მუშაკები, მაგრამ თანამედროვე ქართული პრესის მასალის მიხედვით წარმოდგენილ ამ სისტემას აქვს ნაკლოვანება: იგრძნობა ნასესხები ლექსიკის მოძალება და ჭარბი პოპულარიზაცია, სინონიმურ რიგთაგან გარკვეული ერთეულების

განსაკუთრებული გააქტიურება სხვა წევრთა უგულებელყოფის ხარჯზე. ეს კი აღარიბებს სინონიმურ ლექსიკას, იწვევს ლექსიკური შტამპების წარმოშობას. პარტიის XXVI ყრილობის განაწესი კი საბჭოთა ჟურნალისტებს მოუწოდებს: „ველაპარაკოთ მასებს ცოცხლად და საინტერესოდ, დაშტამპული ფრაზებისა და სტანდარტულად შერჩეული მზა ფორმულების გამოუყენებლად“[1].

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 117.

ლიტერატურა

ლექსიკონები

1. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1951, მე-2 გამ. თბ., 1978.
3. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I—III, თბ., 1956—1959.
4. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV_1—IV_2, ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ, თბ., 1965—1966.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, 1950—1964.
6. შ. ღლონტი, „ევფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1975.
7. რ. შამელაშვილი, ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1975.
8. ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. I—II, თბ., 1971—1973.
9. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
10. Абрамов Н., Словарь русских синонимов и сходных по смыслу выражений, СПБ., 1915.
11. Александрова З. Е., Словарь синонимов русского языка, М., 1968.
12. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966.
13. Галич А. И., Словарь русских синоним или сословов, составленный редакциею нравственных сочинений, ч. 1, СПБ., 1840.
14. Даль В. И., Толковый словарь живого великорусского языка, т. I, СПБ., 1880.
15. Калайдович П. Ф., Опыт словаря русских синонимов, ч. 1, М., 1818.
16. Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
17. Клюева В. Н., Краткий словарь синонимов русского языка, М., 1961.
18. Павлов-Шишкин В. Д., Стефановский П. А., Учебный словарь синонимов русского литературного языка, М., 1931.
19. Словарь синонимов русского языка, глав. редакт. А. П. Евгеньева, т. 1—11, Л., 1970—1971.
20. Словарь синонимов (справочное пособие), Л., 1975.
21. Словарь современного русского литературного языка, т. 1—17, М.-Л., 1950—1965.
22. Чубинов Д., Грузинско-русско-французский словарь, СПБ., 1840.
23. Чубинов Д., Русско-грузинский словарь, СПБ., 1886.
24. Latviesu valodas sinonimu vardnica, Otrais papildinats ijadevums, Riga, 1972.

სამეცნიერო შრომები და მწერლობის ძეგლები

25. ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885.
26. ანტონ ბაგრატიონი, წიგნი მარტირია, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგ. VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1980.

27. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980.
28. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
29. ე. ბაბუნაშვილი, სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუშ., ტ. 71, თბ., 1959.
30. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1940.
31. ალ. ბარამიძე, წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის „დავითიანისა", კიევი—თბ., 1980.
32. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.
33. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბ., 1940.
34. ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
35. ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის" ენის და ტექ-ტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975.
36. ივ. გიგინეიშვილი, „რუსუდანიანის" წინასიტყვაობა, „რუსუდანიანი", თბ., 1957.
37. ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი (საიუბილეო კრებული), თბ., 1959.
38. თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიმკის მოამბე, IV_2, თბ., 1938.
39. ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთ., 1916.
40. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
41. ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.
42. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1970.
43. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბ., 1946.
44. ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
45. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. 1, თბ., 1970.
46. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948 — 1949.
47. ი. იმნაიშვილი, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის, თპიშ, ტ. IV, თბ., 1947.
48. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969.
49. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
50. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
51. პ. კვიცარიძე, ქართული სწორმეტყველება ზ. ჭიჭინაძის გამოცემით, ქუთ., 1888.
52. კიმენი, ნაწ. I, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1946.
53. ლ. კობაიშვილი, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ჭელს, № 2, თბ., 1969.

54. მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966.
55. მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.
56. მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.
57. ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ, თბ., 1965.
58. არ. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე, ტ. IX—X, თბ., 1958.
59. არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954.
60. გ. მაჭავარიანი, სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი", № 12, თბ., 1968.
61. ი. მეგრელიძე, რუსთველის ლექსიკის საკითხები, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, თბ, 1966.
62. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.
63. ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი (მონოგრაფია), თბ., 1953.
64. მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელ. გიუნაშვილმა, თბ, 1972.
65. შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. IV, თბ., 1976.
66. ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუშ, ტ. 67, თბ., 1957.
67. იოანე პეტრიწის შრომები, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940.
68. იოანე პეტრიწის შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.
69. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, რედაქტ. შ. მესხია, თბ., 1973.
71. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.
72. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940.
73. ბ. ფოჩხუა, კონტექსტი და მნიშვნელობა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგ. I, თბ., 1972.
74. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
75. ბ. ფოჩხუა, ქართული სინონიმიკის ლექსიკოგრაფიული საკითხები, იკე, XXIII, თბ., 1981.
76. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
77. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960.
78. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
79. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.
80. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

81. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1945.
82. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979.
83. თ. ღ ვ ი ნ ა ძ ე, ლექსიკურ ნორმათა დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგ. III, თბ., 1980.
84. ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, მოკლე შენიშვნები, II, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, გვრშ, II, 1947.
85. ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
86. შ. ღ ლ ო ნ ტ ი, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, თბ., 1966.
87. შ. ღ ლ ო ნ ტ ი, „ვეფხისტყაოსნის" სინონიმია, „სკ. და ცხ.", № 4, თბ.. 1966.
88. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის ენა, თბ., 1966.
89. ა. შ ა ნ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, კრესტომათია ლექსიკონითურთ, ტფ., 1935.
90. ა. შ ა ნ ი ძ ე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
91. ა. შ ა ნ ი ძ ე, არა მგამა, თხზულებანი, II, ვეფხისტყაოსნის საკითხები, I, თბ., 1966.
92. ა. შ ა ნ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვმეს ცხოვრების მიხედვით, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1946.
93. ა. შ ა ნ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939.
94. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები, სალიტერატურო ქართულის საპირბოროტო საკითხები, თბ., 1979.
95. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
96. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ლექსიკის ისტორიიდან, ჭელს, № 2, თბ., 1969.
97. ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, ტფ., 1924.
98. შატბერდის კრებული, X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა და ელ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1979.
99. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში", ენამკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938.
100. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხების შესახებ, იქვე, XX, თბ., 1978.
101. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
102. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბ., 1935.
103. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბ., 1945.
104. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.
105. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმამ, ტ. III, № 2—№ 3, თბ., 1942.
106. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სალიტერატურო ენა და ნორმა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგ. II, თბ., 1979.

107. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950.
108. ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახ. იმნაიშვილმა, თბ., 1970.
109. შ. ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980.
110. შ. ძიძიგური, მთლიანობა — ოღონდ ნაირგვაროვანი, ქელს, № 4, თბ., 1978.
111. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975.
112. შ. ძიძიგური, ფურცლები ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან, „მნათობი", № 3, თბ., 1957.
113. შ. ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი შემკვიდრეობა, თბ., 1971.
114. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, ტ. II, № 7, თბ., 1941.
115. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1971.
116. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
117. ჰილ-ეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯინჭიაშვილმა, თბ., 1977.
118. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკე. I, ტ. I, ნაკე. II, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947—1948.
119. ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპიური რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.
120. ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთ. 1901.
121. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.
122. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.
123. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
124. Апресян Ю. Д., Проблема синонимов, Вопросы языкознания, № 6, М., 1957.
125. Блумфилд А., Язык, М., 1968.
126. Будагов Р. А., Введение в науку о языке, М., 1965.
127. Будагов Р. А., Литературные языки и языковые стили, М., 1967.
128. Будагов Р. А., Человек и его язык, М., 1976.
129. Вейнрейх У., О семантической структуре языка, Новое в лингвистике, вып. V, М., 1970.
130. Виноградов В. В., Избранные труды, Исследования по русской грамматике, М., 1975.
131. Виноградов В. В., О языке художественной литературы, М., 1959.
132. Винокур Г. О., Проблема культуры речи, Русский язык в советской школе, № 5, М., 1929.
133. Волков А. Г., Язык как система знаков, М., 1966.
134. Гегель, Сочинения, т. III, Энциклопедия философских наук, ч. третья, Философия духа, М., 1956.
135. Григорьева А. Д., Заметки о лексической синонимии, Вопросы культуры речи, II, М., 1959.
136. Дешериев Ю. Д., Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, М., 1966.
137. Дешериев Ю. Д., Протченко И. Ф., Развитие языков народов СССР в советскую эпоху, М., 1968.
138. Евгеньева А. П., Основные вопросы лексической синонимии, Очер-

ки по синонимике современного русского литературного языка, М.-Л., 1966.
139. Евгеньева А. П., Проект словаря синонимов, М., 1964.
140. Евгеньева Л. П., Синонимы русского языка, Словарь синонимов русского языка, т. I. Л., 1970.
141. Ельмслев Л., Пролегомены к теории языка, Новое в лингвистике, вып. I, М., 1960.
142. Звегинцев В. А. Замечания о лексической синонимии, Вопросы теории и истории языка, Л., 1963.
143. Звегинцев В. А., История языкознания XIX—XX веков, в очерках и извлечениях, М., 1965.
144. Звегинцев В. А., Семасиология, М., 1957.
145. Ковалевская Е. Г., История русского литературного языка, М., 1978.
146. Ларин Б. А. Лекции по истории русского литературного языка, М., 1975.
147. Левин В. Д. О месте языка художественной литературы в системе стилей национального языка, Вопросы культуры речи, вып. 1., М., 1955.
148. Левицкий В. В., Экспериментальные данные к проблеме смысловой структуры слова, Семантическая структура слова, М., 1971.
149. Лопатин В. В., Рождение слова, Неологизмы и окказиональные образования М., 1973.
150. Лыков А. Г., Окказиональное слово и языковая норма, Русский язык в школе, № 6, М., 1972.
151. Мазовский М. М., К проблеме так называемой «интернациональной» лексики, Вопросы языкознания, № 1, М., 1960.
152. Медникова Э. М., Значение слова и методы его описания, М., 1974.
153. Потебня А. А., Мысль и язык, Харьков, 1926.
154. Потебня А. А., Из записок по русской грамматике т. I—II, М., 1958.
155. Протченко И. Ф., Спортивная и физкультурная терминология, Лексика и словообразование русского языка советской эпохи, М., 1975.
156. Реформатский А. А., Введение в языкознание, М., 1955.
157. Реформатский А. А., Термин как член лексической системы языка, М., Проблемы структурной лингвистики, М., 1968.
158. Смирницкий А. И., Значение слова, Вопросы языкознания, № 2, М., 1955.
159. Соссюр Ф., Курс общей лингвистики, М., 1933.
160. Степанов Ю. С., Основы общего языкознания, М., 1975.
161. Степанова М. Д., Чернышева И. И., Лексикология современного немецкого языка, М., 1962.
162. Хомский Н., Язык и мышление, М., 1972.
163. Чикобава Арн. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, ენა, ტ. II, თბ., 1948.
164. Чикобава А. С. Реальность синонимов и возможность синонимических словарей, Лексическая синонимия, М., 1967.
165. Чикобава А. С., «Язык» и «речь» в концепциях Пауля и Соссюра (к вопросу о языке и модусе его существования), Язык и речь, Тб., 1977.
166. Шанский Н. М., Лексикология современного русского языка, М., 1972.
167. Шарадзенидзе Т. С., Проблема взаимоотношения языка и речи, Язык и речь, Тб., 1977.
168. Шмелев Д. Н., Очерки по семасиологии русского языка, М., 1964.
169. Шмелев Д. Н., Современный русский язык, (лексика), М., 1977.
170. Шпет Г., Внутренняя форма слова, М., 1927.
171. Ханпира Э. И., Окказиональное словообразование В. В. Маяковского, автореф. канд. дис., М., 1966.
172. R. Veidemane, Latviesu valodas leksiska sinonimija, Riga, 1970.
173. A. Laua, Dazi leksikologijas jautajumi, Riga, 1964.
174. A. Laua, Latviesu leksikologija, Riga, 1969.

შემოკლებათა განმარტება

ა. აბაშ. — ალექსანდრე აბაშელი
გ. აბაშ. — გრიგოლ აბაშიძე
ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე
ნ. აგიაშ. — ნიკა აგიაშვილი
ვ. ალფ. — ვლადიმერ ალფენიძე
რ. ამაშ. — რეზო ამაშუკელი
ჭ. ამირ. — ჭაბუა ამირეჯიბი
ლ. ასათ. — ლადო ასათიანი
„ახ. კომ." — გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"
ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი
ხ. ბერ. — ხუტა ბერულავა
თ. ბეჭ. — თედო ბექიშვილი
გალაკ. — გალაკტიონი
კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
„განათლება" — ჟურნ. „განათლება"
გ. გეგ. — გურამ გეგეშიძე
ა. გეწ. — აკაკი გეწაძე
მ. გვას. — მოსე გვასალია
ლ. გოთ. — ლევან გოთუა
ვ. გორგ. — ვახტანგ გორგანელი
გპიშ — ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები
ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
შ. დად. — შალვა დადიანი
„დროშა" — ჟურნ. „დროშა"
ნ. დუმბ. — ნოდარ დუმბაძე
მ. ელიოშ. — მერაბ ელიოზიშვილი
ენომკის მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
„თბილისი" — გაზ. „თბილისი"
თპიშ — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები
თსუშ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
დ. ივარდ. — დილარ ივარდავა
„ივერია" — გაზ. „ივერია"
იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
რ. ინან. — რევაზ ინანიშვილი
ო. იოს. — ოტია იოსელიანი

ა. კალანდ. — ანა კალანდაძე
ა. კალ. — ამირან კალაძე
კ. კალ. — კარლო კალაძე
გ. კაპ. — გურამ კაპანაძე
ე. კერძ. — ელდარ კერძეულაძე
ე. კვიტ. — ემზარ კვიტაიშვილი
ნ. კილ. — ნაზი კილასონია
კ. კობ. — კარლო კობერიძე
„კომუნ.“ — გაზ. „კომუნისტი“
მ. ლებ. — მურმან ლებანიძე
„ლელო“ — გაზ. „ლელო“
გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
„ლიტ. საქ.“ — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“
კ. ლორთქ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ე. მაიხ. — ელიზბარ მაისურაძე
რ. მარგ. — რევაზ მარგიანი
მ. მაჭავ. — მუხრან მაჭავარიანი
ტ. მებურ. — ტაგუ მებურიშვილი
ა. მირცხ. — ალიო მირცხულავა
რ. მიშვ. — რევაზ მიშველაძე
„მნათობი“ — ჟურნ. „მნათობი“
„მოამბე“ — ჟურნ. „მოამბე“
გ. ნატრ. — გიორგი ნატროშვილი
შ. ნიშნ. — შოთა ნიშნიანიძე
ი. ნონ. — იოსებ ნონეშვილი
ი. ორჯ. — იზა ორჯონიკიძე
გ. რჩეულ. — გურამ რჩეულიშვილი
„საბჭ. აფხ.“ — გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“
„საქ. ქალი“ — ჟურნ. „საქართველოს ქალი“
„სახ. განათ.“ — გაზ. „სახალხო განათლება“
„სკ. და ცხ.“ — ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“
სმამ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
„სოფ. ცხ.“ — გაზ. „სოფლის ცხოვრება“
ა. სულაკ. — არჩილ სულაკაური
გ. ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე
მ. ფოცხ. — მორის ფოცხიშვილი
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქელს — ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“
ლ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი
ჯ. ქირ. — ჯემალ ქირია
ა. ქუთ. — ალექსანდრე ქუთათელი
მ. შავლ. — მედეა შაველიაშვილი
ო. შალამ. — ოთარ შალამბერიძე
გ. შატბერ. — გიორგი შატბერაშვილი
დ. შენგ. — დემნა შენგელაია
ჯ. ჩარკვ. — ჯანსულ ჩარკვიანი
ს. ჩიქ. — სიმონ ჩიქოვანი

ბ. ჩხ. — ბორის ჩხეიძე
„ცისკ.“ — ჟურნ. „ცისკარი“
მ. წოწკ. — მარინე წოწკოლაური
ნ. წულ. — ნოდარ წულეისკირი
ტ. ჰანტ. — ტარიელ ჰანტურია
რ. ჰეიშვ. — რეზო ჰეიშვილი
ო. ჰელ. — ოთარ ჰელიძე
ს. ჰილ. — სერგი ჰილაია
მ. ხერგ. — მირონ ხერგიანი
გ. ხორგ. — გიორგი ხორგუაშვილი
მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი
ნ. ჯალაღ. — ნოდარ ჯალაღონია
რ. ჯაფარ. — რევაზ ჯაფარიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი . 3

თ ა ვ ი I — ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის შესწავლის ისტორიისათვის 3
თ ა ვ ი II — სინონიმთა განსაზღვრის მეთოდები 23
§ 1 — საგნობრივი მიმართების მეთოდი 24
§ 2 — სუბსტიტუციის მეთოდი 25
§ 3 — დისტრიბუციის მეთოდი 28
§ 4 — ტრადიციული მეთოდი 30
თ ა ვ ი III — სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრის ისტორიისათვის . . . 33
თ ა ვ ი IV — ქართულ სინონიმთა სემანტიკური ბუნებისათვის 45
ნ ა წ ი ლ ი I — ლექსიკური სინონიმიკის საკითხები ძველ ქართულ სამწერლობო ენაში 52
თ ა ვ ი I — ძველი ქართული სამწერლობო ენის ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი 59
თ ა ვ ი II — დიალექტები — ძველი ქართული ენის ლექსიკური სინონიმიკის მასაზრდოებელი წყარო 64
თ ა ვ ი III — სიტყვაწარმოება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითადი მკვებავი წყარო 68
§ 1 — სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული სახელები . . . 69
§ 2 — სინონიმური მნიშვნელობის მქონე უქონლობის სახელები . . 71
§ 3 — სინონიმური მნიშვნელობის მქონე ქონების სახელები . . . 72
§ 4 — მიმღეობური ლექსიკა ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში 73
§ 5 — ნასახელარი ზმნები ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში 81
§ 6 — კომპოზიციური წარმოება ძველი ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში 83
თ ა ვ ი IV — სიტყვათა სესხება — ძველი ქართული სამწერლობო ენის ლექსიკური სინონიმიკის შევსება-გამდიდრების წყარო 91
თ ა ვ ი V — სინონიმთა ფუნქციები ძველ ქართულ სამწერლობო ენაში . . 95
თ ა ვ ი VI — ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის თავისებურებანი IX—XI საუკუნეებში 100
§ 1 — ცვლილებანი ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურულ შედგენილობაში 100
§ 2 — ლექსიკური სინონიმიკის წყაროებრივი თავისებურებანი . . 104
§ 3 — ლექსიკური სინონიმიკის ფუნქციონალურ-სტილისტიკური თავისებურებანი 108
ნ ა წ ი ლ ი II — ლექსიკური სინონიმიკის საკითხები ახალი ქართული სალიტერა-

ტურო ენის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში . . . 113
თ ა ვ ი I — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკა 113
§ 1 — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკის თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი 113
§ 2 — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური სინონიმიკის წყაროებისათვის . 116
§ 3 — სინონიმთა შერჩევის პრინციპებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ . . 123
თ ა ვ ი II — ლექსიკური სინონიმიკის რამდენიმე თავისებურებისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესში . . . 126
თ ა ვ ი III — ლექსიკური სინონიმიკის საკითხები მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობასა და პრესაში 140
ნ ა წ ი ლ ი III — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები 155
თ ა ვ ი I — თემატურ-სტრუქტურული თავისებურებანი 155
თ ა ვ ი II — სიტყვაწარმოება — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის ძირითადი წყარო 159
თ ა ვ ი III — ოკაზიონალური ლექსიკა სინონიმურ სისტემაში 173
თ ა ვ ი IV — დიალექტური ლექსიკა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში 176
თ ა ვ ი V — ნასესხები ლექსიკა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სინონიმურ სისტემაში 179
თ ა ვ ი VI — სინონიმთა შერჩევის თავისებურებანი მხატვრულ ენაში . . . 183
თ ა ვ ი VII — თანამედროვე საგაზეთო ლექსიკის სინონიმური თავისებურებანი 187
ლიტერატურა 203
შემოკლებათა განმარტება 209

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ა. ომიაძე
კორექტორი ე. წერეთელი

სბ 702

გადაეცა წარმოებას 23.11.81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.81. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,5. საღრ.-საგამომც. თაბახი 12,98.
შეკვეთა № 2783. ტირაჟი 1000. უე 15197.
ფასი 1 მან. 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр Дружбы № 7.